

117  
1958/4



12  
**მეტეოროლოგია**

114/4



**1**

0363360



**1958**



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი 35-ე

№ 1

იანვარი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

9577

შ ი ნ ა კ რ ს ი

ხარტონ ვარდოშვილი — საახალწლო ლექსი	33
ტიციან ტაბიძე — ლექსები	4
სერგო კლდიაშვილი — მყუდრო საიანე	5
ირაკლი აბაშიძე — ამრიტას ლექსი	62
ანა კალანდაძე — ლექსები	63
მიხეილ ქვლივიძე — ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვში. ლექსი	65
ოთარ დემეტრაშვილი — კარგადამა შეზობელა. მოთხრობა	66
მანუელა მრევლიშვილი — ლექსები	76
არჩილ ხულაყაური — ლექსები	78
როსტომ ბეგანიშვილი — სამამულე რქა. რომანი	80

ქ რ ი ბ ი ა და პ უ ზ ლ ი ც ი ს ბ ი ა

ვლადიმერ შამხაბიძე — ბურჯი ტროვნებისა	103
კარლ კრაულინი — ხალხისადმი მიძღვნილი სიცოცხლე	111
იდაია ეფენდიევი — სამედ ვერტენი—აზერბაიჯანის სახალხო პოეტი	114
აკაკი ზინთობიძე — პოეტური ენის შესწავლისათვის	122
გრ. მარგარიანი — მეორე მსოფლიო ომის შედეგები	126

ლიტერატურული მიმოვიხრობა

მიხეილ თარხნიშვილი — ქართული მსსულიერო პოეზია და მისი ურთიერთობა ბიზანტიურ პოეზიასთან. თარგმანი პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა	132
მონე ვოკიბერიძე — რუსთაველის ესთეტიკა	144
აკაკი ვაწარელია — მასალა ეასტაშე VI-ის ბიოგრაფიისათვის	155
ალექსანდრე ბეშქენიძე — ილია ჭავჭავაძე და ჰეგელ შუხარბტი	165

ბ. შ. 2 გვ.

სახელმწიფო გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი



ხელოვნების საკითხები



კირილე ზღანდუნი — ნიკო ფიროსმანიშვილი . . . . . 167

წიგნების მიმოხილვა

ბ. სურგულაძე — მოგონებები ვ. ი. ლენინზე . . . . . 175

ანაიდა ხარატიანი — სიმეზ მწერალთა ილმანახი . . . . . 177

პროფ. შ. მესხია, დოკ. შ. ახათიანი, დოკ. ბ. ხახია — მონოგრაფიები საქართველოსა და ამი-  
ერკავკასიის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე . . . . . 180

ნინო აღნიაშვილი — მოთხრობა ალყურულ ბავშვებზე . . . . . 183

ფურნალ „მნათობის“ 1957 წლის ნომრების შენაარსი . . . . . 195

ახალი წიგნები . . . . . 192

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
- გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/1-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 752.  
ფე 00110, ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР.

საჩივრის პაროდიები

★

სახალწლო

ახალო წელო,  
მწამს მოგაქვს ლხენა,  
ციტ მოფრენილი, ფრთათეთრი რაშით.  
იყოს კეთილი ჩვენს ქვეყანაში  
შენი მოსვლა და ჩვენთან დარჩენა.

ცუდს შენს მშობელზე ვერ იტყვის კაცი,  
მაგრამ, ჭაბუკო, შაინც გთხოვ ამას:  
კარგია, შეიღმა აჯობო მამას  
მეტი გმირობით და სიმამაცით.

დიდ საბჭოეთის ქვეყანა ვრცელი  
გზედება იმედით და რწმენით საესე,  
გვეჯერა, იქნები მთელ ქვეყანაზე  
მშვიდობის საქმის განმტკიცებელი!

გვეჯერა — იქნები კვლავ აღმგზნებელი  
მშრომელ ხალხებში გმირული სულის,  
ახალი წინსვლის და სიხარულის —  
ბედნიერების მომნიჭებელი.

რომ ჩვენი გული თრთოდეს ხალისით,  
არ გაეკაროს ჩვენს ზეცას თალხი.  
უფრო ძლიერი რომ გახდეს ხალხი  
აღმშენებელი სოციალიზმის.

ახალო წელო,  
მწამს მოგაქვს ლხენა,  
ბარაქა, ცეცხლი დიადი შრომის,  
და გამჩაღებულთ ახალი ომის  
გაუცამტკერებ იმედებს — მჯერა!

ღე, შენს მოფრენას ფრთათეთრი რაშით,  
მოჰყვეს მშვიდობა და წინსვლა ჩვენი,  
რომ მოიპოვო ჩვენს ქვეყანაში  
მშრომელი ხალხის მადლობა წრფელი!

## ზიხან ზაბიძე

\*

### თამუნია წერეთელს

რა დამაფიწყებს ამ შავ გაზაფხულს,  
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,  
ესტირი სიცოცხლით კუბოს

დამარბულს,  
გაუხარებელ დაფლეთილ მუხას.

რა საჭიროა კითხვა-პასუხი,  
ეს უმისოდაც გახდა აშკარა,  
არ იყო ბედი არასდროს უხვი,  
მოდენის ნაღველს ეხლა ლაშქარად.

ნულარ მეტყვიან, „მოდი, ნახეო“,  
უნახავადაც ეს მჯერა ერთ წამს,

გულის მაგიერ გული არ მოვა,  
არ მოებმება არც ფეხი ლერწამს.

სხვები მოვლენ და სხვები ნახავენ  
ამ ჯოჯოხეთის ავარდნილ აღმურს,  
მე არ მინდოდა სხვა სიხარული,  
ჩემთვის ლერწმიდან სჭირან საღამურს.

მაწუხებს მხოლოდ, ვერ მოვასწარი  
თავის დროს შენთვის მეთქვა, მეამბო,  
თუ როგორ არის დაუფიწყარი  
სხვა პოეტებში უფეხო რემბო.

### ქართლის ცხოვრება

#### შესავალი

ას წელიწადში, ერთხელ რომ უცებ  
ცა გაიღება და იცის ყველამ,  
მემატანე არ ვგაეარ ხუცესს,  
მაგრამ მეც დამწვა ამ ცისარტყელამ.

ან და რა არის მართლა პოეტი,  
თუ ცის გაღებას თვალს ვერ  
შეასწრებს,  
ესარგებლობ ზღვაზე განმარტობებით,  
მივყვები გემის აფრენილ აფრებს.

გემი „ილიჩი“ დადგა სოჭაში,  
რითი არ არის ახალი არგო,  
მოგონებების ვიხრჩობი ქაში,  
მინდა ამ გრძნობას ლექსი მოვარგო.

როგორც ბავშვისთვის დედის აღერსი,  
ისე ტკბილია ექვსინის პონტი,  
ნაღველმა გული რომ გადალესა,  
ჩემო სამშობლოვ, შენ მომავანდი.

ვუახლოვდები შენს ჩრდილო

საზღვრებს:

ლომკაცს, კახაბერს, მომაქს ლექსები,  
და თუ რკინისას ვერ გარკობ პალოს,  
შენი მიწის ზომ ვწოვე ფესვები.

და გადაეწყვიტე ასე უეცრად,  
დავეწრო შენი სისხლის პოემა,  
თავს არ დავზოგავ — მექვეც მეწყვარად,  
ჩაგატან, რაც გულს მოეპოვება...

ტიროდა ამ ზღვით თვიდი ნაზონ  
უფრო კი რომსა და საკუთარ თავს,  
რაც უნდა ენა გადაშირაზონ,  
მე ვიტყვი ჩვენი გზების დაბურღვას.

გვიცვლიან ჩვენ გზებს... თვლში  
გაწურულს  
რომ შეუცვლიან სისხლის სასთუმალს,  
მაგრამ ვერ ვხედავ ჭერ ვერც ერთ  
უფესკრულს  
და ვერც ერთ მწვერვალს, ჩვენგან  
გარდღვალს.

გამწევი არის ეს აგონია,  
ალარ თავდება ცეცხლის საკირე  
და ამღამაც ასე მგონია,  
რომ მოადგება ქრისტე ნაპირებს.

და როგორც ამ გემს გაეარდა ღუზა,  
ცას გაეხსნება სიმძიმით კარი  
და თეთრი, როგორც იაღბუზია,  
დამესიზმრება ერის სიზმარი.

## საკგო კლინაჰილი

★

## გყურრო სავანე

## ნაწილი პირველი

I

გადათვრებულ მიწას ისევ ეფინე-  
ბა თოვლი.

თებერვლის ნაღვლიანი დილა იწყება.

გზებზე და მინდვრებზე მრავალი ათა-  
სი ჯარისკაცი მიაბიჯებს. მიჭრიალე-  
ბენ დატვირთული ფურგონები, ფორნე-  
ბი, ეტლები. ისმის ავტომანქანების გუ-  
გუნდი. რახრახით მიდის არტილერია.

მაინც სიჩუმეა.

ქურქებში შეფუთვნილი ორი ადამია-  
ნი ერთ პატარა ფურგონზე მოკალათე-  
ბულა. ფურგონში ჩაყრილია კალათები,  
ჩემოდნები, მაფრაშები.

გამოჩნდა თეთრ მთაზე თეთრ სულა-  
რაში გახვეული ჯვარი, მცხეთის და-  
თოვლილი სვეტიცხოველი. ჩაუარეს ამ-  
ღვრეულ არაგვს და წინ გაიშალა მუხ-  
რანის ველი, ტირიფონას გრძელი ვაკე.

გზადაგზა ჯარისკაცები ამხანაგებს  
ეთხოვებიან, დაუკითხავად სტოვებენ  
გუნდებს და თავიანთი სოფლებსკენ  
მიდიან. მცხეთიდან ჩრდილოეთისაკენ  
გაეშურნენ მთიელები, ხაშურამდე ქარ-  
თლები გაიფანტნენ და ლიხის უღელ-  
ტეხილს უმთავრესად იმერლები მიუახ-  
ლოდნენ.

უკან დარჩა დედაქალაქი.

გაურკვეველის და უცნაურის მოლო-  
დინში დასტოვეს. ახლაც ოცნებით  
თვალწინ დგას თბილისი. ოდესმე დაბ-  
რუნდებიან? და თუ დაბრუნდნენ, ისე-  
თივე დახვდებიან?

წერილი, მშრალი თოვლი ცვივა ფურ-

გონზე, ველზე, მთებზე. მშვიდი ყვავები  
გუნდად დაფრინავენ. ფურგონში  
მყოფთ ერვინებათ, რომ ყვავები ქალა-  
ქისკენ მიიმართებიან.

რამდენიმე ცხენოსანმა ფურგონს ჩა-  
უქროლა. ცხენებს ოზწვიარი ასდით.  
გახურებული ტანი სითბოს აორთქლებს.  
მხედართა პირველ წყებას მიჰყვა მეო-  
რე, მესამე.

მხედართა შორის ვიღაცამ ხმამაღლა  
გაიციხა და ამ ხმამ ფურგონში მყოფი  
ქალიშვილის ყურადღება მიიქცია. გა-  
ოცებით მიაპყრო თვალი ცხენოსნებს,  
გადაიგდო ქურქი, მუხლებზე წამოდგა  
და, ჯერ კიდევ დაეკვებულმა, ხმა დაა-  
ღვენა:

გივი!

ცხენოსანმა მიმოიხედა.

— გივი! — ახლა უკვე გაბედულად  
გაისმა იგივე ხმა.

მხედარმა ცხენი შემოაბრუნა და  
ფურგონთან მიაგდო.

— აქ არ შემოგვიბტეს, ჩვენც ძლივს  
ვეტყვიით! — მხიარულად შესძახა ქალი-  
შვილმა.

ვაგი გაკვირვებით შესცქერის. ეტყო-  
ბა, თავის თვალებს არ უჯერებს.

— ირინე! შენ აქ საიდან?

— მივდივარ... მეც მივდივარ!

— მართო? ძია გიორგი?

— ჰო, მამაც აქ არის! — ხელი გაი-  
შვირა ფურგონზე დახვავებული ნივთე-

ბისკენ. — წუხელ სრულიად უეცრად გადავწყვიტეთ.

— შორს აპირებთ?

— სანამ ჩვენი ჯარი არ დაბრუნდება თბილისში, სადმე დასავლეთში ვიცხოვრებთ. თქვენიანები სად არიან?

— არ ვიცი.

— ნუ თუ დარჩენენ? იქ ყოფნა ხომ საშიშია ახლა! მით უფრო მამაშენისათვის.

— არაფერი არ ვიცი. ჩემი ჯარის ნაწილი წუხელ გვიან მოიხსნა ფრონტიდან, ქალაქი ისე სასწრაფოდ გამოვიარეთ, რომ საშუალება არ მქონდა შინ მიმეკითხა.

ესკადროს ჩამოცილებული ცხენი ვერ ისვენებს, ტრიალებს, თავში იწვეს.

— მე კიდევ გნახავ. არ გემშვიდობები...

ლადშამ იგრძნო მიშვებული სადავე და წინ მიმავალი ცხენებისკენ გაქანდა.

ირინე თვალს არ აშორებს მხედარს. ცხენი მიჰქრის და ღონიერი ტორებით თოვლსა და მიწას ჰყრის.

რა კარგი იყო გივი უბრალო ჯარისკაცის ტანსაცმელში! რა ვაქკაცური იერი ჰქონდა!..

თოვლი ეყრება ველს და რუხ ფარაჯებს. გაბაწრულან რუხი ლანდები. წინ მრავალი მიდის, კვალდაკვალ უფრო მეტი მიჰყვებათ.

გაბაწრულან მატარებლებიც, დატვირთულნი ბარგით, ზარბაზნებით, ხალხით. ვაგონებში მოკალათებულ ლტოლვილებს იქნებ უფრო ბედნიერად მიაჩნდათ თავი, მაგრამ ირინე ახლა აღარ შენატროდა მათ ბედს. იმის შემდეგ, რაც ამ გზაზე მომავალი გივი დაინახა, დათოვლილ ველზე მგზავრობა აღარც ისე საშინოდ ეჩვენებოდა.

ისევე ჩაიფუთნა ქურქში, ჩათბა და გივის სახელთან შეერთებულ მოგონებებს მისცა თავი. ეს მოგონებები თანდათან გაიზარდა და გაცოცხლდა იმ დღეებად, რომელიც წარსულში დარჩენილიყო. მეხსიერებას მრავალი ისეთი წერილმანიც შეენახა, რაც სხვა დროს, შესაძლოა, არც კი მოჰგონებოდა. თურ-

მე რამდენი სიხარული ჰქონია, რა ბედნიერი ყოფილა წინათ... დღეიდან კი თბილისში სულ სხვა ცხოვრება იწყებოდა. იცის, რა ხალხი დაეპატრონება იქაურობას... რა საკვირველია თბილისის მხოლოდ რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული, ახლა ასე უეცრად გახდა მიუწვდომელი და საოცნებო, თითქოს ოდესღაც ზღაპრად გაგონილი, თითქოს სიზმარში მოლანდებული...



მესამე დღე ხაშურში დაულამდათ.

ირინე ხედავდა ქუჩებში აქა-იქ დანთებულ ცეცხლს, რომელსაც გარშემო ჯარისკაცები შემოსხრომოდნენ. სადღაც ბნელში ცხენები ჰისვინებდნენ, საიდანღაც ისმოდა ყვირილი, გინება. რამდენიმე წუთით ყველაფერი მიწყნარდებოდა, შემდეგ კი ისევ ხმაური იწყებოდა.

ცივი ქარი ჰქროდა ტაშისკარიდან. ძილი ყველასათვის უტკბილესი ოცნება იყო, მაგრამ სველი მიწა, შიმშილი და ქარი ამ უბრალო ნატვრასაც მიუწვდომელს ხდიდა.

სადღაც დუქანს ცეცხლი წაეკიდა. შემთხვევით მოხდა ეს თუ განზრახ — ამის გაგებას არავინ ცდილა და არც იყო საჭირო. ხანძარმა ხალხი მიიზიდა და გაახარა. და მართლაც, რა დასანანებელი იყო მწყრივად ჩაწყობილი ძველი კოლოფები, თუ კი ამით მრავალი გათბებოდა და ბნელი ღამეც განათდებოდა! ხანძარი იზრდებოდა. საცხოვრებელ სახლებს უახლოვდებოდა ცეცხლი, და რომ მისთვის გზა გადაეკრათ, შემინებული მოსახლეობა ამტკრევედა უახლოეს დუქნებს. ფიცრებს კი შემდეგ ჯარისკაცები იტაცებდნენ, თავისთვის კოცონს აჩალებდნენ და, ჯგუფებად დაყოფილნი, გარშემო უსხდებოდნენ.

ირინეს ახლაც ბედნიერმა შემთხვევამ გაუღიმა — ღამეში მოულოდნელად თვალი მოჰკრა კოცონის ალით განათებულ გივის. დაუძახა და ფურგონიდან გადმოსვლა დააპირა.

— დაცა, ნუ გადმოხვალ. გაუვალი ტალახია ყველგან, — შეაჩერა გვიმ. — შენთან სიარულის დროც არ მაქვს. ყოველ წუთში მოსალოდნელია გავიდეს აქედან ჩემი ნაწილი.

თვითონ ახტა ფურგონზე და ირინეს გვერდით ჩამოჯდა.

— სძინავს? — გადახედა ჩაფუთვნილ გიორგის.

— დაიღალა საბრალო. ისედაც ავადმყოფი გული აქვს, გზამ კი საშინლად დაქანცა.

გივიმ ნაბადი შემოახურა ირინეს და მიიქრა.

— მთელი გზა შენზე ვფიქრობდი, — ჩურჩულებდა ირინე.

გივიმ უამბო რა გადახდა იმის შემდეგ, რაც ერთმანეთი არ ენახათ... მრავალი რამ საკვირველი უთხრა განვლილი დღეების თავგადასავლიდან.... ირინეს უხაროდა, რომ ხელები, რომელიც წელზე შემოკვროდა, ეკუთვნოდა ახალგაზრდა გმირს. უხაროდა და ფიქრობდა: „ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ გივიმ ისახელოს თავი, მთელი ქვეყანა მასზე აღაპარაკდეს და მსხველი მასში დაინახონ?“.

ნაცრისფერი ნოტიო დილა ჩამოდგა შეუმჩნეველად. დღე იწყებოდა მოთენთილი, ღონეშიხდილი.

იმავე დილას ჯარი სურამის უღელტეხილით დასავლეთისაკენ დაიძრა.

ირინე და გიორგი მატარებელში მოეწყვენენ. როცა გვირაბს გასცილდნენ, პირველად გაიგონეს ორთქლმავლის თამამი კივილი. ეს გაბედული ხმა ბედნიერ წინასწარმეტყველებად ეჩვენათ. ქედმაგორე მხარეს დასტოვა შიში... რა იქნება წინ? ჯერ კიდევ გზა არ დასრულებულა, ჯერ კიდევ სავალია....

## II

გორაკებით გარშემორტყმული და ხევში მდინარის გასწვრივ გაშენებული კიკნა ქალაქი პატარახევი უკანასკნელი სადგური იყო, სადაც გიორგი და ირინე თუხარელები მატარებლიდან ჩამოვიდნენ.

მათ ბედი ეწიათ, — იმავე დღეს მონახეს ბინა. ირინეს მოსწონდა კიდევაც ეს აგურის ერთსართულიანი სახლის ცისფრად შეღებილი ფანჯრები და შუშაბანდით. სახლის წინ ფართო ბაღი იყო, რომლის დიდრონი ხეები მოწმობდნენ, რომ ზაფხულში აქაურობა ლამაზ კუთხედ გადაიქცეოდა.

ბინამ რამდენიმედ გაუქარგა დიდი ქალაქიდან ჩამოყოლილი სევდა და შეეცადა მამაც გაემხნევებია.

— რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება, — თავის მხრივ აიმედებდა გიორგი, — რა თქმა უნდა, კარგად იქნება!

მაგრამ გიორგი ტყუილად ცდილობდა დაეთარა შვილისგან თავისი დარდი. მის ხმაში და ნაღვლიან გამოხედვაში აღვივლად იგრძნობოდა, თუ რა მძიმე დარდი დასწოლოდა გულზე.

— აი, ამინდი კი ცუდია, ნამდვილი მარტია, — ამინდზე ჩიოდა და ამით ცდილობდა დაემალა შვილისგან უგუნებობის ნამდვილი მიზეზი. ამოიხრებდა ხოლმე და გაიხედავდა ფანჯრიდან, რომლის იქით მოჩანდა დაბინდული დღე, გაძარცული ხეები და თოვლქვაპისაგან დასველებული შენობები.

სახლის პატრონმა სიმონ ბეროშვილმა უარი თქვა ბინის ქირის ალებაზე.

— არაფერი არ მინდა, ეს ჩემი სახლი სრულ თქვენს განკარგულებაში იყოს თავისი უძრავ-მოძრავით, ყველაფრით! — შესთავაზა მან შემოიხიზნულთ. — სრულ თქვენს სარგებლობაში დამიტოვებია!

ბეროშვილის სიტყვებში უანგარობა ან სტუმართმოყვარეობის თავაზიანობა კი არ იგრძნობოდა, არამედ სასოწარკვეთაში მყოფი ადამიანის გულგრილობა. გიორგიმ უნებური გაკვირვებით შეხედა და ის იყო დაპირა რაღაც ეთქვა, როცა ისევ მასპინძლის ხმა მოისმა:

— თქვენ თვითონ აირჩიეთ ოთახი. სადაც გნებავდეთ, იქ დაბინავდით. მივდივარ მე... — ჩაიბურტყუნა და ისე აიქნია ხელი, თითქოს ამით ანიშნა, შორს მიედივარო. — სულერთია, აქ მა-

ინც არ მეცხოვრება... ჩემი აქ აღარაფერი არ იქნება... იქ სული მაინც შემჩნება...

გაუძლეა მამა-შვილს და დაატარა ოთახები, თითქოს იმიტომ, რომ დაენახებოდა მათთვის, თუ რას სტოვებდა.

ბეროშვილი პირქუში და მძიმე ხასიათის კაცი ჩანდა. ირინეს კიდევაც ესაიშოვნა, რომ ის წასვლას აპირებდა.

დიდი და ნათელი ოთახები ისე სასვე იყო ავეჯით, რომ ზოგან თავისუფლად გავლა სჭირდა. ყველგან პრიალბედა ლაქი, ნიკელი და ვარაყი. აქაურობის პატრონს, ჩანდა, ფული არ დაეზოგნა იმისათვის, რომ ის ბევრი რამ შეეძინა, თუმცა ყველაფერი ეს, როგორც მაშინვე შენიშნა ირინემ, იაფფასიანი სილამაზით პრიალბედა და გემოვნებას მოკლებული იყო.

— აი ამ აღამიანს მიმართეთ თუ რაიმე დაგჭირდეთ, — მიუთითა სახლის პატრონმა ვიღაც ახალგაზრდა დედაკაცზე, რომელიც ერთ ოთახში კარადიდან ჭურჭელს იღებდა და ყუთებში აწყობდა.

ქალმა თვალი შეაღწო უცნობებს, არც უპასუხა გიორგის, როცა მან თავი დაუჯრა, და განაგრძო თავისი საქმე. ერთი წამით სიმონმა რაღაც მწარე ღიმილით გადახედა დედაკაცს და, თითქოს მოფერებით, თავზე ხელი გადაუსვა:

— აწი შენ იცი და შენმა ქალობამ, კატო, როგორ მძუღელი აქაურობას... ყველაფერი ეს ხომ მაინც შენი უნდა ყოფილიყო... ჰოდა, გჭონდეს, ღმერთმა მოგახმაროს... — გულდაწყვეტით თქვა და ოთახიდან გავიდა.

სიმონი დაემშვიდობა ყველას, წავიდა სახლიდან და თან გაიყოლა ჩემოდნებით და დიდი ფუთით დატვირთული ორი ბიჭი. მაგრამ არ გასულა დიდი დრო და იმავე ბიჭების თანხლებით უკანვე დაბრუნდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გიორგიმ და ირინემ ამ სახლში პირველად შემოადგეს ფეხი, ბეროშვილი უკვე სამგზაგროდ გამოწყობილი დახვდათ. მას დილიდანვე ეცვა ბეწვის საყელოიანი სა-

ზამთრო პალტო, დაბალყელიანი ჩექმები და ყურებზე ჩამოფხატული ნაცრისფერი კრაველის ქუდი უხურა. დერეფანში ორი დიდი ჩემოდანი და თასმებით შეკრული რაღაც ფუთა ეგდო, რომელზედაც ორი ბიჭი ჩამომჯდარიყო. ესენი ჯერ კიდევ წინა დღეს ჰყავდა დაქირავებული ბეროშვილს და არსად არ უშვებდა მათ. გავიღოდა თუ არა სახლიდან, დაბარგული მიჰყავდა ისინი. ბიჭები ბევრჯერ ახლდნენ სადგურზე, შემდეგ მასთან ერთად შინ ბრუნდებოდნენ, ისე დააწყობდნენ ბარგს დერეფანში, ჩამოსხდებოდნენ ფუთაზე და გულგრილად ელოდებოდნენ იმ წუთს, როცა დამქირავებლის ბრძანებით ისევ უნდა აეკიდნათ ზურგზე ბარგი და სადგურისკენ გაჰყოლოდნენ.

ასე მოუსვენრად იყო ბეროშვილი დილიდან დაღამებამდე, ღამით კი ყველა კარს თვითონ ჩაჰკეტავდა, გაუყრიდა ურდულებს და ოთახებში დაბორგავდა.

ღამით ქალაქი ბნელი იყო. დუქნებზე აღარ ჩანდნენ სანათურები. რამდენიმე დღის წინათ ქუჩის ფანრებშიც გამოლეულიყო ნავთი და შემდეგ აღარ ჩაუხსამთ. ერთი თუ ორი გაქვარტლული ფანარი ბეუტავდა მხოლოდ სადგურის დარბაზში, სადაც იატაკზე, მაგიდებზე და ფანჯრის რაფებზე ეძინათ სიცივისაგან მოკრუნჩხულ ჯარისკაცებს და მატარებლის მომლოდინე მგზავრებს.

სახლიდან სადგურზე, სადგურიდან ისევ სახლისკენ — ბოლო ორი დღე ასე გაატარა სიმონმა. თითქოს საღლაც მიემგზავრებოდა, მაგრამ სად, თვითონაც ვერ წარმოედგინა. ეშინოდა პატარახევში დარჩენილიყო და ამავე დროს ვერ გადაეწყვიტა წასვლა, ეძნელებოდა აქაურობის დატოვება და გული ისევ სახლისკენ მიუწევდა, სადაც ნაოცნებარი ბუდე ჰქონდა მოწყობილი.

— ჰო, მაგრამ, რატომ სტოვებს ბატონი ბეროშვილი აქაურობას? მე გგონია, ამ ქალაქში ყოფნა საშიში არ უნდა იყოს, — გამოელაპარაკა გიორგი კატოს, როცა დედაკაცმა მათ საცხოვრებელი

ოთახი მიუჩინა და საჭირო ავეჯი გადასცა.

— კარგ დღეს კი დააყრიან თუ დარჩა, — პასუხად მხოლოდ ეს ჩაილულულა კატომ.

გიორგის პირველად სახლის პატრონის ცოლი ეგონა ეს ქალი, რომელიც დიასახლისივით დადიოდა ოთახებში და თან გასაღებების მთელი ასხმულა დაჰქონდა. ოთახებში გაშუღმებით ისმოდა მისი ფეხის ხმა, მთელი დღე რაღაცას საქმიანობდა, რაღაც განკარგულებას იძლეოდა. ასე მოუსვენრად დაფუსფუსებდა დღიდან დღამებამდე, მაგრამ დაღლილობა მაინც არ ემჩნეოდა. ტანჩასკვნილი იყო და, ერთი შეხედვით, ლამაზი ჩანდა. ლაქლაქა სახე და თაფლისფერი თვალები ჰქონდა. თამამი სიტყვა-პასუხი იყო, მოურიდებელი და უკმებიც იყო ზოლმე, ამავე დროს კი ყურადღებიანი და ხანდახან ალერსიანიც.

კატომ მზრუნველობით დააბინავა ხინჩები და შემდეგ რიგინი საუზმითაც გაუმასპინძლდა.

— მოგწოდათ, ალბათ... თქვენისთანა განათლებული აღამიანებისათვის საკადრისი იქნებ ვერაფერი მოგართვათ, მაგრამ რა ვქნა, თქვენი ჭირიმე, ამ გაძალღებულ დროში, ამაზედაც ღმერთს მადლობა ეუთხრათ. ნათქვამია: ყველი და პური, კეთილი გული. ასე არ არის?

კატო თვითონაც მიუჯდა სუფრას და შალე სტუმრებს და მასპინძელს შორის ისეთი ძალდაუტანებელი საუბარი გაიბა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ.

როდესაც გიორგიმ ისევ ჩამოაგდო სიტყვა ბეროშვილზე, კატომ ჯერ მხოლოდ ხელი ჩაიჭინა და აგერ როდისღაც ამოიღდა ენა:

— ბელი არ ჰქონია მაგ ცოდვის შეილს... გინდ წასულა, გინდ არა, მაინც დაღუპულია მისი საქმე... აქ ყოფნას, იქნებ, მართლაც წასულა ერჩივნოს... სხვაფერ თუ დაზოგეს, ქარხანას ხომ მაინც ჩამოართმევენ და პირში ჩალა გამოვლებულს დასტოვებენ... მე გეტყვი, განათლება უწყობს ხელს... წერა-კითხვა ძლივს იცის... არ დარჩეს და, სად წავიდეს, სად იწაწალოს? რომ ჰკითხო, ამირებს უცხოეთში გაჰყვეს გაქცეულ

მთავრობას... მერე და იქ რა ხერხს ნახავს, რითი იცხოვრებს? ჰოდა, არ იცის კაცმა რა ქნას, თავის გულს ასკდება...

ირინემ და გიორგიმ მისგანვე გაიგეს სახლის პატრონის ამბავიც: როგორ გახდა ის ქარხნის მფლობელი, რა სიმდიდრე შეიძინა და როგორ გაერია პატარხევის დიდკაცებში.

ეს ამბავი სრულიად ჩვეულებრივი იყო... გაბედულად და მარჯვედ ჩატარებულმა რამდენიმე სპექულაციამ ბეროშვილს მადა გაუღვიძა უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა თავისი კეთილდღეობისათვის. ჯერ სახლი იყიდა და შემდეგ ლეინისა და კონიაკის ქარხნის აშენება გადაწყვიტა. მისი ანგარიშით, პატარხევის გარშემო მდებარე სოფლებიდან, სადაც გლეხობა მევენახეობას მისდევდა, საჭირო ნედლეულს ხელსაყრელ ფასებში მიიღებდა. ეს იმედი უსაფუძვლო არ იყო, — სოფლელების საარსებო წყაროს უმთავრესად ვენახი შეადგენდა. ხშირად კარგი მოსავალიც მიუღიათ, მაგრამ სარგებლობა მაინც ვერ უნახავთ. ახლომახლო არსად იყო ბაზარი, რომ ყურძენი გასასყიდად გაეტანათ, დიდ ქალაქში წაღება კი ხელსაყრელი არ იყო, რადგან ურმით და გოდრებით ნათრევი ყურძენი გრძელ გზაში იღახებოდა, ფუჭდებოდა და, ისედაც იათად ფასებული, კიდევ უფრო საზარალო ხდებოდა. განსაკუთრებით გაჭირვებას განიცდიდნენ სოფლელები მაშინ, როცა ბუნების ხელშეწყობით

უხვი მოსავლის წელიწადი გამოერეოდა. ეს გარემოება სიხარულს კი არ გვრიდათ, პირიქით, საგონებელში აგდებდათ, — ყურძნის ფასი კიდევ უფრო იკლებდა და, რადგან სხვა გამოსავალი აღარ იყო, თავისთვის საზარალოდ ყიდდნენ სოფლებში ყორნებით შემოსულ ჩარჩ-ვაჭრებზე, რომლებიც მოუსავლიანი წლებისათვის იმარაგებდნენ ლეინოს.

ქალაქის განაპირას, პატარა გორაკთან, უხსოვარი დროიდან ბუჩქნარით და ეკლით დაფარული ერთი დაუქმებული ადგილი ყოფილიყო. ეს ნაკვეთი სი-

მონმა იაფად შეისყიდა მისი პატრონისაგან, ვილაც ქერივი დედაბერისაგან, რომელსაც თითქმის ვაჭრობაც არ დაუწყია იმით გახარებულს, რომ მისთვის გამოუსადეგარ უსარგებლო ადგილში ფულს მიიღებდა. დედაბერი გაკვირვებულად იყო, თუ რად უნდა დასჭირებოდა ვინმეს ის ქვიანი ზრიოკი, სადაც რიგიანი ხეც არ იზრდებოდა და უმაღლვე დათანხმდა მცირე თანხაზე, რომ მუშტარი არ გაქცეოდა.

როგორც კი დაისაკუთრა სიმონმა ადგილი, თავისი ხელით გაასუფთავა ჯაგნარისგან და მაშინვე შეუდგა ქარხნის აშენებას.

ბეროშვილს ბედმა გაუღიმა საქირო სპეციალისტის დაქირავებამაც. ქარხანა, მართალია, პრიმიტიული იყო, ღარიბი ლაბორატორია ჰქონდა, მაგრამ საქმის მცოდნე სპეციალისტის მოწვევა მაინც აუცილებელი გახდა. მალე გამოიძებნა უმუშევრად მყოფი ერთი ახალგაზრდა აგრონომი მელეინე და აქაც ბედი ეწია ქარხნის პატრონს, — ის ახალგაზრდა უნარიანი და მუყაითი კაცი გამოდგა.

რამდენიმე თვეში ქარხანა მზად იყო და მისი გახსნა ზემოთ აღნიშნა სიმონმა. იმ დღეს დიდი წვეულება გამართა. მოპატივებული ჰყავდა პატარხევის მრავალი წარჩინებული პიროვნება — ქალაქის თავი, ვაჭრები, მაღალი თანამდებობის მოხელენი, უფროსი სამღვდლოება. გულუხვი მასპინძლობა გასწია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ნადიმი მზარულად ჩატარდა. ქალაქის თავმა დიდი სიტყვაც წარმოთქვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ სიმონ ბეროშვილის წამოწყება ღირსებას მატებს და ხელს უწყობს ქალაქის წინსვლას და აყვავებას. სტუმრები ქება-დიდებათ მიმართავდნენ, ეხვეოდნენ და მეგობარს უწოდებდნენ. ამ ბედნიერი წუთებით გაბრუნებული და გულაჩუყებული ბეროშვილი ალტაცებით წამოიძახებდა ხოლმე: «თქვენ შემოგველოთ ჩემი თავი, მიმსახურეთ ყოველნაირად! თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რისი შემძლეა თქვენი სიმონი!».

კატომ კიდევ ბევრი რამ უამბო თუხარელებს სიმონის ცხოვრებზე, მაგრამ გაკვირთაც არაფერი უთქვამს, თუ რა კავშირი ჰქონდა იმ ადამიანთან, ვის სახლშიც ახლა ნამდვილი დიასახლისივით ბატონობდა. ამის გასაგებად გიორგიმ ერთი-ორჯერ ძალიან შორიდებულად და ფრთხილად გადაუკრა კატოს სიტყვა, მაგრამ მან წაუყრუა და პასუხი არ აღირსა.

ეს საიდუმლო მალე სხვისგან გაიგო.

სიმონის სახლში ცხოვრობდა ერთი მოხუცი, სახელად ნესტორი, რომელსაც სამზარეულოს ვეჯრდით პატარა საკუქნაო ჰქონდა მიჩენილი. მოხუცი პირქუში და სნეული ჩანდა. მიუსაფარი კაცივით დაპირილობდა შინ და გარედ. ვერ იტანდა მარტის ნოტიოს და სიცივეს. მოკრუნჩხულიყო და ისეთნაირად იფუთნებოდა თავის გაცრეცილ ძველ პალტოში, რომ ამის დამნახავი უნებურად თვითონაც სიცივეს იგრძნობდა. ხანდახან მთელი დღე ისე გაივილიდა, რომ ერთ სიტყვასაც არ იტყოდა, ხოლო თუ რაიმეს შეეკითხებოდნენ, უნდობლად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიმეტებდა მოკლე პასუხს.

მაგრამ ერთხელ, როცა გიორგიმ ჰკითხა, ჰყავდა თუ არა სიმონს მეუღლეო, ნესტორმა ჯერ თავისებურად მოუჭრა: «არა, არ ქნა სიყვით!» — შემდეგ კი, სრულიად მოულოდნელად ენა ამოიღვა და, მისთვის უჩვეულოდ, გრძლად გააბა სიტყვა:

— ბევრჯერ ვურჩიე ოჯახს მოჰკიდებოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადავაწყვეტე ეს უბრალო საქმე... არის აქ ერთი ქალი. სიმონის მოგვარება, მაგრამ ნათესავი არ არის. მარჯვე დედაკაცია, სამეურნეო საქმეშიც გამოცდილია. აქამდე ბუფეტს განაგებდა საღვურზე. შესახედავდაც მოსაწონია. აი, სწორედ ის, ჩვენთან რომ დადის. დიახ, კატო... წინათ სიმონი აპირებდა კიდევაც შეერთო, მაგრამ, ამ ბოლო დროს, რატომცა, არც ჰოს ამბობს, არც უარს... ერთხანს მიზეზობდა, არა ვარ სიოჯახოდ მომზადებულიო. ახლა, ღვთის მადლით,

ყველაფერი ხელს უწყობს, მარა საშველი მაინც არ დაადგა. ალბათ, უკეთეს ქალს ვძებნ, აბა სხვა რა მიზეზი უნდა იყოს... კატოს ვილა ჩივა, თავისი თავი დაჩაგრა. მარტოხელი კაცის ცხოვრება, მოგეხსენება, ნადირისას ჰგავს. თუ კატო აღარ უნდა, სხვა მაინც მოიყვანოს. სიმონს რომელი ჰქუამყოფელი ადამიანი დაუკავებს ქალს? რაღას უცდის, არ ვიცი... ცოლი რომ შეერთო, აქაურობას მაღლი მოეცებოდა და ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა. ლოგინად რომ ჩავვარდე, წყლის დამღვეინებელი მაინც მეყოლება...

ყველაფერი ეს გულისტყვილით თქვა და, ბოლოს, იმისათვის, რომ ვილაც საწყალ გლახად არ ჩაეთვალა გიორგის, ერთგვარი სიამაყითაც დაუმატა:

— შენ უცხო ბრძანდები და არ იცი ჩემი ამბავი... ერთი დრო იყო, მეც პატივსაცემი კაცი ვიყავი. ნამდვილად... სიმონს თუ დღეს ქვეყანა იცნობს, ჩემი წყალობით... დიახ, ჩემი წყალობით. მე ვზრდიდი, მე ვებატრონობდი. ვინმე შემოხიზნული და მუქთამქამელი არ გეგონო, სიმონზე დიდი ამაგი მაქვს გაწეული და ახლა ის ვალდებულიცაა მომხდლოს... ეგ კი არა, მამამისი რომ ცოცხალი იყოს, ისიც თავის თავს მოვალედ ჩათვლიდა პატივი ეცა ჩემთვის.

იმისდამიხედვით, თუ როგორ ეპყრობოდა სიმონი ნესტორს, ვერავენ იტყოდა, რომ მისდამი რაიმე გულთბილი გრძნობა ჰქონდა. მაგრამ თუნდაც იმიტომ, რომ თავის სახლში დაბინავებული ჰყავდა და ითმენდა ამ არასასიამოვნო მოხუცს, საფიქრებელი იყო, წარსული რაღაცათი აკევირებდა მათ...

სიმონ ბეროშვილის მამა ბესარიონი უმიწაწყლო გლეხთაგანი იყო. თავისი წინაპრებისაგან მან მემკვიდრეობით მიიღო კიყნა ეზო, ხელისდადება სახნავი ადგილი, ამასთანავე ღონიერი კუნთები და დიდი მარაგი ოფლისა, რომ დაუსრულებლად ეღვარა ის მიწაზე.

ბესარიონის ცხოვრება, ალბათ, ბედის მორჩილებაში მყოფ მის მამაპაპათა ცხოვრების განმეორება იქნებოდა, მაგ-

რამ მათგან განსხვავებით ბუნებამ მოუსვენარი სული მისცა. *ხისკითხის* ამ თვისებამ კი ძირფესვიანად შესცვალა მისი დღეების მდინარება.

ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გლეხი თავდაპირველად შეეცადა რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო თავისი მიწისგან. მაგრამ ერთ მტკაველ ნაკვეთს, იმასაც ფერდობიანს, თითქმის ფრიალოს, რომელსაც წვიმა ჩამორეცხავდა ხოლმე, არ შეეძლო სასწაული მოეხდინა და იმაზე მეტი მიეცა, რასაც იძლეოდა.

ძალაუნებურად, ბესარიონი თავისი მიწის ტყვედ იყო ქცეული. ეს პატარა ნაკვეთი ფიზიკურად კი არა, უფრო სულიერად სტანჯავდა მას. მაგრამ რაც უფრო უჭერდა მუხრუჭებს ცხოვრება, მით უფრო მოუთმენელი და ბედთან შეურიგებელი ხდებოდა ეს ჯიუტი გლეხი.

ბევრჯერ გამწარებით დაფიქრებულა თუ რა ეღონა, რა გამოსავალი ებოვა, და ერთადერთი რაც მოისახრა, ის იყო, რომ ზამთრის თვეებში წასულიყო ქალაქში და რაიმე დღიური სამუშაო აეღო. ამ განზრახვით მართლაც ჩადიოდა ხოლმე პატარხევში და იქ ხან რკინიგზის სადგურზე მტვირთავად მუშაობდა, ხან მიწას ბარავდა ვინმეს ბაღში. ავად თუ კარგად, როგორც იყო, გაათრევდა ზამთრის თვეებს, გაზაფხულზე კი აიკიდებდა გუდა-ნაბადს და ისევ სოფელს მიაშურებდა.

ყველაფერი იმგვარადვე იწყებოდა, როგორც შარშან და შარშანწინ. ისევე წამება და ისევე იმედის გაცრუება, მაგრამ იქაურობის დატოვება და თავისი ძველი საბუღარის მოშლა ვერ გაეხდენა, ვერ იქნა და გულიდან ვერ ამოიგდო მისი სიყვარული.

ბოლოს მაინც იძულებული გახდა დაეტოვებია სოფელი. საამისო ბიძგი ჰქრა სრულიად უბრალო შემთხვევამ: ერთხელ ღამით ნიაღვარი მოვიდა, გათენებისას კი ბესარიონმა დაინახა, რომ წინკართან საჩრდილობლად დარგული თუთის ხე მოვარდნილ წყალს მიწიანად

ეზოს ბოლოში ჩაეტანა და სხვისი ყანის ლობესთან მიერ იყა. ამის დანახვაზე ჯერ თავში ზელი ირტყა, ძალიან ემწარა, მაგრამ ბესარიონი იმერელი გლეხი გახლდათ, რომელიც გამწარების წუთსაც ხშირად იუმორით კმაზავს; ლობეზე უღონოდ მიწოლილ ხეს სევდიანი ღიმილით გადახედა და ისე მიმართა, თითქოს სულიერს ელაპარაკებოდა:

— რაო, ვითომ მად ყოფნა გირჩევენია? ახლა და, შენი ჭკუით, სახლიც გადმოვდგა, არა? შენს ნებაზე ვილოდილო? არ ავიდგა გვერდები! ტფუ!

იმ ნაშემოდგომევეს ბესარიონმა გაბედა და გაჰყიდა ეზო-საყანე, გულისტკივილით დაემშვიდობა იქაურობას და საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა.

პატარხევში ის შეხვდა და შეუამხანაგდა ნესტორს, რომელსაც ბაზრის მოედანთან ღვინის სარდაფი ჰქონდა. სავაჭრო დახურვის პირზე იყო მიმდგარი, მაგრამ ბესარიონმა უნარი გამოიჩინა, სოფლიდან ჩამოტანილი პატარა თანხა გონივრულად მოიშველია და რამდენიმე თვეში კიდევაც მკვიდრ ნიადაგზე დააყენა საქმე.

ის უკვე ჰალარაშერეული იყო, როცა ქალი ითხოვა და სიმონი შეეძინა. მის მეტი აღარც ჰყოლია, მაგრამ თავისი საქმით გართულს მაინც არ მოუტლია იმისათვის, რომ შეიღზე ეზრუნვა.

წამოჩიტული სიმონი დიდიდან საღამომდე თავის ტოლ ბიჭებში დატანტალობდა ქუჩებში. ხანდახან დღე ისე გაივლიდა, რომ არაფერი მოიკითხავდა სად იყო და რას აკეთებდა. თავის ნებაზე მიშვებულ ბიჭი დროს ისე ატარებდა, როგორც უნდოდა: მდინარეში საცურაოდ დადიოდა, ახლომახლო ტყეებში ნავარდობდა, ხან კი სხვისი ბაღიდან ხილის მოპარვაში ეჯიბრებოდა თავის მეგობრებს. არაერთხელ სახედაკწარული და გალახულიც დაბრუნებულა შინ, მაგრამ ამ ამბავს ბავშვისათვის ბუნებრივ მოვლენად თვლიდნენ მშობლები და ამიტომ ყურადღებაც არასოდეს მიუქცევიათ.

ბოლოს მაინც მოხდა ისე, რომ პატა-

რა სიმონმა დაიმსახურა მამის ყურადღება და მისი გაკვირვებაც გამოიწვიას ერთხელ, შინისკენ მიმავალმა ბესარიონმა დაინახა ქუჩის პირას ქვაფენილზე ჩამოშხდარი ბიჭების ჯგუფი. ბავშვები მოშტერებოდნენ ახლად გახსნილ დუქნის აბრას, პატარა სიმონი კი ჩამარცვლით უკითხავდა მათ, თუ რა ეწერა ბრჭყვიალა ფერებით მოხატულ აბრაზე. ამ ამბავმა გააოცა წერა-კითხვის უცოდინარი ბესარიონი, მან თავისი შვილი დიდად ნიჭიერ ბავშვად წარმოიდგინა და მალე სკოლაშიც მიაბარა. ერთ-ორ წელიწადს ბიჭი მართლაც ბეჯითობას იჩენდა, მაგრამ შემდეგ სწავლაზე გული აიყარა და აღარც მშობლები მიძალეზიან — ბესარიონს ისიც დიდ ამბავად მიაჩნდა, რომ მისმა ბავშვმა წერა-კითხვა იცოდა, ამით დაკმაყოფილდა და თავის მომხმარებელ წაიყვანა სარდაფში. აქ პატარა სიმონი მალე გაიწაფა ვაჭრობაში და ბევრი სხვა რამ ისეთიც ისწავლა, რაც ახალგაზრდისათვის სრულიად არ იყო საქმრო. მან ძალიან აღრე გაიგო, რომ სავაჭრო საქმეში მარტო პატროსანი შრომით წინ ვერაფერი წაიწევედა, მოტყუებით ფონსგასახლეული და თავისდასაძვრენი სხვადასხვაგვარი ხერხი ისწავლა და ის ვარგონიც შეითვისა, რომელიც ხშირად ესმოდა სარდაფში დროსგასატარებლად ჩამოსული მუშტრებისაგან.

შვილის უნარიანობით ფრთამესხმულ ბესარიონს ფარული განზრახვა ჰქონდა შეესყიდა ნესტორისაგან მისი ნაწილი და მარტო დაპატრონებოდა სავაჭროს; ალბათ კიდევაც შეისრულებდა სურვილს, მაგრამ არ დასცალდა, — რაღაც ჩუბის დროს მძიმედ დასტრეს სატვერით და რამდენიმე დღეში სიცოცხლეს გამოეთხოვა. სიკვდილის წინ მან იხმო ნესტორი, შვილობილად მოჰკიდა სიმონი და ფიცი ჩამოართვა, რომ მამობას გაუწევედა და არაფერს დაუკარგავდა, რაც მას წილად ერგებოდა.

ნესტორი თითქოს არც აპირებდა მიცემული სიტყვა დაერღვია, მაგრამ კიდევაც რომ მოენდომებია, ველარაფერს

გაიტანდა, — ჭაბუკობაში შესულმა სიმონმა იმდენი ჭკუამახვილობა და სიმაჩრვევე გამოიჩინა, რომ მალე თვითონ გახდა სავაქროს ფაქტიური მფლობელი.

ცხოვრებამ ადრე დაანახა სიმონს თავისი ბრჭყალები, მაგრამ არც ჭაბუკი აღმოჩნდა მხდალი და ადვილად დასამორჩილებელი. პირიქით, რაც უფრო მეტად ეკიდებოდა ცხოვრებას, მით უფრო შეუპოვარი და ამტანი ხდებოდა. რაც დრო გადიოდა, ახალგაზრდა სიმონი აღარ კმაყოფილდებოდა თავისი პატარა საქმიანობით, ის თავის თავში ძალას გრძნობდა და რადგან დროც და გარემოც ხელს უწყობდა, დიდ მომავალზე ოცნებობდა.

მეგობრებთან მოთათბირების შემდეგ ბეროშვილმა ბოლოს ისევ პატარხევში დარჩენა გადაწყვიტა.

ამ გადაწყვეტილებით შინ დაბრუნებული, გამორატებული და პირქუში, ჩაიკეტა ის თავის ოთახში. იშვიათად, მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ ეჩვენებოდა ვინმეს და არც კითხულობდა იმას, თუ რა ამბავი იყო ქალაქში. როცა ერთხელ ქალაქიდან მოსულმა ნესტორმა დააპირა ეამბნა მისთვის ქუჩაში მომხდარ რაღაც შემთხვევაზე, სიმონმა მაშინვე გაბრაზებით მიიძახა:

— არაფრის გაგონება არ მინდა. სასიკეთოს მაინც არაფერს იტყვი, ჩუმიად იყავი შენთვის!

ხანდახან ისევ კატო თუ შებედავდა მასთან შესვლას, მაგრამ ისიც მცირე ხანს რჩებოდა. არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა, თითქმის მთელი დღეები გაუხდელი იწვა თავის გულს შემომსკდარი... ყველაფერი ილუპებოდა, სიზმარით ჰქრებოდა. ჯერ კიდევ რაღაც ერთი კვირის წინ ამ ოთახიდან ბევრჯერ გაუგონია როგორ ხმაურობდა მისი ქარხნის სახურავზე ორთქლის საღენი მილი. გუგუნებდა ის, თითქოს მთელ ქალაქს გადასძახოდა ბეროშვილის სახელს

და თითქოს კიდევაც უამბობდა იმ ბედნიერ დღეებზე, რომლებიც მომავალში ელოდა... ხანდახან ახლაც ელანდებოდა სიმონს ის ხმა, მაგრამ ჩვენება უმალვე ქრებოდა და სანატრელი ხმაურის მაგიერ მკაფიოდ ესმოდა მხოლოდ ის, თუ როგორ ებრძოდა ფანჯრებს მარტის სუსხიანი ქარი.

სასოწარკვეთილ მოლოდინში რამდენიმე დღემ გაიარა.

როცა დასაელეთისკენ წავიდა უკანასკნელი მატარებელი და ხევისპატარა ქალაქი დასტოვეს ჯარისკაცთა უკანასკნელმა რაზმებმა, ჩაბნელებული ქუჩების სიჩუმეში ჯერ შორიდან, შემდეგ კი ახლოდან რაღაც უჩვეულო ხმაური და, ბოლოს, სიმღერაც მოისმა.

— რა ამბავია? — გაკვირვებული იყო სიმონი.

სიმღერა იმდენად მოულოდნელი იყო და ისე არ ეგუებოდა მის წარმოდგენას ქვეყნის დაქცევაზე, რომ ჯერ მოლანდება ეგონა. გაოცებულმა ფანჯარა გააღო და გაიხედა. ქარის ზუზუნთან ერთად ოთახში სიმღერა და ყიჟინა შემოიქრა.

სიმონმა ქალაქში გასვლა დააპირა, მერე გადაიფიქრა და ამბავის გასაგებად ისევ ნესტორი გაგზავნა... ვინ იყო გახარებულნი? ვის ჰქონდა ხალისი, ვის ემღერებოდა ამ სუსხიან ღამეში?

ვერ გაერკვია რა ხდებოდა ქალაქში. ხან რაღაც წუთიერი იმედი მიეცემოდა, მერე ისევ სასოწარკვეთა იპყრობდა.

აქამდე სიმონს არ მოუკითხავს მის სახლში დაბინავებული ვიღაც თბილისელი ხიზნები, აღარც ახსოვდა ისინი, ახლა კი უეცრად მოაგონდა და თითქოს იმ იმედით, რომ ნუგეშს მიიღებდა, შეაღო მათი ოთახის კარი და შევიდა.

— მოხარული ვარ, რომ გვიანხლეთ, — თავაზიანად მიეგება გიორგი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეენიშნა თუ რა ამღვრეული თვალებით მიშტერებოდა სახლის პატრონი.

სიმონი მძიმედ ჩამოჯდა სკამზე.

— ჩვენ დიდად მადლობელი ვართ თქვენ, დიდად... — განაგრძობდა გი-

ორგი. — თქვენ იშვიათი ყურადღება გამოიჩინეთ ჩვენდამი... კარგად, ერთობ კარგად მოვეწყვეთ... თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მყუდრო საფანეში მოვხვდი.

თავისი მადლობა გიორგიმ მოულოდნელად დაამთავრა იმით, რაც გულზე მოხვდა სიმონს:

— მაშ გადაწყვეტეთ აქ დარჩენა? კარგი ჰქენით, ასე სჯობს, რა თქმა უნდა...

ის კიდევ რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ ბეროშვილი ყურს არ უგდებდა. გიორგის კმაყოფილი კილო დაცივდაც ეჩვენებოდა. ვინ ეკითხებოდა ამ საიდანაც მოთრეულ კაცს სხვისი ჭკუის სწავლებას, ან რა იცოდა მან — კარგი იყო თუ ცუდი პატარხეში დარჩენა!

გიორგით უკმაყოფილო სიმონმა მის შვილსაც გულმწყრალად შეავლო თვალი. ირინეს მკრთალი სახე მას ულამაზო ეჩვენა.

— ძალიან კარგი ქენით, რომ დარჩით, — თავისას განაგრძობდა გიორგი. — ან სად უნდა წასულიყავით, ვისთან? ვის ვუნდივართ ჩვენ უცხოეთში? ასე არაა, ირინე?

ქალიშვილმა არ უპასუხა.

— აი ჩვენც, ახლა რომ დავფიქრდები, არ ვიცი რატომ წამოვედით ქალაქიდან... მგონი ერთი-ორი კაცის ფეხის ხმას ავყევით, მეტი არაფერი... იქნებ სხვებს ჰქონდათ სერიოზული მიზეზი გაცივდნენ იქაურობას, მაგრამ ჩვენ? მგონი ავიქარდით, მგონი შეეცდით... ხელისუფლება გამოიცვალა, მაგრამ იქ ხომ იგივე ხალხი დარჩა? ასე არაა, ირინე?

თუხარულს ჩვეულებად ჰქონდა დასტურისათვის ქალიშვილისათვის მიემართნა ხოლმე, მაგრამ ის ამგვარ შემთხვევაში თითქმის არასოდეს პასუხს არ აძლევდა. ირინე ახლაც მდუმარედ იჯდა და გულგრილი ჩანდა ყველასა და ყველაფრისადმი. ის უკმაყოფილო იყო იმით, რომ სახლის პატრონის უდროოდ მოსვლამ მყუდროება დაურღვია და წიგნის კითხვა შეაწყვეტინა.

სიმონს უკვე წასვლა უნდოდა ოთახიდან, მაგრამ როგორღაც ვერ მოხერხებია, იჯდა დაღვრემილი და მანამდეც კი დედაც, რომ მათთან მივიდა. რა უნდოდა აქ, ვინ იყვნენ ისინი, რატომ ცხოვრობდნენ მის სახლში?

გიორგი რაღაც ძველად მომხდარ შემთხვევას უამბობდა, როცა დერეფანის კარის ჭრიალი გაისმა. ბეროშვილი მაშინვე ადგა და გავიდა ოთახიდან.

დერეფანში ახლად შემოსული ნესტორი შემოეფეთა.

— რაო, რა გაიგე?

ნესტორი გაცივებულ თითებს იორთქლებდა და პასუხს არ ჩქარობდა.

— ჰო, რაო? ვინ არიან? რა ხალხია?

— ვინ იქნება, აქაურები არიან, — გულგრილად ჩაილაპარაკა ნესტორმა.

— მერე რაო? ა? რა გვინდაო?

ნესტორი ისევ თითებზე იორთქლავდა.

— ამოიღე ენა, შე ცოდვისშვილო! — მიაყვირა სიმონმა.

— რა ვიცი, დროშები გამოუტანიათ და დადიან. არც ბნელს ერიდებიან, არც სუსხს... გახარებული არიან და რა უხარიათ, ჰკითხე მათ... ვიღაც ტინგიცა ბიჭი იჭაჭებოდა: ხალხის ხელისუფლება მოვიდაო...

ძლივს შეიკავა თავი სიმონმა, რომ არ სცემოდა მოხუცს, რომელმაც ზეირიანად ამბავის მოტანაც ვერ შესძლო.

— გაათავდა ყველაფერი! — თავის ოთახში ჩაეკტილი ოხრავდა და ბორბავდა ბეროშვილი.

მთელი ღამე ესმოდა როგორ ღმუროდა ქარი ქალაქში. ქარი თოვლსა და წვიმას აყრიდა ფანჯრებს. ვინ დადის გარეთ, ვისი ყვირია ისმის იქიდან? რა იქნება ზვალ?

იგივე ცა დაჰყურებდა პატარხეც, იგივე გორაკები შემორტყმოდნენ, იგივე სახლები და ხალხი დარჩენილიყო ძველგდან, მაგრამ ხევში ჩაბუღებული პატარა ქალაქის ცხოვრება მაინც ის აღარ იყო, რაც წინათ.

ვინც გაივლის ქალაქს თავიდან ბოლომდე, — ეს არც ისე დიდი მანძილია და არაეინ დაიღლება, — ზოგან აგურის და ზოგან ხის დახავესებულ კედლებზე წარსული დღეების ამბავსაც ამოიკითხავს. პატარხევში არა მარტო სახლები ჰგავდნენ ერთმანეთს. თუ ვინმე საგანგებოდ ნახავს რამდენიმე აქაურ მკვიდარს და გაიხსენებს იმ დღეებს, რომლის მომსწრენიც ისინი იყვნენ, არ გაუქირდება იმის გაგება, თუ როგორ მიმდინარეობდა აქამდე პატარხეველთა უმრავლესობის ცხოვრება.

უსწორო, ვიწრო ქუჩების ნაპირებზე და ალაც ეზოს სიღრმეში აშენებულ სახლებში იშვიათად თუ დაარღვევდა სიჩუმეს გარედან შემოსული რაიმე ხმაური. მშვიდი იყო ქუჩა და კიდევ უფრო მყუდრო და მომხიბლავი გახლდათ ჩიხა, სადაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე მშვიდად სძოვდნენ ხოლმე ბალახს ღობეზე ბაწრით მიბმული ხბოები და ბატყნები.

ერთ ასეთ ჩიხში, რომელიც ქალაქის შუაგულში მდებარეობდა, მარჯვნივ იდგა ტარიელის სახლი, მის პირდაპირ კი ბეკოსი. ეს სახლები და ეზოები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მხარი რომ ვინმეს შეეცვლოდა, ბეკოს ეზოში შესვლის მაგიერ ტარიელის ეზოს კიშკარს შეაღებდა. უცხოს კი არა, თვითონ პატრონებსაც, როცა ძალიან მხიარულ გუნებაზე დაბრუნებულან, შესლიათ ხოლმე კიშკარი. ასეთი ამბავი, რა თქმა უნდა, იშვიათად მომხდარა, რადგან ბეკო და ტარიელი ფრიალ წესიერი მოქალაქენი იყვნენ, მაგრამ მაინც მომხდარა. ან კი რა ექნათ, პატარხევში მოსაწყენი ცხოვრება იყო და ცოცხალ ადამიანს ხანდახან სული წასძლევდა ზედმეტი კიქით მაინც გაეხალისებინა თავი. მაგრამ ამისთვის განა შეიძლებოდა ვინმეს გაეკიბა ბეკო ან ტარიელი? ვერა, ვერავინ იტყოდა, რომ ისინი რაიმე სამრახის მოქმედებაში შენიშნული ყოფილიყვნენ.

პატარხევში, სადაც მოწყენილი და დუნე ცხოვრება იყო, მართალია, თქმულა ხოლმე უცნაური რამ ამბავი ბეკოსა

და ტარიელზე, მაგრამ ამ პატარა ქალაქში ვისზე არ თქმულა ჭორი? მაინც რა ჭორიო, შეიძლება იკითხოს ვინმემ? ის ამბავი, რომ ისინი არც თუ უცოდველად ვაჭრობდნენ თავიანთ დუქნებში და გულუბრყვილო მყიდველისათვის უფარგისი საქონელი შეუპარებიათ? ამას ხომ ყველა ვაჭარი ჩადიოდა პატარხევში? და მათი უმთავრესი საზრუნავი იყო ესეათ, ექამათ, კუჭი გაედოთ და დაბინდების უდრტვივლად ძილად მიგდებულ იყვნენ? მაშ მტეტი რა უნდა ექნათ ხევის პატარა ქალაქში, სადაც ვერავითარ სხვა სულიერ საზრდოს ვერ პოვდა ადამიანი?!

არა, რა თქმა უნდა, თუ ძალიან კრიქაში ჩავუდგებით, ცოტაოდენი ცოდვები მათაც მოსდევდათ, — აბა ვინ არის ამ ქვეყანაზე სრულიად უცოდველი! — მაგრამ მაინც ისეთი არაფერი ყოფილა, რომ მათთან ნაცნობობა და შეგობრობა ვინმესთვის სათავილო და სამარცხენო ყოფილიყო. ეგ კი არა, მრავალი ღირსებაც გააჩნდათ, რად ღირდა თუნდაც ის, რომ გულკეთილები და სტუმართმოყვარენი იყვნენ. რამდენ ვინმეს გულუხვად გამასპინძლებიან, და მერე როგორ მოუხსენიათ მათთვის! და თუ მაინც ხანდახან გადამეტებული ჭორი თქმულა ბეკოსა და ტარიელზე, ამაში დამნაშავე იყვნენ არა იმდენად პატარხეველები, რამდენადაც მათი ერთფეროვანი ცხოვრება. ამ ჭორით ერთგვარად მაინც შეპქონდათ რაღაც ხალისი თავისი მოწყენილი დღეების მდინარებაში. მოწყენილობა! ვის არ უგრძვნია მისი ბოროტი ძალა! პატარხევში კი ვინ იქნებოდა, რომ მოწყენილობას არ დაეჩაგრა. სევდიანი იცოდა იქ გათენებაც, როცა ხევში ჩამოწოლილი ნისლი ზანტად იწყებდა ამლას; სევდიანი იცოდა აქ საღამოც, როცა ეზოს ბალახში ჩაბუდებული კალიების ძილისპირული განუწყვეტლივ ისმოდა დაბინდებიდან გათენებამდე. ასეთ გარემოში ადამიანი ხანდახან მოჭორავ და დათვრები კი არა, მშვიერ მგელივით მორთავ ყმუილს.

ბეკო და ტარიელი დიდი ხნის შეგობ-

რები იყვნენ და პირველი შეხედვით გარეგნობითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივე დაბალი და პირმრგვალი, ორივე ქერა და თავტიტველი, ორივეს ერთნაირად შექალაქარაგებული უღვაში და ერთნაირი მეჭვივი ლოყაზე.

როცა ქმრები შეგობრები არიან, მათი ცოლებიც შეგობრობენ. ტარიელის მეუღლემ გულქანმა ზუსტად იცოდა რამდენი ფრთა ქათამი ჰყავდა ბეკოს მეუღლეს მარიამს და მარიამმაც შეუცდომლად იცოდა რამდენ კვერცხზე იჯდა გულქანის კრუხი. მარიამი ყოველთვის აკაპასდებოდა, როცა მის ეზოში სხვისი ფრინველი გადავიდოდა, მაგრამ გულქანის ქათამებს საყენესაც ვადაუყრიდა ხოლმე. როცა ერთხელ მარიამს ვიღაც ნათესავი მოუკვდა, გულქანმა თავის სტუმრებს სიმღერა არ ათქმევინა, ხოლო როცა გულქანს დედამთილი გარდაეცვალა, მარიამი დაჯდა ქირისუფლად და სამძიმრებსაც იღებდა.

ტარიელი და ბეკო რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ მივიდოდნენ სახლებში ერთმანეთთან, მაგრამ დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ლაპარაკით გული არ ეჯერებიათ: თავიანთ აივნებზე გადმომსხდარნი, ხმამაღლა ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ბეკოს და ტარიელს იშვიათად თუ დაუშალნიათ ერთმანეთისათვის თავიანთი გულისნადებები და მრავალ საჭირბოროტო ამბავზე ჩამოუგდიათ ხოლმე სიტყვა. ხანდახან ქალაქის ქირვარაშხედაც უყვარდათ ლაპარაკი და არა ერთხელ უოცნებიათ: რა კარგი იქნებოდა, ვთქვათ, რომ ყველა სახლის წინ ფანარი ჩამოეყიდნათ, ანდა ისეთი ღრმა ყოფილიყო ხევის ქალაქში ჩამავალი მდინარე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ნავით გასეირნება.

პოლიტიკის შესახებაც იცოდნენ ხოლმე სჯა-ბაასი, მაგრამ აქ სადაო არაფერი ჰქონდათ — ორივე ერთნაირი აზრის იყო და არასოდეს შეკამათებულან.

ხანდახან გაზეთსაც წაიკითხავდნენ. არც თუ მაინცდამაინც იმიტომ, რომ ქვეყნის ამბებით იყვნენ დაინტერესებუ-

ლი, მაგრამ, ალბათ, გამოვიციდიათ, სასიამოვნოა ხოლმე გაზეთის წაკითხვა განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა საქმე არაფერი გაქვს, არ იცი რითი გაირთო თავი და როგორ მოკლა მოსაწყენი დრო. კაცმა რომ თქვას, მართლა კარგი გასართობიც არის, თუმცა ერთხელ ბეკოს ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა იყო, რომ გაზეთმა კინალამ ერთმანეთს წააჩხუბა მოყვარული ცოლ-ქმარი.

...თითქმის იმავე ტანსაცემში, რომელშიაც რამდენიმე წუთის წინ ოთახში ეძინათ, ბეკო და მარიამი უკანა აივნაზე გამოვიდნენ.

მზე გადახრილი იყო. მაღალ ქაღარს გრძელი ჩრდილი დაეფინა. ცხელოდა.

ცოლი და ქმარი კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყვნენ დახუთულ ოთახში ძილისაგან.

მარიამმა გოგოს ცივი წყალი ტაშტით მოატანინა და ფეხები ჩაღდა ვასაგრილებლად. ბეკომ შურით გადახედა, მაგრამ ძილისაგან ისე იყო გაოგნებული, რომ დაეზარა ეთქვა გოგოსთვის მისთვისაც მოეტანა. ერთხანს ითმინა და შემდეგ როცა მარიამმა ფეხები ამოიღო, თავისთვის მოიჩინა ტაშტი.

— აგიღუდებია, შე ქალო! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბეკომ.

ქადრის ჩრდილი თანდათან გრძელდებოდა. მზე სპილენძის ფერი ზდებოდა. შორიდან მატარებელმა დაიკვილა.

— მატარებელი იყო?

მარიამმა, რომელიც გაზეთის ბოლო გვერდზე სამგლოვიარო განცხადებას კითხულობდა, არ უპასუხა.

კითხვითაც რომ არ ყოფილიყო გართული, ალბათ, არც მაშინ უპასუხებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბეკომ გარკვევით გაიგონა ორთქლმავლის ხმა.

ბეკომ ერთხანს უცედა პასუხს. დალაპარაკება უნდოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— გაზეთს კითხულობ? ვინ მოკვდა?

მარიამს რამდენიმეჯერ ჰქონდა წაიკითხული სამგლოვიარო განცხადება, მაგრამ მაინც დაუზარებლად დაიწყო:

— „გაუბედურებულნი და უნუგე-  
შოდ მყოფნი“...

— თვითონ მიცვალეული ვინ იყო?

— ვილაც ნოშრევან დეკანოიძე, —  
პასუხი იწება მარიამმა.

— არ გამიგონია! — გულგრილად  
თქვა ბეკომ.

მარიამს ჯერ კიდევ არ დაემთავრებია  
ჭირისუფალთა სახელების ჩამოთვლა,  
რომ ბეკომ ისევ შეაჩერა:

— დაიცა, ქალო... ვერ გავიგე, ბიცო-  
ლა რომელია?

— რომელია და მართა.

ბეკომ გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— ჩემი არ იყოს, შენც დაეთარი აგე-  
რია. ბიცოლა კი არა, დეიდა უნდა იყოს.

— ეს სხვა არის, სხვა... დაუკვირდი,  
როცა ვკითხულობ!

— ნუ ცხარობ, დედაკაცო. გაცხარე-  
ბა რა საკადრისია. აი, დახედე რა სწე-  
რია: „მესამენი დეიდები ანასტასია, ტუ-  
ფა, მართა და“...

ეს სხვა მართაა, გამოტყინებულა! —  
თავი ველარ შეიკავა მარიამმა. — ჭევეყა-  
ნაზე ერთი მართას მეტი არავინაა? ვი-  
თომ არ შეიძლება ბიცოლა მართა ჰყო-  
ლოდა და დეიდასაც იგივე სახელი რქმე-  
ოდა?

— ეგ კი შეიძლება. ასე სთქვი, მამა-  
ცხოვნებულა, რა გაკვირებს!

ბეკომ უეცრად მოიწყინა. ცოლს მია-  
ჩერდა და ჩუმად, ძალიან ჩუმად დაუ-  
ძახა:

— მარიამ!

ქალი მეორე სამგლოვიარო განცხადე-  
ბას კითხულობდა.

— მარიამ, გაწყრა ღმერთი და მომი-  
კვდი... რალა მეშველება მე უბედურს?  
ცოლმა გაკვირვებით გადახედა.

— რაო?

— არა, ისე, სიტყვაზე... ღმერთმა ნუ  
მომასწროს, მაგრამ ეთქვათ, მოხდა ასე...  
წარმოვიდგინოთ... რალა ვქნა მაშინ? ვინ  
იქნება ჩემი პატრონი?

— მერე და, რა გაგიკვირდება? ცული  
შვილები დავიზარდე? ლენტორი აგერ  
არაა?

ბეკომ შვილის სახელი გაიმეორა. კრე-  
ალოსანი ათამამა.

— გაწყრა ღმერთი და მოკვდავნი  
ტორი!

— ნუ მოესწარი მაგას! — შიდახა მა-  
რიაში.

— წარმოვიდგინოთ, მოხდა..

— რას ჩერჩებობ, აღამიანო?

— ეთქვათ, ისე სიტყვაზე...

— ვასილი მოვივლის... საიმედო შვი-  
ლი არაა, თუ?

— იცოცხლე საიმედო ის იყოს, —  
დაუდასტურა ბეკომ, — მისი იმედი  
მარტო მე კი არა, მთელ ჩვენ ქუჩას  
აქვს...

სადგურის მხრიდან ხელმეორედ გაი-  
სმა ორთქლმავლის კივილი.

— კი მარა, გაწყრა ღმერთი და მოკე-  
და ვასილიც! ხომ დავილუბე მაშინ?

მარიამი გაბრაზებით მიაცქერდა ქმარს.

— ხომ არ გაგიყდი, ვეუო? რას გვერ-  
ჩი, რად ამოგვეყვიტე ყილა?

— არა, ისე სიტყვაზე...

— თუ ყველა გავწყდით, შენ რალა  
ოხრად გინდა სიცოცხლე? — მიაყვირა  
მარიამმა.

ბეკოს ახირებული შიში აზრს მოკლე-  
ბული არ ყოფილა: არც ერთი შვილი არ  
გამოადგა.

ორი ვაჟი ჰყავდა ბეკოს. უფროსი ვა-  
სილი ომიდან აღარ დაბრუნებულა, სად-  
ღაც დაიღუპა გერმანელებთან ომში.  
ხოლო ლენტორის მშობლებისთვის გამწა-  
რების მეტი არაფერი მოუტანია. თავის-  
თვის კი ბედნიერი იყო ლენტორი, თუ  
ბედნიერებად ის ჩათვლება, რომ მუ-  
დამ სხვას უყურებდა ხელში, ყური გა-  
მახვილებული გქონდეს გაიგო, თუ სად  
იმართება სადილი ან ვახშამი, სად შეიძ-  
ლება რამეს გაკვრა კბილი და წაყნასო,  
ყველასთან მიდიოდე და არავინ შეამჩ-  
ნიოს არც შენი მოსვლა და არც წასვლა.

შეილში არც ტარიელი იყო იღბლია-  
ნი. ერთი ვაჟი ჰყავდა: შინაურები და  
ნაცნობები ვანკას ეძახდნენ. ვისაც თვა-  
ლი ხელვად ჰქონდა და ყური სმენად, ის  
თავიდანვე ამჩნევდა, რომ საარბიელი  
ვინმედ არ იზრდებოდა.

6182

საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

საქართველოს  
საქართველოს

ბობდა ვაგი დიდკაცად გამოეწარდა, მაგრამ პატარაც არ გამოვიდა.

უსაქმოდ დალაცუნობდა ის დილიდან დაღამებამდე. თუ ვინმე დაუძახებდა, ისიც გასართობად, სხვად არაფრად სჭირდებოდათ. ყველამ ხელი ჩაიჭინა ვანკაზე და, ბოლოს, მშობლებმაც. ისე წავიდა მისი საქმე, რომ პაპიროსიც სათხოვრად გაუხდა. ხშირად არც ამას აღევდნენ. სხვებს რომ მიაწოდებდნენ, ვანკას ასე ეტყოდნენ:

— როდემდის უნდა იდლიტო, შე უბედურო? კაცმა რომ გვითხოს, პატიოსანი ოჯახის შვილი ხარ... შენი პატიოსნებაც შევარცხვინე და გაზრდილობაც. ქუჩა-ქუჩა დალაცუნობ ამხელა მუტრუკი... ასე გგონია, ქვეყანას შენ ატყუებდე. თავის თავს ატყუებ, ბიძია, მეტს არავის!

ასეთებს ვანკა შეჩვეული იყო, მაგრამ მაინც ძნელი ხდებოდა მისთვის ამ ქალაქში დარჩენა. ყველას თავი მოაბეზრა. ისე გაივლიდა მთელ ქალაქს, არავინ შეამჩნევდა. თითქოს უხორცო მოჩვევება ყოფილიყო; მოჩვენება, რომელიც სივრცეს არ იკავებს. ლანდსაც ამჩნევენ, ვანკას კი თავისი ლანდიც დაჰკარგოდა.

განსაკუთრებით მოსაწყენი ხდებოდა ვანკასთვის. დრო მზის ჩასვლის შემდეგ მოიბრუნდა მთელ ქალაქს, გაივლიდა სადგურზე, მატარებელს გააცილებდა და მერე ისევ ქუჩებს აუყვებოდა. დაღამების შემდეგ ქუჩები მალე ცარიელდებოდა. დარბოდნენ მხოლოდ ნაგაზები. მერე და რა გრძელი, რა დაუსრულებელი ღამეები იცოდა პატარხევში! როცა ვანკას შინ ყოფნა მოეწყინებოდა, ქუჩის პირას ჩამოჯდებოდა, მოიტყუებდა რომელიმე ძაღლს, უაღერსებდა და მუცელს უფხანდა. მაგრამ მასთან არც ძაღლი რჩებოდა დიდხანს; დაინახავდა თუ არა ხროვად მიმავალ ნაგაზებს, მიატოვებდა ვანკას და გარბოდა. ქვაფენილის სოროდან ვირთხა უმისრად. ამოვიდოდა, გაურბენდა ფეხებში და სადმე დუქანში შექტვებოდა. დაგვიანებული მგზავრი ხანდახან ისე ჩაუვლიდა, არც კი შეხედავდა.

„მიცვალეხულად ხომ არ მთელიან?! კაცი ვარ, თუ მოლანდება?“ — ხშირად უფიქრია ვანკას.

და როცა ერთხელ ვიღაც მადლიანმა ხმა გასცა და ურჩია კიდევ: თავს უშველე, ბიძია, სადმე წადი, ქვეყანას თვალი გადავლე, იქნებ ქუჩაში ჩავარდეთ, — ვანკამ შორს წასვლა გადასწყვიტა.

ვინ იცის რამდენ ხანს ვერ შეისრულებდა ამ სურვილს, რომ შემთხვევას არ ეხსნა... არა, შემთხვევას კი არა, იმ იმ პატარა ხატს, რომელიც ხის გამურულ კოლოფში იყო ჩასმული და მშობლების ოთახის კუთხეში მაღლა ეკიდა...

ერთ საღამოს ჩვეულებრივად მშვირი დაბრუნდა ტარიელი. ჩვეულებრივად ვახშამს მოელოდა, ამის მაგიერ კი ტარილისგან თვალგდასიებული ცოლი დახვდა.

— რა იყო, დედაკაცო, რა მოხდა?

— ჩვენს უბედურებას ვტირი, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ შვილს ვტირი!

ტარიელს არაერთხელ გაეგონა შვილზე საყვედური და ყურადღება არ მიიქცია. გაუკვირდა კიდევ, რომ ასე უდროოდ გაიხსენეს დიდი ხნიდან გამოტირებული. ახლა ვახშმის დრო იყო და ერთი ცხელი კერძი შვილსაც ერჩია და მთელ ქვეყანასაც.

— ის, რაც დღეს ვნახე, ამბავადაც არ მსმენია. აღამიანო, გაგიგია სადმე შინაური ხატის გაძარცვა?

— რაო? — გაოცდა ტარიელი.

— ხატის გაძარცვა! — გაიმეორა გულქანმა და თითებით საზე ჩამოიფხოტა. — ნასადილევეს, როცა შენ დუქანში წადი, ერთი წუთით მარიამთან გადავედი. დავბრუნდი და, ვაი იმ უბედურების მოსწრებას, მე რომ ვნახე. რატომ უმაღარ დამიბრძავდა თვალგდასი... იმ წყველ ვანკას ჩამოეღო ჩემი ღვთისმშობლის ხატი, მუთაქაზე მიეგღო, გაეხსნა ხატის კოლოფი, ამოეღო იქიდან გროშები, ხელში კი კარტი დაეკავებია და ხატს ეთამაშებოდა.

ტარიელი ცოლს გაკვირვებით მიამტერდა.

— რას როზე, დედაკაციო! ხატთან კარტის თამაში სად გაგონილა?

— დამიჯერე, ადამიანო, კარტს ეთამაშებოდა. ხატის კოლოფიდან ვერცხლის ფული ამოედო და ტახტზე დაეყარა. როცა ვკითხე, რას შეგები-მეთქი, ასე მიპასუხა: „შენს ღვთისმშობელს ხლუსტს ვეთამაშებო... ვეცი, მაგრამ ხელი მკრა, ახლოს არ მიმიშვა. მეგონა გაგიყდა, დავიჩოქე და ხატს შევავედრე უგუნურის თავი. ვანკამ, მლოცველი რომ დამინახა, ასე მითხრა: თუ ხელმა არ მისცა, შენი ღოცვა ვერაფერს უშველის, თავს რად იწუხებო... დავჯექი და ვუცქირე. ხატსაც ურიგებდა კარტს და თავის თავსაც ვადაშლიდა კარტს, დაითვლიდა და შემდეგ ხატს ეტყოდა: „ისევე ჩემია, შენ ბოთური გამოხვედიო. ძალიან მწყინს, რომ ავებ, მაგრამ რა ვქნაო...“ ასე არიგა კარტი, სანამ სულ არ ამოალაგა ყუთიდან ვერცხლი და ჯიბეში არ ჩაიყარა... ბოლოს მე მითხრა: „არ გეგონოს, დედაჩემო, რომ კარტი ჩაწყობილი მქონდა. არ იცის შენმა ღვთისმშობელმა ხლუსტის თამაში და რა ჩემი ბრალია... ისწავლე, იქნებ შემდეგში მაინც მოიგოსო“... ეს თქვა და ოცი წლის ნაგროვები ფული წაიღო და გზას გაუდგა.

ამის გამგონე ტარიელს თითქოს მწერი შეუძვრა, ისე უწიოდა ყურები. დიდ ხანს იდგა დარტყანიებული.

— ვარაუდით ყუთში რამდენი იქნებოდა? — იკითხა აგერ როდისღაც.

— დათვლილი არ მქონდა, ისე კი სავსე იყო...

მეორე დღეს ახალი ფულით აავსეს ყუთი და, ყოველ შემთხვევისათვის, კიდევ დალუქეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში არ უნახავთ ვანკა მშობლებს და არც პატარხევის მოქალაქეთ. დაბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

პირველ დღეებში ვითომ კიდევაც ჩაება საერთო საქმიანობაში და ქალაქის საბჭოში განყოფილება ჩააბარეს. ჯერ

თითქოს რაღაცას ფაფხურობდა, საქმის კაცად მოაჩვენა ყველას თავი, მაგრამ სულ მალე გაუსინჯეს კბილი ვინც იყო, რისი გამკეთებელიც იყო, — ტარიელი ბაქიბუჭი, მეტი არაფერი! — და იჭაურობას უცბადვე ჩამოაშორეს. ამის შემდეგ ისევე წაებოტინა თეატრს, ისევე სცენისმოყვარედ გახდა, სახელი შეიცვალა, გვარად ფსევდონიმი არჩია და ძველი ვანკა ხევის ქალაქს ქან ქანიძეთ მოეწვლინა.

ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ რატომ გავიხსენეთ ბეკოს და ტარიელის ამბავი? ვანა ვინ შეუწუხებია მათ, რომ ჩვენ აღარ მოვასვენოთ მშვიდი ცხოვრების მოყვარული მეგობრები?

გვაპატიონ ბეკომ და ტარიელმა თუ მაინც დავარღვიეთ მათი მყუდროება. ეს მართო იმის გამო კი არ მოხდა, რომ პატარხევეში მრავალი ბეკო და ტარიელი ცხოვრობდა, რომ მრავალს მათებური სახლები და ეზოები ჰქონდათ, არამედ იმიტომაც, რომ ისინი იყვნენ მშობლები ღენტორისა და ქანისა, ამ მოთხრობის ორი მოქმედი პირისა, რომლებსაც სულ მალე უფრო ახლოს გავიცნობთ.

#### IV

პატარხევის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება გაურკვეველი იყო სიმონისათვის. როგორ მოხდა, რომ ყოველივე იმას, რასაც აქამდე ურყევად, მარადიულად, თითქმის ღვთის მიერ ერთხელდსამუდამოდ დაკანონებულად და დადგინებულად თვლიდა, ხალხმა უარი უთხრა? არის ამაში სიმართლე? და თუ არის, რატომ მის გულამდე არ აღწევს?

აფორიაქებდნენ და აღიზიანებდნენ ეს რაღაც ავტოპუნქტები, მიტინგები მოედანზე, ხალხის ყიყინა დემონსტრაციების დროს. ამბავის გასაგებად კიდევაც დადიოდა ხოლმე ამ ავტოპუნქტებზე და მიტინგებზე, ესმოდა იქ ცხარე სიტყვები წარსულზე და თავისი თბილი ხედავდა ორატორებს — ისინი აქაურები იყვნენ ბევრი მათგანი წინათაც არაერთხელ უნახავს, მაგრამ რატომ აქამდე არ იყო-

და მათი ამბავი და გულისნადები? დღემდე ამ აღამიანებს თავისი ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა, ახლა კი ქვეყანას სწორედ ისინი დაპატრონებოდნენ... მამ რანი იყვნენ, ან ასე უეცრად როგორ დაქრნენ ისინი, ვინც წინათ ქვეყნიერების მესაკუდ მიაჩნდა, ვის წინაშეც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პირმოთენობდა და მოწიწებით თავს იხრიადა? საკვირველი რაღაც მომხდარიყო და ამ საოცრებაში ცხადი იყო მხოლოდ ერთი რამ — ყველაფერი თავდაყირა დადგა...

ქარხანა ისევ სიმონის საკუთრებად დარჩა.

სრულიად მოულოდნელად ერთ დღეს ქალაქის საბჭოში გამოუძახეს და წინადადება მისცეს განეახლებია მუშაობა.

ამ ამბავმა ბეროშვილს ფრთა შეასხა.

— ისევ ვთვლი, თითქოს ეჩუქნოთ! ვენაცვალე ჩემს ღმერთს, წვა-დაგვით და ოფლით მოპოვებულს როგორ დამიკარგავდა! — ამბობდა გახარებული.

ამის შემდეგ უცბადვე შეეცვალა გუნება და ისე დაიჭირა თავი, თითქოს კმაყოფილიც იყო ყველაფრით, რაც გარშემო ხდებოდა. გრძნობდა, შებრძოლება უსარგებლო იყო და გარემოებასთან შეგუება არჩია. ხმის შეწყობით და სიამტკობით უფრო გავიტანო, ფიქრობდა. მხოლოდ ერთხელ, როცა გადამეტებულად ეჩვენა ქარხნის მუშების მოთხოვნილება, შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ უმაღვე იძულებული გახდა დაეხია.

„არა უშავს რა, — გულს აჯერებდა ის, — თანდათან მოთვინიერდებიან და დაცხრებიან... ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება!“

ამაში დარწმუნებული იყო და იმედინად უყურებდა მომავალს.

— თქვენ არ მომიკვდეთ, — ეუბნებოდა სიმონი გიორგი თუხარელს, — არც თუ დასაწუნი ყოფილა ეს ახალი წყობილება. თურმე ტყუილად მშინებია. ამ ორომტრიალში თუ ვინმეს რაიმე ემწარა, ეს არაფერს არ ნიშნავს. სიმარ-

თლე გითხრათ, ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ოღონდ ჩემი საქმე გაკეთდეს, მთავრობა ერთგორიც უნდათ, ისეთი ჰყავდეთ. პოლიტიკაში მე არ ვერევი, ეს ჩემი საქმე არ არის... მართალია, ცოტა მამლაყინწობენ, მაგრამ არა უშავს რა, პირველ ხანებში ეპატიებათ. შემდეგ თვითონაც მოეწყინებათ, გული დაუშვებდებოდა და დაამდებოდა...

გამხნევებული და დაიმედებული ხალისით შეუდგა ქარხანაში საქმის მოწყობას. საჭირო ხდებოდა მუშაობის დაწყება ახალი პირობების მიხედვით და ახალ დროსთან შეგუებით ვაჭრობის წარმოება. ეს არც ისე ადვილი იყო, როგორც პირველად ეგონა სიმონს, მაგრამ არაფერს არ შეუშინდა და ჩვეული გაბედულებით შეუდგა საქმის მოგვარებას. მთელი დღე, ხშირად გვიან ღამემდე, ქარხანაში ტრიალებდა და ვეროდა ისეთ წვრილმანებშიც, რაშიაც ხშირად არა გაეგებოდა რა.

გიორგი და ირინე გვიან ღამით თუნახავდნენ ხოლმე სიმონს. ირინე კმაყოფილიც იყო ამით. სახლის პატრონი თავაზიანი იყო მამაშვილისადმი, ხანდახან ჩაის დასალევად მოიპატიებდა და უმასპინძლებოდა მათ. თითქოს გულწრფელ ყურადღებას იჩენდა, მაგრამ ქალიშვილი მაინც იმას ამჯობინებდა, რომ შორს დაეჭირა თავი. მასთან ყოფნის დროს ყოველთვის რაღაც უსიამოვნო გრძნობა იპყრობდა. ეს არაკეთილი განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა ერთ კვირა დღიდან, როცა სახლის პატრონმა სადილზე მიიწვია თავისი მდგმურები. მთელი ის დრო, სანამ სუფრას უსხდნენ, სიმონი ლაპარაკობდა ქარხნის საქმეებზე, თავის წარმატებებსა და მომავალზე, რომელსაც წარმტაცი ფერებით ხატავდა. ამ ლაპარაკს ძალაუვნებურად უსმენდა ირინე და ისე ეჩვეებოდა, თითქოს მათ, ვსაპირში ჩავარდნილთ, თავს აწონებდა და ახარებდა ეს საოცრად გულდაჯერებული კაცი.

რაც დრო გადიოდა, პატარხევი ცხოვრება უფრო და უფრო სამძიმო ხდებოდა ირინესთვის. თვითონ ქალაქი კიდევაც მოსწონდა. გაზაფხულიდან, როცა გარემო გორაკები მწვანით შეიმოსნენ, იქაურობა გააცოცხლდა და გალამაზდა. ქალაქი მწვანეში იყო ჩაფლული. თითქმის ყველა სახლს ეკვროდა ხეებით დაჩრდილული ეზო. ასეთივე ეზო, სადაც კაცის ხეები და ვარდის ბუჩქები ხარობდნენ, სიმონ ბეროშვილსაც ჰქონდა.

ქალაქის სიმშვიდე და ბუნების სილამაზე თავდაპირველად კეთილად მოქმედებდა ირინეზე. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებულა. თანდათან, მისთვისაც შეუძნეველად, იღვიძებდა ფიქრი სხვა ცხოვრებაზე, სევდა იმ დიდ ქალაქზე, რომლის ხმაური ოცნებით ხშირად სმენია.

ხევის ამ პატარა ქალაქში ირინე თავისთვის გარიყულად გრძნობდა. ერთხანს კატოს გარდა სხვა ნაცნობი არავინ ჰყოლია ამ უცხო ადგილას. კატოს მაიისეული, დანგრევის პირზე მისული პატარა ორსართულიანი სახლი ჰქონდა, რომელიც ეიწრო ქუჩის მეორე მხრიდან ბეროშვილის ბაღს გადაკურებდა. ამ თავის ბინაში ქალი დამის გასათევად თუ შედიოდა. უმეტეს დროს სიმონისას ტრიალებდა, როგორც საკუთარ ოჯახში. მთელი დღე მხოლოდ მისი ხმა და ფეხის ბაკუნი ისმოდა ოთახებში. მოუსვენარი იყო და ამასთანავე ხალისიანი. ზანდაზან ირინესთანაც შედიოდა, როგორც თვითონ ამბობდა, სულის მოსათქმელად, მაგრამ დასვენების მაგიერ აქაც რაღაც საქმეს გაიჩენდა ხოლმე, ანდა მოაკალათებდა სავარძელში და გრძლად ყვებოდა იმ ამბებს, რომელიც პატარხევიში მომხდარიყო. კატოს მოსმენა მოსაწყენი არასოდეს არ ყოფილა, — ენაფხიანი იყო, ხან ბასრი და დაუნდობელი, ხან კეთილი და აღერსიანი, მაგრამ ლაპარაკში დროდადრო ისეთ ურიდ სიტყვას ჩა-

ურთავდა, რომ ირინეს არაერთხელ აღეწია სახე.

საქმეების გამო სიმონი რამდენიმე დღით სტოვებდა ხოლმე პატარხევს და სხვაგან მიემგზავრებოდა. სახლისპატრონი რომ ხანგრძლივად და შორს იყო წასული, ამ ამბავს გიორგი და ირინე უმაღვე იგრძნობდნენ. იმ დღიდან კატო იწყებდა განუსაზღვრელ ბატონობას მთელ სახლში. გამუდმებით ისმოდა ოთახებში მისი ფეხების ბაკუნი და ხმა-შალალი ლაპარაკი. დილით ადრე მოვიდოდა თუ არა, გადაიცვამდა საშინაო ძველ კაბას, თავსაფარს წაიკრავდა, სახელოებს დაიკარწახებდა და საქმეს შელღებოდა. გააღებდა ყველა კარსა და ფანჯარას, ორპირ ქარს დაატრიალებდა, გასამწეურებლად ეზოში გამოაფენდა ბალიშებს, მუთაქებს, გაბერტყავდა ფარდაგებს და ავეჯს. ისეთი გამშაგებით საქმიანობდა, რომ ყველაფერს, რასაც მისი ხელი შეეხებოდა, ჭრაკუნი, რაწკუნი, რახრახი გაჰქონდა. მოათავებდა თუ არა დალაგებას, ჩაიკეტებოდა საშხარეულოში და ბანაობას იწყებდა. დიდხანს ჰყუმალობდა, კისკისით შესძახებდა ხოლმე და დროდადრო კიდევაც წაუმღერებდა. გასუფთავებოდა, საგარეოს გადაიცვამდა, მერე შუშამანდში მოიკალათებდა, მომართავდა გრამოფონს და თავის საყვარელ ფირფიტებს აჟეიბინებდა.

ასეთ დღეებში ნესტორი, თუ ვერ მოასწრებდა ქალაქში ადრიაანადვე გასვლას, ყოველთვის თავს მოიავადმყოფებდა, გასუდრული იწვა თავის სორაში და ჩუმ-ჩუმად არაყს წრუპავდა. მაგრამ ხშირად არავითარი თავისმოკატუნება არ შეელოდა — ქაქანით შეუვარდებოდა კატო, წაართმევდა არაყს და საწოლიდან წამოაგდებდა.

— ფუ, რა საშინელი პაერია! დაიღრჩეები აქ, შე შევ დღეზე დაბადებულნი! — ცხვირზე ხელს იფარებდა დედაკაცი. — რაო, კვლები, არა? ჩემი მოტყუება გინდა? შენმა თავის გახეთქვამ!

აბა, გამობრძანდი, ვაებატონო! მალე, მალე!

ოთახიდან გამოაგდებდა და მაშინვე საქმეში ჩაბამდა. მისი ბრძანებით ნესტორს ჰქონდა წყალი მოჰქონდა, ჯოხით ფარდაგებს ბერტყავდა, წმენდა კიბის საფეხურებს და ერეკებოდა ქათმებს, რომლებიც ჰრელ ლეიბებზე ჯდებოდნენ.

— არ გავაგდებდი მოსამსახურე გოგოს და შენც მოსვენებულად იქნებოდდი! — ხანდახან გაბედავდა და ჩაიბურტყუნებდა უკმაყოფილო ნესტორი.

ამის გაგონება კატოს აღშფოთებას იწვევდა:

— მოსამსახურე გოგო! როგორ არა, შემოუშვი სახლში ჰქონდა და წუნკალი! რამდენი დედაკაცი არ დაიჭირავა სიმონმა, ერთი-ორი კვირის შემდეგ არაინ შერჩენია. რაც უფრო გამრჯე და ნაშუსიანი გამოდგებოდა ახლად დაჭირავებული, ის მით უფრო მალე იძულებული ხდებოდა დაეტოვებია იქაურობა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ კატო ვერ იტანდა მათ. არწმუნებდა სიმონს, რომ შინამოსამსახურე საქმეს თავს ვერ ართმევსო, სანოვავის საყიდლად მიცემული ფულიდან ნაწილს თავისთვის ინარჩუნებსო, ხელწამკრავი უნდა იყოსო და, საერთოდ, სანდო არ არისო.

— ამდენი ჭონება ყრია სახლში, შენ კი მთელი დღეები შინ არ ხარ, რომ გაატეხოს უჯრები და წაიღოს ნივთები, ვინ არის გამგები და მიმხედავი? — ისე შეუქნდებოდა, იმდენს უჩიჩინებდა, რომ შტალოს დაიყოლიებდა და იძულებულს გახდიდა დაეთხოვა.

ამ ამბავში კატოს თავისი ანგარიში ჰქონდა: აქაურობას დიდხანს არავინ არ უნდა შერჩენოდა და სიმონს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმნოდა, რომ ერთადერთი მოჭირნახულე და გულშემატკივარი კატო ჰყავდა და რომ უემისოდ ცხოვრება ძალიან გაუძნელდებოდა.

მაგრამ ეს ქალი მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა. ამასთანავე ის გამაცადინებელი იყო, რომ ყველას არ შესძლებოდა სიმონთან შინ მოსვლა: ვისაც

კი შეამჩნევდა კატო, რომ მას ანგარიშს არ უწევდა და არ იტოლებდა, სულ შალე ამოუტყვეთავდა ფეხს. მან იმდენი მოახერხა, რომ ყველა, ვინცდაც ეპვი აილო, ხელისშემშლელი იქნება ჩემი მდგომარეობის განმტკიცებაშიო, ჩამოაშორა სიმონის სახლს, თანდათან შემოფარვლა მომსვლელთა რიცხვი და კარი ფართოდ გაუღო და შემოიჩვია მხოლოდ ისინი, ვის გამოყენებასაც შესძლებდა თავის სასარგებლოდ.

სიმონთან შემოკედლებული თბილისელები კატოს თავიდანვე ათვალისწუნებულნი ჰყავდა, თუმცა ამას გარეგნულად არ ამკლავებდა და, პირიქით, თითქოს ყურადღებიანიც იყო ორივესადმი. კატო ყოველ წუთში მზად იყო აქედან აებარგებია მამა-შვილი, მაგრამ ვერ ბედავდა მათ წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებას და ამიტომ იძულებული იყო გარეგნულად მაინც შერიგებოდა მდგომარეობას.

პირველი, ვინც კატოს მეშვეობით გიცნეს გიორგიმ და ირინემ, სიმონის კარისმეზობელი, კატოს სახლის ქვედასართულში მოზინადრე ღენტორ ალავიძე იყო. ღენტორმა თავისი უბრალოებით მალე მათი გულიც მოიგო. ეს მზიარული და გულლია კაცი, საერთოდ, უცბად და უახლოვდებოდა ყველას. კეთილი და უანგარო აღამიანის სახელი ჰქონდა პატარხევი, ასეთიც გახლდათ ნამდვილად და ამიტომ იყო, რომ ადვილად მიუტყვევებდნენ ხოლმე ზოგიერთ ცოდვეს. მაგრამ ეს ცოდვებიც ისეთი იყო, რომ მხოლოდ მასვე თუ ვნებდნენ, თორემ სხვისთვის საზიანო არ ყოფილა.

ღენტორს პირველს უნდა გაეგო რა მომხდარიყო პატარხევი და შემდეგ პირველი ავრცელებდა ამბავს მთელ ქალაქში. წინათ მას იშვიათად გამოეპარებოდა დიდკაცების ცხოვრებაში მომხდარი რაიმე უბრალო შემთხვევაც. დილაადრინადვე იცოდა: წუხელ კლუბში რომელმა ვაჭარმა წააგო და მოიგობანქოში და ვის რამდენმა თალიამ გაუკრა ზედიზედ. ქალაქის თავს რომ მისი საყვარელი კატა მოსწამლოდა, ესეც

პირველად ლენტორმა გააგებინა ნაცნობებს და უცნობებს. ახალ დროებაშიც არ მოიშალა თავისი ძველი ჩვეულება და ახლაც უმთავრესად დიდკაცების ცხოვრებით იყო დაინტერესებული. როცა რევკომის თავმჯდომარის სანადირო ძაღლს ვიდაცამ ქვით ფეხი დაუზიანა, ლენტორმა მაშინვე შემოირბინა ქუჩები და ყველას იხე აღუწყა ეს ამბავი, თითქოს ქვეყნიერება შეტრიალებულიყო.

მსახურობდა ლენტორი სადაც სანოტარიო კანტორაში, მაგრამ თუ ვინმეს მისი ნახვა დასჭირდებოდა, კანტორაში იშვიათად მიაკითხავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იქ მაინც ვერ შესწრებდა. თითქმის მთელი დღეობით რაღაც საქმეებზე დარბოდა ქალაქში ანდა თუ სადმე რესტორანში ან ოჯახში მზიარულ კამპანიას შეიგულებდა, დაბატრეებულავით მივიდოდა, იპურმარიალუბდა და ამის შემდეგ ავიწყდებოდა სამსახურიც, საქმეც, ყველა და ყველაფერი. უმთავრესად ამაში ცოდავდა ლენტორი, მაგრამ რადგან სუფრაზე ყოველთვის ხალისის შემტანი იყო, ამიტომ არავის სწყინდა მისი მოსვლა. ლენტორს საიმედო და თავისთვის გამოსადეგ კაცად უყურებდა კატო და ამის გამო შემოაჩვია ის სიმონის სახლს და დაუახლოვა კიდევაც.

ლენტორის წყალობით კი თუხარელებმა რამდენიმე სხვა პატარხეველი გაიცნეს. ამათ შორის იყვნენ ეან ეანიძე და აფთიაქარი ბეგლარ სავანელი. ლენტორმა ეანი წარუდგინა ირინეს როგორც „ერთობ ნიჭიერი და მთელ რაიონში განთქმული არტისტი“. თუმცა წარდგინება ჩინებული იყო, ირინე, რატომღაც, მაინც დაეკვებით შეხვდა ამ ხობტა-შეკებას და ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდისადმი არც შემდეგში გამოუჩენია ის ყურადღება, რომელსაც ლენტორი ელოდა. ქალიშვილი მხოლოდ თავზიანად გამოთქვამდა ხოლმე სურვილს ენახა ეანი სცენაზე.

უფრო გულთბილად ხვდებოდნენ მამა და შვილი აფთიაქარს, რომელიც თავის მხრივ დიდ პატივისცემას იჩენდა

მათდამი. ბეგლარის წარმოდგენით გიორგი მაღალი წრის საზოგადოებას უკუთვნოდა, ამის გამოც კასპიაშენთ მოვლენად თვლიდა მასთან ნაცნობობას და ეხალისებოდა ბევრის მნახველადამიანთან ძველი დროის ამბებზე საუბარი. წარსულის მოგონება კი გიორგისაც დიდად უყვარდა. ამ გარემოებამ თანაგრძნობა დაბადა მათ შორის და, ბოლოს, კიდევაც დაახლოვა ეს ორი გულუბრყვილო ჭალარა კაცი.

იმავე დღეებში თუხარელები შემთხვევით გაეცნენ კიდევ გედონ არაბიძეს, პატარხევეში ყველასთვის ცნობილ ბუკინისტს.

ერთხელ დილით, როცა ქალაქის ცენტრალური ქუჩით მიდიოდნენ, თვალი მოჰკრეს პატარა სავაქროს, რომლის ვიტრინაზე გამოფენილი იყო ძველი ეურნალები და გახუნებულყდიანი წიგნები. დანახულმა ცნობისმოყვარეობა აღუძრათ და ლუქანში შევიდნენ. ეს იყო მოგზაო, არც თუ ნათელი ოთახი, რომლის ერთ მხარეს, კედლის მთელ სიმაღლეზე მიკედელ თაროებზე, ელაგა წიგნები, ხოლო მოპირდაპირე კედელი აჭრელებული იყო ხისა და ბაგეტის ჩარჩოებში ჩასმული ფოტოსურათებით.

უკანა კარის გვერდით, კუთხის სიღრმეში, სადაც კარადის მაგიერ რაღაც მღვიმისებური ადგილი ჩანდა, ძველ მაგიდასთან მოხუცი მოკალათებულიყო და წერდა. ამ კუთხეში შეყუებული კაცი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს სანახევროდ გამომძვარალიყო მღვიმედან. მოხუცმა უშალვე მიიპყრო მამაშვილის ყურადღება. ამ დიდთავა, თმაგაჩეჩილმა ჭალარა არსებამ ბავშვობის დროინდელ ზღაპრის წიგნებში დახატული გნომი მოაგონა ირინეს.

ფეხის ხმის გაგონებაზე ბუკინისტმა თავი ასწია და სათვალეს ზემოდან გამოიხედა. კარგად ჩაცმული უცხო ადამიანები რომ დაინახა, მიდვა საწერ-კალამი და წამოდგა. ტანმოორჩილი იყო და დამარგვალებული, მხრებზე წამოხურული ჰქონდა უძველეს ყალიბზე შეკერილი გრძელი პიჯაკი, რომელსაც სავი-

როების დროს, ალბათ, პალტოს მაგიერობაც შეეძლო გაეწია.

— მობრძანდით, პატივცემულნი! — თავაზიანად შეეგება ის შემოსულთ. — რით შეიძლება გემსახუროთ?

ოდნავ მოკუტრული ცისფერი თვალეზი და ნაოკებით დასერილი სანდომიანი სახე კეთილად უღიმოდა. შემპარავი ხმა ჰქონდა, მოძრაობაც შემპარავი და ირინეს უნებურად ისევ ზღაპრული გნომი მოაგონდა.

— მდა... თქვენ მრავალი წიგნი გქონიათ, — იქაურობას თვალი შეავლო გიორგიმ და დახლზე დაწყობილი წიგნებიდან აიღო ერთი შეყვითლებული ტომი, რომელიც „ქილილა და დამანა“ აღმოჩნდა.

გიორგიმ გადაფურცლა წიგნი და გულგრილად დაღო თავის ადგილზე. ასეთივე გულგრილობით გადაშალა მან სხვა რამდენიმე ძველი გამოცემა. ეს გარემოება უმაღლეს შენიშნა ბუკინისტმა, სასიამოვნოდ არ დაურჩა, სახეზე ღიმილი გაუქრა და თითქმის გულცივად მიმართა:

— სახელობრ რა გაინტერესებთ? სიტყვაჯამული თუ სხვა რაიმე დარგის შრომები?

გიორგიმ რაღაც წაიღუდუნა. ირინე ამ დროს ათვალეგრებდა თაროზე ჩამწკრივებულ ტომებს, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი ეპოვნა და უხალისოდ ფურცლავდა ხან ერთ, ხან მეორე წიგნს — დიდიხნის წინათ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობარს, უცნობი მოგზაურის დღიურებს და რაღაც რომანებს, რომელთა უმრავლესობას დასაწყისი ან დასასრული აკლდა.

— ჩემთან ბევრი რამეს ამორჩევა შეიძლება, ოღონდ უნდა ვიცოდე, რა ხასიათის წიგნები გსურთ, — სავაჭროს პატრონმა ისევ გულცივი თავაზიანობით მიმართა გიორგის.

ბუკინისტი ერთგვარად შეურაცხყოფილი დარჩებოდა, თუ ეს კარგად ჩაცმული კაცი, გარეგნულად ინტელიგენტი, წავილოდა იმ შთაბეჭდილებით, რომ აქ არაფერი გამოიძებნებოდა საინტერესო.

ის ამყობდა თავისი დუქნით და ამ წუთში წიგნის გაყიდვით კი აღარ იყო დაინტერესებული, არამედ უფრო იმით, რომ სავაჭროს ღირსება არ დამცირებულყო ამ უცხო ადამიანის თვალში.

— იქნებ მედიცინა გაინტერესებთ? არა? არც საინჟინერო საქმე? მაშ ისტორია, ფილოსოფია? მრავალი თხზულება მაქვს ფილოსოფიის დარგიდან... შოპენჰაუერი, კანტი, სპინოზა, რენანი... — შუა თაროდან რამდენიმე წიგნი გადმოიღო და დახლზე დააღაგა.

უეცრად მან თვალი მოჰკრა, რომ ქალიშვილი ჩაპკირკიტებდა რაღაც ძველ ტომს. მაშინვე მივიდა ირინესთან და წიგნში ჩაიხედა.

— ა, ალფონს დოდე! „ტარასკონელი ტარტარენი“ მშვენიერი რომანი გახლავთ, ერთობ სახალისო! გცოდნიათ წიგნის ამორჩევა, გცოდნიათ წაიკითხეთ, აუცილებლად.

— წაიკითხული მაქვს, — ჩაილაპარაკა ირინემ და მხოლოდ იმისათვის, რომ ხამად არ ჩაეთვალა ბუკინისტს, დაუმატა: — მე საერთოდ მიყვარს ეს მწერალი...

— დარწმუნებული ვარ! — თითქმის ალტაცებით წამოიძახა მოზუცმა. — შესანიშნავი მწერალი გახლავთ... გარდა ამისა, ის ჩვენი ნიკო ნიკოლაძის პირადი მეგობარი იყო... დიახ, ახლო მეგობარი... როგორ არა, თვით პატივცემულ ნიკოსგან გამოიგონია...

ის ერთბაშად გამოცოცხლდა, თვალეზი ხალისი ჩაუდგა. უკმაყოფილება, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ გრძნობდა, სრულიად გაუქრა.

— ბატონი ნიკო ნამყოფია ჩემთან... როგორ არა! გავლით იყო ჩვენი ქალაქში და შემთხვევით აქ შემობრძანდა. საგულისხმიერო საუბარიც იწება ჩემთან. როგორ არა! აი, აგერ მის პორტრეტსაც განვიხებთ... ჩემი გადაღებული გახლავთ... ამ სავაჭროს უკან პატარა ბალი მაქვს და სწორედ იქ... — მოხუცმა გიორგი და ირინე კედელთან მიიყვანა. — დააკვირდით, სურათის ქვემოთ რა სწერია „სასარგებლო სახალხო მუშაკს გე-

დღონ არაბიძეს სახსოვრად“. მისი ხელით, საკუთარი ხელით! გედღონ არაბიძე მე გახლავართ, დიახ!

ბუკინისტს სახე უბრწყინავდა.

— აი ეს კი, როგორც ხედავთ, ჩვენი სასოება აკაცის პორტრეტია... არც მან ითაკილა და საკუთარი წარწყურით დაამშვენა სურათი... ქვეშარიტად ბედნიერი კაცი ვარ ამით, ქვეშარიტად! აგერ კიდევ, — გედღონი ხან ერთ, ხან მეორე სურათს აღებდა თითს, ხოლო იქ, სადაც ვეღარ წეღებოდა, შავიდიდან აღებულ სახზავს ჩრიდა, — ჩვენი პატარხევის პატრესაცემი პირები გახლავთ. ეს ახალგაზრდა, — სურათზე ჩანდა აღარც თუ ისე ახალგაზრდა, გრძელთმიანი კაცი ჯოხით ხელში, — ჩვენს ქალაქში ცნობილი მარქსისტი იყო. ციმბირში გადაპკარგეს და იქიდან აღარ დაბრუნებულა, საწყალი... ეს კიდევ, მთელ მარხაში განთქმული რევოლუციონერი ტერორისტი გახლდათ... ჩამოაღრჩვეს, უბედური... — ფოტოსურათიდან იხედებოდა შავხალათიანი მამაკაცი, რომელსაც მერტრზე ჯვარედინად ჰქონდა გადაკიდებული ტყვიებით სავესე ფალასკები.

ქედღღზე ეკიდა აგრეთვე რამდენიმე დიდი ჯგუფური სურათი. აქ გამოხატულ იყენენ პატარხევის მკვიდრები — ჩოხიანი და გრძელ სერთუკებში გამოწყობილი ვაჭრები, კისერზე ძეწყვიჩამოკიდებული ქალაქის თავი, მოხელეები, სამღვდელოება, რომელიდაც თვალსაჩინო შემთხვევის აღსანიშნავად ერთად თავმოყრილნი.

— ყველაფერი ჩემი ხელით გადაღებულია! — თავმოწყონედ განაცხადა ბუკინისტმა. — დე შთამომავლობას დარჩეს ჩვენი ცხოვრების მატინანდ!

ცხადად ჩანდა, რომ ის ამყობდა თავისი ფოტოპორტრეტების გაღერით.

• უცერად გედღონი შემოტრიალდა და განსაკუთრებული თავაზიანობით მიმართა გიორგის:

— თუ საწყენად არ დაგრჩებათ ჩემი ცნობისმოყვარეობა, ვისთან მაქვს პატივი საუბრისა?

თუხარელმა თავისი ვინაობა უთხრა და შვილიც გააცნო.

— ა, როგორ არა, გავინალი! მსჯეს მაგრამ არ მენახეთ! — ბუკინისტმა ხელი ჩამოართვა მამა-შვილს. — გულწრფელად მოხარული ვარ... აქამდისაც უნდა გავცნობოდით ერთმანეთს... თქვენი პროფესია, ბატონო გიორგი? ნაფიცო ვეჭილი? საპატიო საქმეა, დიდად საპატიო, რასაკვირველია... მაშ ახლა ჩვენს ქალაქში უნდა იმოდეაწეოთ? დიდი კლიენტურა გეყვლებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ... ახ, დროებით, ჩამოსული ხართ? ეგეც კარგია. განათლებული პიროვნების სტუმრობა ყოველთვის სასიხარულოა...

კარგ გუნებაზე დამღვარმა უამბო მათ, თუ ვინ უნახავს თავისი ცხოვრების მანძილზე, რა შეხვედრები ჰქონია. ჰყვებოდა ამას თავისებური გულუბრყვილობით და ამასთანავე რალაც ეშმაკობით: აბა, გაიგეთ და იცოდეთ, რა აღიმიანებთან მქონიაო კავშირი!

ირინეს უკვე მობეზრებული ჰქონდა მისი გაუთავებელი ლაყბობა, მაგრამ მორჩილად იღვა დახლთან და ძალაუნებურად უსმენდა.

ბუკინისტი არაბიძე ცნობილი იყო პატარხევაში როგორც გამომცემელიც. მისი თაოსნობით აღგილობრივ სტამბაში იბეჭდებოდა ხოლმე ყარამანიანი, ქალვათიანი, სიზმრის ახსნა, არსენას ლექსი. ეს იაფფასიანი წიგნაკები კვირა დღეებში გაჰქენდა ბაზრობაზე და გლეხებში ჰყიდდა. მისივე გამოცემა იყო რამდენიმე მოთხრობა საქართველოს ისტორიიდან — მეფე ერეკლეზე, არაგველებზე, ცხრა ძმა ხერხეულიძეებზე. ერთხელ საკუთარი წიგნაკიც გამოაქვეყნა ფიბტეს ფილოსოფიაზე. რატომ მოუვიდა ეს აზრად, აღბათ, მისთვისაც გაურკვეველი იყო, მაგრამ ბროშურა დაიბეჭდა და სიფრიფანა ყვითელი ქაღალდის გარეკანზე ასეთი ანონსიც იყო მოთავსებული: „სერიიდან ფილოსოფიის ისტორია“. წიგნაკის ტექსტი აქა-იქ აკრელებული იყო წინადადებებით გერმანულ და ლათინურ ენებზე და თვითუღი

ფრაზა თავდებოდა ან მრავალი წერტილით, ან გაკვირვების ნიშნით. პატარხვის ინტელიგენტებს, დიდი სავაჭროების პატრონებს და რამდენიმე პატივსაცემ მოხელეს არაბიძემ ფოსტით გაუგზავნა ეს თავისი ნაშრომი წარწერით: „ავტორისაგან“.

გედეონი ამასთანავე მეოცნებე იყო. ის დიდი ხნიდან ნატრობდა შეეძინა საკუთარი სტამბა, სადაც უამრავ წიგნის დაბეჭდვას აპირებდა... ეს იაფფასიანი წიგნაკები მოეფინება ქალაქს და სოფლებს, ხალხს გააცნობს მეცნიერებისათვის თავდადებულთა ცხოვრებას, გამოჩენილი მოგზაურების თავგადასავალს, ცის მნათობთა მოძრაობას, ღირსშესანიშნავ აღმოჩენებს, ცნობილ ადამიანთა ნაკვესებს და ბევრს სხვა რაიმეს, რაც გონებისა და სულისათვის სასარგებლო იქნება... გედეონს სახელწოდებაც ჰქონდა გამოგონებული თავისი გამომცემლობისათვის: „ლაშპარი!“ — ასე უნდა რქმეოდა მას. ყდაზე, წიგნის სათაურის ზემოთ, გამოხატული უნდა ყოფილიყო ქალი მალლა აწეული ჩირაღდნით ხელში. მეოცნებე გამომცემელმა ერთ ნაცნობ მხატვარს კიდევაც შეუკვეთა სურათი კლიშესათვის, რომელიც ფირმის მუღმივი მარკა უნდა ყოფილიყო. მხატვარმა თხოვნა შეუსრულა და ისე მოხდა, რომ, — დამხატვას შემთხვევით გამოუვიდა, თუ შემკვეთელის სურვალი იყო ასეთი, — ჩირაღდნიანი ქალი სახით ძალიან გავდა გედეონის მეუღლეს ბაბილინას ახალგაზრდობაში. გადიოდნენ წლები, ნატვრა განუხორციელებელი რჩებოდა, მაგრამ გედეონი მოხუცებულობაშია და ვერ თმობდა თავის ძველ ნატვრას. არაერთხელ ღამით, როცა გარშემო სიჩუმე იყო, ის გულმოდგინედ ადგენდა სტამბის ხარჯთაღრიცხვებს, ხან ამცირებდა და ხან უმატებდა გამოსაცემ წიგნების სიას და ფიქრით ელოლიავებოდა იმ ნეტარ დღეს, როცა ნაოცნებარი ფრთას შეისხამდა.

იმ დილით ირინეს არ წაუღია განთქმული ტარასკონელის თავგადასავლის

წიგნი. მან სხვა რომანი აირჩია ვიღაც უცნობი ავტორისა. იყიდდა უფრო იმითომ, რომ ბევრი რჩევა-რჩევისა შემდეგ უხერხულად მიიჩნია ხელცარიელი წასულიყო. გარდა ამისა, მოხუცმა ბუკინისტმა ისეთი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ გიორგის წარწერით მიუძღვნა თავისი წიგნაკი ფისტზე.

მაშა და შვილი გედეონმა კარებს იქითაც გააცილა. დამშვიდობებისას დიდხანს ართმევდა ხელს ხან გიორგის ხან ქალიშვილს და ამასთანავე ისეთი გრძნობით, თითქოს ძველი ნაცნობები და მეგობრები ყოფილიყვნენ.

ამის შემდეგ თუხარელები რამდენჯერმე ესტუმრნენ არაბიძეს სავაჭროში. ერთხელ მან ბაღშიაც მიიწვია ისინი, ხილით გაუმასპინძლა და თავისი ცოლი ბაბილინა გააცნო. ბაბილინა ფლეგმატური მოხუცი იყო, გულგრილი ყველაფრისადმი, მაგრამ გედეონი ყველას ისე აცნობდა მას, როგორც მეტისმეტად მგრძნობიარე და გულითად აღამიანს. მოხუცს, როგორც ჩანს, უყვარდა თავისი ცხოვრების ძველი მეგობარი.

გედეონი არწმუნებდა ირინეს, ბაბილინა გაცნობის პირველი წუთიდანვე მოიხიბლა და მუდამ ნატრობს თქვენს ნახვასო. ყოველთვის, როცა ირინე სავაჭროში მივიდოდა იმ დროს, როცა ბაბილინა ბაღში იყო, მოხუცი ბუკინისტი უმაღლე უკანა კარს გააღებდა და გასძახებდა: „გაიხარე, მოგივიდა შენი მზეთუნახავი!“.

ირინე იძულებული ხდებოდა ბაღში გასულიყო, მისალმებოდა ბაბილინას, მაგრამ ის კი არასოდეს შეუღმჩნევია, რომ დედაკაცს სიხარული გამოეჩინა. როგორც ყოველთვის, ის გულგრილად იჯდა სავარძელში, კანტს ავლებდა რაღაც სურათებს და ხანდახან თუ მიაპყრობდა თავის დასიზმრულ, უსიციოცხო თვალებს. გედეონი კი ეუბნებოდა ხოლმე ირინეს:

— ხომ ხედავ, ჩემო კეთილო, რა სიხარული მოგვარა თქვენმა ნახვამ! ჰოდა,

ნუ დაიზარებთ, ხშირად მობრძანდით, ხშირად ინახულეთ ჩემი ბაბილინა!

ამავე ბუკინისტთან თუხარელები შეხედნენ არქიტექტორ ელიზბარ კორსაველს. ქალარა არქიტექტორმა, სახით კუშტმა და სიტყვაძვირმა, პირველად გულგრილობა გამოიჩინა მათდამი, მაგრამ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ თავის ოჯახშიც მიიწვია მამა და შვილი.

ცხოვრობდა კორსაველი ზიდის ახლო, მდინარის პირად. მისი სახლი, რომელიც ძველებური კომისია და თანამედროვე შენობის შერწყმას წარმოადგენდა, მალელობიდან ხევს დაჰყურებდა და შორიდანვე უნებურად იქცევდა ყურადღებას.

ელიზბარი და მისი მეუღლე რამდენიმე წელიწადია, რაც საბოლოოდ გადმობარგდნენ პატარხევეში, მაგრამ არავისთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონიათ და უყვარდათ კიდევაც განმარტოებული ცხოვრება. სხვებთან ოჯახებში არ დადიოდნენ, მაგრამ თავის სახლში კი ყოველთვის გულთბილად ხვდებოდნენ სტუმარს.

თვითონ ელიზბარი თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდა ყველას, ვინც არ უნდა მისულიყო მასთან, არავის გამოჩევა არ იცოდა და არც ცდილობდა ვინმე დაეახლოვებინა. უბრალო მოქალაქის ისეთივე საუბარს გაუბამდა, როგორც ვინმე დიდკაცს. ყველაზე უფრო გულსხმიერად კი ის მხოლოდ თავის თავს ესაუბრებოდა. არქიტექტორი მეოცნებე იყო, უმთავრესად თავისი ფიქრებით ცხოვრობდა და ამიტომ არასოდეს მოწყენა და მარტოობა არ უგრძობნია.

იმ დღიდან, როცა დედაქალაქის ძველ მესვეურებთან შეტაკების შემდეგ იძულებული გახდა ხელი აეღო მუშაობაზე, პატარხევეში საცხოვრებლად გადმოვიდა და უმეტეს დროს თავის კაბინეტში ატარებდა. ახლა ის მოწყვეტილი იყო საყვარელ საქმეს და მხოლოდ თავის თავს ეკუთვნოდა. ოთახში განმარტოებული, ხატავდა ოცნებით შექმნილ

საქართველოს ქალაქების მოედნებს, ახალი სახლებით დამშვენებულ ქუჩებს, რაღაც სასახლეებს, ქარხნებს. ანდა კეთილბოდა წიგნებს, სადაც აღწერილი იყო ძველი ხუროების ღვაწლი და გულდასმით სწავლობდა მათი ოსტატობის თავისებურებას.

თავის ნაცნობებს შორის ელიზბარი ცოტაოდენ უპირატესობას მაინც ისევ თუხარელებს აძლევდა. გიორგის ყოველთვის უხაროდა, როცა მისგან მოწყვეტის ბარათს მიიღებდა და ირინესაც არასოდეს მოწყენილობა არ უგრძობნია კორსაველებთან. პირიქით, მთელი საათობით სიამოვნებით უსმენდა ელიზბარის საუბარს და მის მიერ ოცნებაში შექმნილი ფანტასტიკურ ქალაქების ამბავს.

თუხარელების ნაცნობების რიცხვს ერთხანს მეტი არავინ შემატებია.

სხვა დროს და სხვა გარემოში, რა თქმა უნდა, ამით ვერ დაკმაყოფილებოდა ირინე, საზოგადოების მოყვარული და ცოცხალი ბუნების ახალგაზრდა. პატარხევეში, ცხადია, არა ერთი და ორი ღირსეული ოჯახი მოიძებნებოდა, მათთან დაახლოება გამოაცოცხლებდა ირინეს მოწყენილ და უფერულ დღეებს. მაგრამ თუ ახლა ამისათვის არ ზრუნავდა, ეს იმიტომ, რომ იმედი ჰქონდა, — მალე დასტოვებდა აქაურობას და ისევ თბილისში დაბრუნდებოდა. ამაზე კი ხშირად ფიქრობდნენ და თათბირობდნენ მამა-შვილი. დიდ ქალაქში დაბრუნების იმედი ასულდგმულებდა მათ და ამ დღის მოახლოებით ამხნევებდნენ ერთმანეთს.

პატარხეველებს თავის მხრივ შენიშნული ჰყავდათ ბეროშვილის ბინადრები, ყურადღებაც მიჰქციეს და ერთგვარს საიდუმლოებითაც შემოსეს დედაქალაქიდან მათი წამოსვლის მიზეზი, მაგრამ იმის შემდეგ, რაც კატოსგან გაიგეს, რომ თუხარელები ხელმოკლედ იყვნენ და ისევ თბილისში გადასვლას აპირებდნენ, მათდამი ყურადღება გაუნელდათ და ბოლოს, სრულიად დაეკარგათ.

## V

თბილისში დაბრუნების იმედი კი ვერ ხორციელდებოდა. არც ისე ადვილი გამოდგა ამ ოცნების შესრულება. გიორგი, მართალია, მზად იყო თუნდაც ახლანდელ დეტოვებინა აქაურობა და როგორცაღაც იოლად უყურებდა თბილისში ახალი ცხოვრების დაწყებას, მაგრამ ქალიშვილმა უფრო ფიზიკურად შეხედა საქმეს და არ აჩქარებდა. ირინემ იცოდა, რომ დიდ ქალაქში ძველი ბუდე აღარ გაანდობდა და მამას მუშაობის თავი აღარ ჰქონდა. ასეთ პირობებში კი ადვილიდან აწყვეტა და გამოურკვეველ, ბნელით მოცულ მომავალში თავის შერგვა უაზრობად ეჩვენებოდა და შიშს გვირგვინებდა.

თითქოს ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდა, მაგრამ ფიქრი მაინც არ ურიგდებოდა იმას, რომ დიდხანს დარჩებოდნენ პატარხევში. არ ცხრებოდა იმედი, რომ ერთ მშვენიერ დღეს როგორღაც გაიფანტებოდა ყოველგვარი ბურუსი და შეიცვლებოდა მათი ცხოვრება.

ამ საოცნებო დღის მოლოდინში კი ვერა ვერას მისდევდა და უკვე რამდენიმე თვემ განვლო. თითქოს არც ისე დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ ირინეზე მაინც ღრმა კვალი დასტოვა. სიჩუმით სავსე ამ უწყინარ პატარა ქალაქში მან ერთხელ კიდევ იგრძნო, რომ ცხოვრება არც თუ ისე ხალისით სავსე და ადვილი ყოფილა.

პროვინციის ქალაქში ცხოვრება სევდიან მოგონებებს უღვიძებდა ირინეს. ის ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა უეცრად, ერთ დღეში, დასრულდა მისი ნებიერი, სიხარულით სავსე ბავშვობა: დედამ, რომელსაც აღმერთებდა გოგონა, დასტოვა ოჯახი და ვიღაც დრაგუნთა ოფიცერს გაჰყვა რუსეთის შორეულ ქალაქში. მარტოდ დარჩენილი გოგონა ვიორგიმ გაატანა ზღვისპირა ქალაქში გათხოვილ ცოლის დას. გაატანა დროებით, ზაფხულის გასატარებლად, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთი ზაფხული რამდენიმე წელიწადად გაგრძელდა. იმ და-

ბასავით პატარა ქალაქში გაატარა ირინემ თავისი ბავშვობა და ქალიშვილობის პირველი წლები. კეთილი გულის დეიდა ცდილობდა დედის მაგიერობა გაეწია მისთვის, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა, მაგრამ ეს ალერსი და ყურადღება როგორღაც კიდევ უფრო ცხოვრებად აგონებდა ირინეს, რომ მარტო იყო. იშვიათად ხედავდა თბილისში დარჩენილ მამას, რაღაც შარავანდელით მოსავდა მის სახეს და მუდამ ოცნებობდა მალე დაბრუნებულყოფა მასთან. შვილს საიმედო საყრდენი, ყოვლისშემძლე არსებად მიაჩნდა და თითქმის თავყვანს სცემდა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ირინემ მალე ენიშნა, რომ მამა არ იყო ისეთი, როგორსაც ოცნებით ელოლიავევოდა.

რაც დრო გადიოდა, ირინე უფრო და უფრო ნათლად ხედავდა რა მოუმარჯვებელი კაცი იყო მამა. თუ როგორი იყო გიორგი ახალგაზრდობაში, შვილმა არ იცოდა, მაგრამ ხანში შესული კი მუდამ ასეთი ახსოვდა: აულღევებელი, დამთმობი, გულუბრყვილო, ცხოვრებაზე ზღაპრული და ამავე დროს თითქოს ყველაფერთან შერიგებული და ყველაფრით კმაყოფილი. მამის ამგვარი ხასიათის წყალობით ქალიშვილს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ ამის გამო არა თუ საყვედური არ უთქვამს, ფიქრიც კი დანაშაულად მიაჩნდა. ირინეს ყოველთვის ნაზად უყვარდა მამა და განსაკუთრებით, თითქმის მტკივნეულად, შეუყვარდა და დაუახლოვდა იმის შემდეგ, როცა ის ხანში შევიდა.

პატარხევში გადმოხვეწამ ბევრით არაფრით შეცვალა გიორგი. პირველ ხანებში ის თავგზაბანეული ჩანდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და შემდეგ ისე ეჭირა თავი, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილიყო. შეადღემდე თათაში დაბოროილობდა, ვითომ რაღაცას საქმიანობდა, რაღაცაზე ზრუნავდა, მერე საგულდაგულოდ გამოეწყობოდა და ქალაქში წავიდოდა. ამ დროს ყოველთვის ისეთი შეხედულება ჰქონდა, რომ ვინც მისი ამბავი არ იცოდა, ეგო-

ნებთდა საჭირო საქმეზე მიეშურებაო. ნამდვილად კი თვითონაც არ იცოდა, რატომ მიდიოდა. შესაძლოა, ეს იყო მხოლოდ ძველი ჩვეულება — სწორედ ასევე, თბილისშიაც, შუადღისას, პროსპექტზე ჩაისიერებდა, შემდეგ სამხატვრო გალერეის შენობის უკან ბაღში სკამზე ჩამოჯდებოდა იმ ადგილას, სადაც დაბარებულით თავს იყრიდნენ უსაქმოდ დარჩენილი მოხუცი ადვოკატები, პენსიონერები, პრეფერანსის პარტნიორები, და მათთან საუბარში ერთობოდა... იქნებ ახლაც აქ, პატარხევეში, ეძებდა ისეთივე ადგილს, მაგრამ რადგანაც ვერ პოებდა, მოივლიდა ბაზარს, რკინიგზის სადგურს, გააცილებდა სახალხო მატარებელს და სადილობისას შინ დაბრუნდებოდა დაღლილი, გასავეთებული, მაგრამ მაინც კმაყოფილი.

მთელი საზრუნავი ისევ ირინეს აწვა კისერზე. ის იძულებული გახდა სახლიდან გაეტანა და ფულად ექცია ზოგი რამ იმ ძვირფასი ნივთებიდან, რაც თბილისიდან ჩამოტანილი ჰქონდათ. ირინე ხელადა როგორ კლებულობდა მათი ისედაც მცირე ქონება, ნივთების ნაწილი გაყიდული და დაგირავებულიც ჰქონდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა მამას, რადგან ეგონა, რომ ამაზე ლაპარაკი შეაშფოთებდა გულთ ავადმყოფ მოხუცს. გიორგის არც უკითხავს თუ რითი ცხოვრობდნენ პატარხევეში. ის მცირე თანხა, რომელიც თბილისიდან ჩამოეტანათ, თავიდანვე ქალიშვილს მიაბარა და დარწმუნებული იყო, რომ ჯერ კიდევ იმას ხარჯავდნენ. როცა რაიმე დაკლებია, ეს შვილის გამოუცდელობად ან უთაურობად მიუჩნევია, და როგორც უფროსი ადამიანი და აღმზრდელი, ვალდებულად თვლიდა თავს რჩევა-დარიგება მიეცა მისთვის.

ერთ ნაშუადღევს სიმონი ქალაქში შეხვდა ირინეს, რომელიც ის იყო გამოვიდა ვილაის ეზოდან. სრულიად უნებურად სიმონმა გაიხედა იქითკენ და გაკვირებული დარჩა. რა უნდოდა ქალიშვილს იმ სახლში? იქ ხომ მთელ

პატარხევეში ცნობილი მევახშე ცხოვრობდა!

— ძალიან სასიამოვნოა, რომ შეგხვდით, — არ დაიმჩნია სიმონმა გაკვირვება, ღიმილით მიესალმა და გაჰყვა. — თქვენ ისე იშვიათად გამოდიხართ ქალაქში, რომ მეშინია სახლისკენ გზა ველარ გაავნოთ... მივაცილოთ?

— არა, ნუ შესწუხდებით! — თითქმის შემკრთალმა უპასუხა ირინემ. არ ესიამოვნა, რომ სახლის პატრონს შეეფეთა.

ირინე თავდახრილი მიაბიჯებდა და, როგორც სიმონს ენიშნა, რატომღაც დარცხვენილი იყო. ეს დამორცხვება თავისებურად ახსნა: ქალიშვილი, ალბათ, მოკრძალებული და კდემამოსილია ბუნებით... ესიამოვნა, რომ ამგვარი თვისება იგრძნო მასში და მაშინვე პირველად დაინახა ისიც, რომ ირინე ლამაზი იყო. სიმონი შეეცადა თავაზიანი საუბრით გაერთო, ხალისიანად უამბო ამ დილით ქალაქში მომხდარი რაღაც შემთხვევა, მიაცილა მოსახვევამდე, აქ უეცრად დაემშვიდობა, უცბადვე გამობრუნდა და პირდაპირ მევახშესთან გასწია.

— აქ შენთან ახლა ქალიშვილი იყო? — არც მისალმებია, ისე იკითხა სიმონმა.

მოხუცი მევახშე დიდი ხნიდან შეჩვეული იყო იმას, რომ არავინ უწევდა ხათრს და ყურადღება არ მიაქცია სიმონის უხეშ ქცევას. სკამიც კი მიაწოდა და გულგრილად წაილულულა:

— ჰო, წებან იყო ერთი...

— რა უნდოდა? დაგიგირავა რაიმე?

— არა, არ დაუტოვებია...

— რატომ? ვერ შეთანხმდით?

— არ იყო ჩემთვის ხელსაყრელი... ნივთიც უსარგებლო იყო. რაღაც ინდოეთის კერპიაო, ძველებურიო... ოქროა, მარა... ხუთი მისხალი თუ იქნებოდა... წონის მიხედვით შევთავაზე, მაგრამ არ ინება...

სიმონმა თვალი შეავლო მოხუცის მკრთალ, უსიცოცხლო სახეს და წუთიერი დუმილის შემდეგ იკითხა:

— დღეს პირველად იყო შენთან?

— არა, წინათაც ნამყოფია, — ქმრის მაგიერ უპასუხა დედაბებრმა, რომელიც თავააუღებლად ქსოვდა წინდას და, ეტყობოდა, უმნიშვნელოდ თვლიდა მამაკაცების საუბარს. — იმ ქალიშვილმა, გენაცვალე, კარგად იცის ჩვენი ეზოს ვიშკარი... მოიტანს ხოლმე რაღაცას და ყოველთვის ეცოტავენბა, რასაც შევთავაზებთ. ჩვენი ამბავი ხომ იცი, სიმონის პირიშე, ნივთის ცნობა ვიცით ჩვენ. რაც ღირს, იმას არ დაეკლებთ, მეტი კი რატომ მივცეთ, ჩემო კეთილ... მოგახსენება, ფული პატივისცემას მოითხოვს...

სიმონისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ წასვლისას მაინც იკითხა:

— აქვს რაიმე თქვენთან დაგირავებული?

— არის რაღაც წვრილმანები... სამაჯური, მედალონი, საყინძი...

იმ დღეს სიმონი შინ გვიან დაბრუნდა, მაგრამ მაინც ინახულა გიორგი, ჯერ ჩვეულებრივად ჩამოაგდო სიტყვა ქალაქის ამბებზე, თავის ქარხანაზე და შერე უეცრად ირინეს მიმართა:

— თქვენ კი, ძვირფასო ქალიშვილო, ერთი ჩემი რჩევა შეისმინეთ. უჩემოდ ნუ მიხვალთ იმ კაცთან... როცა რაიმეს დაგირავენბას დააბირებთ, მე გამაგებინეთ... რა ნივთი მიიტანეთ დღეს?

ირინემ გაოცებით შეხედა. საიდან უნდა სცოდნოდა ამ კაცს, ან ვინ ეკითხებოდა მათ საქმეში ჩარევას?!

— რა ნივთი იყო? — ჩაჰკითხა სიმონმა.

ცხადი იყო, მან ყველაფერი იცოდა. დაფარვა და უარის თქმა უაზრობად ეჩვენა ირინეს, მორჩილად ამოიღო ნივთი ყუთიდან და გაუწოდა.

— ახ, თქვენ ამაზე ამბობდით? შესანიშნავი რამ არის! — გულწრფელს ალტაცებით წამოიძახა გიორგიმ. — ძველებური ინდური კერპი ვახლავთ. მგონი ვიშნუ, ქვეყნიერების გამამოცხლებელი, თუ რაღაც სხვა ღვთაება...

რას იტყვით, შესანიშნავი ოსტატის ნახელავია, არა?

სიმონი გაოცებით დასცქეროდა ნივთს და ატრიალებდა ხელში. არა, შესანიშნავს ვერაფერს ხედავდა... თუ ღვთაებას წარმოადგენდა, მაშინ სათნო გამოსახულება უნდა ჰქონოდა, ეს კი ურცხვად შიშველი, სატანის მსგავსი ექვსხელფეხიანი რაღაც ზღაპრული საკვირველება იყო... რა ღვთაება, რის ღვთაება... ამას პატიოსან საზოგადოებაში ვერც გამოაჩენს. სისულელეს ჩმახავს მისი მდგმური... ნივთის ერთადერთ ღირსებას ის შეადგენდა, რომ ოქრო იყო... მოხუც მევახშეს ვერც უსაყვედურებ, რომ არ დაიტოვია...

— რა ღრმა აზრია ჩაქსოვილი, რა წარმართული წყურვილი სიცოცხლისა! — ისევ ალტაცებას გამოთქვამდა გიორგი. — ყველა განათლებული კოლექციონერი უდიდესი სიხარულით შეიძენს ამას... სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში... პარიზში თუ ლონდონში, აღარ მახსოვს, ვიყიდე ერთ ანტიკვარულ მალაზიაში...

— მმ... — მხოლოდ ჩაიბუბუნა სიმონმა, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა გაგონილიდან და, რაღაცაზე დაფიქრებული, ნივთს ხელში ატრიალებდა. — თუ შეიძლებოდეს მომეციოთ ეს ხელამდი, — თქვა ბოლოს და სანამ პასუხს მიიღებდა, ჯიბეში ჩაიღვა.

მეორე დღეს სახლის პატრონმა თავის ოთახში იხმო ირინე.

— დაეაგირავე თქვენი კერპი... არის აქ კიდევ სხვა მევახშე... ეს მეორე უფრო ნამუსიანია იმ მოხუცზე. პოდა, აი, ეს ავიღე გირაოში... მიირთვი.

მაგიდის ყუთიდან გახვეული შეკვრა ამოიღო და გადასცა.

— თქვენ დიდად დამაველეთ, — გულწრფელი მადლობით უთხრა ირინემ. — ოღონდ რად შესწუხდით ამისთვის?

— არა უშავს რა, კაცი კაცს უნდა გამოადგეს რაიმეში, აბა როგორ იქნება! — სიმონმა იგრძნო, რომ ასიამოვნა ქალიშვილს და თავისი თავით კმაყოფილი

იყო. — როცა კიდევ დაგჭირდეთ, ნუ მომერიდებით, მითხარით. მევახშემ დანდობა არ იცის, ყოველთვის ეცდება მოვატყუოთ. ეს მისი წესია. მე კი ვერ გამოიბედავს...

ირინემ თავის ოთახში გადაითვალა ფული და გაკვირვებული დარჩა. თანხა ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ეს ფული საკმაო ხნით უზრუნველყოფდა, თუ გამოზოგვით დახარჯავდა. წუხელ და ამ დღით უსიამო გრძნობა ჰქონდა სახლის პატრონისადმი, თავს დამცირებულად თვლიდა, რომ უცხოის წინაშე გამჟღავნდა მათი სიღარიბე, მაგრამ ახლა გუნება შეიცვალა და მადლიერიც იყო. არა ცუდი ადამიანი არ ყოფილა, თუ გულთან ასე ახლო მიიღო სხვისი გასაქირი...

ირინე რომ ნივთებს ავირავებდა, გიორგიმ მხოლოდ სიმონის სიტყვებიდან გაიგო. ამ ამბავმა ჯერ გააოცა და გული ატყინა, იმ საღამოს შვილს საყვედური უთხრა რად მიმალავდიო, მაგრამ როცა მეორე დღეს თანხის რაოდენობა გაიგო, თავი ვალდებულად ჩათვალა მაშინვე ენახა სიმონი და მადლობა ეთქვა.

გიორგი მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდა მისგან.

— ვერ წარმოიდგენ რა სიმპატიური კაცი ყოფილა! — აღტაცებით ეუბნებოდა შვილს. — ძალიან კეთილია და გულისხმიერი. დიახ, სულ სხვა, ვიდრე აქამდე გვეგონა. შენ, თურმე, უსამართლოდ სჯიდი მასზე...

ახლა ირინეც იზიარებდა მამის აზრს. არა, რა თქმა უნდა, ის კაცი ურიგო ვინმე არ იყო. რა აძულებდა, თუ არა მხოლოდ გულისხმიერება, რომ ჯერ თავის სახლში დაებინავევია სრულიად უცხო ადამიანები და შემდეგ კიდევაც ეზრუნა მათზე? ირინეს მოაგონდა, რომ ერთხელ, როცა ბინის ქირა შეაძლიეს სახლის პატრონს, მან არა თუ უარი განაცხადა, საყვედურიც თქვა:

— რა მოხდა, თქვე დალოცვილებო, რაღაც ერთი ოთახი გიჭირავთ ამხელა ოღაში. ჩემი შეწუხება რა სათქმელია. კი არ მაწუხებთ, პირიქით, მსიამოვნებს

თქვენისთანა განათლებულ პირებთან ერთ ჭერქვეშ ყოფნა...

ხელსაყრელად ნივთის დაგვირავების შემდეგ უცხად შეიცვალა სიმონისადმი ძველი გულგრილი დამოკიდებულება. მამა და შვილი თავის თავს დავალებულად თვლიდნენ მის წინაშე და ცდილობდნენ გულთბილობითვე ეპასუხნათ. ირინე ახლა გულითადად ხვდებოდა სიმონს, ძალდაუტანებლად გააბამდა ხოლმე მასთან საუბარს და, რაც მთავარი იყო, ამ სახლში ცხოვრება სამძიმისად აღარ ერჩენებოდა.

„მომავალში, ალბათ, საშუალება გვექნება სამაგიერო პატივი ვცეთ ყველაფრისათვის, რაც აქ ჩვენთვის გააკეთა“... — ფიქრობდა ხოლმე ირინე. გიორგი ყოველნაირად ცდილობდა თავისი კეთილი განწყობილება გამოეჩინა სიმონისადმი, რომელსაც პატიოსან და გულისხმიერ კაცად თვლიდა.

ერთ შუადღეს, როცა გიორგი ჩვეულებრივად ქალაქში სასეირნოდ წავიდა, ირინე გაჰყვა. გაიარეს მთავარი ქუჩა, ჩაიარეს მეთუნუქეთა უბანი, სადაც სახელისნოებიდან ყურთასმენის წამლები რახრაბი ისმოდა, საღვურთან კიოსკში გაზეთი იყიდეს და შერე ხიდგალმა გავიდნენ. აქედან გზა ჩრდილიანში მიმართებოდა და სიარული სასიამოვნოც იყო. გაისეირნეს მდინარის ნაპირით იმ ადგილამდე, სადაც პაწაწინა კუნძულზე ობლად ამოსულყო ბუჩქის ოდენა ტირიდი და ის იყო გამოზრუნება დააპირეს როცა გორაკის თავზე ბეროშვილის ქარხანა დაინახეს.

— ხომ არ ავიდეთ, ა? რას იტყვი? — შესთავაზა გიორგიმ შვილს. — რამდენი ხანია პატარხევში ვცხოვრობთ და იქ ერთხელაც არ ავსულვართ.

ირინე უყოყმანოდ დათანხმდა. სხვა არა იყოს რა, ის ამბავი, რომ დღემდე არ ენახათ იქაურობა, მასპინძლისადმი უპატივცემლობას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო ამ შეცდომის გამოსწორება. ბოლოსდაბოლოს, უბრალო ზრდილობა მოითხოვდა, ერთხელ მაინც

მისულიყენენ ქარხანაში, რომლითაც სიმონი თავმომწონებდა მათ წინაშე.

აქამდის ირინეს არც ერთი ქარხანა არ ენახა. თბილისის გარეუბნებში გავლისას შორიდან თუ დაუნახავს რომელიმე მათგანი — დიდი პირქუში შენობა მაღალი საკვამურით, — ხოლო რა იყო და როგორი იყო შიგ, ამაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ახლა პატარხევში პირველად ეძლეოდა შემთხვევა არა მხოლოდ ახლოდან დაენახა, კიდევაც დაეთვალიერებია, და ამ შესაძლებლობამ ერთგვარი ცნობისმოყვარეობაც გაუღვიძა.

მაგრამ ის, რაც გორაკზე ასვლისას თვალს მოხვდა ეუცხოვა ირინეს და უნებურად ეკვი დაუბადა: ხომ არ შეცდნენ და სხვაგან ხომ არ მივიდნენ?

რომ არ შემცდარან. ამაში უმაღლვე დარწმუნდა. გორაკის წვერზე მოედანი შემოვლებული იყო ეკლიანი მავთულით, ეზოში შესასვლელ ჭიკრის თავზე კი მიკრული იყო მოყვითალო აბრა, რომელზედაც შავი დიდი ასოებით ეწერა: „ახალი კონკორდია“. ამის ქვემოდ უფრო პატარად: „ღვინისა და კონიაკის ქარხანა სიმონ ბეროშვილისა“. ხოლო სულ ძირში კიდევ უფრო პატარა ასოებით: „ფარმა დაარსებულია 1917 წელს“. აბრის ნაპირებზე მოხატული იყო მსხმოიარე ვაზი.

გარედან ქარხნის შენობა დიდ თავლას უფრო გავდა. ერთ ადგილას კრამიტის სახურავზე თავი ამოეყო საკვამლე მილს. მამ ეს პატარა და ვიწრო მილი იყო, რომლის ქოშქოში ქალაქში ისმოდა? საკვირველი იყო, საიდან ჰქონდა ამ მღივ ნაწლავს იმოღვნა ხმა!

შენობის კედლები თეთრად შეღებილი იყო, ალავ წვიმას ჩამოერეცხა და ტალახისფერი ზოლებით დაესერა. გარშემო ეყარა კასრები, რალაც ყუთები, ტეჩები. ერთ ადგილას ეზოში მზეზე ლურჯად ბზინავდა დამსხვრეული ბოთლების მთელი გროვა.

სიმონმა კანტორის ფანჯარიდან მოჰკრა თვალი ეზოში შემოსულ მამაშვილს,

მაშინვე მიაგდო დავთრები და გარეთ გამოვიდა.

— მასიამოვნეთ, კეშმეტიტილი მსყვე მოვნეთ! — მხიარულად შეეგება ორხვეს. — რას მივაწერო, რითი ავსხნა თქვენი ამგვარი ყურადღება?

გიორგიმ მოიბოდიშა:

— აქამდისაც უნდა მოვსულიყავით... ამაში დამნაშავე ვართ, თქვენი გულკეთილობის იმედი მაქვს, გვაპატიებთ...

— კი, ბატონო, მიპატიებია! — გადიხარხარა სიმონმა. — რაღი ასეთი პატივი დამდეთ და თქვენი მობრძანების ღირსი გამხადეთ, ამიერიდან საყვედური აღარ მეთქმის!

სიმონი გულწრფელად ნასიამოვნები იყო მათი მოსვლით. ამასთანავე ეჩვენა, რომ ისინი ჩვეულებრივზე უფრო კარგად იყვნენ ჩაცმული, თითქოს საგანგებოდ გამოწყობილიყვნენ და საზეიმო მოვლენად თვლიდნენ აქ სტუმრობას.

— კი ვერაფრით გაგაკვირვებთ დიგამებთ, მაგრამ ნუ დაიზარებთ, შემობრძანდით, ჩემი საწყალი ქარხანა ინახულეთ... აქეთ, აქეთ! — ხელი ჰკრა კარებს და სტუმრებს შეუძღვა.

„საწყალიო“ — ისე თქვა, თითქოს განზრახ გააღარბა, თორემ სინამდვილეში სულ სხვა რამეს ნახავდნენ.

პატარა, ვიწრო ოთახში, რომელიც კანტორას წარმოადგენდა, უბრალო მაგიდა და რამდენიმე ტაბურეტი იდგა. კედელზე მიღურსმული იყო ფარადებით ნაბეჭდი ორი სარეკლამო პლაკატი. მაგიდაზე ეწყო დავთრები, რალაც ხელწერილები, საანგარიშე. კუთხეში მიდგმულ ღია კარადის თაროებზე ელაგა უჩვეულო მოყვანილობის შუშები და სხვადასხვა ზომის სპილენძის სარწყაოები. ოთახის ერთ მხარეს კედელს დატანებული ჰქონდა დაბალი კარი, რომელზედაც ჩვეულებრივი რკინის სახელურის ნაცვლად ხის ნაქერი იყო მიჭედებული.

სიჩუმე იყო, არსიდან ხმა არ ისმოდა. სიმონი მოუსვენრად იჯდა და, თითქოს ვილაცას ან რალაცას ეძებდაო, გარშემო იხედებოდა.

— ასეთი, პატივსაცემი ადამიანები

მეწვეით და, რა ვქნა ახლა მე, რით გასიამოვნოთ! მგონი შეერცხვი კაცი და ეგაა!

თავისი ტაბურეტი ახლო მისწია ირინესთან და ღიმილით მიმართა:

— ოღონდ ერთ რაიმეში გადანაშაულებ, ქალიშვილო... უნდა გაგეფრთხილებიეთ... ამაზე არ შემიძლია საყვედური არ მოგახსენოთ. ხა-ხა-ხა!

გიორგიმ დააპირა რაღაცა ეთქვა და ირინე უნებურად შეერთა: მამამ თავის გასამართლებლად არ უამბოს, თუ როგორ შემთხვევით მოეხვდით აქო. ამით ხომ სრულიად გაქარწყლებოდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მათ მოსვლას მოეხდინა.

ეს მოსალოდნელი უხერხულობა ირინემ იმით აიცდინა, რომ მამას დაასწრო და სწრაფად ჩაურთო სიტყვა:

— კარგ ადგილზეა თქვენი ქარხანა. ენოც მოზარდილი ჰქონია, ასე რომ მომავალში გაფართოების საშუალება გექნებათ...

— ნამდვილს ბრძანებთ, ქალიშვილო. ჩემი მიზანიც სწორედ ეგ ვახლავს! — თავის თავში და თავის მომავალში დაჯერებული კილოთი თქვა სიმონმა.

ბეროშვილს ესიამოვნა, რომ ქარხნის მდებარეობა შეაქო ირინემ და ამასთანავე ისიც ენიშნა, რომ მან პრაქტიკული ჰქუა გამოიჩინა.

„აზრიანი ქალიშვილი უნდა იყოს!“ — გაიფიქრა კმაყოფილებით.

— მერე როგორი სიმშვიდეა აქ, რა სიწყნარეა! — მოულოდნელად მოისმა თავდაპირველი ალტაცებით წარმოთქმული გიორგის სიტყვები. — ნამდვილი საგარაკო ადგილია!

ასეთი შექება კი მაინცდამაინც არ მოსწონებია ბეროშვილს. სწორედ ის არ სიამოვნებდა, რომ ახლა, როცა პირველად ეწვივნენ დიდ ქალაქში ნაცხოვრები და, ალბათ, იქ ბევრის მნახველი მისი მღვმურები, ქარხანაში სიწყნარე იყო და დაუქმებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— ჰო, სიჩუმეა, — უგუნებოდ დაა-

დასტურა სიმონმა, — მაგრამ ეს დროებითი ამბავია. მოგეხსენებათ, ჯერ სეზონი არ დამდგარა. მალე კი, შემოდგომაზე, თქვენც ნახავთ, ისევ აგუგუნდება აქაურობა.

სახეზე კმაყოფილების იერმა გადაჰყრა და საქმიანი კილოთი განაგრძო:

— ბედს არ ვემდური, საერთოდ საქმე ურიგოდ არ მიდის. მაგრამ ბევრად უკეთესად იქნებოდა, რომ ათასნაირი ხელის შეშლა არ მქონდეს. როგორადაც კი მოეხერხებათ, ხელ-ფეხს მიზორკავენ. ადგილობრივ მთავრობაზე მოგახსენებთ... საშუალებას არ მაძლევენ ჩემს ნებაზე ვიმუშაო. ეს ესაო, ის ისაო, ის ისაო და, ბოლოს რა გამოდის? მეც მაკლდება და იმათაც...

ადგა, მაგიდაზე დაყრილი ქალაღდები გადაქექა და რამდენიმე ფურცელი გიორგის ხელში შეაჩეჩა.

— ჰა, აგერ, თქვენც ნახავთ და დარწმუნდებით... დღე ერთია და ორი-სამი ასეთი განკარგულება მომდის ქალაქის საბჭოდან და პროფკავშირიდან... მუშების ხელფასიო, შრომის დაცვის წესებიო, ტარიფიო და, რა ვიცი რამდენი სხვა ამგვარი მოთხოვნილება... ისე გამოდის, რომ მე უნდა ვიყო ჩემი მუშების სამსახურში. გაგიუღები კაცი, იმათ რომ ყური უგდო, მაგრამ მოდი შენ და ყურს ნუ დაუგდებ... იცოდეს ღმერთმა, არ მინდა, მარა რა ვქნა, იძულებულს მხლიან სხვადასხვა ხრიკს მივმართო ხოლმე. უამისოდ შეუძლებელია...

ბოლო სიტყვები ხმადაბლა წარმოთქვა და ჩუმი სიცილიც დააყოლა:

— ამას თქვენთან თუ ვიტყვი, თორემ სხვასთან როგორ გავამხელ. მაგრამ არა უშავს რა, ყველაფერს გავუძლებ. ისინიც თანდათან დათმობაზე წავლენ და, ერთი დროც მოვა, შეიგნებენ, რომ მწარმოებელს სრული თავისუფლება უნდა ექნეს. ასე ყოფილა, ასე იქნება.

მერე ისევ ირინეს გვერდით ჩამოჯდა და უკვე ხმამაღლა, მხნედ თქვა:

— ჰოდა, ჩემო კეთილებო, ორ-სამ წელიწადში, მოგეცათ ლხენა, ისე გავაკართო, ისეთი ქარხანა წამოვიკიმო,

რომ თქვენი მოწონებული... თქვენი თვალთ ნახავთ. ნახავთ, კი!

— ეს ისე თქვა, რომ, ეტყობოდა, იღუპალ ძველ ოცნებას უზიარებდა მათ. ახლა ის შეკუთრებდა ამ ლამაზ ქალიშვილს და, რატომღაც, სიამოვნებდა, რომ თავის გულისნადებს მას უმეტავენებდა. ამ წუთში ისიც კი ეჩვენებოდა, რომ უკვე მიაღწევდა საწადელს და არა თუ მიაღწევდა, ყოველივეს მალე და ადვილად შეისრულებდა. სიმონი მზად იყო თუნდაც აქვე გადაეშალა ირინეს წინაშე მთელი თავისი გეგმები.

„შკუის კოლოფია... მიხვდება, გაიგებს და კიდევაც მოიწონებს“ — დარწმუნებული იყო ის.

— ღმერთო მომკალი, მგონი თავი მოგაწყინეთ ჩემი უთავებლო ლაპარაკით! — უეცრად წამოღგა სიმონი და მამა-შვილს მოზოდიშებით გადახედა. — აბა, თქვენთვის რა სასიამოვნო უნდა იყოს რაღაც მეურნეობაზე საუბარი!

შვინიც პატარა კარი გაიღო და კანტორაში შემოვიდა თეთრხალათიანი ახალგაზრდა კაცი. მან ყურადღებაც არ მიექცია ოთახში მყოფთ, პირდაპირ კარდას მიამურა, რაღაც შუშა გამოიღო, ფანჯრის სინათლეზე გახედა და გამობრუნდა.

— ჩემი აგრონომი გახლავთ, მერაბ თაბაგარი! — მიმართა სიმონმა თავის სტუმრებს. — კარგი, სასიამოვნო აღამიანი...

თაბაგარი შეჩერდა, თვალი მიმოავლო უცნობებს და თავისი დიდი ხელი გულგრილად გაუწოდა ჯერ გიორგის, მერე ირინეს.

ის იყო ვეებერთელა, ახმახი კაცი. მოკუტულო, წაბლისფერი თვალები და შავგვრემანი ლოყსავესე სახე, როგორც მხოლოდ ქაბუკებს აქვთ, ძალზე ახალგაზრდულ იერს აძლევდნენ და ამის გამო კიდევ უფრო ეცემოდა თვალს მისი გოლიათური გარეგნობა. პირველი შეხედვით ის, მართლაც, ქაბუკად, რაღაც შეუსაბამო ქაბუკად ეჩვენებოდა ყველას, თუმცა უკვე ოცდაათს იყო მიღწეული.

თაბაგარი, თითქოს უხერხულობას გრძნობდა, გაუბედავად კიდევ ერთი იცოდა რა ექნა, — წასულსცოცხლეთ ცოტა ხანს კიდევ დაეცადა.

— შენი სტუმრები ვართ, მერაბ ჩემო, — უთხრა სიმონმა. — ახლა შენ იცი და შენმა მარფათმა, რა მასპინძლობას გავცივქვ!

მერაბი უცბად ვერ მიხვდა რა მასპინძლობაზე ეუბნებოდა ქარხნის პატრონი და გულუბრყვილო გაკვირვებით მიშტერებოდა.

— მობრძანდით, ბატონებო! — პატარა კარის ხის სახეღურს წვდა სიმონი. — აგერ ჩვენი აგრონომი გავცივქვება და დაგვათვალეირებიებს ყველაფერს.

— წამობრძანდით... — უხალისოდ წაიდუღუნა თაბაგარმა და ქალიშვილს გზა უთავაზა. ეს ოტროველა კაცი, ცოტა არ იყოს, შემკრთალი და უკმაყოფილო ჩანდა ახლა.

სინათლეს მოკლებულ განიერ საამქროში ნოტიოს და ღვინის მძიმე სუნი იდგა. მალა კედელში გამოკრილი სარკმელიდან ვიწრო სვეტად დაშვებული მზის შუქი დანათოდა ბოთლების სარეცხავ მანქანას, სადაც ორი კაცი საქმიანობდა. იქვე ახლოს ფეშტემლიანი დამკლავებული მუშა დიდ ქვაბს ხეხავდა.

თაბაგარი ხმაამოუღებლად დაჰყვებოდა სტუმრებს და, ეტყობოდა, არ აბრებდა რაიმე განმარტება მიეცა მათთვის. სიმონმა თვითონ აეისრა წინამძღოლობა, მკლავში ხელი გაუყარა გიორგის და დაატარა იქაურობა.

— შემოძლია ვთქვა, რომ ეს საწინახელი ჩემი ხელითაა გაკეთებული, — შეჩერდა სიმონი კედლის სიგრძეზე გაჭიმულ ცემენტით შეღვსილ საწინახელთან. აქამდე მამაპაპური წესით ვწურავდით ყურძენს, ამ შემოდგომიდან კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მანქანის საშუალებით იწარმოებს ეს საქმე. მართალია ზემოტი ხარჯვა დამჭირდება, მაგრამ ოას იზამ, სეზონის მუშა ძნელი საშოვარი გახდა. წინათ რომ დღეში ათ შურად იქირავებდი მუშახელს, ეხლა ამ ფასად

თითის განძრევასაც აღარავენ კადრულობს, მაშინვე ტარიფს შეგაჩრთან ცხვირში. ასე მოგახსენოთ, სოფლის კაციც ერთობ დაეხარბა ფულს...

ჩაუარეს რაღაც როფებს, ბრეზენტის ნაჭრებით გადაფარებულ საარყე ქვაბებს. ირინე გულგრილად უცქეროდა ყველაფერს. მის ყურადღებას არაფერი იპყრობდა, თუმცა ბევრ რაიმეს პირველად ხედავდა.

— აქ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ლაბორატორია გახლავთ, — ხელი მიაშვირა ბეროშვილმა ერთ პატარა კუთხის ოთახზე, საიდანაც რაღაც აპარატები მოჩანდა. — ვერაა მთლად საკადრისად მოწყობილი, მაგრამ, რას იზამ, ჯერჯერობით ამით უნდა დაეკმაყოფილდე. მომავალში, რა თქმა უნდა, ამასაც გავაფართოებ და გავამდიდრებ. საჭიროების გარდა ქარხნის სახელი მოითხოვს ამას. ყველაფერი ღირსეულად უნდა გამოიყურებოდეს. უცხო ვინმე რომ ჩამოვიდეს, უცბადვე უნდა აღუძრას ფირმისადმი პატივისცემა... ასე არაა, ქალიშვილო? ა?

— სრული სიმართლეა! კარგად მოგიფიქრებიათ! — შვილის მაგიერ უდასტურებდა და უწონებდა გიორგი.

— ახლა კი, ჩემო კეთილებო, ჩემი გეგმით გაკეთებული სარდაფი მოვიწახულოთ! — გაბრწყინებულ სახით გაუძღვა სიმონი მამა-შვილს და იქ სადაც დაბლა ჩასასვლელი კიბე იწყებოდა, მუშას კარი გააღებია.

ქვევიდან სასაიამოვნო სიგრილე ამოდოდა, მაგრამ ისე ბნელოდა, სარდაფი ისეთი უძირო ჩანდა, რომ ირინე პირველივე საფეხურზე შეჩერდა და, როგორც კი მამაკაცები სიღრმეში ჩაიმაღლნენ, გამოტრიალდა და ეზოსკენ გაემართა.

გარეთ ცხელოდა. ეზოს თავში ამღლებულზე, ეკლის ხე იდგა და ირინემ ჩრდილს მიაშურა. ეს ადგილი გორაკის წვერი იყო და აქედან მთელი პატარხევი ხელისგულზე გადაშლილი მოჩანდა.

ირინე გარკვევით ხედავდა მკიდროდ დასახლებულ ორ გრძელ ქუჩას, რომელიც გასწვრივ მიჰყვებოდა მდინარეს

ვალმა და გამოღმა. აქ იყო ქალაქის ცენტრი. ჩრდილოეთით და სამხრეთით გორაკების შეფენებაზე ჩანდნენ ბაღჩა-ბაღების ეზოებში ჩადგმული ცისფრად შეღებილი აივნისანი ოდები. ხალვათად დასახლებული ქალაქის ეს ნაწილი სოფელს უფრო მიაგავდა. აღმოსავლეთით მიიწვედა მაღალი, ტყიანი მთების ჯაჭვი. ერთი მთის წვერზე ძველი ციხის ქონგურიანი გოდოლი ამართულიყო, თითქოს სუფთა ცის ფონზე მიუხატიათო. დასავლეთის მხრიდან განფენილიყო სიმიანის ყანებით აბიზინებული ველი და შემდეგ ქალა, რომლის დასასრული საღდაც შორს ნისლში იკარგებოდა. მთელი ეს მშვენიერ გარემო მზეში იყო გახევეული. ყველგან მყუდროება და სიმშვიდე იდგა.

დიდხანს გასცქეროდა სივრცეს ირინე. იქაურობა იზიდავდა მის თვალს, ხიბლავდა და, რატომღაც, სევდასაც გვრიდა. მეტისმეტად წარმტაცი და დიდი იყო ლალად გაშლილი ეს პირველყოფა. აქამდისაც მრავალჯერ განუცდია და დამტკბარა ირინე ბუნების სილამაზით, მაგრამ ახლა, თითქოს მისი საიდუმლო იგრძნო, უჩვეულოდ სხვანაირი წარმოუდგა... იქნებ მართლაც ასეთი იყო ის, ოცნებით მახლობელი, და თითქოს შორეულიც: თითქოს კეთილი და გულმისანდობი, და ამავე დროს ზეიადი და მიუწვდომელი. თითქოს ორი თანაბრად დიადი სიცოცხლე — აღამინი თავისი ბევრის დამტევი მოყვარული გულით და ეს უკვდავი სამყარო — ეხმიანებოდნენ ერთმანეთს და შეერთებულიყვნენ.

ირინეს ყურადღება უეცრად ვილაც ქალმა მიიპყრო. ის კარგი ტანადი იყო და ირინემ უნებურად გააყოლა თვალი. ქალმა ამოიარა ეზო და თამამად შეალო ქარხნის კანტორის კარი. ეტყობოდა, აქაურობა უცხო არ იყო მისთვის. რამდენიმე წუთის შემდეგ კანტორის ფანჯარა გაიღო და ისევ გამოჩნდა უცნობი, — რაფაზე ჩამომჯდარი, გვერდით მდგარ აგრონომ თაბაგარს ესაუბრებოდა. ერთი-ორჯერ მან ირინესაკენ გაიხე-

და ირინე მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, უხერხულობა იგრძნო, სახე იბრუნა და ისევ გარემოს მიაჩერდა... იგივე მთები და ველი იყო გარშემო, მაგრამ ახლა, რატომღაც, წინანდებული ელფერი შეცვლოდა იქაურობას. ის თითქოს გაფერქართალდა, თითქოს გადაამალა ის საოცარი ძალა, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ განუსაზღვრელად დიადი ჩანდა.

ერთხანს ისევ გასცქეროდა გარემოს, მერე გულგრილად მოაშორა თვალი და, მოწყენილმა, ეზოში გაიარა... აქაურობას ეტყობოდა, რომ მის მოვლაზე არავინ ზრუნავდა. მინდორი დაეფარა სარველას, გარშემო იყარა ნამსხვრევი ქვა, დაქანგული თუნუქის გვერგვები, აქა-იქ მიწა მელოტი იყო.

— აი, თერმე, სად ყოფილა! რაო, ვითომ, ქალიშვილი, რომ გავგეჟქვითო? — მოულოდნელად მოესმა ირინეს.

კანტორის ფანჯრიდან სიმონი გადმომდგარიყო. სახეზე ემჩნეოდა, კარგ გუნებაზე იყო.

მალე კარიც გაიღო და ჯერ უცნობი ახალგაზრდა ქალი და მერე სხვებიც გარეთ გამოვიდნენ.

სიმონმა ქალს ხელი ჩაჰკიდა და ირინეს შეაგება.

— ესეც ჩემი სტუმარი გახლავს, ბატონ გიორგის ქალიშვილი, ერთობ სასიამოვნო პიროვნება... ეს კიდევ ჩვენი ქეთინო, ჩემი აგრონომის მეუღლე! — ერთმანეთს წარუდგინა ისინი ბეროშვილმა. — ერთიმეორეს რომ დაუახლოვდებით, დარწმუნებული ვარ, სასიამოვნოდ დაჯრჩებთ ეს ნაცნობობა!

ირინემ პირველადვე კარგი თვალით შეხედა ახალ გაცნობილს. ქეთინო შესაბარებლად ჯანმრთელი ჩანდა. მისი შევეჯერმანი სახე, რამდენიმედ უბრალო, ბუნებაში გაზრდილ სოფელელ ქალიშვილს აგონებდა. ასეთები კი, ირინეს წარმოდგენით, ძალიან კეთილი და მისანდობი უნდა ყოფილიყვნენ. ამ ქალსაც ისეთი ღიმილი ჰქონდა, ისეთი სხივი ედგა თვალებში, რომ, უეჭველია, გუ-

ლითაც სუფთა იქნებოდა. წითლად დაწინწკლული თეთრი კაბაც ძალიან უხედებოდა.

— სარდაფში რომ ჩამოგვეყოლოდით, ქალიშვილო, პატრეს გცემდით, არ ისურვეთ და რა ვქნა! — ხელები გაშალა სიმონმა. — ისეთ ცივ შხაპუნას მოგართმევდით, რომ...

— თქვენ, მართლაც, შესანიშნავი ბიბლიოთეკა გქონათ! — სიტყვა ჩამოართვა გიორგიმ. — განსაკუთრებით საუცხოოა სამწლიანი თეთრი და ის შვინდისფერიც!

— მაგ ბიბლიოთეკით, ჩემო კეთილო, მართალია, სწავლა-განათლებას ვერ მიიღებ, მარა სულის და გულის გასახარებლად კი ვერავითარი წიგნი ვერ შეედრება, ჰოდა, მეც ადამიანის საკეთილდღეოდ ვზრუნავ, ხა-ხა-ხა!

ბეროშვილი ყოველთვის გულთან ახლო იღებდა ყველაფერს, რაც ქარხნის საქმიანობასა და ღირსებაზე ითქმობდა და, ეტყობოდა, ნასიამოვნები იყო გიორგის სიტყვებით. შექებით წაქვებულმა ბოლოს დაუმატა კიდევაც:

— ჯერ სად არის! მომავალში ნახეთ რა სახელი გაითქვას ჩემმა ფირმამ! ხომ ასეა, მერაბ ჩემო? ა?

მერაბმა პასუხის ნაცვლად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— შე მამაცხონებულო, უბრალო დასტურის მოცემაც დაგენანა? — ხუმრობანარევი საყვედურით ჩაიბუზღუნა სიმონმა და ისევ სიცილით მიუბრუნდა სტუმრებს: — ამგვარი ადამიანის მნახველი არ ვარ... თუ გინდა მთელ დღეს იმუშავეს თავაუღებლად, ერთი პატარა თქმა კი ისე უჭირს, გეგონება, მთელ თავის ავლადიდებას იმეტებსო...

ქეთინო ქმარს გამოესარჩლა:

— ტყუილად ამბობთ აუგს ჩემს მერაბზე. ნუ სარგებლობთ იმით, რომ ის ძალიან კეთილია და გულის მოსვლა არ იცის...

ხუმრობით ამ ნათქვამში მაინც იგრძნობოდა წყენა. ირინეს მაშინვე ენიშნა, რომ ქეთინოს უყვარდა ქმარი.

რამდენიმე წუთის შემდეგ თუხარე-

ლები ჰიშკრისკენ გაემართნენ. სიმონი ისე დაემშვიდობა მათ, თითქოს ძვირად სანახავ ვინმეს ისტუმრებდა.

— რაღაი / ნავსი გასტეხეთ, იმედი მაქვს აწი ხშირად ვნახავთ აქ! — ღონივრად ანჯღრევდა ხან შამის, ხან ქალიშვილის ხელს. — დიდად დამავლებთ, დიდად!

მოხუცი თუხარელი გზაში ერთხანს სიმონის დახვედრის შთაბეჭდილებებით იყო ჩვეულებრივზე უფრო მხნედ მიაბიჯებდა, სახეზე კმაყოფილება გამოსახოდა და, კარგ კუნებაზე მყოფი, უფრო თავის თავს ეუბნებოდა:

— გულითადი ადამიანია, საქმიანი და ნიჭიერი. უეჭველად ნიჭიერი! აი, მე მიუთქემს, ის ძალიან წინ წავეა ცხოვრებაში!

ერთი-ორჯერ ჩაილიდნა კიდევაც ირინეს ეჩვენა, რომ მამას ზედმეტად გაესინჯა თეთრი და შვინდისფერი და ღმილით შეაპარებდა ხოლმე თვალს.

მაღალი ხეებით დაჩრდილულ დაღმართში გრილობდა. ჰრიჭინების ვაბმული ხმა ისმოდა.

— რა ღლეა, რა მშვენიერი ღლეა! — რამდენჯერმე წამოიძახა ყველაფრით აღტაცებულმა გიორგიმ.

სიცხე მაშინვე დაიწყო, როგორც კი ქალაქში ჩავიდნენ, მზე თვალისმოპკრელად ლალაპებდა სახურავებსა და ქვაფენილზე. ქუჩაში იშვიათად თუ ვინმე გამოჩნდებოდა. ის დრო იყო, როცა მოქალაქენი ხვატის დაცხრომამდე გადახურულში დალოდინებას რჩებოდნენ. ერთი-ორი საათით ქალაქი გახიზნულ ადგილს ემსგავსებოდა.

როდესაც თავის სახლს დაუახლოვდნენ, ირინე დაწინაურდა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა გზას. ეზოში ჩრდილი და სიგრილე ელოდებოდა. თითქმის სირბილით ჩაათავა პატარა ჩიხი, მოუთმენლად ხელი ჰკრა ჰიშკარს და შევიდა.

კაკლის ხის ძირში მერხზე ჩამოჯდარი ორი მამაკაცი დაინახა. ერთი მაშინვე იცნო — ეანი იყო. მეორე, ზურგშემოქცევით რომ იჯდა და პაპიროსს ეწეოდა, უცხოვდ ეჩვენა.

ჰიშკრის ჯახუნზე იმ მეორემ შოიხედა და წამოდგა.

ის გივი აღმოჩნდა.

მისი დანახვა ისე წარმოუდგენელი და მოულოდნელი იყო ირინესათვის, რომ პირველად არც კი დაუჯერა თვალს.

— ვერ მიცანი თუ როგორაა? — გაღიმებული სახით და ხელებგაწვდილი შეეგება გივი.

სიხარულისაგან ატაცებული ქალიშვილი გულმხურვალედ გადაეხვია.

— მოგიყვანეთ ნათესავი, — თქვა ეანი. ეტყობოდა კმაყოფილი იყო თავისი თავით, რომ სამსახური გაუწია ირინეს, — სადგურზე მატარებელს დაეხვდი. ვხედავ უცნობმა ახალგაზრდამ მომამურა და თქვენი ქუჩა მკითხა... ქუჩაც ვიცი და ქალბატონ ირინესაც ვიცნობ-მეთქი. ჰოდა...

კიდევ რაღაცას უამბობდა, მაგრამ ირინე ყურს არ უგდებდა. ეანი ახლა სრულიად ზედმეტი იყო აქ. ეს თვითონაც მალე იგრძნო, წასვლა დააპირა, მაგრამ ზრდილობისათვის დარჩენა შესთავაზეს და იმასაც თავპატყვი აღარ გაუღვია.

ეანი სადღესასწაულოდ იყო მორთული და მოკაზმული. ახლად გაუთოვებულ თეთრ პიჯაკზე ოდესკალონიც კი მოესხურებია და მძაფრი სუნი ასლიოდა. ღია, ყვითელი ფერის ფეხსაცმელი გაპრიალებული ჰქონდა: ეანი ძალიან უფრთხილდებოდა თავის ჩაცმულობას. როცა ირინემ დაჯდომა შესთავაზა, მან ცხვირსახოცი დააფინა მერხზე, ფრთხილად დაეშვა და რამდენჯერმე აქაჩა თავისი თეთრი შარვალი, რომ მუხლებზე ზოლი არ გაეტეხნა.

გიორგი მისთვის ჩვეული აღტაცებით შეხვდა გივის და სიხარულის ცრემლიც კი მოერია. ეანსაც მაღლობა გადაუხადა ყურადღებისათვის.

— თქვენ რომ არა, ვინ იცის, როგორ გაწვალდებოდა ჩემი გივი ჩვენს ძებნაში!

— რა გამაწვალებდა, ძია გიორგი? — მხიარულად შეეხმინა გივი. — ქალაქი

პატარა, თქვენი სახლი კი, როგორც ჩანს, აქ ყველამ იცის!

გივი დარწმუნებული იყო, რა თქმა უნდა, რომ ირინეს გაუხარდებოდა მისი ნახვა, მაგრამ ასეთმა საერთო გულწრფელმა დახვედრამ კიდევ უფრო გამხსნევა და ყოველგვარი უზერხულობა უმაღვე გაუქარწყალა.

ის ამბავი, რომ გიორგის ძია უწოდა, უფროსისადმი მხოლოდ ჩვეულებრივი პატივისცემა არ ყოფილა. იგი მართლაც ენათესავებოდა მათ, თუმცა შორეულად. გარდა ამისა გიორგი და გივის მამა მეზობლად ცხოვრობდნენ, მათი შვილები ბავშვობაში დაახლოებული იყვნენ და ხშირად ერთად ატარებდნენ დროს. მეორე, როცა გიორგიმ თავის ცოლის დასთან საცხოვრებლად გაგზავნა ირინე ზღვისპირის ქალაქში, ბავშვები დაშორდნენ ერთმანეთს. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ირინე დაბრუნდა მამასთან, ახალგაზრდები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთი უკვე ტანაყრილი კბაუკი იყო, მეორე — წამოჩიტული ქალიშვილი, მათ შორის ძველმა მეგობრობამ ისევ გაიღვიძა, ამ მეგობრობას კიდევაც აქეზებდნენ უფროსები, მაგრამ ახალგაზრდების ეს დაახლოება, მათთვისე შეუძინეველად, სხვა ურთიერთობაში გადაიზარდა.

გიორგი კითხვას კითხვაზე აყრიდა გივის, ეკითხებოდა თბილისის და ნაცნობების ამბავს. გივი მოკლე პასუხებს აძლევდა, ხანდახან ერთსიტყვიანსაც. ირინეს ეჩვენა, რომ ის უგუნებოდ იყო. თითქოს სევდაც შენიშნა მის თვალებში. მგზავრობისაგან დაღლილობას მიაწერა ეს ამბავი, აღარ მოეკრიდა მამას და ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— ხომ ხედავ, ეხუქება თვალებში ყველაფერს აჯობებს. თუ მოვუსვენებთ ახლა.

აილო მერხთან დადებული პატარა ჩემოდანი, ხელი ჩაჰკიდა გივის და თავის ოთახისკენ წაიყვანა.

— ეს როგორ მოხდა, რომ თავი მოიძულე და ჩამოდი? შენ ისეთი ზარმაცი ხარ, პატარა ბარათის გამოგზავნაც გე-

მძიმებოდა. უცაბედად თუ გამიხსენებდი ხოლმე. და უეცრად, ბარათი კი არა, თვითონ გაჩნდი აქ! ახლაც თვალებს არ უუჯერებ. არა, შენ თურმე კეთილი ყოფილხარ! — სიხარულისგან აფრენილი ელურტულებდა ირინე.

რამდენიმე თვე გავიდა მხოლოდ, რაც გივის არ ენახა ირინე და ახლა ისე ეჩვენებოდა, რომ ამ ხანში ის გამოცვლილიყო, თითქოს დაქალებულიყო. მოსწონდა, ასეთს რომ ხედავდა. უნდოდა ეთქვა კიდევაც, მაგრამ რატომღაც ვერ ვაბედა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— თითქოს ის აღარ ხარ, რაც იყავი...

ირინე ვერ მიუხვდა და ეოცა.

— რა? რა თქვი?

გივი ჩუმად იჯდა და ალერსიანად შეჰყურებდა.

— შენ გინდა თქვა, რომ წავეხდი? — გატბუნებული მისჩერებოდა ირინე. მივიდა მასთან და ხუმრობით თმა აუწყეწა. — პროვინციელ ქალიშვილს დავემსგავსე, არა?

გივიმ დააპირა თავისკენ მიეზიდნა, მაგრამ ირინემ მაშინვე მოიცილა მისი ხელები.

— არა უშავს რა, მალე ისევ თბილისში ვიქნები და ძველ სახეს მივიღებ... ან იქნებ სულერთია შენთვის, დავბრუნდები თუ არა?

— შენ როგორ გგონია? — ღიმილი არ შორდებოდა გივის სახეს.

ირინემ ხმა არ გასცა და შეეცადა ისე ეჩვენებინა თავი, რომ ნაწყენი იყო, მაგრამ ოინი ვერ გამოუდიოდა, ხმა და სახე მხოლოდ სიხარულს ამჟღავნებდნენ.

ფანჯრიდან თვალი მოჰკრა — გიორგი კიშკრიდან დაემშვიდობა ეანს და სახლისკენ გამობრუნდა.

— აბა, მოისვენე ახლა! — აჩქარდა ირინე. — ეხედავ, დაღლილი ხარ. ლაპარაკს შემდეგაც მოვასწრებთ!

უეცრად აეოცა და სწრაფად გავიდა ბაღში.

— ძალიან მასიამოვნა გივიმ, რომ მოგვინახულა! — წამდაუწყებ ამბობდა გიორგი. — გულითადი ახალგაზრდაა. ბავშვობიდანვე ასეთი იყო!

მისი რჩევით საჭირო იყო სადილზე სახლის პატრონიც მოეწვიათ.

— აბა რა საჭიროა! ის ჩვენთვის უცხოა და თავისუფლად ვერ ვიქნებით. გვიცი ვერ გამოჩანავს მასთან საერთო ენას. — ყოყმანობდა ირინე. — თუმცა, როგორც გნებავდეს. მოვიპატიოთ, — დათანხმდა ბოლოს.

სადილი კარგი გამოვიდა. სიმონმა გაკვირვება გამოთქვა ირინეს დიასახლისობით, თუხარელების ნათესავსაც ყურადღებით მოეპყრა, ხშირად თვითონ უესებდა ჭიქას და, ბოლოს, შესთავაზა კიდევაც ზაფხული პატარხევში გაეტარებია.

— სიტყვას გაძლევ, ყმაწვილო, გასიამოვნოთ რითაც შეგიძლებთ. ეს ჩემი საპატივსაცემო სტუმრებიც გაერთობიან, თორემ, ასე ვგრძნობ, თქვენი ბიძაშვილი მოწყენილია და გაქცევაზე უკირავს თვალი. ასე არაა, ქალიშვილო? მარა, ნურას უკაცრავად, ვერ გაგიშვებთ! ჩვენი ტყვე ხართ ამ ზაფხულზე!

სიმონმა ბოლო სიტყვები ხითხითით წარმოთქვა. ჯერ კიდევ სანამ დასხდებოდნენ, ეტყობოდა ნასვამი მოსულიყო შინ, სადილზე ჭიქას არ სტოვებდა დაუცლელს და რაც დრო გადიოდა, უფრო თამამი ხდებოდა.

— უნდა დავითანხმოთ გივი, უნდა დავტოვოთ! — კვირს უკრავდა გიორგი. — ჩემს ირინეს ამაზე უფრო არაფერი გაახარებს. თქვენ წარმოდგენილი არ გაქვთ, რა შეგობრები არიან!

— ჰოდა, მამ შეგვკრათ ყველამ პირი და საერთო ძალით დავაბათ თქვენი ქალიშვილი... ფრთები უნდა შევაკრათ, თორემ გაგვიფრინდება, ნამდვილად გაგვიფრინდება! — ხარხარებდა სიმონი.

სადილი განანგრძლივდა. კარვად დაღამებული იყო, როცა აიშალნენ და ბაღში გავიდნენ.

ირინეს დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდა მხიარულ გუნებაზე მყოფი უფროსების უთავბოლო ლაპარაკი, გივის დამარტოხელებაც უნდოდა და, როგორც კი დრო იხელთა, ქალაქში სასერიოდ გაიყვანა.

— შენი სახლისპატრონი ხნიერ კაცად მყავდა წარმოდგენილი, ის კი, თურმე, ახალგაზრდა ყოფილა. ბევრი-ბევრი 35 წლის იქნება, — თქვა გივიმ, როცა ქუჩაში გავიდნენ.

— გარეგნულად ამდენსაც ვერ მისცემ, მაგრამ... მაგრამ ის... არ ვიცი როგორ გითხრა... ისეთი მეჩვენება ხოლმე, თითქოს ძველი დროიდან შემთხვევით შემორჩენილი ადამიანია... განა ასე არაა?

შაბათი საღამო იყო. ქუჩები ჩვეულებრივზე უფრო გამოცოცხლებულიყო. საღამო აქ საერთოდ გრილი იყო და გარეთ ერეკებოდა ხალხს.

რაც უფრო ახლოვდებოდა ხიდი — პატარხეველთა მიერ ძველიდანვე სასერიოდ აჩემებული და საყვარელი ადგილი — მეტი და მეტი ხალხი ჩანდა.

გზადგზა ირინე უამბობდა გივის პატარხევში გატარებულ დღეებზე.

— ძალიან მოსაწყენი ცხოვრება კი გვაქვს. ნაცნობებიც თითზე ჩამოსათვლელია. ამბობენ, კარგი ოჯახები და საინტერესო ახალგაზრდები არიანო აქ. მაგრამ, მართალი გითხრა, არც ვცდილვარ ნაცნობობა გამება. აქ საშუალება არ გვაქვს ჩვენც მივიღოთ ვინმე და მაგიერი პატივი ვცეთ. გარდა ამისა, ჩვენ ხომ კიდევ ერთი, დიდი-დიდი ორი თვე დავრჩებით ამ ქალაქში. მამას კი, მალეობა ღმერთს, გამოუჩნდნენ ისეთები, რომლებთანაც საუბარში ერთობა ხოლმე. ხომ იცი მისი ამბავი, ძალიან მცირედიდაც კმაყოფილდება... — და ირინემ გაიხსენა ბუკინისტი არაბიძე, ეს თავისებური მეოცნებე მოხუცი, ლენტორი, აფთიაქარი საყანელი და ბოლოს აიან ენაძე, რომელზედაც ღმობიერი ირონიით თქვა, სახელგანთქმული არტისტია, თუმცა არავის ახსოვს სცენაზე მისი თამაში.

— არ ვიცი რით არის აგრე სახელგანთქმული, წამოიძახა გივიმ, — მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაური კაცი რომ ყოფილა, ამის გაგება არ გამძნელებია. ჩვენი გაცნობის პირველ წუთშივე გული გადამიშალა, გამენდო, რომ ოცნებობს

გაიქცეს აქედან და შემდეგ სახელი და დიდება მოიხვეჭოს. სიმართლე გითხრა, სასაცილო კაცად მეჩვენა, თანაც შემეცოდა. ვინ იცის, იქნებ მისი უცნაურობანი და ბოდვა რაღაც სევდის ნაყოფია...

ხილს რომ დაუახლოვდნენ, ირინემ ჯერ კიდევ შორიდან თვალი მოჰკრა მერაბ თაბაგარს, მერე მისი ცოლიც დაინახა, მივიდა მათთან და გივიც გააცნო.

ირინეს გულწრფელი სიხარული აღბეჭდოდა სახეზე. ქეთინომ უმაღლეს შემინია ეს და თვითონაც გულდიად მიესალმა. მხოლოდ რამდენიმე საათს გაევილო, რაც პირველად ნახეს ერთმანეთი და უკვე შეგობრებივით შეხვდნენ ახლა.

გზა ერთად განაგრძეს, ჩაათავეს ქუჩა და ხილზე გადაიარეს. აქ ბევრი მოსეირნე იყო. რამდენიმე ადგილას ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ხმაბალა ლაპარაკი და ალაგ ტკბილი ლილინი ისმოდა.

ირინეს აქამდისაც უნახავს ყველაფერი ეს, როცა მამასთან ერთად გაუვლია ხოლმე. მაგრამ ახლა ისე ეჩვენებოდა, რომ ამგვარი კარგი საღამო ჯერ არ ყოფილა და რომ დღეს განსაკუთრებულად გახარებული იყო ყველა. ისიც კი ფიქრა, პატარხევს თავისებური ეშხი და მიწოდველობა აქვს და აქაურები გული-სხმიერები და კეთილი არიანო.

— მოგწონს, არა? ხომ მოგწონს? — ხალისით მიმართა გივის, დარწმუნებულმა, რომ ისიც ასევე ფიქრობდა.

ქეთინომ შესთავაზა ქალაქის ზემო ნაწილისაკენ გაეელოთ და ოთხივენი ფერდობს აუყენენ. ქალები წინ მიდიოდნენ. გივი გვერდით მიჰყვებოდა მძიმე ნაბიჯით მიმავალ მერაბს.

— უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის სიამოვნებით ვუცქერ ჩვენს ახალგაზრდობას, როცა საღამოხანს ქალაქში გავივლი ხოლმე, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ენა ამოიდგა თაბაგარმა. — თქვენ არ გეგონოთ, რომ ისინი ყოველთვის ასეთი უზრუნველები არიან. არა, სრულიად არა... არა თუ მხოლოდ ახალგაზრდობა, ამ დროს, შესაძლოა, ისე მოეჩვენოს ვინმეს, რომ მთელი პატარხევი

ფუქსავატი და დიდ ცხოვრებას მოწყვეტილია. ნამდვილად კი ასე არ გახლავს. დღით აქაურობა სულ სხვანაირია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი კუნთები დაქიმული აქვს...

„ეს აყლაყულა კაცი, აღმათ, ადგილობრივი ფილოსოფოსია“ — გაიფიქრა გივიმ.

— თქვენც მალე ნახავთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენმა ქალაქმაც ახალ ცხოვრებას მიჰყო ხელი, — განაგრძობდა შერაბი თავისი ბოხი მშვიდი ხმით. — რაც ეს ახალი დაიწყო, სულ რამდენიმე თვეა, მეტი ხომ არა; ასეთ მოკლე დროში, მართალია, ბევრს ვერაფერს გააკეთებ კაცი, მაგრამ რაც გაკეთდა, ისიც დილია... უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პატარხევი თავისებური ტრადიციების კუთხეა. და უეცრად კი—მთელი ამ ძველის რღვევა, და მერე როგორი რღვევა...

გივი ხმაგაქმენდილი მიაბიჯებდა.

— მგონი თავი შეგაწყენით, — მოიბოდიშა მერაბმა.

— რასა ბრძანებთ, პირიქით, ყურადღებით ვისმენთ! — გამოცოცხლდა გივი.

მერაბს უნდოდა კიდევ ელაპარაკნა თავის საყვარელ ქალაქზე, ბევრი მისი სიკეთე გამოეჩინა დედაქალაქიდან ჩამოსულ უცხო ჰაბუკის წინაშე, მაგრამ იგრძნო, მსჯელობით თავს შეაწყენდა და მხოლოდ ეს დაუმატა:

— ჩვენს პატარხევს მრავალი შესაძლებლობა აქვს წინ წავიდეს და თავი ისახელოს...

ნელი სიარულით შეუმჩნევლად მიჰყვებოდნენ აღმართს. რაც ზევით იწვედნენ, იქაურობა უფრო და უფრო ჰკარგავდა ქალაქის იერს. სახლები შორი-შორს იდგნენ, უმეტესად ბაღები იყო ვაშენებული, ქუჩებიც ვიწრო და ალაგ ხეებით ისე დაბურული, რომ ძლივს ჩანდა გზა.

— აქ მართო გავლას ვერც გაგებდავდი! — ჩაილაპარაკა ირინემ.

— რატომ! — გაიკვირვა ქეთინომ. — მე ბავშვობიდანვე ვცხოვრობ ამ უბანში და, ვინ იცის, რამდენჯერ გვიან ღამით

გამივლია ეს გზა. აგერ ჩვენი სახლიც—  
გაიშვირა ხელი სიბნელეში.

თაბაგრები ცხოვრობდნენ ფერდობის  
განაპირას, იმ სახლში, რომელიც ქეთი-  
ნოს დეიდას ეკუთვნოდა. ეს იყო არც  
თუ პატარა აგურის შენობა, სწორედ იმ-  
დაგვარი, როგორსაც ჩვეულებრივად  
იშენებდნენ ზემოუნელები. უმეტეს  
შემთხვევაში აქ სახლდებოდნენ ის გლე-  
ხები და წვრილმანქსაკუთრე აზნაურე-  
ბი, რომლებიც სოფელს გამოქცეოდნენ  
იმ იმედით, რომ ქალაქ ადგილას უკეთე-  
სად მოაწყობდნენ თავის ცხოვრებას. ქა-  
ლაქში ისინი არავითარ სამუშაოს არ  
ერიდებოდნენ, ოღონდ არსებობის რაი-  
მე წყარო გაეჩინათ; დღიურ მუშად ქი-  
რავდებოდნენ, ხელოსნობას მისდევ-  
დნენ, წვრილ ვაჭრობას იწყებდნენ. ვი-  
საც ბედი გაუღიმებდა და საჭირო ფულს  
მოუყრიდა თავს, ყიდულობდა განაპირა  
უბნებში ნაკვეთს და თავისთვის ბუდეს  
იშენებდა. ერთი იმათგანი, ვინც პატარ-  
ხევს შეეხიზნა, ქეთინოს დეიდის ქმარიც  
იყო. ხელობით დურგალს, მას თავიდან-  
ვე კარგად წაუვიდა საქმე, რამდენიმე  
წლის შემდეგ კიდევაც შესძლო ეყიდა  
მიწა და სახლიც დაედგა. ის თითქმის  
ბედნიერად თვლიდა თავს, ოცნებობდა  
უფრო უკეთესად მოეწყო მომავალში  
თავისი ცხოვრება, მაგრამ თავდაუზოგავ  
ჯაფაში გატარებულმა წლებმა მალე მო-  
სტეხეს, დაასწულეს და, ჯერ კიდევ  
ახალგაზრდა კაცი, სიცოცხლესაც გამო-  
ასალმეს. მის დაქვრივებულ ცოლს, რო-  
მელსაც მარტო ყოფნა უმძიმდა, აზრად  
მოუვიდა ეშვილა ვინმე და ამ განზრახ-  
ვით ქეთინო გამოსთხოვა თავის მრავალ-  
შვილიან დას. სოფლიდან ჩამოყვანილი  
ბავშვი დეიდამ ისე შეითვისა, როგორც  
საკუთარი, და ნამდვილი დედობრივი სი-  
ყვარულით ზრუნავდა მასზე. როცა ქე-  
თინო დაქალიშვილდა და მერაბს შით-  
ხოვდა, დეიდა ერთხანს უკმაყოფილო  
იყო შვილობილის არჩევანით, გულცი-  
ვად მიიღო სიძე, მაგრამ რაც დრო გადი-  
ოდა, თანდათან შეეცვალა აზრი. მერაბ-  
მა საოჯახო საქმეშიც უნარი გამოიჩინა,

სიბერეშეპარებული შენობა შეიახლა,  
შუშაბანდი მიუშენა, შეღება, და ახლა  
სახლი ბევრად უკეთესი ჩანდა, ვიდრე  
ოდესმე. ის პატარა ეზოც, სადაც წინათ  
მხოლოდ ერთი საჩრდილობელი თუთის  
ხე იდგა, ხილნარად აქცია. დედაბერი  
უსაზღვროდ გახარებული იყო სიძის  
ასეთი გარჯილობით და ლოცავდა ხოლ-  
მე იმ დღეს, როცა მერაბმა ფეხი შედგა  
მის ოჯახში. ასეთი გულმოდგინებით  
შრომობდა მერაბი არა მხოლოდ იმისა-  
თვის, რომ უკეთესად მოეწყო საყვარე-  
ლი ცოლის და თავისი საბუდარი. დაბა-  
დებულს და გაზრდილს იმ გარემოში,  
სადაც ადამიანი იძულებული იყო შე-  
უსხლეტელ შრომაში გაეტარებია თავი-  
სი ცხოვრება, უქმად ყოფნა არ შეეძლო.  
უდარდელი ბავშვობა ძალიან ადრე  
ჰქონდა მოთავეებული მერაბს, მაგრამ  
თავის ტოლებთან შედარებით მაინც  
უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, — მამამის-  
მა, რკინიგზის ოსტატმა პატარხევის სად-  
გურზე, შვილს საქალაქო სკოლაში ას-  
წავლა. გონებაგახსნილი ქაბუკი შეეცადა  
სწავლა გაეგრძელებია, მაგრამ გადაუ-  
ლახავ ზღუდეებს წააწყდა და ნატვრა  
ვერ შეისრულა. სულ ახალგაზრდა იყო,  
როცა ჯერ სახელმწიფო საუფლისწულო  
მამულში მოეწყო სამუშაოზე, რამდენი-  
მე წელიწადს დაჰყო აქ, პრაქტიკულად  
შეისწავლა ღვინის დაყენების საქმე და  
მერე გადავიდა კერძო მწარმოებელთან,  
რომელსაც შამპანიურისა და კონიაკის  
ქარხანა ჰქონდა გამართული. მოკლე ხან-  
ში ისე გამოიჩინა თავი, რომ ჯერ დამო-  
უკიდებლად მუშაობის წარმოება მიან-  
დევს, შემდეგ კი მთელი საამქროც ჩაა-  
ბარეს. ალბათ, დიდი ხნით შერჩებოდა  
ამ ადგილს, მაგრამ ქარხანას აშენებულს  
აჯამეთის უდაბურ ტყის პირას, გარშე-  
მო ქაობიანი მინდვრები ერთყა, მალა-  
რია მძვინვარებდა. აქ გატარებულმა სამ-  
მა ზაფხულმა ჯანი გაუტეხა გოლიათ  
ახალგაზრდას და ისიც იძულებული გა-  
ხდა გაცლოდა იქაურობას. იმავე ხანში  
სიმონ ბეროშვილთან აღმოჩნდა სამუ-

შო და, ამგვარად, მერაბი ისევ თავის ბავშვობის კუთხეს, პატარხევს, დაუბრუნდა.

— მოდა, აი, მოგაცილეთ თქვენს სახლამდე! — წამოიძახა ირინემ. ის აქამდისაც ელოდა ხელსაყრელ წუთს ჩამოსცილებოდა ცოლ-ქმარს და ისევ მარტო დარჩენილიყო გივისთან.

ქეთინომ შინ შიბაპტიყა ორივენი, მაგრამ ირინე უარზე იდგა. თაბაგარები დაეინებით თხოვდნენ ცოტა ხნით მაინც სწევოდნენ და მხოლოდ იმის შემდეგ დაემშვიდობნენ, როცა ირინეს და გივის სიტყვა ჩამოართვეს, რომ ხვალ ესტუმრებოდნენ.

— მადლობა ღმერთს, დავაღწიეთ თავი! — ჩაილაპარაკა გივიმ, როცა იქაურობას გაშორდნენ. — სულ იმის შიშში ვიყავი, დათანხმდებოდი და მეც შემათრევდი. ეს ხომ ნამდვილი წამება იქნებოდა. ძალიან მოსაწყენი პროვინციელებია, მეტი არაფერი.

— ეჰ, შენ ყოველთვის მკაცრად სჯი, — ხელი ჩააქნია ირინემ. — ჩემი აზრით კი უბრალო და სასიამოვნო ადამიანები არიან. განსაკუთრებით ქეთინო. მე რომ ამ ქალაქში დიდი ხნით ვრჩებოდე, აუცილებლად დავუმეგობრდებოდი.

— ეგ მხოლოდ გეჩვენება. დაუახლოვდებოდი კი არა, მალე მოგაბეზრებდა თავს. ყველგან, ასეთ მივარდნილ კუთხეში, მერწმუნე, ადამიანების განსაკუთრებული ჯიში ცხოვრობს. პროვინცია თავის მოუშორებელ დაღს ასვამს მათ. ფოლადის ნერვები უნდა გქონდეს კაცს, რომ მათ საუბარს გაუძლო. განა არ ვხედავდი, რა მოწყენილი შიბიჯებდი იმ შენი ქეთინოს გვერდით? ალბათ, გაგაბრუა თავისი ლაპარაკით.

— პირიქით, ყურადღებით ვუსმენდი. ქეთინომ ბევრი რამ საინტერესო მიაშბო თავის ბავშვობაზე, თავის საშუაოზე და იმ სახლზედაც კი, სადაც ცხოვრობენ...

— ყოველივე ეგ, ალბათ, ისეთივე საინტერესო იყო, როგორც იმ აგრონომის ბრძნული მსჯელობანი. ძლივს ვიკავებდი თავს არ გამცინებოდა. ბაყათარივით

კაცი და ასეთი მიაბიტი! შენ კეთილი ხარ და ამიტომ ყველა კარგი გეჩვენება. ქუჩის ორივე მხრიდან გადმოხურულ ტოტებში აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე ცა. სიბნელეში ოდნავ არჩევდნენ გზას. ირინეს იმედიანად ჩაეკიდნა ხელი გივისათვის და გაბედულად მიაბიჯებდა.

მალე ჩაიარეს ხეებით დაბურული მიყრუებული ქუჩა და ისევ გამოჩნდა ხევის სიგრძეზე გაწოლილი ქალაქი.

— არ მინდა ასე მალე შინ დაბრუნება, — შეჩერდა ირინე. — რა გვეჩქარება?

გზის პირად მომარჯვებული ადგილი მოსძებნა და მიწაზე მოიკალათა. გივი მის გვერდით ჩამოჯდა.

ღამის სიღრმეში ამართულიყვენ ნისლის თხელ რიდეში გახვეული მთები. ისინი ძალიან მაღალი და პირქუში ჩანდნენ. საღდაც შორიდან მოისმა ორთქლმავლის ხმა, განათებული ვაგონების მწყრივმა გაისრიალა ხევის სიბნელეში, უეცრადვე გაქრა ნათელი, მიწყდა ხმა და ისევ სიჩუმე ჩამოჯდა.

— ასე მგონია, საღდაც შორეულ უცხო ქვეყანაში ვართ ახლა მე და შენ... — გარემოს გადაჰყურებდა თავის ოცნებაში წასული ირინე.

— შენ ვერაფერი მოგარჯულებს... — ჩაილაპარაკა გივიმ.

— რაო, რას ამბობ? — ვერ გაიგო ირინემ.

პასუხის ნაცვლად გივიმ ხელები მოხვია და ტუჩებზე დაეწაფა. ტუბილ ბურანში გახვეულ ირინეს გადაავიწყდა რა უთხრა გივიმ. გამოერკვა მხოლოდ მაშინ, როცა უეცრად გივიმ ხელი უშვა — ვილაც გამოჩნდა ქვევიდან და ახლო გაიარა.

— რა სთქვი წელან? — მოაგონდა ირინეს. — ვერაფერი მოგარჯულებსო? მე რა მორჯულება მჭირდება?

— რაო და, თურმე, ისეთივე მეოცნებე დარჩენილხარ, როგორც წინათ იყავი...

— ისე ამბობ, თითქოს წლებმა გაიარეს, რაც ერთმანეთი არ გვინახავს.

— შენ წარმოიდგინე, მართლაც აგეთი გრძნობა მაქვს, რომ დიდმა დრომ გაიარა...

მის ხმაში სევდა მოესმა ირინეს და გაოცებით შეხედა.

— ჰო, დიდმა დრომ, — დაყრუებულ ხმით განაგრძო გვიმი. — ეს რამდენიმე თვე წლებად მეჩვენება, დაუსრულებელ, საოცარ წლებად. შენ, ალბათ, არ განგიცდია ეს... და ეგ შენი ბედნიერებაა, მერწმუნე. რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენსავით ოცნება შემეძლოს და შენსავით შერიგებული ვიყო ცხოვრებასთან... მე შემშურს შენი... მინდა მეც შენსავით ვიყო... ღმერთმანი, შემშურს შენი...

აქამდე უღარდებდა საუბარმა მოულოდნელად სხვა ხასიათი მიიღო. ძალიან საკვირველი იყო გვივისგან ამ სიტყვების გაგონება. გვი და სევდა... ეს რაღაც შეუსაბამო იყო. მაგრამ, როგორც ირინეს ენიშნა, სახე, ხმა, კილო, ყველა ერთად, თითქოს უდასტურებდნენ, რომ გულის სიმართლით ამბობდა.

— განა რა გჭირს ისეთი, რომ ჩემი შეგშურდეს?

გვიმი კენჭი აიღო, ხელში შეათამაშა, გადაისროლა და შეეცადა ისევ უღარდელი სახე მიეღო.

— ერთი შენ კიდევ, ყურადღებას აქცევ ჩემს სიტყვებს!..

— არა, თქვი! — თვალს არ ამორებდა ირინე. — პირველად მესმის შენგან აგეთი რამ. რა უნდა შეგშურდეს ჩემი?

— აი თუნდაც ის, რომ... შენ რაღაც ოცნებით ცოცხლობ, რაღაც სიხარული გაქვს...

— რა სიხარული? ჰო, რათ?

— თუნდაც ის, რომ მე ჩამოვედი და ახლა შენთან ვარ. ეს მცირედიც საკმარისია შენთვის, ბედნიერი იყო...

— შენ ეს გაკვირვებს? შენ კი სიხარული არ გიგრძენია? მაშ, რამ ჩამოგიყვანა?

გვიმი იგრძნო, რომ უხეშად ნათქვამი მოუვიდა, მაგრამ მაინც არ უცდია თავის გამართლება.

— გასახარელი მე არაფერი მაქვს, — მხოლოდ ეს ჩაიბურტყუნა და ხელი ჩააქნია. — ნუ გეწყინება, თუ შეტყობ ვთქვა. არ ვარ გუნებაზე...

ირინე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის ნაღვლიანი იყო. გული არ უთმენდა მიზეზი გაეგო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და გასუღრული შეჰყურებდა, სანამ ის თვითონ იტყოდა.

— შენ, ალბათ, არ იცი, — აგერ როდისღა ყრუდ ჩაილაპარაკა გვიმი, — მამაჩემი დააბატომრეს...

— ძია კოტე? როდის?

ირინემ თანაგრძნობით ჩაჰკიდა ხელი.

— ერთი კვირის წინათ... ხომ იცი მისი ამბავი, ის ვერ შეურიგდებოდა ამ წყობილებას...

ირინე მდუმარედ მისჩერებოდა.

— მართალი გითხრა, მისი დაბატომრება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. გამოჩენილი პიროვნება იყო წარსულში და, ცხადია, თვითვე მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ. მაგრამ იმას კი ვერ ვიფიქრებდი, რომ მამის დანაშაულისათვის მეც პასუხისმგებელი ვიყავი...

— შენ რატომ?

— აბა რა ვიცი. სიმართლე გითხრა, არც თანაუგრძნობდი მამას და მის ამხანაგებს. თავიდანვე იმ აზრის ვიყავი, რომ უიმედო და განწირული იყო მათი საქმე, მაგრამ... გუშინწინ, როცა სამუშაოზე მივედი, განყოფილების უფროსმა გამომიძახა და მომთხოვა საქმეები სხვისთვის გადამებარებია: „მამათქვენი დააბატომრესო? — მკითხა. ჰო-მეთქი. „რატომ აქამდე არ გამომიცხადეთ? დამიშალებო? სამწუხაროა, მაგრამ მე და თქვენ ამიერიდან ერთად ველარ ვიმუშავებთ. ველარ გენდობით. შეუძლებელია არ გცოდნოდით, რა გზას ადგა მამათქვენი. ალბათ, მისი თანამოაზრენი თქვენს სახლშიაც იკრიბებოდნენ და გაგებულო გქონდათ, რას აკეთებდნენ ისინი. იქნებ პირადად თქვენ უდანაშაულო ხართ, მაგრამ მე მაინც სიფრთხილე მმართველს და არ შემძლია ეჭვის თვალთ არ შეგხედოთ. თქვენთვის ყველაზე უფრო მა-

ზღობელი ადამიანი რესპუბლიკის საწინააღმდეგო ფარულ მუშაობას ეწევა, ჩვენ კი მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს განდობთ ხოლმე. ჰოდა, თვითონ განსაჯეთ, შემძლეა დამშვიდებული ვიყო? დღესვე გადააბარეთ საქმეები და ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეთ. სამუშაოს სხვაგან ბევრს იშოვითო...“.

ირინე დაძაბული უსმენდა. ბევრი რამ გაუგებარი იყო მისთვის.

— შეკამათება უაზრო იყო და ბრძენების შესრულებას შევეუდგე. როდესაც ქალაქები გადავსინჯე, დავინახე, რამდენიმე ათასი მანეთის საბუთი მაკლდა. ჩემი დაუდევრობის ბრალი იყო, რა თქმა უნდა. თანხა, ისიც ბუნების მიხედვით მართალია, დიდი არ ყოფილა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. სულ მცირედიც რომ ყოფილიყო, მაინც საბაბს მიეცემდი ბოროტმოქმედება დაებრალეზით ჩემთვის... იმ დღეს საქმეები არ გადავაბარე, შევეცადე ნაცნობებში შეშოვა ფული და ჩემი დანაშაულის კვალი დამეფარა... ვერსად ვიშოვე... მეორე დღით დავაპირე მივსულიყავი, გულახდილად მეტყვა ყველაფერი, მაგრამ რა ვარანტია მქონდა, რომ დამიჯერებდნენ. ისიც ვიფიქრე, სახლიდან ნივთები გამეტანა და გამეყიდა, მაგრამ ამას რამდენიმე დღე დასჭირდებოდა. ამასობაში, ცხადია, მომაკითხავდნენ და გაყიდვის საშუალებაც აღარ მექნებოდა. არ ვიცოდი, როგორ დამეხსნა თავი გასაპირისაგან და როცა დაკრწმუნდი, რომ გამოსავალი არ მქონდა, გადავწყვიტე გავცლოდი იქაურობას და სადმე რაიონში მეცხოვრა ერთხანს.

— მაშ შენ იმალები? — შეშფოთებით იკითხა ირინე.

— ასე გამოდის...

— ჰო, მაგრამ როდემდის?

— რამდენიმე თვე მაინც... ავიღებ აქ რაიმე სამუშაოს, შევგაროვებ იმ თანხას და დაებრუნდები.

— ამისათვის ჩამოდი?

— სხვა გამოსავალი არ მქონდა... ვიფიქრე, შენს ახლო უფრო გამოადვილებოდა ცხოვრება... ალბათ, ნაცნობე-

ბიე გეყოლება აქ და უფრო მალე მოგეწყობი სადმე...

ირინეს ხელი თავის ხელელებში ჩაიჭარა და სევდიანი ღიმილით შეხედა.

— საგონებელში ჩაგაგდე, არა? იქნებ შენთვის უხერხულია, ანდა გეშინია შემთავრო... გასაგებია, ვერ გაგამტყუნებ... არ დაგიმალავ, დარწმუნებული ვარ, რომ კიდევაც მეტებენ. თუ გეშინია, ამაღამვე წავალ სადმე... შენ არ შეწყუბდე...

ირინე ერთხანს გაჩუმებული იჯდა.

— რამდენი დაგაკლდა? — იკითხა უცრად.

გივიმ ხელი ჩააქნია:

— ეპ, თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს...

— მაინც რამდენი?

გივიმ თანხის რაოდენობა თქვა.

დიღხანს იჯდნენ ხმაამოულებლად. მთვარის სინათლეზე ცვარი ბზინავდა. ბალახს მთვარის ყვითელი ნაშხვრელები დაჰყროდნენ.

დარხეულ ნიავს ხევის სიღრმიდან მდინარის ჩხრიალი ამოჰყვა.

— რა მიმკვდარი ადგილი ყოფილა ეს შენი პატარხევი... მეორე ასეთი არსად მინახავს. ღმერთმანი, მეცოდები ამ დავის ბუნავში...

გივის ხმა ახლა მხნედ გაისმა. ისე თქვა, თითქოს ყოველგვარი დარდი გადაჰყროდა გულიდან.

— რას იტყვი იმაზე, რომ... — წამით გაჩუმდა და მერე ისევ განაგრძო — გავიქცეთ აქედან... სადმე შორს... მთებით გადავივლით საზღვარს და... ჩემთან არადერი გავიჭირდება... მე იმდენი შემძლეა, ისეთი ძალა შემწევეს, რომ... ვერ გაბედავ?

ირინეს არ უპასუხნია. გივიც მიყუჩდა. მხოლოდ თვალი შეავლო ირინეს და ხელი ჩააქნია.

— ეს რა დაგმართნია, ქალო, გაყინულხარი! — მხიარულად წამოიძახა და მხრებზე ხელი მოხვია.

— წავიდეთ! — წამოდგა ირინე და დაბლისკენ გზას დაადგა.

მოუსვენრად გაატარა ირინემ ის ღამე.

დიდი ხანია სინათლე ჩააქრო, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. სულ გივი უდგა თვალწინ. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო საზიფათო ეჩვენებოდა მისი მდგომარეობა. გაახსენდა მისი სიტყვები უცხოეთში გაქცევაზე და შიშით წარმოიდგინა, რომ მას შეეძლო ასეთი ნაბიჯის გადადგმა. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ნამდვილი სიგაყე, მაგრამ მისი ჯიუტი და დაუდგრომელი ხასიათი იცოდა და სჯეროდა, რომ ის უკან არ დაიხევდა... სადმე რომ ეშოვათ ფული, ცხადია, გაქცევაზე ფიქრიც საჭირო აღარ იქნებოდა... მაშინ, იქნებ, მოგვარდებოდა საქმე და ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა...

უცრად გაუელვა აზრმა — სიმონს გამოართმევს ფულს... საწინდრად გადასცემს თავის უკანასკნელ ძვირფას ნივთებს და... ანდა თხოვს სხვაგან დაუგირაოს... მან ხომ ძალიან ხელსაყრელად დაუგირავა ის ინდური ოქროს კერპი.

ირინეს ისე ეჩვენა, რომ იპოვა გამოსავალი გივის გადასარჩენად. ანგარიშობდა, ვარაუდობდა, მრავალჯერ ასწონდასწონა ყველა შესაძლებელი გარემოება და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ბეროშვილის დაუხმარებლად ვერ მიაღწევდა საწაღელს...

ერთადერთი იმედი ისევ სიმონი იყო. ისიც, ალბათ, ფულზე უარს არ ეტყოდა. მაგრამ სიმონს რომ გივის ჩამოსვლის მიზეზი გაეგო, ეჭვის თვალთ შეხედავდა გივის და, შესაძლებელია, ცუდი წარმოდგენაც შექმნოდა მასზე... აი, თურმე, რისთვის ჩამოსულაო ის! არა თავის მახლობლების სანახავად, არამედ დასამალავად!

რა თქმა უნდა, ყველაფერს აჯობებდა, სხვის დაუხმარებლად შესძლებოდა ნივთის დაგირავება იმ თავის ნაცნობ მეგობრებსთან, მაგრამ ის მოხუცი ვერ

ერკვეოდა ნივთის ღირსებაში, თანაც ხელმოჭერილი იყო, რომ მასზე ფედლის დამყარება უნაყოფო იყო... არსებობდა სადღაც მეორე მეგობრე, რომელიც კარგად ერკვეოდა ნივთებში და ამიტომაც უხვად გაიმეტა ფული, მაგრამ ირინემ არ იცოდა ვინ იყო და სად იყო... მასთან მისვლა მხოლოდ სიმონის საშუალებით შეეძლო... ასე რომ, თუ არა ისევ სიმონის დახმარებით, ვერაფერს გააწყობდა... რაც იქნება, იქნება, დილით მივა მასთან და თხოვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერს ეტყვის, თუ რისთვის სჭირდება ფული.

ყველაზე უფრო ეს აზრი მოიწონა ირინემ და ამაზე შეჩერდა. ეს გზა ერთადერთ საიმედო გამოსავალად ეჩვენებოდა. მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა... ეს ღამე უჩვეულო გრძელი, დაუსრულებელი იყო, საქმე კი მალე უნდა გაკეთებულყო, რაც შეიძლება მალე, რომ გივის ზვალვე შესძლებოდა თბილისში გაბრუნება.

დილით ჯერ კიდევ ეძინა გიორგის, როცა ირინემ ორი ოქროს ნივთი ამოიღო ყუთიდან, ჩაიცვა და ბაღში გავიდა. სიმონი აღრე მიდიოდა ხოლმე ქარხანაში და დაუდარაჯდა.

ბალი ცვარს დაენამა და გრილოდა. ბელურები ჟიჟივით დაფრთხილებდნენ ტოტებზე და დარხეული ფოთლებიდან ცივი წვეთები ცვიოდა.

ის იყო სახლისკენ გაბრუნდა ირინე ეაკეტის ჩასაცმელად, რომ შუშაბანდში შესასვლელი კარი გაიღო და კიბის თავზე სიმონი გამოჩნდა. თითქოს საგანგებოდ, ამ დროს მისი ქარხნის საყვირის ხმაც მოისმა შორიდან. ეს მკვიანა, ცივი ხმა კარგად ნაცნობი იყო ირინესთვის.

— აღრე ამდგარხარათ, ქალიშვილო! — ხალისიანად შეეგება სიმონი. — რას იზამ, ასე იცის საყვირელი ნათესავის მოსვლამ! თქვენ იცით როგორ გაართობთ ჩემს მოსვლამდე, მერე კი მე ვიცოდეს ეს უმაწილი ჩემი სტუმარიცაა და სირცხვილში არ ჩამავდეთ!

შვილობის დილა უსურვა და ჰიმკრიკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

მთელი ღამის ნაფიქრალი, მთელი გაბედულება ერთბაშად გაუქრა ირინეს. არა, შეუძლებელი იყო გაეგო სიმონს გივის ჩამოსვლის მიზეზი... ის უცბადვე ექვს აიღებდა... ორიოდღე დღის წინათ საგრძნობი თანხა მიიღო მისგან და, ცხადია, გაიკვირებდა, რომ ასე უცბად საძებრად გაუხდა ფული.

ისე იგრძნო თავი, თითქოს უარი მიელო სიმონისგან. მოდუნდა, უიმედობამ შეიპყრო. ჩუმად შებრუნდა ოთახში და საწოლზე ჩამოჯდა.

ერთხანს თავჩაქანდრული იჯდა და ხელში ატრიალებდა ორ პატარა ოქროს. ამათზე იყო ჩამოკიდებული გივის ბედი, მაგრამ როგორ ექცია ისინი ფულად?

სასტუმრო ოთახიდან, სადაც გივი იწვა, სკამის ჯახუნს მოესმა.

აღგა და ყუთთან მივიდა, რომ ნივთები უკანვე ჩაედო.

ყუთში რამდენიმე ბეჭედი, ძეწკვი და მედალიონი იყარა. აკრიფა რაც უფრო ძვირფასი იყო, ხელჩანთაში ჩაჰყარა და ქალაქში გასწია.

ირინეს უკან რჩებოდა ფეხები, როცა თავისი ნაცნობი მევახშის სახლს უახლოვდებოდა. ჰიშკრიდან დაინახა შუშაბანდის წინ კიბეზე ჩამომჯდარი ქალარა დედაკაცი, რომელიც ინდაურებს აქმევდა. მისი ქმარი შუშაბანდიდან გადმოხრილიყო, დოქიდან წყალს ისხამდა და ცალი ხელით იბანდა პირს.

სახლი დიდი ეზოს სიღრმეში იდგა და ახლა ირინეს ყველაზე უფრო სწორედ იმ ეზოს გავლა უმძიმდა. წინათაც, როცა ამ ადგილს გაივლიდა, მონუსხულივით გრძნობდა თავს.

მევახშე გულცივად შეხვდა, თითქმის უკმაყოფილოდ. ირინემ ეს უცბადვე შეამჩნია და მოხუცისადმი ძველი უსიამოვნობა ახლა კიდევ უფრო გაუძლიერდა. მაგრამ ამანვე სითამამე შემატა.

უსიტყვოდ ამოიღო ხელჩანთიდან ნივთები და გაუწოდა.

მოხუცი არც დაინტერესებულა რა ნივთები იყო, ზანტად იმშრალებდა პირს შეყვითლებული პირსახოცი, წვერები-

დან წყლის წვეთები ჩამობერტყა და, ბოლოს, უღიმღამოდ გააქნია თავი. ირინე ვერ მიუხვდა რას ნიშნავდა მისი თავის ქნევა.

— დასაგირავებლად მოგიტანეთ, — თავის თავზე ძალდატანება დასჭირდა, რომ ეს ორიტიტყვა ეთქვა.

მოხუცმა ზურგი შეაქცია და შევიდა ოთახში.

— აღარ ვიგირავებთ, შეილო, — აჩიფიფდა მამინ დედაკაცი. — იმდენი სიკეთე ვუყავით ხალხს, ბევრს მოვუშარეთ ხელი, მარა ვინ დაგვიფასა? შენ იმ ბეროშვილის ნათესავი არ ხარ?

იმ იმედით, რომ დედაკაცის შეცდომას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა, ირინემ იცრუა და დაუდასტურა:

— დიახ, ნათესავი.

— ჰოდა, იმ კაცმა ამასწინათ გელანძლა დე გვათრია შენი გულსათვის. შენი ნივთების წაღებაც თავნის დაუბრუნებლად მოინდომა...

ირინემ ვერაფერი გაიგო მისი სიტყვებიდან. გაიგო მხოლოდ ის, რომ სიმონთან რაღაც უსიამოვნება შეხვედროდათ მისი მიზეზით.

— აღარ გვაქვს ფული, აღარ... წაიღი, შეილო, წაიღი! — ბოლოს ისე აუქნია დედაკაცმა ხელი, თითქოს აბეზარ მათხოვარს იცილებდა თავიდან.

ირინეს არ დაუნახავს, როგორ გაიარა ეზო. არასოდეს არ განეცადა ასეთი დამცირება და, როგორც კი ჰიშკრიდან გვიდა, ცრემლები მოერია.

ნაცნობს რომ არ შეხვედროდა, მიყრუებულ ქუჩაში შეუხვია და, ანგარიშმიუცემლად, თავის სახლისკენ გაბრუნდა.

აღარ ახსოვდა თუ რატომ წამოვიდა აქეთ, მხოლოდ მევახშის უსიამო სახე ედგა თვალწინ და დედაკაცის სიტყვებში ესმოდა.

ფული, და ისიც ავაზაკური ხერხით შეძენილი, უფლებას აძლევდა ორ მოხუცს, რომლებსაც ადამიანის სახეც დაჰკარგოდათ, შეურაცხყოფა მიეყენებიათ მისთვის. თითქოს ვინმე გლახაკი, თითქოს მართლაც მათხოვარი ყოფილიყო.

გაიარა გრძელი ვიწრო ქუჩა და აქ უე-

კრად მოაგონდა, რომ ქუჩის დასაწყისში ოქრომჭედლის დუქანს მოჰქრა თვალი.

მაშინვე შემოტრიალდა და უკანვე წავიდა.

დუქანი შიგნით ისეთი ვიწრო იყო და ჰერცი ისეთი დაბალი ჰქონდა, რომ დიდ კოლოფს უფრო გავდა. ფანჯარასთან მიდგმულ გამავეებულ ძველ მაგიდასთან, რომლის ერთ ნაპირზე ხრახნით მიმაგრებული იყო მინიატურული დაზგა, დახრილიყო ახალუხიანი, პირმსუქანი, გრძელწვერა ოსტატი და ვერცხლის ნაჭერს ქლიბავდა. კედელზე ეკიდა რამდენიმე ვერცხლისტარიანი ხანჯალი, თაროზე ეყარა ყანწები, ქილები. რაფაზე, რომელიც გიტრინის მაგიერობას ასრულებდა, ელაგა მოვარაყებული სირჩები, სათუთუნე მონოგრამებით, ფირუზისთვლიანი ბეჭდები და სახელურ-მოტეხილი აზარფეშა.

ოსტატმა გამოართვა ნივთები, ათვალეირა, ატრიალა ხელში და ბოლოს მობოდიშებით თქვა:

— კარგი ნახელავია, თავის ადგილზე კარგი ფასიც ექნება, მარა შე ვერ წავიდებ. ცოდვა ხარ, ქალიშვილო, შე მხოლოდ წონით თუ ვიყიდი, თორემ სხვაფერ ხელს არ მომცემს, ზარალში ვიქნები. მაგას თავისი მყიდველი ჰყავს, იქ უნდა მიიტანო.

— შე არავის ვიცილობ, — ყრუდ ჩაილაპარაკა ირინემ.

— აგერ, შე ქალო, ჯავაირის უჩვენე, — სკამიდან ადგომა არ დასჭირვებია, გადმოიხარა, თავი გამოყო დუქნიდან და მარჯვნივ გაიშვირა ხელი. — ეგერ, ჰე, კუთხის სახლში!



ირინემ იმავე საღამოს გაამგზავრა გივი.

თვითონ ჩაუღვა ფული ჩემოდანში და მატარებლის წასვლას კიდევ ბევრი დრო აკლდა, როცა სადგურზე გაიყვანა. ვინც ამბავი არ იცოდა, ისე იფიქრებდა, რომ მის მოცილებას ჩქარობდა. პერონზე კი

გაბრწყინებული სახით იდგა და ათვალს არ აშორებდა გივის, სანამ ის კიდევ ჩანდა ვაგონის ფანჯარაში.

„შენ დამიხსენი განსაცდელისაგან!“ — სულ ყურში ესმოდა მისი სიტყვები.

ასე ბედნიერად არასოდეს არ უგრძენია თავი. მხნე, მზიარული დაბრუნდა შინ, ბავშვით მიეხალისა მამას, სულ არ ეტყობოდა, რომ დასვენება უნდოდა, მაგრამ მაშინვე ჩაწვა და უცბადვე ჩაეძინა.

მესამე დღეს დეპეშა მოვიდა — გივი საღამოს უთვლიდა ყველას.

ირინე მიხვდა რას ნიშნავდა ეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ვრცელი წერილიც მიიღო.

იმის შესახებ, რაც ყველაზე უფრო აინტერესებდა ირინეს, გივი მოკლედ ატყობინებდა: ყველაფერი კარგად მოგვარდა, ექვიც არაფერზე აუღიით, ახლა სხვა სამუშაოზე მოეწყო... ამის შემდეგ კი რამდენიმე ფურცელი აეგსო ალერსიანი სიტყვებით: მუდამ სწამდა, რა წმინდა და მაღალი სულის მქონე იყო ირინე; რა საიმედო მეგობარი ეყოლებოდა ცხოვრებაში, თუნდაც იმისათვის ღირს ცოცხლობდეს, რომ ემსახუროს მას და, თუ საჭირო გახდა, თავიც შესწიროს; ხშირად ეკითხებოდა თავის თავს — არის თუ არა მისი ღირსი? ისე უსაზღვროა მისი სიყვარული, რომ შიში აიტანს ზოლმე, და მაინც მხოლოდ ერთზე ოცნებობს — მალე ისევ შეხვდეს და შემდეგ არასოდეს აღარ დაშორდნენ ერთმანეთს...

ამგვარი სანტიმენტალობა გივის აქამდე არასოდეს არ გამოუჩენია. ირინეს ღიმილიც კი მოგვარა წერილმა.

— ძალიან გახარებული მწერდა, ალბათ! — ამით ახსნა და გაამართლა მისი უჩვეულო გულჩვილობა.

მამ გვიმ აიცილა საფრთხე!.. დიდი დარდი გაუქრა ირინეს და ამიერიდან დამშვიდებული ყოფნა შეეძლო.

## VI

ბეროშვილსა და თუხარელებს შორის თანდათან გულთბილი ურთიერთობა დამყარდა.

წინათ ირინე მრავალჯერ შეუწყუხებია იმაზე ფიქრს, რომ ასე თუ ისე, ერთგვარ წყალობას იღებდნენ უცხო ადამიანისაგან. ესეც იყო ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ გული მიუსწრაფვოდა მალე გაცლოდნენ აქაურობას. მაგრამ იმის შემდეგ, როცა სიმონმა, განსაკუთრებით ბოლო დროს, გულწრფელი ყურადღება გამოიჩინა და დაუახლოვდა მათ, ის მთრგუნავი ფიქრიც გაუქრა.

როცა ერთხელ სიტყვას მოჰყვა და ირინემ მოიბოდიშა, რომ გაუხანგრძლივდათ პატარხევში ყოფნა, სიმონმა თითქმის საყვედურით უთხრა:

— ბატონო, მე თქვენი დაბმა არ შემძლია და უფლებაც არ მაქვს. თუ ასე გემძიმებათ აქ ცხოვრება, შეგიძლიათ დღესვე წახვიდეთ. ოღონდ იმას ნუ მოიმიზეზებთ, ვითომდა მე მაწუხებდეთ. იცოდეს ღმერთმა, მსიამოვნებს. რომელ ხატზე შემოგფიცოთ? მამათქვენმა იმდენი კარგი საქმე გამოიკეთა, რომ, პირიქით, დავალებულად ვგრძნობ თავს. მარა, იქნებ, თქვენ თვითონ შეგაწუხებთ? თუ ასეა, როგორც გნებავდეთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ბეროშვილმა ერთი-ორჯერ წარმატებით გამოიყენა გიორგი, როგორც იურისტი, როცა რაღაც საჩივარი აღძრა ქარხნის საქმეზე. ამ ამბავმა გაახარა ირინე და აფიქრებინა, რომ ამიერიდან აღარც ისე დავალებული იყვნენ მის წინაშე. ბოლოს კი ისეთი შთაბეჭდილებაც შეექმნა, რომ მამა საჭიროც იყო ქარხნის პატრონისათვის და რომ ამიტომ ცდილობდა მეტ ხანს გაეჩერებია ისინი პატარხევში. ირინეს ახლა შესაძლებლად მიაჩნდა დარჩენილიყვნენ ზაფხულის ის ორი თვე მაინც, სანამ თბილისში სიტყვებია, — გიორგისათვის ამ დროს იქ ყოფნა საზიანო იქნებოდა.

ეს თავისი გადაწყვეტილება მან მამას გაუზიარა.

— აგრე აჯობებს, რა თქმა უნდა! — მოუწონა გიორგიმ. — მეც სწორედ მაგას ვფიქრობდი და მინდოდა მეთქვა შენთვის.

გიორგის, როცა შეილი რაიმეს ურჩევ-

და, ყოველთვის ისე ერგებოდა, რომ თვითონაც აღრევე ჰქონდა ასე ნაფიქრი. ახლაც ამიტომ მაშინვე მისცა დესტური.

ირინეს ხალისი შემატა იმ ამბავმაც, რომ თბილისელ მეგობრებისაგან ბოლო ხანს ხშირად მოსდიოდა წერილები. გივიც, — ის ხომ საოცრად ზარმაცი და დაუღვეარი იყო ასეთ უბრალო საქმეში! — დროგამოშვებით გზავნიდა მოკლე, მაგრამ ალერსიან ბარათებს. ისიც ურჩევდა ეს ზაფხული პატარხევში გაეტარებია და პირდებოდა, როგორც კი დროს ვიშოვი, რამდენიმე დღით გეწვევითო.

ასე თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, ირინე შეეგუა გარემოებას და სულიერი სიმშვიდე მოაბოვა.

მაგრამ ერთხელ მაინც სევდიან გუნებაზე გაიღვიძა. დილით, თვალი გაახილა თუ არა, უეცრად მოაგონდა, რომ მისი დაბადების დღე იყო. ცხრაშექი წელი შეუსრულდა!.. ამ დღეს მასთან ყოველთვის თავს იყრიდნენ მეგობრები, მახლობლები, ოთახებში მზიარული ხმები ისმოდა და ყვავილების სურნელება იდგა... ბედნიერი დრო იყო!..

გიორგის არ გახსენებია შვილის დაბადების დღე. მაგრამ მამის გულმაიწყოება სულაც არ სწყენია ირინეს. პირიქით, კმაყოფილიც იყო, — მამა მხოლოდ დანაღვლიანდებოდა, რომ წინანდებურად არ შეეძლო აღენიშნა საყვარელი შვილის ეს ღირსშესანიშნავი დღე.

ირინემ დილიდანვე თავისი საუკეთესო კაბა ჩაიცვა, დაამირა ქალაქში გასვლა, რომ მარტო ეხეტიალა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და შინ ყოფნა არჩია.

— რა დილაა, რა მშვენიერი! ასეთი ჯერ არ მინახავს! — საუზმეს შეექცეოდა გიორგი და აღტაცებული ეზოს გაპყურებდა.

დილა კი სრულიად ჩვეულებრივი იყო, ისეთივე, როგორც გუშინ, გუშინწინ. ცა ისეთივე ლურჯი და სუფთა. ხშირი ხეებით დაჩრდილულ ბაღში ტოტებს შუა მზის შუქი ჩამოდიოდა და აქა-იქ ოქროსფრად დაეღალა მიწა, რომ-

ლის ზედაპირზე ოდნავ შესამჩნევად ბო-  
ლაედა აორთქლებული ნაპი. ღამიდან  
დარჩენილ სივრილესთან ერთად ოთახ-  
ში შემოდინდა შემთბარი მიწისა და  
ბალახის სუნი.

ეზოში გამოჩნდა კიშკრისკენ ჩქარი  
ნაბიჯით მიმავალი სიმონი. გიორგიმ  
თვალი გააყოლა და დაინახა, რომ კიშ-  
კართან სიმონს ვიღაც შავხალათიანი  
კაცი შემოხვდა და ქალაღდის პატარა  
ფურცელი გაუწოდა. სიმონმა წაიკითხა,  
მამაკაცი ეზოში შემოუშვა, მერე უეც-  
რად, თითქოს რაღაც მოაგონდა, დაუძა-  
ხა, გამოაბრუნა და მასთან ერთად ქუჩა-  
ში გავიდა.

შავხალათიანი კაცი დებეშების დამტა-  
რებელი იყო. თუხარელების სახელზე  
თბილისიდან გამოგზავნილი დებეშა მო-  
ეტანა.

— წაილე ახლა და საღამოს მომირბი-  
ნე ექვს, შეიდ საათზე, — ეზოდან გასვ-  
ლისას უთხრა სიმონმა ფოსტალიონს. —  
ისე მოიტანე, თითქოს არ მინახავს, მიხვ-  
დი რას გეუბნები? ჰოდა ასე, საჩუქარი  
ჩემზე იყოს!

დებეშა უკანვე გადასცა, თვითონ კი  
კატოსთან სახლში შევიდა.

კატოს ის იყო თავი დებეშა და წე-  
ლამდე ტიტველი და თმაგაშლილი იჯდა  
სარკის წინ, როცა სიმონმა მისი ოთახის  
კარები შეაღო.

ქალმა შეჰკვივლა, წამოვარდა, მოიხუ-  
რა ხალათი და, დამორცხვებულმა, ტახ-  
ტზე მოიკალათა.

— გაწყვე შენი თავი, ასე მხეცივით  
რაეა შემოვარდი სახლში! ვეღარ დააკა-  
ქუნე?

— რა მოხდა, შე ქალო, — ჩაიციხა  
სიმონმა, — არ მინახავხარ ასე ამნაირად,  
თუ?

კატომ მწყრალად ახედა და უფრო  
მკიდროდ შემოიკრა ხალათი.

სიმონმა თვალი შეავლო მის წამო-  
წითლებულ ლოყებს და შიშველ ფე-  
ხებს, რომლის დაფარვას ამოდ ცდი-  
ლობდა დედაკაცი. დიდი ხანია არ ენახა  
ასე ხალუათად მყოფი და ისე ეჩვენა,  
რომ ახლა წინანდელზე უფრო უკეთესი

და მიმზიდველი გამხდარიყო. იდგა და  
ქინგაღვიძებული შესცქეროდა. —  
— რას კუსავ მაგ თვალღმს? — გე-  
ცინა კატოს.

სიცილმა სითამამე შემატა სიმონს,  
მიუჯდა გვერდით და მხარზე ხელი  
მოხვია.

— საარშიყო სახლში გყავს, იმას ელ-  
ლაბუცე! — გულმოსულად აიცილა კა-  
ტომ მისი ხელი და ადგილი ინაცვლა.

— ჰო, კაი ახლა, ნუ მიწყრები, — აღ-  
გა და ოთახში გაიარ-გამოიარა სიმონ-  
მა — საქმეზე მოვედი შენთან. დღეს შე-  
ნებურად უნდა დამიტრიალდე... ერთი  
პატივსაცემი უცხო ადამიანი მეწვევა  
სადილად. ჰოდა, თუ ქალი ხარ, შენებუ-  
რად, გემრიელად. სუფრაც ლამაზად  
გაწყვე. კარგი ქურბული რომ მაქვს, ის  
გამოიტანე. ვერცხლის დანა-ჩანგალი და  
ბროლის ქიქებიც. ის ჩემი მდგმური და-  
იხმარე, თუხარელის ქალიშვილი. რჩე-  
ვას მოგცემს რაიმეს...

— როგორმე ჩვენც მოვახერხებთ  
სხვის დაუხმარებლად, — უკმაყოფილოდ  
ჩაიბუზღუნა კატომ. — სხუმის როლის  
შეგარცხვინე?

— ჰო, კაი, კაი! საწყენად კი არ მი-  
ტვამს, შე ქალო! — მოუბოდიშა სიმონ-  
მა. — აბა, შენი იმედით ვარ. შენ იცი და  
შენმა ქალობამ, რა მარითათს გამოიჩენ.  
სახარჯო ფული გადასცა და წავიდა.

მოწვეულებმა დანიშნულ დროზე  
მოიყარეს თავი. ყველაზე ადრე გაჩნდა  
ლენტორი. პატარა ხნის შემდეგ ერთად  
მოვიდნენ აფთიაქარი ბეგლარი, ქეთინო  
და მერაბ თაბაგარი. გიორგი ისე გული-  
თადად შეეგება მათ, თითქოს მისი  
სტუმრები ყოფილიყვნენ: ქეთინოს მოს-  
ვლამ ძლიერ გაახარა ირინე, მაშინვე  
დაიშარტოხელა და თავის ოთახში გაიყ-  
ვანა. საღად შეკერილ ცისფერ კაბაში  
ქეთინო ახლა კიდევ უფრო მიმზიდველი  
ეჩვენებოდა ირინეს და რომელიღაც  
მინდვრის ყვავილს აგონებდა. მამაკაცე-  
ბი ქალებზე უფრო მეტი პრეტენზიით

იყვნენ გამოწყობილი. აფთიაქარს, რომელსაც სხვა დროს თავისი გარეგნობისათვის ყურადღება არ მიუქცევია, წლობით ზანდუქში შენახული და დანადგარისაგან შენახული შავი კოსტუმი ჩაეცვა. ღენტორიც საგანგებოდ გამოკოხტავებულიყო ფრენში და მაღალყელიან გალაქულ ჩექმებში, რომლებიც უნებურად საერთო ყურადღებას იმით იქცევდნენ, რომ ფეხის თითოეულ გადადგმაზე ხშირად და მომამზერებლად კრიკინებდნენ. თვითონ პატრონს, როგორც ჩანს, სრულიად არ აწუხებდა ეს ხმა, ჩვეულებრივზე უფრო გამოკოხტებული იყო და, კარგი სადილის მოლოდინით გახარებული, ცდილობდა აქედანვე მზიარულება შეეტანა საზოგადოებაში. ამ დღეს ნესტორიც კი გამოჩნდა. ის ყველაზე ბოლოს შემოვიდა სადარბაზო ოთახში და მორიდებულად მარტო ჩამოჯდა კუთხეში.

სტუმრები ერთხანს საუბარით იყვნენ გართული და მოთმინებით ელოდნენ იმ ვიღაც უცხოს, ვის პატივსაცემად სადილი გაემართა ბეროშვილს. ბოლოს ღენტორი მოუსვენრობამ შეიპყრო და, მოთმინებადაკარგულმა, ის იყო დააპირა ხუმრობაში მაინც გამოეთქვა საყვედური ბევრი ლოდინის გამო, როცა უცხრად სიმონმა გამოაცხადა, რომ შეტს აღარავის ელის, რადგან ის უცხო კაცი პატარხევიდან სასწრაფოდ გამგზავრებულია. გიორგის და ვანსაკუთრებით ბეგლარს საწყენად დაურჩათ ეს ამბავი, თვითონ მასპინძელს კი არავითარი სინანული არ გამოუჩენია. მან ხალისიანად გააღო სასადილოს კარები და სტუმრები შეიპატიჟა.

ღენტორმა დაუფარავი აღტაცებით გადაავლო თვალი სუფრას.

— შენ ნუ მომიკვდები, ასე ვგრძნობ, დიდებული მასპინძლობა მოგველის! რა მოხდა, რას მივაწეროთ ეს ამბავი? — გაკვირვებულმა წასურჩულა ბეგლარს. — თუ იცი, ვინ იყო ის ოჯახისაგან, ვისთვისაც ასე გაიმეტა თავი და ჯიბე გააჩანჩხარა ჩვენმა სიმონმა. ბეგლარს ცხელია, თავისი ჩაცმუ-

ლობა აწუხებდა და უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა:

— რა ვიცი, ვინ ოხერი იყო. მისი გულისათვის ავრე არტახებში ვარ გაკრული. ამ სიტყვა-პაპანაქებაში სული ვერ მომითქვამს.

ერთხანს ითმინა, მერე მობოდიშა, ჯერ პიჯაკი გაიძრო და შემდეგ პერანგის საყელოც შეიხსნა.

სიმონმა თავმომწონედ გადახედა სუფრის გაწყობილობას.

— ყოჩაღ, კატო, მე და ჩემმა ღმერთმა! ოღონდ ყვავილები დაგვიწყებია, შეკალო!

მისი თხოვნით კაცი გაიგზავნა თავიგულის საყიდლად და როცა ყვავილები მოიტანეს, ვაზაში ჩააწყო და სუფრის შუაში დადო.

თამალობა მასპინძელმა იკისრა და იმედი გამოთქვა, რომ ერთი უცხო, მათთვის უცნობი ადამიანის მოუსვლელობის გამო არ მოიწყენენ და ამ შინაურ ნადიმს მოლხენაში ჩაატარებენ.

კატოს მართლაც სანაქებო სადილი მოემზადებია. ყველა უწონებდა გაწეულ დიასახლისობას, მაგრამ თვითონ კი ძალიან გულნაკლული იყო, რომ უცხო სტუმრის წინაშე თავი ვერ გამოიჩინა და მეცადინეობამ ამაოდ ჩაუარა. მზარეულს რომ არ ენდო, თავისი ხელით შეეკმაზა საწებლები, დაეცხო ხაჭაპურები, სულ თვითონ მოეხარშა და მოეხარაკა ყველაფერი. არ იმჩნევდა თორემ უკმაყოფილო იყო, — დილიდან ცეცხლთან ტრიალისაგან ახლაც აღმური ასდიოდა ლოყებზე, თავი არ დაეზოგნა და მერე რისთვის? იმისთვის, რომ ამდენი ნაწვევ-ნადაგი ღენტორს, აყლაცუნდა აგრონომს და თბილისიდან ჩამოთრეულ ვიღაც თუხარელებს დარჩენოდათ? ყოველთვის, როცა თვალს მოკრავდა, თუ რა ხარბად ილუკებოდა ღენტორი, წყევლას მიაყოლებდა გუნებაში: „არ შეგარგოს ჩემმა გამჩენმა! შხამად და ცეცხლად!“ ღენტორი კი, თითქმის მისი გულისგასახეთქად, აქებდა ხოლმე საკმელებს, მოითხოვდა ექსტრად დაეღიათ კატოს სადღეგრძელო

და ისეთ გუნებაზე დადგა, რომ ხევეწა აღარ დასკირვებია, გიტარა გამოიტანა და დაამღერა.

თამადა ცდილობდა სახეიმო იერი მიეცა ყველა ახალი სადღეგრძელოსათვის. ვრცელი სიტყვა მიუძღვნა გიორგის, შეაქო მისი კითხვითობილება, ცხოვრების გამოცდილება და სხვა ისეთი ღირსება შიაწერა, რაც თვით თუხარელს პირველად გაეგო. ხოტბით მიმართა აგრეთვე ბეგლარს და უწოდა „პატარხევის დედამოძი, ნამუსი და მშვენება“, რისი გავონებაც, ეტყობოდა, ძლიან სასიამოვნოდ დაურჩა აფთიაქარს, — ის მოკრძალებულად თავდახრილი ჩუმად უსმენდა და მხოლოდ ხანდახან ზრდილობისათვის ჩაიბზობინებდა:

— არ ვლირსვარ, ჩემო სიმონ, არ ვლირსვარ, შენ გენაცვალე!

ქალების სადღეგრძელო, რატომღაც, ყრუდ ჩატარდა. ამის შემდეგ თამაგარზე მიდგა ჯერი და აქ თამადამ ისევ გამოიჩინა თავისი მქვერმეტყველება. თითქმის მთელი მისი ცხოვრების სურათი გადაუშალა სტუმრებს, — რამდენჯერ შიმშილი განუცდია ბავშვობაში და ჭაბუკობაში, როგორი გაჭირვებით გაიკაფა გზა უბრალო რკინიგზელი მუშის ბიჭმა, რამდენი დაბრკოლება გადალახა, რომ ახლანდელი მღვამარეობისათვის მიეღწია... კიდევ ბევრი რამ თქვა და ასე დაასრულა:

— ჰოდა, ჩემო მერაბ, ახლა შენ ჩემი მარჯვენა ხარ. ნამდვილად, ნამდვილად! არ ვამეტებ, შენს თავს ვფიცავ! მე და შენ ბევრ რაიმეს მივალწევთ, თუ შეხმატბილებულად ვიქნებით. გაეზარდოთ საქმე, სახელი მოვუხვევით ქარხანას, ასეთი სახელი, რომ ჩემი ფირმით გამოშვებული წყალმაჭარაც შამპანიურად ჩათვალოს ყველამ. ხა-ხა! მართალია, ცოტა ჯიუტი კაცი ხარ, პატიოსნებას ვერ ვუღალატებო, იცი ხოლმე თქმა, მაგრამ შე კაი კაცო, აქ შინაურები ვართ და ვთქვათ, ყოველთვის კი არაა საქირო ეგ პატიოსნება. ამით, იცოდე, ბევრ რამეს დაჰკარგაე. მაგრამ არაფერიც, ოღონდ სხვისი ფეხის ხმას ნუ აჰყვები,

მე დამენდე და, ეს უღვაში შემიტყვევს, თუ ბოლოს ჩემი მადლიერად დარჩე! დალია, მივიდა მერაბთან და გადააკოცა.

შეა ლხინში იყვენენ, როცა სასადილოში ფოსტალიონი შემოვიდა.

სიმონმა გულგრილად გამოართვა დეპეშა.

წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე უცერად მისმა ამოძახილმა დაარღვია:

— ეს რა კარგი ამბავი გაივგი! — მოლიმარი სახით თვალი მიმოავლო სტუმრებს და ხმამაღლა წაიკითხა დეპეშა.

თბილისელი მეგობრები ირინეს დაბადების დღეს ულოცავდნენ.

ყველა აიშალა სუფრიდან, რომ მედღეობესთვის მიელოცნათ და ხელი ჩამოერთმიათ. ყველაზე ბოლოს გიორგი აღგა, შეიღს თავზე აკოცა და, გულაჩვილებულმა, რამდენიმე ცრემლიც გაღმოყარა.

თამადამ განსაკუთრებული სასმისით აღნიშნა ეს ღირსშესანიშნავი დღე ირინეს ცხოვრებაში, შეეცადა მგრძობიარე სიტყვით გამოეხატა თავისი სიხარული და, ბოლოს, თითქოს ხუმრობით, თქვა:

— თურმე გულმა მიგრძნო, ნამდვილად გულმა მიგრძნო, რომ ჩემი მოკეთებები მოვიწვიე. ცოდვაც იქნებოდა, ასეთ სასიამოვნო დღეს სასიყვარულოდ არ შეგხვედროდით ერთმანეთს. რომ გეცოდნოდა, უფრო საკადრისად მოვაწყობდით ყველაფერს. ახლა რა ვქნა, გვაპატიე ასეთი დარიბი საჩუქარი და, გთხოვთ, ეს ჭურჭელი თავისი შემადგენლობით მიიღოთ ჩვენგან პატივისცემის ნიშნად. უკეთესი ხელი მათ ვერ დაიქურს, ამასაც ბედი ჰქონია! — ყვავილებიანი ვაზა ხელში შეაჩეჩა შემკრთალ ირინეს და სუფრას გადასძახა: — აბა, ბატონებო, წამოვიდა ლხინი! ახლა წამოვიდა ლხინი!

ყველაფერი გულითადად და სასიხარულოდ გამოვიდა.

ეს ამბავი ეოცა მხოლოდ კატოს. ჯერ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მართლაც უბრალო დამთხვევა არ იყო, მიულოცა ირინეს, კიდევაც გადააკოცა, მაგრამ

შემდეგ ეკვმა შეიპყრო: ნამდვილად ელოდა სიმონი იმ ვიღაც უცხოს? მერე და, რატომ ერთხელ მიინც არ გამოთქვა სინანული იმ კაცის მოუსვლელობის გამო? რაღაც არ ეგუებოდა ეს ამბავი სიმონის ხასიათს. მართლა შემთხვევით გაიმართა ეს წვეულება ირინეს დაბადების დღეს? ან როდის იყო, რომ სიმონი სუფრაზე ყვავილებს დგამდა? აგრონომის ცოლის, ბეგლარის და ღენტიორის პატივსაცემად მოატანია დიდი თაიგული? რაღაც იმას გავდა, რომ ამ „გამწულული ზომბიოსათვის“, როგორც ირინეს ეძახდა კატო, გამართულიყო ეს ნადიმი...

კატოს ხომ აღრევე შენისწული ჰქონდა, რომ სიმონი ყურადღებას იჩენდა ხოლმე თუხარელის და, განსაკუთრებით, მისი ქალიშვილისადმი, მაგრამ დღევანდელი ამბავი მაინც სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის და უკვე სხვაგვარად ენიშნა. შეეცადა დაერწმუნებია თავისი თავი, რომ შემცდარია, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოიშორა გულში ჩაეარდნილი ეჭვი. ერთხანს ხმაგაქმენდილი იჯდა, მერე შეუმჩნეველად ადგა, გავიდა სასტუმრო ოთახში და ამის შემდეგ აღარც დაბრუნებულა.

გვიან იყო, როცა სუფრიდან აიშალნენ.

წავიდნენ თუ არა სტუმრები, შექვიფიანებულმა მასპინძელმა ხელთ იგდო გიორგი, ხელიხელ გაყრილი დაჰყავდა შუშაბანდში, რაღაცას უამბობდა თავის კმაყოფილ ცხოვრებაზე და მომადბურებლად იმეორებდა ერთსადამიანებს:

— ვენაცვალე ჩემს ბედის ვარსკვლავს, არ გამწირა, კაცი გავხდი ქვეყანაზე გამოსაჩენი! ასე არაა, ჩემო კეთილო?

გიორგი უდასტურებდა.

— ხომ გადამიარა გრივალმა თავზე? მერე რა ქნა, წამაქცია? ვერა! ასე ვდგევარ, ჰა, აღწუხე! ზი-ზი! ჰოდა, ვერც წამაქცევს. გლახაკს წააქცევს, მე კი ნურას უკაცრავად. მაგრად ვდგევარ, ღონიერად!

სიმონს გაეჩახხა ფეხები და ვერ გრძობდა, ღვინო როგორ აქანავებდა!

— შეიძლება ამ გრივალმა იმიტომაც გადაგვიარა, რომ ბედი გვეცდიდა... შენც, მეც... შეიძლება იმიტომ დაგვეძგერა, რომ მერე ბედნიერი გყოფილიყავით. ასე არაა, შენს ლამაზ ქალარას ვენაცვალე?

გიორგის მეტი ძალა არ ჰქონდა, მთვრალს უდასტურებდა.

სუფრაზე ხანგრძლივი ჯდომისაგან და ღრიანცელისაგან დაღლილი თუხარელი ხატის ვერ უტეხდა მასპინძელს, მორჩილად დაჰყევბოდა და ძალაუნებურად უსმენდა. ის ერთგვარად დავალებულადაც ცვლიდა თავს, რომ შვილის დაბადების დღე მზიარულად ჩატარდა და, ამით ნასიამოვნები, ამ პატარა შეწუხებასაც იტანდა.

ირინე ჯერ მოთმინებით უცდიდა ოთახში მას და როცა ლოდინი გაუხანგრძლივდა, გავიდა მის წამოსაყვანად. სიმონი მაშინვე ქალიშვილსაც ჩაებლაუქა და ატარა ორივე მამა-შვილი კიდეც დიდხანს შუშაბანდში. ირინემ რამდენიმეჯერმე სცადა განთავისუფლება, ხან რა მოიმიზეზა, ხან რა, მაგრამ ვერ იქნა, თავი ვერ დააღწია და ახლა თვითონაც მორჩილად დაჰყევბოდა. ენაღქცეული სიმონის უთავბოლოდ ლაპარაკს კი ზოლო არ უჩანდა,—ხან ისევე თავის სახარბიელო მომავალზე ბოდავდა რაღაცას, პატარხევში მომხდარ ამბებს იგონებდა. შემთხვევით სიტყვას მოჰყვა და საკუთარი ბავშვობაც გაიხსენა და ბოლოს ასეთი გულახდილი აღსარებითაც დაასრულა:

— ჰოდა, რა დავფიცო, ერთი უსწავლელი კაცი ვარ. რიგიან საზოგადოებაში წესიერად ლაპარაკი და ხანდახან დაჯდომაც ვერ მომიხერხებია. რაც არ მინახავს და არ გამეგება, რა მომეთხოვება?! იმიტომ ნუ გავიკვირდებით, თუ თქვენისთანა კეთილშობილი აღამიანისათვის საჩოთირო რამ წამოვყარანტოლო ხოლმე...

იგრძნო, რომ ზედმეტად დაიმცირა თავი და დასძინა:

— მაგრამ არც ისე უღირსი და ხელჩასაქნევი ვინმე ვარ, როგორც შეიძლება გეჩვენებოდეთ. კარგის გარჩევა ავისაგან მეც შემიძლია. ნამდვილად მოვასხენებთ, ამაში არ შეეცდებით. ღმერთმა იცოდეს, გულით მიხარია, რომ ბედმა ჩვენს პატარხევეში მომიყვანა თქვენი თავი. სანამ აქ მეგულებით, არ დაგიშალავთ, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ცოტა რამე მაინც ვისწავლო თქვენგან, იქნებ თქვენი კათილშობილება მეც მომეცხოს. ამიტომაც, მსიამოვნებს თქვენთან ყოფნა და საუბარი. გწუხებთ ხოლმე, მარა ამისათვის ნუ გამკიცხავთ და აბეზარ კაცად ნუ ჩამოვლით.

ისეთი გულუბრყვილო უბრალოებით იყო ეს თქმული, რომ ირინემ კიდევაც შეიცოდა.

— არა, ის ნამდვილად რიგიანი ადამიანია, — უთხრა შეილს გიორგიმ, როცა მისთან ერთად ოთახში შემოვიდა. — თანაც ნიჭიერი, დიდად ნიჭიერი. შორს წავა ცხოვრებაში, დამიხსნოვრე ჩემი სიტყვა, შორს წავა!

მაისი დაძინების შემდეგ ირინე ერთხანს დაბორჩალობდა ოთახში. ჯერ კიდევ ცხოვლად განიცდიდა განვლილ დღეს. კმაყოფილი იყო, რომ მოულოდნელად ასე მხიარულად ჩატარდა ეს დღე, ამავე დროს, რატომღაც, სევდას გრძნობდა. ისევ და ისევ გადაიკითხა მეგობრებისაგან მიღებული მილოცვის დეპეშები, მერე წიგნი აიღო ხელში, მაგრამ გული ვერ დაუდო, გავიდა ბაღში და თავის საყვარელ ადგილზე ვაშლის ხესთან ჩამოჯდა. სიჩუმე იყო. შორიდან ორთქლმავლის ქშენა მოისმოდა და მალე ეს ხმაც გადნა. ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, რომ პატარხევის დამისათვისაც უჩვეულო იყო... რა უცნაურად ჩაიარა ამ დღემ... რა ბედნიერი იქნებოდა, მეგობრები რომ დასწრებოდნენ...

სიმონის ოთახიდან კატოს გაჯავრებული ხმა მოისმა. გაურკვეველი იყო

რაზე ჯავრობდა, მაგრამ ძალიან გაულმოსული კი ჩანდა.

ხმა შეწყდა, ისევ სიჩუმე ჩამოყარდა. შუშაბანდიდან ეზოში ჩამოსასხეველ კბეზე უეცრად კატო გამოჩნდა. სწრაფად ჩამოათავა საფეხურები და ჰიშკრისკენ გაემართა. ვაშლის ხესთან რომ ჩაიარა, თვალი მოჰკრა ირინეს, უფრო აუჩქარა ფეხს, მაგრამ მოულოდნელად შეჩერდა, შემოტრიალდა და უკმეხად გადასძახა:

— რაო, ქალიშვილო, აქედან ყურს გვიგდებდი?

ირინე გააოცა გაგონილმა. ეს დედაკაცი შეგნებულად შეურაცხყოფდა, თუ უბრალო უზრდელობას მიეწერებოდა მისი ამგვარი თავხედობა?! შეკრთა, მაგრამ ძალა მოიკრიფა და მშვიდად უპასუხა:

— ვერ გავიგე რას მეკითხებით...

— თუ გაიგონე და, სულერთია ჩემთვის! — ისევ მეკახედ მიახალა კატომ, გამობრუნდა და ღონიერწემოყრილი დაღვა მის წინ.

— არ მეხმის, რა გინდათ ჩემგან, — ახლაც თავშეკავებულად თქვა ირინემ. კატომ თითქმის იგრძნო მისი სიძარტლე: ჩუმად, უცბადვე მოდუნდა, მერხზე აღვილი მოიფათურა და მძიმედ დაეშვა. ირინე მაშინვე წამოდგა და წასვლა დააპირა.

— არამზადაა ის, — ყრუდ, თითქოს ხმის ამოღება უჭირდა, ამოილულულა კატომ. — კაცი რომ ნამუსჯარეცილი იქნება, მისგან ყველაფერს ელოდე...

— უეცრად სახეზე ხელები მიიფარა და ჩუმად ატირდა.

— რა მოგივიდათ? — გაკვირვებული შეჩერდა ირინე.

— კატო ისევ ტიროდა.

— რა იყო, რა მოხდა? — ჩაჰკითხა ირინემ და, ანგარიშმოუცემლად, მხარზე ხელი დაადო.

კატომ თავი ასწია და გამომწვევად თქვა:

— ვინც მოინდომებს გზა გადამილობს, იმას ჩემგან ხეირი არ დაეყრება.

არა! ასე მითქვამს მე! ყველამ იცოდეს ეს! შენც იცოდე!

— რა უნდა ვიცოდე? — თითქმის შიშით შეეკითხა ირინე.

— ჰო, შენც, ქალბატონო! — ბრახ-მორეული მოძრაობით გაინთავისუფლა მხარი მისი ხელისგან, საჩქაროდ გაშორდა, ჰიშვარი ჯახუნით შემოიხურა და გაქრა.

ირინემ გაცივებით გააყოლა თვალი. ეს რა უთხრა იმ ქალმა? რომელი გზის გადაღობვაზე ეუბნებოდა? რა უფლება ჰქონდა რაღაც მუქარით ელაპარაკა და უდიერად მოქცეოდა!

ირინე დიდხანს იდგა იქვე და აზრდანუელი მიშტერებოდა დაცარიელებულ სიბნელეს.

## VII

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ვახდა ირინესთვის ნათელი, თუ რატომ აღელვებულყო კატო იმ დამეს.

კვირა დღეს ბეროშვილმა ქალაქგარეთ მიიბატიყა თავისი ხიზნები და მათთან ერთად თაბაგრებიც. ამ გასეირნებას მან ერთგვარად პომპეზური ხასიათი მისცა.

კვირას, განთიადზე, სიმონის სახლის წინ იდგა ორი დაქირავებული ეტლი, ფაეტონი, როგორც მას პატარხევი უწოდებდნენ, — რომლითაც სტუმრები და მასპინძელი უნდა გამგზავრებულიყვნენ. ერთში მოთავსდნენ გიორგი და სიმონი, მეორეში ირინე და თაბაგრები.

ქალაქი ვალვიძებს იწყებდა, როცა რიყეფენილი ქუჩებით ეტლები გზას გაუღდნენ. ცხენებს, რატომღაც, ეყვნები ჰქონდათ შებმული.

რახრახით ჩაიარეს ცენტრი, მალე განვლეს განაპირა უბანიც და გავიდნენ გზატკეცილზე, რომელიც ერთხანს მდინარის ნაპირით მიიმართებოდა. კიდევ ცოტა და, მიიშალა ქალაქი, გაიშალა სივრცე და დაიწყო ალაგ კიანა ქალები, ალაგ სიმინდის ყანით დაფარული ვაკე. შორეული გორაკების ფერღობებზე ნელინელ იცრიცებოდა დამენათევი

ნისლი, მალა იწვედა ეთერში და უკველოდ ქრებოდა. სიმშვიდე ეფინა ჯერ კიდევ მთვლემარე გარემოს.

დილის ამ რულში ნაღვლიანად შოის-მოდა ეყვნების ხმა. გზის ნაპირებზე ტოროლები აფრთხილდებოდნენ ხოლმე და ჟივილით ცისკენ აიჭრებოდნენ. შემდეგ ისევ სიჩუმი და ეყვნების მონოტონური, სევდის მომგვრელი ჟღარუნი.

ეტლმა გორაკი აიარა და როცა შემდეგ ისევ ქვევითკენ დაეშვა, ირინემ დაინახა როგორ ერთბაშად ამოვიდა მუშა-მაშინვე ფერი და ხალისი მიეცა ყველფერს. მგზავრებსაც გამოცოცხლება დაეტყო. ირინეს ისიც კი ეჩვენა, რომ ცხენები ახლა მხნედ მიიბაკუნებდნენ და ეყვნების ხმაც სევდიანი აღარ იყო.

გზატკეცილიდან საურმე შარაზე გადაუხვიეს, ერთხანს გზა ვიწრო ხევით მიიმართებოდა, მერე აღმართი დაიწყო და იქ, სადაც ძველთაძველი კუზიანი ხიდის გადღმა წაბლისა და წიფელას ხევებით დაბურულ ფრიალოს ძირში ნახევრად დანგრეული წისქვილი გამოჩნდა, ეტლები გაჩერდა. გამხმარი ტოტებით ჩახერგილ და კლდიდან ჩამოცვენილი ქვებით შემოზღუდულ კალაპოტში სწრაფად მოედინებოდა აქაფებული წყალი. მის ჩხრიალს კიდევ უფრო მეტი სიმშვიდე შეჰქონდა ტყის სიჩუმეში. სველი მიწის და დამპალი ფოთლების სუნი იდგა. გრილოდა.

მგზავრობის შემდეგ ყველა დაღლილობას გრძნობდა. მოუსვენრად იყო მხოლოდ სიმონი. მას, რატომღაც, მღელვარება ემჩნეოდა. იმ ეტლიდან, რომლითაც თვითონ იმგზავრა, გაღმოათრია ხურჯინი, ლედვის ფოთლებით თავგადაკრული კალათი და, ბოლოს, ღვინით სავსე ტიკვორა.

სუფრა იქვე ჩრდილშივე მოღზე გაშალეს და მასპინძლის მოწვევით მაშინვე შემოუსხდნენ. პატარა ხნის შემდეგ ყველას გამოცოცხლება დაეტყო და ძალდაუტანებელი ხალისი გამეფდა.

სიმონი ქალებსაც სთავაზობდა დეცალათ ჰიქები.

— უკლებლივ, ქალიშვილო ცერემო-

ნიები არ იყოს! — ავსებულ სასმისს უფრო დაჯინებით აწოდებდა ირინეს. — ეს დღე ყველამ უღარდელად და ბედნიერად უნდა გავატაროთ. გული მეუბნება, ნამდვილად ბედნიერი იქნება ის ჩვენთვის. ასე მითქვამს მე! ჰოდა, ამ დღის საღღერძელო იყო. მრავალყამიერ, ბატონებო!

წამოიწყებდა ხოლმე სიმღერას და თუმცა არავინ აყვებოდა, მაინც არ შესწყვეტდა და მარტო გუგუნებდა თავისი მაღალი ბანით.

ის გულწრფელად გაბალისებული ჩანდა, ბევრს ხუმრობდა და ხშირად ისე მოსწრებულად, რომ საერთო მხიარულებას იწვევდა. ირინე პირველად ხედავდა სიმონს ასეთნაირად და არა თუ მხოლოდ გონებასახვილი, კეთილ ადამიანადაც წარმოუდგა ის. არა თუ თავს აღარ არიდებდა სიმონს, არამედ მხარიც აუბა ხუმრობაში.

ამ ველურ ბუნებაში წაშლილიყო ყოველგვარი ზღვარი იქ შეკრებილთა შორის, როგორც დაახლოებულად გრძნობდნენ თავს და უკეთესი ეჩვენებოდათ ერთმანეთი, ვიდრე აქამდე. შექვიფიანებული მამაკაცები, განსაკუთრებით სიმონი და გიორგი, სიყვარულს ეფიცებოდნენ ერთმანეთს და რამდენიმეჯერ კიდევაც გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

პიკნიკი, რომ არ ელოდნენ, ისე სასიამოვნოდ და მხიარულად ჩატარდა. ბოლოს სიმონმა თავის სტუმრებს შესთავაზა ენახათ ჩანჩქერი, რომელიც მისი თქმით, მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა და ახლო იყო წისკვილიდან.

— თუნდაც შორს იყოს! — მაშინვე თანხმობა განაცხადა გიორგიმ და ღიღინით გაუდგა ბილიც.

ჩანჩქერი პატარა აღმოჩნდა, ჩვეულებრივ ნაკადულივით მოწანწკარებდა მთის კალთაზე. გიორგის გარდა არავის გამოუთქვამს აღტაცება და მცირე ხნით შესვენების შემდეგ ისევ წისკვილისაკენ დაეშენ.

სიმონმა დაბრუნებისას მოხერხებულად ჩამოიტოვა ირინე, მოულოდნელად

სიტყვა ჩამოავლო თავის მარტოხელა ცხოვრებაზე და ინატრა უღლის გამწყვეტი ვინმე საიმედო მეგობარი ჰყოლოდა. თქვა ისიც, თუ რა ბედნიერი იქნებოდა ქალი მის ხელში.

— ჩიტის რძე არ მოაკლდება, ჩიტის რძე... მზეთუნახავი რომ არ შენახულა ბროლის კოშკში, ისე იცხოვრებს... მარა...

ლაპარაკობდა მოიარებით, ხშირად არც ამთავრებდა დაწყებულ სიტყვას, იმეორებდა ხოლმე უკვე თქმულს, მაგრამ ისევ გაუბედავად, თითქოს შიშითაც. ირინეს ვერ გავგო რისი თქმა უნდოდა მას, რატომ დაეწყო ამაზე ლაპარაკი, რატომ ღელავდა ასე. ერთი-ორჯერ უნებური ღიმილითაც გადახედა მამაკაცის წამოჭარხლებულ სახეს და მისი თვალების უმწეო ტრიალს.

როცა რუზე გადადიოდნენ, სიმონმა უეცრად აიტაცა ქალი, შეტოვა წყალში და მერე ნაპირზე გადაიყვანა ატაცებული. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ირინემ უარის თქმაც ვერ მოასწრო.

— ფეხები რომ არ დაგვეღებოდა, ქალიშვილო... — თვალგაბრწყინებულნი, გახარებული შეჰყურებდა სიმონი.

სხვა დროს ირინე, ალბათ, არ აბატებდა ასეთ სითამამეს, მაგრამ ახლა ამჯობინა ყურადღება არ მიექცია, მადლობის მაგვარი რაღაც წაიბუყუნა კიდევაც, შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია, რომ წინწასულთ დასწეოდა.

წისკვილთან დაბრუნებისას სიმონი შეეცადა განეგრძო ლხინი, ისევ წამოიწყო საღღერძელოები, ოხუნჯობდა, მღეროდა. მაგრამ რაც მეტს ცდილობდა, მით უფრო გრძნობდა ირინე, რომ ის თავს ძალას ატანდა. ჯერ კიდევ ბუნდოდ, მაგრამ მაინც მიხვდა, რას ეუბნებოდა სიმონი ჩანჩქერიდან დაბრუნებისას. ისიც ენიშნა, რომ ქალაქგარეთ გასეირნება ტყუილად არ იყო მოწყობილი.

დაბინდებული იყო, როცა პატარხევისაკენ დაიძრნენ ეტლები. მთელი გზა

ირინეს თვალწინ ედგა სიმონის წამოქარხლებული სახე და ისევე მისი ქარაგმები აგონდებოდა.

ირინე უსიამოვნო მდელეარებით დაბრუნდა ქალაქში და როგორც კი ეტლი მისი სახლის წინ გაჩერდა, მაშინვე ოთახს მიაშურა, გაიხადა და დაწვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კომპართან შეორე ეტლიც გაჩერდა და იქიდან სიმონი და გიორგი გადმოვიდნენ. ფანჯრიდან ირინემ დაინახა, რომ სიმონს შკლავში ხელი გაეყარა თავიქაქინდრულ გიორგისათვის, ნელა მოჰყავდა, ხანდახან შეაჩერებდა და რაღაცას ეუბნებოდა.

ბეროშვილმა მოაცილა გიორგი მისი ოთახის კარამდე, აქ ორივენი შეჩერდნენ და წუთიერი დუმილის შემდეგ ირინემ შეაფიოდ გაიგონა მამის სიტყვები:

— ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს ანგარიში გავუწიო თქვენს თხოვნას... მაგრამ... ვიმეორებ, მე მხოლოდ რჩევის მიცემა შემიძლია... თუ თანახმა იქნება, მე წინააღმდეგი არ ვიქნები. ძალას კი ვერ დავატან... გირჩევთ, ჯერ თქვენ უთხარი... შემდეგ კი...

ხმა შეწყდა, ნელა გაიღო კარები და ოთახში ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა გიორგი. ირინემ მაშინვე მოიძინარა თავი. გაუბედავად, ფეხაკრეფით მიუახლოვდა გიორგი, დაიხარა და მოულოდნელად თავზე აკოცა.

იგრძნო ირინემ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი აღერასი. რაღაც ტყვილით შეეხენ მამის ტუჩები. ეს კოცნა გამოტირებას უფრო ვავდა.

იმ ღამეს ირინემ სიზმარი ნახა: ფეხშიშველი მირბის უდაბურ ველზე. გარშემონული სიცალიერვა და ქარი მძვინვარებს. გააფთრებული დიდი ფრინველები დაქრიან მის თავზე, ისმის მათი ფრთების ფართოქუნი და შემზარავი კივილი. ველის ბოლოში მდინარე გადაეღობა. უნდა გავიდეს და ვერ გაუბედნია. უეცრად ვიღაც წვდა, აიტაცა და, გახარებულმა წყალში შესტოპა...

სიზმარი გაქრა და ირინესაც მაშინვე

გამოეღვიძა. ქარი არხვედა თუთის ხეს და ტოტი ფანჯარას ურტყამდა. ხმა ვაგდა ფრთების ფრთხილს.

მეზობელ ოთახში საათმა — სამი დარეკა. ლამპას აუცილა ირინემ, წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო. დიდხანს იკითხა, მაგრამ ვერაფერს იმახსოვრებდა. არ შორდებოდა ფიქრი იმაზე, რომ უნდა გაცლოდა აქაურობას და რაც შეიძლება მალე.

სველიანი უფერული ცისკარი ნელ-ნელ მოადგა ფანჯრებს. კედლის სიმაღლეზე ამართულ სარკეში ბუნდოდ გამოისახა კუთხეში ჩამოკიდებული სურათი, ფანჯარასთან მიდგმული მაგიდა, ხის ტოტი, რომელსაც ქარი აქანავებდა.

ისე ჩაეძინა, არც შეუძინევია, რომ ლამპა ჩაუქრობელი დარჩენოდა.



როცა სადილის წინ გიორგი შინ დაბრუნდა, ირინემ განუცხადა, რომ ამ საღამოს თბილისში წასვლას აპირებს.

ამის გაგონება სრულიად მოულოდნელი იყო გიორგისათვის.

— ეს აუცილებელია ჩემთვის! — პირდაპირი პასუხის მაგიერ ყრუდ ჩაილაპარაკა ირინემ.

— რა იყო? რაიმე ამბავი მიიღე? ირინემ სახე მოარია. ერთხანს გაჩუმებული იდგა და იატაკს დაჰყურებდა წარბშეკრული.

— ჩემი პირადი საქმის გამო, — ბოლოს მოისმა მისი გაუბედავი ხმა.

ამის გაგონება კიდევ უფრო ეოცა გიორგის.

— რა პირადი საქმე? სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგიმ იგრძნო, რომ პასუხს ვერ მიიღებდა.

— მე არ უნდა ვიცოდე? შენ რა პირადი საქმე უნდა გქონდეს ჩემგან დაფარული?

მას უკვე მოუსვენრობა ემჩნეოდა. გულს მოხვდა, რომ შეიღს მასთან წინასწარ შეუთანხმებლად წასვლა გადა-

ეწყვიტა და, რაც კიდევ უფრო საყვირ-  
ველი იყო, ისეთი საიდუმლო საქმე აღ-  
მოჩნდა, რის შესახებ მამამ ეკვიადაც  
არაფერი იცოდა.

ეს ამბავი თითქმის ჯანყს უღრიდა.  
არა, ეს ირინე არ გავდა იმ გოგონას,  
რომელიც მის თვალწინ გაიზარდა. აქამ-  
დე მუღამ მოკრძალებული და მორჩილი,  
ახლა სულ სხვანაირი წარმოუღდა.

გასუღრული შეზყურებდა, ბოლოს  
გულმა ვეღარ მოუთმინა და ხმააწყეუ-  
ლად ჰკითხა:

— რა იყო, რა მოხდა? შენ რაღაცას  
მიმალავ!

მამის ხმაში შემფოთება მოესმა ირი-  
ნეს და დანახა, რომ ააღელვა მოხუცი.  
ერთი წუთით სიბრალული იგრძნო მის-  
დამი, მაგრამ უტბად ძალა მოიკრიფა.  
მოეხვია და ძალდატანებული ღიმილით  
ჩახედა თვალებში.

— შენ ნუ აღელდები, სერიოზული  
არაფერია... მე უნდა წავიდე... ეს აუცი-  
ლებელია... მერწმუნე, ისეთი არაფერია,  
რომ შენი საწყენი იყოს...

შვილის აღერსმა რამდენიმედ დაამ-  
შვიდა გიორგი.

— კეთილი, როგორც გინდოდეს, —  
ამის თქმა-ლა მოახერხა. — თუ კი აგრე  
აუცილებელია, საწინააღმდეგო არაფე-  
რი მაქვს. მაგრამ... მაგრამ ვერ გამიგია,  
რატომ არ მეუბნები მიზეზს? იმასაც არ  
ამბობ თუ რა ხნით მიღიზარ...

— რამდენიმე დღით, მეტით არა! —  
წამოიძახა ირინემ, გაზარებულმა, რომ  
მამამ წინააღმდეგობა არ გაუწია. —  
მერწმუნე, ეს აუცილებელია ჩვენთვის,  
ორივესათვის. ჩვენი სიკეთისათვის, მა-  
მა. მერე შენც იტყვი რომ ასე იყო სა-  
ჭირო. ახლა მეტს ნურაფერს მკითხე.

კინალამ დაცდა, რომ შენც გამო-  
ემგზავრები, როგორც კი გაცნობებო.  
მიხვდა, რომ ამით ისევ ააფორიაქებდა  
და გაჩუმდა.

სადილმა მუნჯად ჩაიარა. გიორგიმ  
ალარ განაახლა ლაპარაკი იმ იმედით,  
რომ საღამომდე იხელთებდა შესაფერ  
წუთს და ისევ ჩამოუგდებდა სიტყვას.

ირინემ საჩქაროდ ისადილა, მაშინვე  
შეუღდა გამგზავრების თადარიგს. ტან-  
საცმელი ჩემოდანში ჩაალაგა და ქს-  
ლაქში გავიდა.

— არაფერი არ მესმის! ვერაფერი  
ვერ გამიგია! — მარტოდ დარჩენილი გი-  
ორგი ოთახში ბოლოს სცემდა და, მო-  
უსვენრად მყოფი, დასაჯდომ ადგილ-  
საც ვერ პოებდა.

ფიქრობდა და ვერაფრით აეხსნა შვი-  
ლის ამ მოულოდნელი გადაწყვეტილე-  
ბის მიზეზი... არც გუშინ, არც დღეს გა-  
დაკრულადაც არაფერი უთქვამს, რომ  
წასვლას აპირებდა. პირიქით, ასე ჰქონ-  
დათ დათქმული, რომ შემოდგომას აქ  
გაატარებდნენ, ახლა კი ასე ერთბაშად...  
არა ეს უბრალდ ბავშვური ყინი არ იყო  
და რაღაც დაუფარა... მაგრამ რა?

გული არ უთმენდა, უნდოდა ვინმეს-  
თვის გაუზიარებია თავისი შემფოთება  
და როცა ქარხნიდან დაბრუნებული სახ-  
ლისბატრონი ეზოში შემოსული დანა-  
ხა, შუშმანდის კარებში შეეგება და იქ-  
ვე უამბო ყველაფერი.

სიმონის სახეზე ჯერ გაკვირვება გა-  
მოიხატა, მაგრამ უმაღვე ღიმილმა გა-  
დაკვრა.

— ამის გამო რას დეღავ, შე კაი კა-  
ციო? — თითქმის გულგრილად უთხრა  
და მზარზე ხელი მოუთათუნა. — რა ისე  
შორსაა თბილისი, იქ ჩასვლა გაუძნელ-  
დეს მატარებელი და მისი ჯანი...

არ დამიჩნია, თორემ ძალზე არ ესია-  
მოგნა გაგონილი. მართლაც და, რა მი-  
ზეზი უნდა ყოფილიყო? გიორგის  
ალალმართალი გულის ამბავი რომ გა-  
გებული ჰქონდა, ამიტომ დარწმუნებუ-  
ლი იყო, რომ მან ნამდვილად არაფერი  
იცოდა. მისი შემფოთება, რა თქმა უნ-  
და, გულწრფელი იყო. ცხადია, შვილი  
რაღაცას არ უმხვლდა. ისიც ცხადი იყო,  
რომ ქალიშვილი რაღაც ამბავმა ააღელ-  
ვა და ააჩქარა. მაშ რატომ აიწყვეტდა  
მოულოდნელად და, რაც მთავარია,  
ასეთი საიდუმლოთი რად შემოსავდა  
თავისი წასვლის მიზეზს?!

სადილს შეეკცეოდა სიმონი, როცა  
უეტრად ერთმა ფიქრმა გაუღვდა. მია-

ტოვა სუფრა და გიორგისთან შევიდა. ისევე შეფიქრიაებული რომ დაინახა, ჯერ ხუმრობის კილოთი გამოელაპარაკა:

— მაშ მიდის, მიდის... ა? დარდი ნუ გაქვს, ჭირიმე, არსად არ გაგექცევა. გაივლ-გამოივლის, თვალს წყალს დააღვინებებს და დაგიბრუნდება. ასე არაა?

— გიორგიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, როცა ისევ სიმონმა დაიწყო. მის სახეს კიდევ არ მოსცილებოდა ღიმილი, ოღონდ ხმაზე ემჩნეოდა, რომ არ სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი:

— ერთი ეს მითხარი, ხომ არაფერი გითქვამს?

არ დაასრულა, ეგონა, თუ მიუხვდებოდა თუ რას ეკითხებოდა.

— რა არ მითქვამს? — გულუბრიყვილოდ მიაჩერდა გიორგი.

სიმონმა უკმაყოფილოდ შეავლო თვალი და გაიფიქრა: „სულ გამოჩერჩეტიებულია ეს უბედური!“

— ხომ არაფერი გითქვამს თქვენი ქალიშვილისათვის? აი, გუშინ რომ... გუშინ გზაში რომ საუბარი მქონდა შენთან?...

— ახ, იმ თქვენი წინადადების შესახებ? — როგორც იქნა მიუხვდა თუხარელი. — არა, არაფერი.

— არაფერი?

სიმონს ახლა ამის გაგონება არ ესიამოვნა. მთელი გზა წისკვილიდან ელაპარაკებოდა და რა გამოვიდა? თურმე ყურადღებაც არ მიუქცევია მისი სიტყვებისათვის.

— მაშ არაფერი?

— მერწმუნეთ სრულიად არაფერი!

— ჰმ... ჰმ... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ბეროშვილმა. — ან კი რა ყურადღება მისაქცევია რაღაცას მთვრალი კაცი წამოიყრანტალებს...

— მეც სწორედ აგრე ვიფიქრე, რომ ღვინონასვამი იყავი და...

სიმონმა დამთავრება არ აცალა, ისე გავიდა ოთახიდან. სჯეროდა, რომ გიორგის მართლაც არაფერი ეთქვა შვილისათვის. მაგრამ გული მაინც იმას ეუბნებოდა, რომ გუშინდელ ამბავს რა-

ღაც კავშირი ჰქონდა ირინეს უცარ გამგზავრებასთან.

ახლა ძალიან ნანობდა, რომ საწაღელი გაამელავნა. შელახულად იგონებდა თავმოყვარეობა და გულიც მოსდიოდა თავის თავზე.

სახლიდან ირინემ პირდაპირ ქეთინოსაკენ მიაშურა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გამგზავრების ნამდვილ მიზეზს არ ეტყოდა. არ უნდოდა ეთქვა იმიტომ, კი არა, რომ საჭიროდ არ თვლიდა განდობოდა, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ თავს ზოგავდა, — მეგობრის წინაშე კი უმძიმდა გამხელა, თუ რა დამცილება იგრძნო, რომ ვილაც ღვინის ეკარმა თავის ტოლად ჩათვალა. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი კარგად დასრულდა, ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირდა. მამამ თანხმობა მისცა თბილისში წასვლაზე, და, მამასადამე, აღარც სხვისი დახმარება იყო საჭირო.

გამხნევებული და გახარებული ჩქარა მიდიოდა ქუჩაში. გარემოსაც ამ სიხარულით უმზერდა ახლა. ეს მზიანი დღე უჩვეულოდ ნათელი და კეთილი ეჩვენებოდა.

ყველაფერი, რამაც წუხელ ასე ძლიერად ააფორიაქა, თანდათან დავიწყებას ეძლეოდა და იჩქმალეობოდა იმ დიდი სიხარულის წინაშე, რომ ამ საღამოს თავს დააღწევდა იქაურობას და რომ ამიერიდან თავისი თავის ბატონბატრონი იქნებოდა... ის გამოიჩინეს საიმისო ძალას, რომ ახლად დაიწყო ცხოვრება. და აი, დასტოვებს თუ არა დღეს აქაურობას, ყოველნაირად შეეცდება თავისი ოცნება შეასრულოს.

თანდათან ემატებოდა რწმენა, რომ ყოველივე ისე იქნებოდა, როგორც სურდა. შესაძლოა პირველ ხანებში რაიმე გასაკვირი გადაეღობოს, მაგრამ ამის გამო არ შედრკება... არ შედრკება თუნდაც იმიტომ, რომ დასაყრდენი ძალა ჰყავს, გვერდით ეგულება დიდი საიმედო ძალა — გივი! ხვალვე ინახულებს მას, ერთად მოითათბირებენ, და შეთანხმებულად იმოქმედებენ. მათ ხომ უყვართ ერთმანეთი და სიყვარული ხომ

ის დიდი ძალაა, რომელიც ყველაფერს შესძლებს...

მიდიოდა და თვალწინ გვი ედგა. რა თქმა უნდა, ის დიდად გახარებული იქნება მასთან შეხვედრით; ირინეს დაბრუნება დაეიწყებს ყველა ტანჯვას, გამოწვეულს იმით, რომ აქამდე შორს იყვნენ ერთმანეთისაგან. ამიერიდან ისინი მუდამ ერთად იქნებიან და ხელიხელჩაკიდებული გაიკვლევენ გზას. რა ბედნიერებაა გიყვარდეს და უყვარდე ისეთ ვაჟაკს, როგორიც გივია!...

ქეთინო ახლად დაბრუნებული იყო სამუშაოდან, როცა მასთან ირინე მივიდა. თავწაკრული ქეთინო ოთახში საქმიანობდა ქმრის მოლოდინში. უბრალოდ ჩაცმული ის უფრო მიმზიდველი იყო.

მან უცბათ შენიშნა, რომ ირინე უჩვეულოდ გამოცოცხლებული იყო.

— ვხედავ, კეთილად იმოქმედა შენზე გულმოდგამადად გასეირნებამ, — შესცივნა ქეთინომ. — სახის ფერიც უფრო ჯანმრთელი გაქვს... მომავალ კვირას მერაბი უკეთეს ადგილას წაგვიყვანს.

— მომავალ კვირას? ვაი რომ ეგ არ მოხდებოდა! — სინანულის ნაცვლად ხალისიანად წამოიძახა ირინემ და თავისდაუნებურად მაშინვე დაუმატა, რომ გამოსაშვებობებლად მოიბრინა.

— უკვე თბილისში ბრუნდებით?

— მამა რამდენიმე ხნით აქ დარჩება და როცა ვაცნობებ, ისიც წამოვა...

— მამ სამუდამოდ გეტოვებ?

ქეთინოსთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს ამბავი. გაკვირვებული შესცქეროდა და ელოდა ამ უცნაური გადაწყვეტილების ახსნას. ირინემ უხერხულად იგრძნო თავი, რომ უმალაჭდა მეგობარს და ყველაფერი უთხრა.

ჯერ გაოცებული უსმენდა ქეთინო, ბოლოს კი ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ ირინე კიდევაც შეკრთა.

— ამის გამო ვარბიხარ? ასე შეგამინა სიმონმა? — და ისევ გადაიხარხარა. — აბ, შე სულელო, შენა! რა არის აქ საშიში? მე დიდი ხანია ვგრძნობდი რომ ბეროშვილს შენზე ეჭირა თვალი. რა მია-

მიტი ყოფილხარ! ნუ თუ მიხვედრილი არ იყავი რომ, ტყუილ-უბრალოდ არ გელოლიაებოდათ შენ და მამაშენს? რის, ჩემო კარგო, უბრალოდ თათსაც არ განძრევს, თუ ამისაგან რაიმე სარგებლობას არ გამოელის. ერთი შენ კიდევ მოგცლია თუ ამის გამო თავგუდმოგლეჯილი ვარბიხარ აქედან!

— არა, უნდა წავიდე! — ჯიუტად თქვა ირინემ.

— ჰოდა, წადი, თუ აგრე საჭიროდ მიგაჩნია! — ისევ მხიარულად განაგრძო ქეთინომ, — იქნებ მართლაც ასე სჯობდეს შენთვის... ამბობ, დამცირებულად ვგრძნობო თავს... რატომ, რა მოხდა ასეთი? შეურაცხეყო? იმით, რომ შენი შერთვა მოინდომა? შენც აიღე და უარი უთხარი, მორჩა და გათავდა!

ისე გულიანად იცინოდა, ბოლოს მისი მხიარულობა ირინესაც გადაედო.

ირინე დაშვებულად გამობრუნდა ქეთინოსაგან. იმ ამბავმა, რომ მან სასაცილოდ ჩათვალა ყველაფერი, საბოლოოდ გაამხნევა. ახლა თვითონაც გრძნობდა, რომ მართლაც არ ღირდა ბეროშვილისათვის ანგარიში გაეწია და შიშს მისცემოდა.

უკან დაბრუნებისას გედეონთან შევიდა მალაზიაში. მოხუცი მუდამ ყურადღებას იჩენდა მისდამი და ამიტომ თავს ვალდებულად თვლიდა ენახა უკანასკნელად.

გედეონი მარტო აღმოჩნდა. პატარა კიბეზე შემდგარი, ზედ თაროზე წიგნებს ჩხრიკავდა. როცა ფეხის ხმა მოესმა, შემოტრიალდა და სათვალეების ზემოდან გადმოიხედა უკმაყოფილოდ, რომ უდროო დროს შემოვიდა ვიღაც.

— ჰა, თქვენა ხართ? — იცნო ვინც იყო და ჩამოცოცდა. — კედელს ნახშირი, კედელს ნახშირი! არა, ხელს არ ჩამოგართმევთ, დამტვერიანებული მაქვს მთელი კვირა ჩემთან არ ყოფილხართ. ქალიშვილო... — მის საყვედურშიც ალერსი იგრძნობოდა. — მამათქვენიც იშვიათად მოდის. არ ვარგა ასე დავიწყება, არ ვარგა. მე კი ეს რამდენიმე დღეა თქვენთვის საინტერესო წასაკი-

თხავი მაქვს გადანახული. არავისთვის არ მიჩვენებია, რომ ხელიდან არ გვამოშტაცონ...

ქვედა თაროზე ჩამწკრივებულ წიგნების უკანა წყებიდან გამოათრია ფერგადასულ ძველ ყდაში ჩასმული წიგნი, სული შეუბერა და გაუწოდა.

— გმირი ქართველი ქალები! დიახ, გმირი ქართველი ქალები! აი როგორი იყვნენ ჩვენი წინაპრები! ამ წიგნს თქვენ ერთი სტლის მოთქმით წიკითხავთ. სწორედ გუშინწინ ჩემს მეუღლეს ვუკითხავდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი საღამო თვალზე ცრემლი არ შემშრობია. ჩემი ბაბილინა ხომ ერთობ მგრძნობიარე აღამიანია, ერთობ!

— მე ვერ წაიღებ ამ წიგნს, ძია გედეონ. — მორიდებულად წაიდუღუნა ირინემ.

ბუკინისტმა გაოცებით მიაპყრო თავისი მოწითალო ბეცი თვალები.

— ამ საღამოს თბილისში მივდივარ... მოვედი დაგემშვიდობათ...

— დიდი ხნით?

— დიახ, დიდი ხნით...

— აი თურმე რა მომხდარა... — წუთიერი დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა გედეონმა. — მაშ თქვენ, ჩემო გოგონა, ვტოვებთ... მიმოიხედა და ნაღვლიანად დაუმატა: — ჩემი ბაბილინა კი აქ არის... ძალიან ეწყინება, რომ უკანასკნელად ველარ გნახათ... ძალიან დაწყდება გული. ის ხომ საოცრად მგრძნობიარეა... მაგრამ მე საღამს გადავცემ თქვენგან, აუცილებლად...

წიგნი ისევ შემაღა თაროზე.

— რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, როცა კარგი აღამიანები სტოვებენ აქაურობას. ჰო, დიდად საწყენია. — თავი სევდიანად გააქნია. — აი, ამ ბოლო დროს, მრავალი კარგი და თვალსაჩინო პიროვნება გადავიდა აქედან დიდ ქალაქში. მერე და რატომ? განა ასე ცუდია აქ? განა შეიძლება, რომ ცხოვრება ცუდი იყოს სადმე?

მოხუცს გრძელი ლაპარაკი უყვარდა, ვაუთავებელი მსჯელობა იცოდა ხოლმე და ირინე შიშობდა, რომ დიდხანს გაა-

ჩერებდა. ჩუმიდ იდგა და ხელსაყრელ წუთს ელოდებოდა, მალე დაეძვრინათაგი.

— დიახ, დიახ, სტოვებენ ძველ ბუღეს, გარბიან. მამა-პაპიდან აქ ცხოვრობდნენ, მკვიდრი ფუძე ჰქონდათ, ახლა კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, აიწყვიტეს და თბილისს მიაშურეს. იცოცხლე, კარგი ქალაქია, წუნი არ დაედება, ასე ვთქვათ ჩვენი ქვეყნის გულია, მაგრამ აქაც ხომ საჭიროა ხალხი? და მერე როგორ საჭიროა!

ბოლო დროს პატარხევიდან მართლაც აიკრიფნენ და გადაბარგდნენ თვალები, მაგრამ არც იმდენი, რომ დასამჩნევი ყოფილიყო. ნაწილი წარმოადგენდა ახალთან ვერ შეგუებულ და უსაქმოდ დარჩენილ ძველ ბოზოლას, რომლებიც ახლა გარიყულად გრძნობდნენ თავს და ამჯობინებდნენ აქაურობას გაცლოდნენ.

გადაბარგდა აგრეთვე მასპინძლობით განთქმული რამდენიმე თვახი. ახლამახლო სოფლებში მათ საკმაო მამულეები ჰქონდათ წინათ, ზოგიერთს ქვანახშირის მალაროებიც, და ახლა იმ იმედით, რომ მამაპაპეულიდან ნაწილს მაინც შეინარჩუნებდნენ, ისევ თავის ძველისძველ ბუღეს მიმართეს.

პატარხევიდან გადაბარგებულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სპეციალური განათლება გააჩნდათ, მაგრამ აქ თავისი ცოდნა ვერსად გამოეყენებინათ. და აი, როგორც კი დაიწყო მუშაობა დიდი ქალაქების სამრეწველოებში, მაშინვე იქაურობას მიაშურეს.

— ჰოდა, ჩემო ქალიშვილო, პატარხევი უჩინარი ქალაქიაო, ამიტომ ზურგი უნდა შევაქციოთ ყველამ?! — გედეონმა მსმენელი იგდო ხელში და ასე ადვილად როგორღა გაუშვებდა. — რაც ვინდათ ის თქვით და, საინტერესო ცხოვრება იწყება აქაც. თქვენ ახალგაზრდა ხართ და გახსოვდეთ ჩემი სიტყვა, ბევრ რამეს მოესწრებით! — წუთით ჩაჩუმდა და გულმტკივნეულად დაუმატა: — არ მეგონა თუ თქვენც მიგვატოვებდით. მამათქვენს ძალიან მოს-

წონდა ჩვენი კუთხე. რას იზამ, მოვალ და უკანასკნელად მაინც ვნახავ.

ირინემ ხელსაყრელი წუთი იგრძნო და მაშინვე შესძახა:

— არა, მამა აქ რჩება!

— მაშ მარტო თქვენ? და, ალბათ, დროებით, არა? ო, ეგ სხვა ამბავია! იცოდეთ, მალე დაბრუნდით და ჩემი ბაბილინა გაახარეთ. მას ძალიან უყვარხართ, ძალიან. მან იცის ადამიანის გაგება და დაფასება თქვენ ჯერ კარვად არ იცნობთ ჩემს ბაბილინას!

კიდევ აპირებდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ირინე საჩქაროდ დაემშვიდობა და ქუჩაში გავიდა.

სალამო ხანს ქეთინო და მერაბი მოვიდნენ გასაცილებლად. ირინე ორმაგად გახარებული იყო მათი მოსვლით. გიორგი სულ ეძებდა შემთხვევას შვილთან სიტყვა ჩამოეგდო და წასვლის მიზეზი ეკითხა. ირინე ადვილად ხვდებოდა მის ქარაგმებს და ყოველ წუთს იმის მოლოდინში იყო, რომ ბოლოსდაბოლოს პირდაპირ შეეკითხებოდა. და აი, თაბაგრები გამოჩნდნენ. ირინე მაშინვე ჩაებდაუჭა მათ, დაიმარტოხელა ქეთინო, ხოლო მერაბი მამას შეუტოვა ხელში. გიორგი ძალაუნებურად მასთან საუბარში ჩაება.

როცა სადგურზე წასვლის დრო დადგა, ბეროშვილიც გამოჩნდა. ისე ხალისიანად ეპირა თავი, თითქოს კიდევაც უხაროდა ირინეს წასვლა. უკანასკნელ წუთამდე, სანამ ქალაქიდან მოყვანილი ეტლი სადგურისაკენ არ დიპირა, ირინე სულ იმის შიშში იყო, რომ სიმონი დარჩენას თხოვდა და საწადელს გაუმხვლდა. მაგრამ მას გაცილების სურვილიც არ გამოუჩენია და დამშვიდობებისას მხოლოდ უბრალოდ თავაზიანი სურვილი

გამოთქვა, რომ მათ შორის კეთილი ურთიერთობა არ შეწყვეტილებოდეს და მალე ენახათ ერთმანეთი.

მთელი დღე-ღამის განმავლობაში ნერვიულობის შემდეგ ასეთი ფინალი სრულიად მოულოდნელი იყო.

იმ დათვმა მგონი მასხარად ამიგდო! — ირინემ გზაში სიცილით წასჩურჩულა ქეთინოს, მაგრამ ის კი დაუფარა, რომ სიმონის გულგრილად დამშვიდობების შემდეგ ერთგვარად შელახულადაც მიანდა თავისი თავმოყვარეობა. ირინე ქალი იყო და გულის სიღრმეში მაინც სიამოვნებდა, რომ მამაკაცი ეტრფოდა. ნუთუ მართლა უსაფუძვლოდ შემოთოდა? ნუთუ სიმონს გუშინ მხოლოდ ღვიწი ალაპარაკებდა და დღეს აღარც ახსოვდა რაიმე?

გიორგიმ პერონზედაც ვერ შესძლო შვილის დამარტოხელება. ვაგონის ფანჯრიდან ირინემ მხოლოდ ის დანახა უკანასკნელად, რომ მან ქუდი მოიხადა და მაღლა ასწია. ის კი აღარ დაუნახავს, რომ საგონებელში მყოფი დანაღვლიანებული მამა კიდევ დიდხანს იღვა ქუდმოხდილი ერთ ადგილზე და უსიცოცხლო თვლებით უყურებდა როგორ თანდათან მიიმალა მატარებელი.

კუბეში საწოლზე ჩამომჯდარმა ირინემ სიბრალული იგრძნო მიტოვებული მამისადმი და კიდევაც უსაყვედურა თავის თავს, რომ საკმაო სითბო არ გამოიჩინა დამშვიდობებისას. მაგრამ მალე სხვა უფრო ძლიერმა გრძნობამ გაიღვიძა, — სიხარულმა, რომ ბოლოსდაბოლოს აუსრულდა დიდი ხნის ნატვრა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ტყვეობას დააღწია თავი.

ამ სიხარულით ჩათვლიმა და კიდევაც ჩაეძინა.

(გაგრძელება იქნება)

ირაკლი აბაშიძე



ამრიტას \*

(ცოკლიდან „რუსთველის ნაკვალევზე“)

ამრიტა!  
ლექსად დამწვარო ქალო,  
ყველაფრის ენა  
მე განა მესმის?  
ბულბული ვარდზე  
რა სიტყვებს გალობს,  
ან მტრედი ტოტზე  
რა სიტყვით კენესის?  
მე ვიცი მხოლოდ  
რას უმღერს მტრედი,  
ან ბულბულს რა წევს,  
რა აქცევს ხელად,  
მე ვიცი ყველას  
სევდა აქვს ერთი: —  
სიყვარულს უმღერს  
სიყვარულს ყველა.  
მე არ მესმოდა  
ეგ შენი ენაც  
ბულბულის, მტრედის  
ენაზე მეტად

და თუ სიყვარულს  
უმღერდი შენაც  
ის ბედნიერი  
ვინ იყო ნეტა?  
ვის ერგო წილად  
მაგ გულის კენესა,  
ვინ შერჩა შენს სულს  
მხოლოდ და მხოლოდ...  
შენ როცა  
ჩვენს წინ  
დნებოდი ლექსად  
ვიწვოდი —  
შენს ლექსს  
რად ჰქონდა ბოლო.  
ვერ დაგიხელთე  
მარტოდ თუ ლხინზე,  
გარს გეხვევოდა  
სპარსი, თურქმენი...  
და წამოვედი  
დელიდან ისე  
რომ დამრჩა დარდი  
შენთვის უთქმელი.

\* ამრიტა პრიტამ — ინდოელი პოეტი ქალი

## ანა კაინარაძე



ლაპილზე<sup>1</sup> ისევ დიდებული და  
საესე მთვარეა  
და ყველაფერი ზღაპრულია და  
იღუმალია  
ძველი მურყვამი, უშბა და თვეთნე<sup>2</sup>  
და ლამარია...  
ლაპილზე ისევ დიდებული და  
საესე მთვარეა...  
ლაშთხვერში<sup>3</sup> კახთა აწვე უენო,  
მუნჯი ზარია...  
ქარები მისთა ჩუმთა ნაღველთა  
განეკრძალვიან:

იმათ გვირგვინებს ძველთა რაინდთა  
შუქი ავლია...  
ტაძრის კედელზე ბადრი, ამირან,  
სეფედავლეა...  
ლალამის შვლისაც აწ სილამაზე  
თვალს მიფარვია...  
ლაპილზე, ალბათ, დიდებული და  
საესე მთვარეა,  
და ყველაფერი ზღაპრულია და  
იღუმალია —  
ძველი კოშკები, უშბა, თეთნულდი  
და ლამარია.



გასასობე ისევ, ღე კვლავაც მიმცენ  
განქიქებათა...  
ზოგთა ბანოვანთ თუ გამოვიწვევ  
გულთა კლებათა,  
იცოდნენ ყოველთ: აღმატები  
ჩემთა ნებათა...  
ო, გამაბრწყინე, როგორც ღამეებს

ანთებს ჰეკატა,  
ანთებს და... ტოვებს...  
მაგრამ კვლავ, ისევ მათთა წილთა  
სამკვიდროდ ჰპოვებს,  
მის მამებართა...  
მომძებნე ისევ და ნუ გარდამცემ  
დავიწყებათა...



ნუ მიმცემ ეჭვთა: იმონვენ სულსა,  
ვანსა აღვილად ჰპოვებენ ყველგან...  
ნუთუ ყოველი გაქრება ჩემგან,  
სხივიცა წავა ჰეშმარიტების?  
მწუხრი მოიცავს ჩემსა სასანთლეს,  
სულში მდაბალნი დაიმკვიდრებენ?

მე ზურგს შევაქცევ ყოველთა გლოვით,  
უგუნებობას — სიკვდილთა ნაცვალს:  
ვერ მშხამავს მათი ვერცერთი წვეთი!  
და სიხარულის ლამაზი ღმერთი  
ისევ შემეცვანს თვის მბრწყინავს  
ტაძარს,  
ირგვლივ მალღღება ყოველი ჩემთვის!

<sup>1</sup> მთაა ზემო სვანეთში.

<sup>2</sup> თეთნულდის სვანური სახელია.

<sup>3</sup> სოფელია ზემო სვანეთში.



მე დავემალო კვლავ, გავიქცე ჩემს  
მბრწყინავს ცდომილს,  
ასე დიდებულს ლამაზ ცას და ქვეყანას  
შორის  
და დავინთქა იმ უძირო სიციარიელეს,  
სად უფეროდ რბიან დღეები?

თუ... მე გავიქცე მასთან, ისე ვისწრა-  
ფო მისკენ,  
ვით წყლის სული და მიწის სული  
მიფრინავს ცისკენ  
ლურჯი კლდეებით?

გულში ეშმანი მიჭრობენ კანდელს,  
მომიახლებენ კვლავ შენსა ნათელს  
და... აღარ ძალმიძს, უკუვავადო ცდუ-  
ნება ესე.

მე ვერ უარგყოფ იდუმალის დიდ-  
ბულს სხვისა,  
თუ მიწის რისხვაც და ცის რისხვაც  
გადმოვა ჩემზე!

შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვაო-  
ვებ,  
ურომლისოდაც განმიმარტოებს  
მხოლოდლა შიში, მომიცავს სრულად.

აქ იწმინდება გული, გონება,  
სილამაზითაც მომეფონები,  
განიტვირთება სიძიმით სული.

შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სად-  
გურს  
სულთ დასამკვიდრებს  
და შშვიდთა ცათა ამოენთება ვარსკე-  
ლავი  
კიდეთ,  
დაუბრუნდებათ თავისი ფერი  
დიდებულ ნაძვებს  
და კვლავ სიჩუმე მოიცავს ყოველს,  
ვითარცა ტაძრებს...

განძიდ გპოვებდი: მექმნები შიშად  
და არა ლხენად...  
თუ ჩაქრე, მეცა მიედრები ქრობად,  
ფოთოლთა ცვენად...  
თუ არა — მუდამ დამიბრუნდება  
ჩემივე რწმენა,  
მზე დიდებული — ვით ლამაზ მინდ-  
ვრებს...  
შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ  
სადგურს.  
სულთ დასამკვიდრებს

## მინიორ ქვინიძე



### ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვოში

ორი ზღვის შუა მდებარე სივრცე,  
რომელიც კაცის გულში ეტევა...  
ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვოში,  
ქობში, რომელიც მე არ მეუფუნის,  
არის ოთახი, სადაც მე ვცხოვრობ:  
სამი ნაბიჯი — აქეთ და იქით,

ცარცით გასვრილი მრუდე კედლები  
და ერთ კედელზე სურათი იმის,  
ვინც აამაღლა გორის სახელი...

ო, აქ ბევრი რამ უცხოა ჩემთვის,  
ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვოში,  
ფერდაკარგული არყის ხეები,  
ოთხივე კუთხივ ლალად გაშლილი,  
თვალუწვდენელი სივრცე ველების  
და „გამარჯვების“ ნაცვლად  
„ზღრავსტევიტე“,  
დილით რომ მესმის გამოსულს გზაზე...

რაც მართალია, აქ არაფერზე  
წესით არ მეთქმის მე საყვედური —  
ყველა გულთბილად მეპყრობა, ყველა  
ყოვლად უზადო ღიმილს მთავაზობს  
და თუმცე გარმონის ხმას აყოლილი  
მე ზოგჯერ მესმის ლანძღვა-გინება,  
ასე განსაჯეთ — მასაც თან ახლავს  
სიკეთით სავსე რუსის ღიმილი.

აღბათ იკითხავთ: რა მძაღლებინებს  
ამ სიშორეზე წამოსულ ქართველს?

რა და მისმინეთ: იმ ჩემს ოთახში,  
იქ, სადაც თავი, როგორც იტყვიან,  
კლდს ვერ მოიქნევს თავის ნებაზე,  
მაქვს შენახული ერთი საუნჯე,  
რომლის შესახებ არაფერ იცის

გარდა იმ კაცის, ვისი სურათიც  
ამშვენებს ჩემი ოთახის კედელს...  
მხოლოდ მან იცის, როგორ მოთავსდა  
ამ საკანივით ვიწრო ოთახში  
კავკასიონის ურჩი გრეხილი  
და ზეცა ლურჯი, ისეთი, რომლის  
მსგავსი მე ქვეყნად არ მეგულებია

და განა მართო მთები და ზეცა?  
ყოველი კუთხე მშობლიურ მიწის,  
ყველა შარაგზა, ბილიკი ყველა,  
გაღარდილული კაკლის ხეებით,  
ყველა ვენახი და ყველა ეზო,  
ყველა ვაშლის ხე ნაყოფით სავსე  
ტოტებდახრილი, შემოდგომაზე  
ფეხშიმე ქალს რომ დაემსგავსება, —  
ეს ყველაფერი მოთავსდა ერთად  
ამ ჩემს პატარა, ვიწრო ოთახში...  
არ ვიცი კიდევ რამდენი ხანი  
მომიწევს ყოფნა  
ამ რუსულ სოფელ ხლებნიკოვოში...  
მე არაფერი გამიკვირდება,  
გარდა ერთისა — ის მიკვირს მხოლოდ.  
ვით დაეტია ამ ჩემს ოთახში  
(სამი ნაბიჯი — აქეთ და იქით)  
ჩემი სამშობლო:  
მისი ყამირი,  
მთები  
და ზეცა...

„ამ ჩვენს პატარა საქართველოში“...  
ასე მღეროიან ჩემს ქვეყანაში.  
იქნებ მას მიტომ „პატარა“, ჰქვია,  
რომ ყველგან, სადაც მიდის ქართველი,  
მას თან მიჰყვება მიწის ეს კუთხე,  
ორი ზღვის შუა მდებარე სივრცე,  
რომელიც კაცის გულში ეტევა...



მთარ ლექსებაშვილი



პარგაღალმა მებოგელი

(ცოკლიდან „ჩემი უბანი“)

ქუჩის აქეთა მხარეს მე და დედაჩემი  
ცხოვრობთ, იქითა მხარეს კი ძია ამ-  
ბროსი და მისი ქალიშვილი ქეთინო.  
ჩვენი ოთახების კარ-ფანჯრები პირდა-  
პირ გასცქერის ერთმანეთს.

შებინდებისას, როცა მოღლილი მზე  
ვიწრო და მოუკირწყლავ ქუჩას მოა-  
ფარებს თვალს, ძია ამბროსი სახელო-  
სნოდან სახლში ბრუნდება.

სადილის მოთავეებისთანავე ტუჩმო-  
ტეხილი ბადით მოადგება ზოლმე ფან-  
ჯრის რაფას; გულდაგულ რწყავს პა-  
ტარ-პატარა ქოთნებში ჩარიგებულ ყვა-  
ვილებს და თან საყვარელ სიმღერას  
ლიღინებს:

ავანთოთ შუშის ფარანი,  
პარი პარაღე,  
მოქებნოთ ღვინის მარანი,  
თარი პარაღე...

მაშინვე შევეშვები წიგნის კითხვას.  
კისერწაგრძელებული სარკმელში გავ-  
ყოფ თავს.

— არ დამენახო! — უბრად მომძახის  
ძია ამბროსი, — განა ასე უნდა ფეხზე  
კლიტის დადება, ჯეელო?

— გადადი, — ჩუმ-ჩუმად ეღიმიება  
ხელსაქმეში გართულ დედაჩემს, — მო-  
ათავე საქმე და გადადი.

საქმის მოთავეებისა რა მოგახსენოთ,  
გადასვლით კი გადაედივარ. ბტუნვა-  
ბტუნვით ჩაეირბენ ჩვენს თავბოძალ  
მორღვეულ კიბეს, მერე ბებურიშვილე-  
ბის გარდი-გარდმო ბოძებ-შებჯენილი  
კიბის ჩეიდმეტ საფეხურს ავათავებ და

— დარბაზში შესვლა შენს ხელთა,  
გამოსვლა მასპინძლისათ, — სათვალეს  
სწორებით მეგვება ძია ამბროსი.

ზაფხულობით აივანზე ვსხედვართ,

ნარდსა ვთამაშობთ, წააგებს ძია ამბრო-  
სი და მაშინვე ლუღს ყიდულობს. თუ მე  
წავაგე, მეცა ვყიდულობ, მაგრამ სტივენ-  
დიის აღების შემდეგ.

— ყავლი არ გაუვიდეს ჩვენს ნიძ-  
ლაეს, ყავლი! — უღვაშებში ეღიმიება  
ჩემს შეინახეს.

სამფეხაზე დასკუბებული ქეთინო კი  
კისკისით გვეხვეწება — ახლა ნაყინზე  
ითამაშეთო.

ზამთარში თუნუქის აგიზგიზებულ  
ღუმელს შემოეუსხდებით, ღიღინით ვა-  
რღვევთ ძია ამბროსის მიერ ხუთ-ხუთ  
მანეთად ნაყიდ ფიჭვის ყუთებს და ვუ-  
კეთებთ და ვუკეთებთ.

— სულგანათლებული ამისი დედა, —  
მეუბნება ძია ამბროსი და ფრჩხილწაც-  
ლილ ცერათითს ქეთინოზე აშვევს, —  
ასე და ასე იტყოდა:

და ყველა ძია ამბროსი რას იტყოდა  
სულგანათლებული ბიცოლა მართა. ყვე-  
ბა თავის ყმაწვილკაცობის ამბებს, ამქ-  
რებისა და უსტამბაშების ამბებს, აი იმ  
ამბებს, რომელიც ბევრჯერ მომისმენია  
და ახლაც ასე სიამოვნებით ვისმენ.

ბარდნის და ბარდნის... ხანგამოშვე-  
ბით სუსხიანი ზენა გაისისინებს, წუთით  
მიწყდება ჰაზირას დროინდელი გულის-  
წამლები ბაიათის ხმა, ყოველ საღამო  
დანჯღრეულ ბაიანზე რომ აცოღვილებს  
ვალუსტოვის ბიკი.

ღუმელში ცეცხლი იღველდება, სი-  
თბო და მყუდროებაა პატარა ოთახში.  
ვსხედვართ და ახლა მთვარეზე გაფრე-  
ნაზე ვსაუბრობთ, ხან კიდევ ატომზე და  
გადამთიელთა ავკაცობაზე ჩამოვადგებთ  
სიტყვას.

ზის ქეთინო სამფეხა სკამზე, ხელები

მუხლებზე შემოუქვლია და გარინდებული გვისმენს. ასე საათობით შეუძლია იჯდეს და გვისმინოს, მხოლოდ მაშინღა წამოენთება ხოლმე, როცა რამეში არ გვეთანხმება.

აი, ახლაც, საფეთქლებთან. აშლილ თმებს ისწორებს ქეთინო. ვაოცებული შემოგვეცქერის თავისი დიდრონი თვალებით, ეტყობა რაღაცის თქმას აპირებს.

— ჩაჩნავირო, — დაყვავებით ბიბილოზე უთათუნებს ხელს მამა, — ადუ, შეილოსა, შენი შნო და ლაზათი გვიჩვენე.

ის დროა, სხვა უჩემო შინ წასასვლელად ემზადებოდეს, მაგრამ მე თავბატივი აბა რაში მჭირდება? ერთი სული მაქვს ქეთინოს. გამოხვეული ხინკალი დავიგვმოვო.

მდუღარედან ქაფქირით სინაზე ვახვევებ ხინკალს და განელებას არ ვაცლით. შევექცევით და ვიცინით, ვიცინით და კმაყოფილები ვართ. ეს თბილი კერა და კეთილი გულიც საკმარისია ბედნიერები რომ ვიყოთ.

— მართლა! — მახსენდება წასვლისას, — ხვალვე ლექციებიდან სახელოსნოში ჩამოვალ, ყუთების ამოტანას გიშველი.

— პატიოსანი, — ვერს მიკრავს ძია ამბროსი და კარებამდე მომყვება.

კარებამდე მომყვება ქეთინოს თვალებიც...

ძია ამბროსი საიუველირო არტელში მუშაობს ოქრომკედლად. ოქრომკედლობასთან ერთად, ოქრო-ვერცხლზე მოჩუქურთმებაც ეხერხება ხელმადლიან ოსტატს.

მთელი დღე ზის ძია ამბროსი და ნახევარკარატიან აღმასის უხალო ბეჭდებს აყეთებს; ბადაღშიან საყურეებს ფერავს, ვერცხლით მოსირმულ ჯიხვის ყანწებს ასევალებს.

მიყვარს საქმეში გართული ჯანგაუტეხავი მოხუცის ყურება. ხან ვის ავიტორღილებ, ხან კიდევ ვის, ჰაიპარად შევაღებ სახელოსნოს კარებს და—მუშ-

ტარი მოგიყვანე-მეთქი, — გახარებული ვეუბნები.

— პატიოსანი, — ბუბუნებს პირგაბადრული ხელოსანი და ბოდის ითხოვს, — ცოტაც მადროვეთო.

აყალო ბუთაში გამდნარ ოქროს დასტრიალებს ძია ამბროსი, თეზაპზე აქრილი ბაჯაღლო ყალიბში ჩასხმისას ვერცხლის წყალივით კოლტ-კოლტად იკვრება და მძიმე-მძიმედ ავსებს საზოდ ფორებს.

მე უკვე ვიცი, რომ ჩამოსხმულ ოქროს წნეხში გასწევს ძია ამბროსი, საჭირო სიგრძე-განს მისცემს. ზოგს მათეულივით გააგრძელებს, ზოგს უფრო მომსხოდ, ზოგს კი სიფრიფანა ფურცლებად გაშლის და იქიდან ბეწვა ხერხით საყურეებს ამოხერხავს; მერე თითბერივით ჩაემულ ოქროს გაძნდილ ჩეარზე გააჯილავებს და თავის პეწსა და ლაზათს დაუბრუნებს.

კმაყოფილი გამოვდივარ სახელოსნოდან, უკან კი მოხუცის ძაბილი მომდევს:

— სალამოს გადმოდი, სანდარული საზამთრო გაეკრათ!

და მეც ჩემდაუნებურად წამცდება ხოლმე:

— პატიოსანი!

საზამთროს შერჩევაში ბადალი არა ჰყავს ძია ამბროსის, ძნელად რომ მოტყუვდეს, მალ-მალე ამოიჩრის ილიაში ვეება საზამთროს და ტაატით მოუყვება ოკრო-ბოკრო ქუჩას.

— ძია ამბროსის საზამთრო მოაქვს! — იხუვლებენ ხოლმე ტროტუარიდან ტროტუარზე მოხტუნავე გოგო-ბიჭები და ვნისით გარბიან — აქაოდა ხელი შევაშველოთო.

გულკეთილად იღიმება შეჭარხლული ბერიკაცი, კარგად იცის, რა მუცლის გვრემაცა აქვთ ამ კუდიანებს.

ჩაიებულ საზამთროს გაბზარულ თაბახზე დაკრის ძია ამბროსი, ქეთინოს ანიშნებს, ჩემი პატარა ავან-ჩავანები მომგვარო.

— სისხლივითაა, სისხლივით, ზიარების მადღმა, — ხელების ფშენეტით გა-

იძახის კმაყოფილი და თან მოდიოდნენ —  
კრებს არჩევს.

— ეს გულოსა და დათოს გაუტა, გე-  
თაყვა, ეს ციმფია თამროს, ეს კიდევ...

— ეს კიდევ, ძალუა ნინოს გადავაწო-  
ლოთ, — საზამთროსავით წითლდება ქე-  
თინო და თვალებს მარიდებს.

ძალუა ნინოს დედაჩემს ეძახიან მეზო-  
ბლები.

კვირა დილით ბაზარში ერთად მიდიან  
მამა და შვილი. პირისგემოს კაცია ძია  
ამბროსი, თვითონვე უყვარს ჩანახისა-  
თვის ჩალაღაჯის შერჩევა; ხან კიდევ  
გულნაქცევი პირვეულივით, მაინც და  
მაინც ფითისა და მუეუესის გაკეთებას  
მოიწადინებს ხოლმე.

შინ მობრუნებისთანავე მკლავებს და-  
იკაპიწებს, ქეთინოც თავისი ხელით და-  
ქარგულ წინსაფარს აიკრავს, და უნდა  
განახათ როგორ დაფუსფუსებენ სამზა-  
რეულოში: ჯერ დანას დანაზე აღესავს  
მოხუცი, ახლა ნაჭერ-ნაჭერ აქნილ  
ხორცს მიდგება, ცომის გასაშლელ ფი-  
ცარზე კეპავს და კეპავს.

ქეთინო მწვანილსა და კიტრებს დას-  
ტრიალებს, ფლავსაწურავში რეცხავს  
აღმოდებულ შაფრანს, მერე ათუხთუ-  
ხებულ ქვებს მძიმე-მძიმედ მოხდის  
დამს და უტბად ლოყაზე შემოიკრავს  
ხელს.

— კოწახური... კოწახური რომ არა  
გვაქვს, მამა?..

— ძალუა ნინოსთან გადადი, ხელ-  
შენახული დედაკაცია! — გულარხეინად  
ეპასუხება საქმეში გართული მამა.

და ქეთინოც მორბის დედაჩემთან, და  
ხან დაფნის ფოთოლსა და მიხაკსა  
თხოვს, ხან კიდევ წინდის თვალის ამო-  
ღება და პლინე კაბის გაწყობა მასწავ-  
ლებო.

მუდამ სიტყვაძვირი დედაჩემი სიტ-  
ყვას უგრძელებს ქეთინოს. ხან რას ჩა-  
ეკითხება, ხან კიდევ რას, სათითო წამო-  
ცმულ არათითს მუხლისთაგზე ათა-  
მაშებს და როგორც კი დროს მოიხელ-  
თებს — მაშინვე ჩუმ-ჩუმად გასცქერის  
საუბარში გართულ ქალიშვილს.

ამას წინადაც შეეყვნენ და გვიანობამდე

ველარ მოლაღეს ენა. მერე დასდნენ და  
ჩაყვითლებულ რიკრიკაზე ძია ამბროსი;  
სათვის ხალათი გამოკრეს, ეს-საბალოთე  
ქეთინომ თავისი ხელფასით იყიდა, ღამ-  
ღამობით შეფარვით კერავს, მოულო-  
დნელად რომ გაახაროს მამა...

ჩემი არ იყოს, შინ ყოფნა უყვარს ქე-  
თინოს, სამუშაოდან მობრუნებული არც  
ხელს მოასვენებს, არც მუხლს ჩადრი-  
კავს; ჯერ ოჯახის საქმეს მოითავეებს,  
მერე ან ხელსაქმეს ჩაპირკიტებს, ან  
ჩემგან წაღებულ წიგნებს კითხულობს.

ხანგამოშვებით ღამაზ-ღამაზი მზია და  
ყარახევით შეგტუნა მავალა მოაკითხა-  
ვენ ხოლმე, — ახალი კინო ენახოთო —  
აიყოლებენ, ქეთინოს.

ტახტზე გამოტილი ზმნის სერიებს  
ვიზეპირებ და მესმის პატარა ოთახში  
როგორ დაბაკუნობს ძია ამბროსი. ჯერ  
საათნახევარი არც გასულა, რაც ქე-  
თინო წავიდა და უკვე ველარ ისვენებს  
მოხუცი, მალ-მალე გასცქერის სანახევ-  
როდ ჩაქუფრულ ქუჩას. მერმე გახარე-  
ბული ჩაილიღინებს ხოლმე თავის საყვა-  
რელ სიმღერას და ფაცი-ფუციტ შეწევმა  
ლოგინში — თითქოს და სძინავსო გატ-  
რუნულს.

მეორე დღეს ველარ ისვენებს ქეთინო.  
ჩვენი რიკულუმორღვეული აენისაცენ  
მოურბის თვალი. ერთი სული აქვს მო-  
მიხელთოს და წუხანდელი კინოს ში-  
ნაარსი მომიყვეს...

ჩვენს ქეთინოზე ორი წლითა ვარ უფ-  
როსი, ვინმეს რომ კითხოთ, არც დაი-  
ჯერებს: ერთმანეთის კბილა ვგონივართ  
ყველას.

— ქექეთო, ეპვი, ქექეთო! — გავძა-  
ხებ ხოლმე და ქეთინოც მაშინვე მოდგე-  
ბა სარკმელთან.

— იცი, რა?.. — ვეუბნები და ხელში  
შერჩენილ ფანქარს წიბოგამორჩილ  
აგურზე ვარაკუნებ.

— რა?

— რა და... — ახლა ქეჩოს ვიქეპავ  
ფანქრის წვერით.

— აღარ იტყვი? — შემწყურალივით  
მებუსება ქეთინო, მერე ნელ-ნელა ღი-  
მილით ეჩვრიტება ლოყები. ეშმაკუ-

რად შემომცქერის გულისხმაში ჩავარდნილი, — რამდენი გინდაო, — ჩუმ-ჩუმად მანიშნებს.

— სამიც რომ მომცე, ოცდაორი იქნება ჩემზე... ორშაბათს სტიპენდიას ავიღებ და მაშინვე მოგიტან.

ასანთის კოლოფში ჩაკეცილ ხუთმანეთიანს სარკმელიდან სარკმელში გადმომიგდებს ქეთინო და ახლა თვითონ მომძახის:

— პირობაზე როგორა ხარ, გადმოვიტანო?

მოიტა-მეტქი.

ჩუსტების ფლატუნით გადმოდის ქეთინო. რვეულის ფურცელზე ლამაზად ჩაწიწვიებული ნაწერი მოაქვს.

საშუალოს დამთავრებისთანავე ფაბრიკაში მოეწყო ქეთინო. აგერ მესამე წელია ფეიქრად მუშაობს და ყოველ წელს კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრად ირჩევენ.

ჯერ მე წამაკითხებს გაზეთისათვის დაწერილ მასალას, — თვალი დაავლე, შეცდომები ხომ არ გამეპარაო. პირ-მომღიბარი შემომცქერის მუდამ დინჯი და უთქმელი, წამდატუშმ ისწორებს საფეთქლებთან დალაღ-დალაღად ჩამოშლილ თმებს.

მერე უეცრად მოიწყენს ქეთინო, გულნაკლულივით გაირინდება, ოდნავ მოდრეკილ ფუნჩულა თითს ლოყასთან მიიღებს და სევდიანი თვალებით გასცქერის ზეცას.

— რა იყო, ქექეთო? — გაოცებული აგხედავ ხოლმე.

— არც არაფერი! — აიღუნება ფიქრებიდან გამორკვეული, შინც და მაინც მაშინდა მიინიშნებს, რომ კარგადრო გასულა. — უნდა წავიდეთო, — იძახის ქეთინო, — საცაა მამა მოვა და ვინ დაახვედრებს გაწყობილ სუფრას.

თვალს ვავაყოლებ ჩქარი ნაბიჯით მიმავალს: ნეტა ასე უცნაურად რატომ იქცევა ამ ბოლო ხანებში ქეთინო?!..

საწოლთან ჩაცუცქებული დედაჩემი მითელიან საბანს ალიანდაგებს განდავან. ალიანდაგებს და ისევ ჩუმ-ჩუმად იღიმება, საცაა სათვალეს მოიხსნის,

სამი თითით განასკვავს კოჭიდან კბილით აწყვეტილ ძაფს და სვენებ-სვენებით ჩამიარაკებს:

— კარგი გოგოა ქეთინო, კარგი, დაელოცოს ყმაწვილქალობა.

ტახტზე ფეხმორთხმული ვაცქერი ხელსაქმეში გართულს. რაც მამა შპრეეს მისადგომებთან დაეცა, თავიც კი აღარ აუწევია დედას, — კერავს და კერავს.

ჯანი გატყდაო, — მოლლილი თვალებით შემომჩივლებს ხანგამოშვებით, შემომჩივლებს და მთელი ღამე ველარ ვისვენებ, ვწუხვარ და ვდარდობ განარება რომ აღარ ეღირსა დღენიადგა გაუხარებელ დედაჩემს.

მაგრამ დედასა სჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად დაგწერ რომანს, და ეს რომანი ისევე აატირებს დედასა და პატარას, როგორც „მოლიპულ გზაზე“ კითხვის დროს ტიროდა თვითონ.

მერე სწავლასაც დაემათავრებ და ლამაზ-ლამაზი ფერებით მოხატულ „შალერის გავაქრავთ ოთახში“, მაკივარსა და ტულის ფარდებს ვიყიდით; ერთ მშვენიერ დღეს კი დიდი ხნის ოცნება ახდება და ფეხით საკერავ მანქანას მოვეუტან საჩუქრად. რაღა თქმა უნდა, შვილიშვილსაც შეასწრებს მამაუფალი და გულარხინად დახუტავს თვალებს ჩემზე ზრუნვაში თმაშვეერცხლილი დედა.

და კვირახალის მოლოდინში ისევ და ისევ კერავს და კერავს, მე ხან რომანის დაწერას ვაპირებ და რატომღაც ჯერაც ვერ დამიწერია, ხან კიდევ ხვევნა-მუდარით უკანასკნელ ფულს დავტყუებ დედას და დარღიმანდივით ნაყინზე ვპატივებ ქალიშვილებს.

ლექციებიდან მობრუნებული არც ბებურიშვილებს ვიფიწყებ ხოლმე. მე, ქეთინო და ძია ამბროსი ისევ დავსხდებით გრძელ აივანზე და სალაპარაკო აღარ გველევია.

ასე მშვიდად და წყნარად გადის დღეები...

შემოდგომის დამდეგს ძია ამბროსის

კარის მეზობლად ახალი მდგმურები გადმოვიდნენ.

— კეთილი ხალხი ჩანანო, — მეორე დღესვე გადმოვიტანა ამბავი ქეთინომ, მერე ძია ამბროსიც გადმოვიდა და ახლა იმან ჩაგვიბუღებულა წვრილ-წვრილად, რაც კი რამ შეეცყო.

გულისაშვილები ყოფილან გვარად ჩვენი ახალი მეზობლები. ცოლი და ქმარი საფეიქრო კომბინატში მუშაობდნენ თურმე. ერთადერთი ქალიშვილი კი დაუსწრებელ ინსტიტუტში სწავლობსო, — უღვაშის წიწწით ყვებოდა ძია ამბროსი.

დედაჩემმა რატომღაც თავიდანვე ათვალისწუნა გულისაშვილების ქალიშვილი, ერთი-ორი დღე სათვალეს ზემოდან გასცქეროდა აივანზე უქმად მობაკუნე მზექალს, მერე ის იყო სათვალე მოიხსნა, ისევ განასკვა კოჭიდან კბილით აწყვეტილი ძაფი და ბუზღუნ-ბუზღუნით ჩაიდუღუნა:

— გაშდელი არსად იყო და სახედარს ვარდისახარს არქმევდენო, — სწორედ ასეა მაგისი ამბავი.

რალა თქმა უნდა, დედაჩემს არ მოსწონდა, ოჯახის საქმეს თავს რომ არიდებდა მზექალი, არც ის მოსწონდა, თვალი გარე-გარე სალაჯუნოდ რომ ეჭირა მუდამ. და რაც უფრო მოვუხშირე კარგადამა მეზობლებში სიარულს, მით უფრო მეტად ბრაზობდა დედა.

— არც უფროსების რიდი აქვს, არც უფროსების თავაზა, სალამი რა არის, სალამსაც კი არ გაღირსებს ეგ პირშერცხენილი, — წარბებშეყრილი კილავდა მზექალს.

დედაჩემის თქმისა არ იყოს, რალაც თავკერძა და გულამაყი ქალიშვილი ჩანდა ჩვენი ახალი მეზობელი. პირველ ხანებში უკარებდასავით ეჭირა თავი, გამჭირდავი ღიმილითა და ბეჭების კვკლუცი რხევით ისე აივლიდა და ჩაივლიდა ეზოში, რომ ზედაც კი არ შეხედავდა არავის.

ყველაზე აღრე ქეთინოს დაუმეგობრდა მზექალი. მალ-მალე მიუჯდებოდა გვერდში და ჩურჩულითა და ხელე-

ბის ქნევით ეკურკურებოდა მავან-მავანის ამბებს.

ჩემს დანახვაზე რატომღაც წარბებს მოქუფრავდა ხოლმე ტკბილ-მასლაათში გართული მზექალი და გულგრილი სახით დაიწყებდა სივრცეში ყურებას.

ამოდ ვმსჯელობდი მაღალფარდობანად, ამოდ ვცდილობდი მეტი ძალა და გულითადობა მიმეცა ხმისათვის, გარინდებელი ქალიშვილი ისევ და ისევ გულგრილი სახით გასცქეროდა ზეცას. მერე თავის დაკვრითა და ბოდვის მოხდით გაგვერილებოდა მე და ქეთინოს და ხან ძველ რომანსებს ჩაპკირკიტებდა, ხან კიდეც მზეს მოფიცებულ ხატაურასთან მისაღბუნებით იქცევდა თავს.

შებინდების ხანს კი, როგორც წესი, ღიღინ-ღიღინით აისხავდა გიშრის მძივსა და სადაფის საყურეებს და ვიწრო კაბაში გამოკვალთული, ბეჭების კვკლუცი რხევით ჩაუყვებოდა ჩვენს ოკრო-ბოკრო თავქვეს.

პირველ ხანებში მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი მზექალის ქედმაღლობას. მისი გულგრილი დამოკიდებულება პირვეული ქალიშვილის ახირება მეგონა მხოლოდ.

მოტყდება მეთქი, — ასე ვფიქრობდი დაიმედებელი, მაგრამ დღე-დღეს მისდევდა და ისევ უკარებდასავით იქცეოდა მზექალი, ისევ კუშტად და გულგროზად ეჭირა თავი.

ეს ლამაზ-ლამაზი, ცისფერთვალემა ქალიშვილი, ნელ-ნელა აღიზიანებდა ჩემს თავმოყვარეობას და მე უკვე აღარ შემეძლო მისი გამყინავი გამოხედვისა და მუდამ შეურაცხყოფელი დუმილის ატანა.

ბოლოს და ბოლოს, განა ღირდა კი მისთვის ამდენი ფიქრი და ნერვების აშლა, განა რით სჯობდა მზექალი ხალხან ნუნუს და თუხარელ თამილას, რომ მის გარშემო წინდაუკან მეცუნდრუკა მორბედი ბიჭივით.

რა ვუყოთ მერე ავაზასავით მოქნილი ტანისა რომ იყო მზექალი და თვალეზიკ მუდამ უძირო ზღვასავით კამკამაჰქონდა. ეშმაქსაც წაუღია ჩემთვის ურ-

გები ბროლის ყელი და ჰაეროვანი ნაკეთობი ჯანდაბას იქით წასულა...

რამდენიმე დღე ისე გავიდა, რომ აღარც ბებურიშვილების აივანს გავეკარებოვარ და აღარც მზექალისათვის მიმიქცევია ყურადღება.

ლექციებიდან მოსვლისთანავე საქმიანი ფსფუსით დაეცოდილოდნი ეზოში და ხან მოყანყალბულ კიბისთვის სატერფალს ვრანდავდი, ხან კიდევ თუნუქის ნაჭრებს ვუგებდი თავგებისაგან ამოხრულ იატაკს.

და აი ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელი ამბავი მოხდა.

კვირა დილით, ის იყო ბაზარში ვაპირებდი ჩასვლას, რომ წკრილა ხმით შემაჩერა მზექალმა და მორფოლოგიის სახელმძღვანელო მთხოვა.

გაოცებულმა ავხედე შილიფად გამოწყობილ ქალიშვილს, რომელიც დაფერდებულ აივანზე გადმომდგარიყო და გამომწვევი ღიმილით შემომცქეროდა სახეში.

რომელი მორფოლოგია გნებავთ მეთქი, — მხოლოდ ამის თქმაღა მოვახერხე გაოგნებულმა.

— ჩვეულებრივი! — მაშინვე კისკისით მომაგება მზექალმა. მერე თავის გაქნევით შეისწორა ნიავისაგან გაჩეჩილი თმა და ნელნელა ჩამოუყვა კიბეს.

— ქეთინომ მითხრა, — შორიდანვე წამოიწყო მან, მაგრამ სიტყვა აღარ დაუმთავრებია, წკიპურტით მოიშორა მკლავზე შეტოცებული კიანჭველა და თითისაწვეით განაგრო, — ქეთინომ მითხრა, რომ საინტერესო წიგნების შოვნა შეუძლიაო ოთარს...

რალა თქმა უნდა, სიპართლე უთქვამს ქეთინოს, თუ საჭირო გახდა მე თვით ნაპოლეონის მემუარებსაც ვიშოვნი, — რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე, კონან დოილისა და ელგარ პოს მოთხრობებს კი ამ საღამოსვე მოვუტან მზექალს.

— მხოლოდ იცოდეთ, — ისევ თითისაწვეით შემეპასუხა ჩვენი ცისფერთვალბა მეზობელი, — რახან დამპირდით,

აუცილებლად უნდა შეასრულოთ თქვენი პირობა.

ამ დღიდან მოყოლებული არც თუ ისე იშვიათად მიხდებოდა ჩემი პირობის შესრულება. დათხილი ცხენით დაჯრბოდი ხოლმე ჰაინრიხ ჰაინეს სასიყვარულო ლექსებისა და ათასგვარი სათავგადასავლო რომანების საშოვნელად.

რაკილა ერთხელ გატეხა ნავსი, სულ მოკლე ხანში ძველისძველი მეგობარით გამიშინაურდა მზექალი.

გაიკრიფებოდნენ თუ არა სამუშაოზე მეზობლები, მაშინვე ხელის ქნევითა და თვალების ქუტევით დამიძახებდა უსაქმობისაგან გაბებრებული ქალიშვილი, და ქეთინოს წაბაძვით, ახლად წაკითხულ წიგნებზე ჩამომიგდებდა სიტყვას.

ფეხზე ფეხგადადებული ნება-ნება ვაბოლებდი უმაღლესი მარკის პაპაროსს და კრულა-კრულა პიჯამოში გამოწყობილ მზექალს გაცვქეროდი შეპარვით.

საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანისა იყო გულისაშვილების ერთა, თხელი და კოხტად მოსული, აი ისეთი თვალები ჰქონდა, წამდაუწყუმ ეშმაკური ღიმილით რომ გიმზერენ ხოლმე.

და რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო თილისმასავით მიზიდავდა მზექალის წყლიანი თვალები, უფრო და უფრო მომწონდა მისი ნაზი სახე და კქალუცი ღიმილი.

როგორც კი აივანზე შევიგულდებო, შინ მოსაცდელად ველარ მითმენდა გული. მაშინვე მიზეზ-მიზეზით ავირბენდებურიშვილის კიბეს და ხუმრობით და სიცილ-ხარხარით ვიკლებდი იქაურობას...

ბოლო ხანებში კბილის ტკივილი დასჩემდა ქეთინოს, მაღი-მაღე მიგეტოვებდა აივანზე მოსაუბრეებს და კარგამოხუტულ ოთახში შედიოდა მოსასვენებლად.

ძია ამბროსიმაც უღალატა ძველთაძველ ჩვევას. სადილის შემდეგ, აივნის ნაცვლად, ახლა ეზოს წინ გამართულ თალარში კითხულობდა ხოლმე ქეთინოს მოტანილ ეურნალ-გაზეთებს.

პირშემომწყყარი დედაჩემი კი ცის-

მარე ღამეს გაღიასავით მიბეჯითებდა ვაღმა-გამოღმა ყურმოკრულ არაკებს. ზემოურ შიოს და წლაპანთ ფირუზას ყბადსალები საქმე მოსვლიათ თურჟე. ჯველობაში, გონების ნაცვლად, დილის ნისლივით წარმავალ გრძნობას აყოლიან და ორთავე ფეხით გაბჟულან მახეში. ჰოდა, დროზევე უნდა ისაზროს კაცმა, რომ შატაბუტად გადადგმული ყოველი ნაბიჯი უკეთური არ გამოვიდეს ბოლოს. რალა თქმა უნდა, არც ის უნდა დამავიწყდეს, რომ მანჭვა-გრება და ზიზილ-პიპილა მოსართავეები ვერაფერ სიკეთეს ვერ შესძენს ახტაჯანა და არაფრისმაქნია აღაპიანებს...

ხანგამოშვებით ძია ამბროსი ძველებურად გადმომძახებდა, — გადმოდი, შვილო, შამაიაზე დაგვეწვიეო.

პატარა ოთახში ისევ წკრიალ-წკრიალი გაჰქონდა ყველაფერს, ისევ ძველებური საამო მყუდროება მხვდებოდა ირგვლივ, გულიათად საუბარს კი რატომღაც ვერა და ველარ ვაბამდით თავს.

იმ დღესაც ღია სარკმელთან ვისხედით, როცა კიბეზე პაკუნ-პაკუნით ამოირბინა მზექალმა და პარდაპირ ძია ამბროსის ოთახში შემოვიდა.

მეგობრებთან ერთად კინოში ყოფილა მზექალი, მაგრამ სალაროსთან მისულან თუ არა, მაინც და მაინც მაშინლა გათავებულა ბილეთი.

— ვერც წინათ ვნახე „მაგდანას ლურჯა“ და ვერც ახლა მოვახერხე ამ კინოს ნახვა — უკმაყოფილო სახით ამბობდა მზექალი.

გვერდ-გვერდზე გავხედე მაგიდის გარშემო ჩამოშხადარ ქალიშვილებს და შემპარავი ხმით წამოვიწყე:

— თუ ღარს არ იტყვიო, ხვალ საღამოსთვის წინდაწინ ავიღებ ბილეთებს და ერთად წავიღებ კინოში.

ჯერ დამცინავი ღიმილით აუციმციმდა მზექალს თვალები, — აი ისეთი ღიმილით, პირველ ხანებში რომ იცოდა ხოლმე, მერე ჩაფიქრდა, გაბადრულ ქეთინოსა და ძია ამბროსის შეავლო თვალი და ხვადამლა მითხრა:

— რვა საათისათვის არა მცალია,

პირველ სეანსზე კი სიაპონებით წამოვალთ მე და ქეთინო...

იმ ღამეს დედაჩემმა პირველად გავიგო, რომ არსებობს ისეთი სახელმძღვანელო, რომლის გარეშე მე უმაღლესის დამთავრება არ შემძლია. ეს საოცნებო წიგნი კი ჩვენმა ინსტიტუტმა სწორედ წინა დღეს მიიღო საწყობიდან და ოცდახუთი მანეთი და ერთი აბაზი ღირს.

— ერთი ეს მითხარი, — სათვალეს ზემოდან ეძვის თვალთ გადმომხედა დედაჩემმა, — ამას წინად რომ წაიღე ფული, იმ წიგნებს როდისლა მოიტან?

— იმას და ამას მომავალ შაბათს დაგვირიგებენ და ორთავეს ერთად მოვიტან, — რაც კი შემქლო დინჯი და სერიოზული ტონით ჩავიდუღუნე და კმაყოფილმა გავხედე აფუსფუსებულ დედას, რომელიც სამსამანეთიანებს იღებდა ჯიბიდან.

მეორე დღეს ჯერ მეტი ჩაისწყლით გავეწმინდე მუხლებთან გამობრეცილი ჩემი შარვალი, მერე ხვევრდის ნაჭრიოცხვირმოქცეული ფეხსაცმელებიც გავაპრიალე და ღიღინ-ღიღინით გავეშურე ბილეთების ასაღებად.

მხოლოდ ორიოდე წუთიღა აკლდა სეანის დაწყებას, როცა აქოშინებული ქალიშვილები ხელიხელჩაიდულები მოვარდნენ კინოსთან.

— ქეთინოს ბრალია, — შორიდანვე შემომძახა წამოწითლებულმა მზექალმა, — სწორედ დღეს მოუნდა სამუშაოდან შეგვიანებით მოსვლა...

ღრო აღარ ითმენდა, გახარებულმა მკლავზე წავავლე ხელი ორთავე მეზობელს და სირბილ-სირბილით შევედი ფარულბაკეილ ლოქაში.

ნელ-ნელა შევექცეოდი ვაფლიან ნაყინს და ფიქრებში წასულს ნეტარებისა და სიამაყის გრძნობით მევესებოდა გული. ვინ იცის, უკვე რამდენმა ნაცობმა მომკრა თვალი და კინოს დამთავრების შემდეგ კიდევ რამდენი მნახავდა ქეთინოსა და მზექალთან ერთად. ასეთი კოხტა და ღამაზ-ღამაზი ქალიშვილები

კი ყოველ ფეხისნაბიჯზე როდი შეხედება ადამიანს.

ისე ჩათვდა მთელი კინო, რომ ხეირონანდ არც გამოვიდა არაფერი. მხოლოდ მაშინლა გამოვერკვეე ტუბილ-ოცნებიდან, როცა ახმაურებულ დარბაზში კამკაშა სინათლე აენთო.

პაპიროსმომარჯეებული მივდეგვი ხალხის ტალღაში გახირულ ქალიშვილებს და ახლა იმაზე ვფიქრობდი, როგორ დამეყაბულებინა მზექალი, ცენტრალურ პროსპექტზე ერთად რომ გაგვევლო ფეხით.

— რამ ჩავაფიქრა, ფილოსოფოსო? — მოულოდნელად მკლავზე შემავლო ხელი მზექალმა და წკრიალა ხმით ჩაიკისკისა, მერე თითქოს და რაღაცა გაახსენდაო, ფაცი-ფუციით დახედა საათს და გულდამშვიდებულმა ისევ წკრიალა ხმით განაგრძო, — აქეთობისას ისე აქებდა ქეთინო ამ კინოს, რომ გადასარევი რაღაცა შეგონა, მაგრამ, სიმართლე რომ თქვას კაცმა, მაინც და მაინც მოსაწონი არაფერია.

— რატომაც არაა, — კეთილი ღიმილით შეებასუხა ქეთინო, — მე ასე მგონია „მაგდანას ლურჯა“ საკმაოდ კარგი კინოფილმია.

— მე კიდევ მგონია სავალდებულო არაა სხვისი აზრები გავიზიარო!

მაშინვე გაოცებული მობრუნდა ოდნავ წინ გასული ქეთინო და წყნარი ხმით მიუგო მზექალს:

— სხვისი აზრები რა მოსატანიან? აქ გემოვნების საკითხია და ვისაც როგორ სურს, ისე იფიქროს...

ალეწილ მზექალს შევავლე თვალი და უშმაკურად შევეცადე საუბრის თემა გამომეცვალა, მაგრამ გაეკრაბებულმა ქალიშვილმა ყურაც კი აღარ მიუგდო ჩემს აბდაუბდა საუბარს:

— რატომ გგონია ჩემზე კარგი გემოვნება გაქვს? — თვალების კუტვით ამბობდა მზექალი, — აი თუ გინდა, ოთარს ვკითხოთ და ისიც კი იტყვის, რომ ამ კინოში მოსაწონი არაფერია:

— ტყუილად გექნება ოთარის იმედო, — თავისი მშვიდი და კეთილი თვა-

ლები ახლა მე შემომანათა ქეთინომ — მე კარგად ვიცი, რომ ასე ხელალებით არც ეგ დაიწუნებს „მაგდანას ლურჯას“.

მართალს ამბობდა ქეთინო. ამ რამდენიმე თვის წინად მე, დედაჩემმა, ქეთინომ და ძია ამბროსიმ ერთად ვნახეთ „მაგდანას ლურჯა“ და ოთხივე კმაყოფილი მოვბრუნდით სახლში. ის კი არა და, კინოდან სახლამდე, სულ იმას გავიძახობდი, — ასეთი კარგი სურათი იშვიათად თუ მინახავს-მეთქი.

ახლა კი აბა რა სინდისი მომცემდა ნებას, რომ უპრინციპო და სულმადბალი ადამიანივით ტყუილი მეთქვა. თუმცადა, აღარც სიმართლის თქმა შემეძლო ალეწილი მზექალის შემეყურეს. ისევ როგორმე ბანზე უნდა ამეგდო ფრთამალი სიტყვა და ტუბილმასლაათში შემეყოლიებინა მზექალი.

— მწერალთა კლუბში ასე ამბობენ... — ის იყო პალსტუხის სწორებით წამოვიწყე, რომ მაშინვე შემამწყვეტინა მზექალმა.

— სად რას ამბობენ სულაც არ მუპიტნავენა... შენ ეს მითხარი, რა აზრისა ხარ ქეთინოს სიტყვებზე!

რა აზრისა, ვარ ქეთინოს სიტყვებზე? სწორედ რომ საოცარია! აბა რა აზრისა უნდა ვიყო მე იმ სიტყვებზე, რომელიც ხალხის ყაყაში სულაც არ გამიგონია.

სამაგიეროთ ველარც მზექალმა გააგონა ჩემი ნათქვამი და წამოგზნებულნი ისევ ტუჩების კვნეტით შემეკითხა:

— მე გკითხვებით, რა აზრისა ხარ მეთქი „მაგდანას ლურჯაზე“?

ჩემი პირადი შეხედულება „მაგდანას ლურჯაზე“ მაინც და მაინც კომპეტენტური როდი იქნება. მიუხედავად ამისა, შესაძლო არის გარკვეული აზრი გამოეთქვა ამ ფილმის შესახებ. მთავარი ის გახლავთ, რომ სცენარის ქარგა ზუსტად არ ემთხვევა მოთხრობის სიუჟეტს, ვარდა ამისა...

მზექალი იღიმებოდა, უფრო სწორად მისი ტუჩები იღიმებოდნენ, ლამაზ თვალებში კი სატანური ცეცხლი კვესავდა. ისეთი ცეცხლი არაფერში

რომ არ დაზოგავდა იდამიანს.

— იტყვი თუ არა? — მხოლოდ ესა თქვა ათრთოლებული ხმით და მე კარგად მივხვდი, რომ ჩემი კოკმანი უფრო აღიზიანებდა მის თავმოყვარეობას.

„იტყვი თუ არა!“ — მხოლოდ ეს მითხრა მზექალმა და ისიც გავიგე თუ რას ნიშნავდა ეს ჯღუთ ნათქვამი სიტყვები.

აი, ამ წუთში, შეიძლება რომ ჩაიღურის წყალს ჩაველო ჩვენ ორთაშუა და თან ჩაეტანა დღე-დღეზე ტბილი ოცნებით ნაგები იმედი. შეიძლება, რომ ისევ უცხო და მიუწვდომელი გამხდარიყო ეს მომხიბვლელი ქალიშვილი და წლების მანძილზე ვერ შეემჩნია ამ ქვეყანაზე ჩემი არსებობა.

გულისაშვილების ამაყი სულთადგმა პასუხის გაცემას მოითხოვდა და მე არ შემეძლო არ მეპასუხა მისთვის.

— მამ მიპასუხე! — ხმას აუწია მზექალმა, — მოგწონს თუ არა ეს კინო?

უკვე ჩავლიეთ კიბე და ვიწრო ტალანით ქუჩაში გასასვლელს ვუახლოვდებოდით. თავჩაქინდრული ქეთინო ხალხის ტალღაში ძლივს მიიწვედა წინ, მე და მზექალიც ტაატით მივდევდით ფეხდაფეხ.

— ეს კინო, პირველად რომ ვნახე...

— მერე რომ ნახე? — დაინტერესებით ჩამეკითხა მაშინვე მზექალი.

— ახლა კიდევ მეორედ ვნახე...

— დამციანი?! — გააფთრებასთან ერთად ზიზღიც შეერია მზექალის ხმაში, — ლიყიან ბოთესავით რომ დაყუდებულხარ, განა სულ მთლად დაკარგე კაცობის ნასახი?

და მე, ლიყიან ბოთეს, ბოლოს და ბოლოს მეყო კაცობის ნასახი, რომ ენის ბორძიკით ჩამელუღლულა:

„მგდანას ლურჯა“ მინც და მინც არ მომწონს-მეთქი...

გარეთ ეინელავდა. კინოდან გამოსულები ჯერ ნაპირ-ნაპირ მოვდევდით ქუჩას, მერე ის იყო ტრამვაის გაჩერებისკენ ჩავეყვით დაღმართს, რომ მოულოდნელად:

— ჰელოუ, ტაქსი! — ხელაწეული მზექალი წინ გადაუდგა მანქანას.

— მეც სახლში მოვდივარ; — წერი-ალა ხმით გამოგვცახა მანქანაში შესვლამდე მზექალმა, — ამ წვიმიან ამინდში აღარა ღირს საქმეზე წასვლა...

წინ დასკუპებული მზექალი „ვერგაზე“ და ახალ „მოსკვიჩზე“ ემასლათებოდა შოფერს, გარინდებული ქეთინო კი ჩემს გვერდით მიყუჟულიყო და ლამპიონებით გაკაშკაშებულ ქუჩას გასცქეროდა მოღლილი თვალებით.

ნირშეუცვლელად იჯდა ქეთინო, მაგრამ კარგად ვიცოდი მისი სათუთი ბუნების ამბავი: ჩემი უსამართლობით გულაჩვილებული, შინ მისვლისთანავე ალბათ ფიქრითა და ჩუმი ტირილით გასტეხდა ღამეს.

ბეჭებში წახრილი ვიჭეძი და მთელი სხეული მიხურდა. დრო და დრო კეთასთან რაღაც ყრუ ტკივილი გამკრავდა ხოლმე.

კინოდან გამოსვლისთანავე ბოლმითა და ნაღველით მქონდა საესე გული და ახლა კიდევ უარეს უბედურებას გადავეყარე.

აი საცაა სახლთან მივალთ და ჯიბე-გაცილი, უმწუო ღლაპივით უნდა შევაჩერდე ხელებში მზექალს.

როგორც იქნა კინოში დავპატივე ქალიშვილი და ახლა კიდევ თვითონ მივეყვარ სამადლოდ სახლში, მოქცეულ ტუფლებში წვიმის წყალი რომ არ ჩამივიდეს...

ჩვენი ცისფერი მანქანა უკვე დაბლიდან სანდროს დარაბებამულ ფარდულთან მისრიალებდა თუხთუხით.

ადგილზე ველარ ვისვენებდი გაბოღმებული. წამდაუწუმ ვისვამდი ალმოდებულ სახეზე ცხვირსახოცს.

მოულოდნელად ჯიბისპირთან ქეთინოს თბილი და ფაფუკი თითები ყიჯრქენი. სწრაფად ამოვაცოცე შარვის ჯიბეში ნახევრად შეჩრილი ქალაღის ხეუღა და მკრთალ სინათლეზე მაშინვე ოცდახუთმანეთიანი ვიცანი.

ღიახ, ფული ჩამიღო ჯიბეში ჩვენმა ქეთინომ, ჩვენმა ღაბუა და უწყინარმა ქეთინომ, მუდამ ღინჯმა, მუდამ ტკბილმა და მუდამ საყვარელმა ქეთინომ.

მხოლოდ ამ ბოლო ხანებშიდა ვამჩნევდი, როგორ გახდა და გამოიცვალა ქეთინო. ხან კბილის ტყვილი აწუხებდა ხოლმე და ნამტიარაღევი თვალებით გასცქეროდა სივრცეს, ხან კიდევ სამუშაო ოთახში ჩაიკეტებოდა და ფერად-ფერად ხოკოებს ქარგავდა აბრეშუმის ცხვირსახოცზე.

ცოტა არ იყო, მეც პირშავად ვიყავი ჩვენს ქეთინოსთან: დედაჩემთან აყალ-მაყალის მიუხედავად, ისევ ხშირ-ხშირად ვაცდენდი ლექციებს და ერთ-ხელაც ვერ მოვიცალე, კედლის გაზეთი რომ გამეფორმებინა მისთვის.

კინოში მომხდარი ამბის შემდეგ კიდევ უფრო მერიდებოდა ქეთინო. ჩვენთანაც ფეხი ამოიკვეთა და ძველებურად აღარც ოჯახში უღებოდა გული. ყოველ საღამოს ერთად გაიკრიფებოდნენ მამა-შვილი და ერთხელაც აღარ დაიბარებდნენ თავიანთ გზასა და ასავალ-დასავალს.

სამაგიეროდ ფიჭა-თაფლივით დამიტბა მზექალი. ერთავად თვალების ნაბეითა და ტბილი ღიმილით შემომცქეროდა სახეში.

და მე უტყუარი აღლოთი ვგრძნობდი, რომ ეს თავნება არსება უკვე უზომოდ იყო შეყვარებული ჩემზე.

მხოლოდ ვერ იქნა, ჯერ კიდევ ვერ მოიშალა მზექალმა ქედმაღლობა და გვიანობამდე ქუჩა-ქუჩა უმიზნო ხეტება.

ერთ მშვენიერ დღეს კი ჩვეულებრივზე აღრე მობრუნდა სახლში გახარებული ქალიშვილი და ხელების გამართვით გვიოხრა მუხობლებს:

— ამ ორ-სამ დღეში აუცილებლად უნდა გავთხოვდე.

სულ მოკლე ხანში მართლაც გათხოვდა მზექალი, როგორც გაეფიქრა, მისი მეუღლე საკმაოდ ღამაში მსახიობი ყოფილა, რომლის ღირსებას უზომო ღვინის სმა და ჯერ კიდევ ცოცხალი დოქტორი მამა წარმოადგენდა — მხოლოდ.

სულაც არ მომხდარა ისეთი ამბავი, როგორც ეს კინო-ფილმებში ხდება ხოლმე. ლოთობისათვის მზექალის მეუღლე არავის გაუძეებია სამსახური-

დან და მოულოდნელად აღარც მე გაემხდარვარ დიდი თანამდებობის პირი. ბულვარული რომანის სტილში მსგავსად გაცრეცილ ვაზაში გამოსწობილი მზექალი მელანქოლური სახით არ მოსულა ჩემთან და აღარც ის უღალადია მუხობლებზე დამხობილს:

— მომიტევე, ჩემო მეუფე, მე მხოლოდ ახლა ამეხილა ორთავე თვალი!

პირიქით, როგორც გულისაშვილები ამბობდნენ, სიძეცაცმა და მათმა ქალიშვილმა საკმაოდ კარგად მოაწყვეს ცხოვრება და ამ ორიოდ კვირის წინ ოდნავ ნახმარი „მოსკვიჩი“ კი შეიძინეს თურმე...

ერთი პირობა ჩემთან მორიდებულად ეკრათ თავი ბებურიშვილებს. პირდამორცხვებული მაინც და მაინც აღარც მე ვუტალახებდი კარებს.

მაგრამ ნელ-ნელა დაეიწყებას მიეცა ყველაფერი და ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა ჩვენი ცხოვრება.

ძველებურად ისევ პირმოღიმარე ხელსაქმობს დედაჩემი და ისევ იმედის თვალით შესცქერის ნათელ მომავალს. აი საცაა სწავლას დაამთავრებს მისი ვაჟკაცი, და დედასა სჯერა, რომ ღამაზ-ღამაზი ფერებით მოხატულ შპალერს გავაქრავთ ოთახში. მაცივარსა და საკერავ მანქანას ვიყიდით. რაღა თქმა უნდა, შვილის ბედნიერებასაც შეასწრებს მამაუფალი და მკლავზე გადაიგორებს ფუნჩულა შვილიშვილს.

ჩვენს ქეთინოსაც გაუყურდა კბილის ტყვილი.

მე კიდევ სარკმელში თავგაყოფილი წამდაუწუმ ვყვირივარ ხოლმე — პატიოსანი! და ისევ ხტუნვა-ხტუნვით გავრბივარ ძია ამბროსისთან ნარდის გასაგორებლად.

ფარულად გავცქერი ოთახში მოცქირაღე ქეთინოს და ბოლოს და ბოლოს მიეღვივარ იმ დასკვნამდე, რომ ყოველთვის მართალს ამბობს დედაჩემი, რომ ქეთინოსთანა გამარჯვ და პატიოსან, ღამაზ და სანდომიან ქალიშვილთან ყოფნა მართლაც და დიდი ბედნიერებაა ამ ქვეყანაზე.

## მაცხადა მკაცრი



### ნიკო ფროსკანიშვილი

„ — ერთი დიდი სამოვარი, გარეშემო — მხატვრები!  
გულგაშლილი საუბარი, სხვას რას მოვინატრებდი!“

— სხვაც ბევრი რამ ენატრება გულამომწევის არყითა,  
მისი ხელი მიკიტანმა იყიდა და გაყიდა.

კალო, ნუკრი, ლურჯი სუფრა გაფრენილან უკან და  
სამუშაოს მოლოდინში ატუზულან დუქანთან.

სულს ლაფავენ კალმახები ღრიანცელის იქითა,  
არ იწვევენ ძმობილები გამოწვდილი ჭიქითა.

მეუღლესაც მეგობარსაც ერთ ქალში რომ ეძებდა —  
მხატვრის თითი დაიწუნა საქორწინო ბეჭედმა.

დედასავით მოალერსედ არვინ შეხვდა იმედად...  
აბრას ცალი ფრთა ჩამოსთრევს, ქარმა თუ გაიმეტა?

ფეხმა ლანჩა მოიძულა? რად მოუჩანს ცერები?  
ფუნჯი არ აქვს? მთლად ფუნჯია მოშვებული წვერებით!

...მტკვარმა მისი ნახატები ჩაატარა ტივტივით,  
ქუჩის მტვერში ჩაიყეცა ფეხგაკრული გვრიტივით.

### ჩარბლის გზაზე

დევთა დედამ საფქვავის ქვა ატრიალა  
დასაქოლად არ დაგვინდო აღარცერთი,  
ზედ გუდრუხთან გადმოვარდა ჩახრილა, —  
ლამით ლვართქაფს გაღმა ველარ გავაღწევდით.  
ვიდაც ქალმა შეგვიფარა მადლიანმა, —  
გამოეუსხლტით მოგრუხუნე ღამის წყვილიადს —  
სოფლიანად და მასპინძლის სახლიანად  
შიგ პირმოკრულ ხურჯინში რომ მოგვაქცია.  
დილით ლაყვარდს აღარ ჰქონდა დასასრული,  
ზეცა იყო მოწმენდილი კალოსავით.  
მხოლოდ ცრემლით, ვაყის ცრემლით დაცვარული  
ენტო იფნი და ლაშარის სალოცავი.



ჩარგლის კართან ფოთლებია დაეანგული  
შენ გგონია, ეს მკავე წყალს უწვეთია?  
ძირნაყარი ფოთლებიც კი იქანგება  
ხმლისპირები ზედ იმდენი უწმენდიათ.

ღია სახლში ცივზეცივი ბუხარია.  
გაყინულა შებოლილი კერა...  
ეს სიჩუმე სტუმარს უფრო უხარია, —  
უკეთ ისმის ვაყას გულის ძგერა.

### გოლოსიტყვა

არ შეირჩინო, გულო, მცირედიც,  
იმ სიკეთისა, — მამულს რომ ართმევ,  
სულ ეძიებდე,  
მალულ სიმების  
ნაკრძალს ეგება მიაგნო სადმე.  
ჯერ მათი ჟღერა არვის სმენოდეს, —  
შიგ თავანკარად ჩაგუბებული;  
მოგყვეს,  
ნატრობდეს ძალას შენოდენს  
ყრმა, თუ მოხუცი დაყუდებული.  
ეკალ-ნარები თვალწინ გაწვდილი  
იად და ვარდად ფეხთით გეფინოს,  
ბეწვის ხიდივით ჩანდეს გზა-წერილი,  
მანც თამაშით გადაგერბინოს.  
არ ჩაიფერხო ბოლომდე არსად,  
ქვეყნის ამაგი გულზე გეხატოს,  
და თავანკარი სიმღერის ფასად  
სესხი და ვალი გადაგეხადოს.

აკრილ სულავეანი



ახალი ღმჭეები

გზაზე დავანთე ცეცხლი პატარა,  
ელვარე ბუჩქი გზაზე დავაგზნე.  
ცეცხლმა პატარა სითბო დაღვარა  
და გასრიალდა შუქი ბალახზე.

ენები კრთოდნენ,  
ხტოდნენ,  
როკავდნენ  
და წკრიალებდნენ როგორც ზარები,  
მე არ მეგონა თუ თვალს მოჰკრავდნენ,  
თუ თვალს მოჰკრავდნენ შორით  
მგზავრები.

მე არ მეგონა, თუ ცეცხლს ამგვარად  
შეშინებული ღამე გაურბის.  
ცეცხლის გარშემო მგზავრნი  
დამსხდარან  
და ერთობიან ნელი საუბრით.  
ჩვენ ერთად გვესმის ცეცხლის ღაღადი,  
ხეები ვიწრო ჩრდილებს ამხელენ.  
მე არ მეგონა, თუ კი ვნახავდი  
ამ ცეცხლით გამთბარ ნათელ სახეებს.  
მაინც რამდენი სითბო დაღვარა,  
გულეები რეკენ, როგორც ზარები...  
გზაზე ანთია ცეცხლი პატარა  
და ცეცხლის ირგვლივ სხედან მგზავრები.



მე არ მოვსულვარ საყვედურებით,  
მე მინდა გული ამ ცას ვუჩვენო.  
გაზაფხულს წელს ვერ დავემდურები,  
ვერც თქვენ — მთაწმინდის თეთრო  
ნუშებო.

წელს საოცარი იყო აპრილი,  
ხოლო მაისი გასაკვირველი,  
რომ შევეგებე ხელეზგამილილი  
მან ჩემს ხელეზზე დასხა კვირტები.

ვერცხლის ბურუსი შემომახურა  
და დამინამა ჯეჯილი ლექსის,

მერე შხაპუნა წვიმა მასხურა  
და მოწყურებულს ამივსო პეშვი.

მერე წავედი ფეხაკრეფილი,  
ასე მინდოდა მევლო ზეცამღე  
და მთაწმინდაზე დედოფლებივით  
თეთრი ნუშები გამომეცხადნენ.

გაზაფხულს წელს ვერ დავემდურები,  
ვერც თქვენ — მთაწმინდის თეთრო  
ნუშებო...

ო, ნუ ამავსებ საყვედურებით,  
მე არ ვამთავრებ ამ ლექსს უშენოდ...



სარკმელთან ვსხედვართ პატარებივით...  
გადიგრიალეს, გზები დაკეცეს, —  
საით მიჰქრიან მატარებლები  
ცივად გაწოლილ ღიანდაგებზე?



საით მიჰქრიათ მატარებლები  
 შუალაშეში მძაფრი კივილით?  
 მათ შექვედრების იმედი მიაქვთ  
 და განშორების მწარე ტკივილი.  
 საით მიჰქრიათ მატარებლები?  
 მაგრამ ჩვენ ესხედვართ პატარებივით  
 და, როგორც წუხელ, დავწევებით გვიან,  
 რომ მოვესმინოთ ცაცხვების შრიალს.



მე შენ მეგონე ქარში, წვიმაში,  
 მთვარის სხივებში და მზის ბრწყინვაში,  
 მე შენ მეგონე ყანის რხევაში,  
 ზღვის მოქცევაში და მიქცევაში;

მეგონე მთების მყუდრო ყურეში,  
 ტყეთა შრიალში, — ვთქვი — თუ: ეს არის;  
 შენ მომეჩვენე დილის ბურუსში  
 და გამექეცი მდინარესავით.

მე შენ მეგონე ვარსკვლავთ წკრიალში  
 და ცისფერ თალად გადამეხურე  
 და, როგორც მაღალ ეკლესიაში,  
 ისე ვიდექი ცათა შემყურე.

ვთქვი-თუ: მქონია ბედი ესეთი,  
 ვთქვი — შენკენ გზები გადალობილა...  
 სად მეგონე და სად დაგეძებდი,  
 შენ იმთავითვე ჩემში ყოფილხარ!

ჩემში ყოფილხარ სუნთქვად და მზერად,  
 ვსუნთქავდი შენით,  
 ვხედავდი შენით  
 და შენით ვგრძნობდი ყველაფერს... ყველახ...



## სამამუღმე რამ

რომანი

ნაწილი მეორე

აღმართი

4 მიწა

თვალგაუწვდენი მინდვრები ფერადი ხალიჩებით დაფენილან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ლალად ნატყორცნ მილამოს თეთრი შარავზა სერავს, თითქოს მწვანე ბალახში რძე დაუღვრიათო. ცის დასალიერში მატყლის ფთილასავით მიყუყუელი ღრუბელი ჩამავალი შხის სხივებით გაწითლებულა. ალაზნის გაღმა-გამოღმა ქალა უზარმაზარი საჩეჩელივით მორეულა, მთებიდან დაცურებული ნისლი ზედ დასწოლია.

ალაზნთან, იქ სადაც ღურჯი მინდვრები მსუბუქი ბოლივით შექრილა მუხნარში—მებორნეები გამოსულან, გზისპირზე სახელდახელო სუფრა გაუშლიათ, თლილი ქიქებით გაუჩორკნავე სადღეგრძელოებს სვამენ და, თან, ერთმანეთს შესჩივიან ამ დინჯი ალაზნის ეგზომ გაავებულ მოდიდებს.

ქვემოთ, ნაგვიანევე კალოებზე კი ძნისბული დამდგარა, გაფიცებული მიწა პურის ხეავს დაუჩრდილავს და ცაში თოფის ტყვიასავით ავარდნილა ახალი ზორბლის მძაფრი სუნი.

წნორში დაფერფლილა მინდვრების უსაზღვროება, ახლად გაჩენილ დაბას გულზე ასფალტი გადაუსხამს და ქალაქს დამსგავსებია.

მატარებელმა სადგურს მიაკივლა და შეჩერდა. ბაქანი ახმაურდა. მომსვლელ-

დამხედურთა ევიელმა დაფარა ორთქლმავლის დაღლილი ქშენა.

ნინო ვაგონიდან ჩამოვიდა, ფრთხილად მიმოიხედა. მეურნეობაში წინასწარ დეპეშა ჰქონდა გამოგზავნილი, რომ დახედროდნენ, მაგრამ არც სტუმარი დამხდურს და არც ნასპინძელი სტუმარს ჯერ არ იცნობდა. ნინომ აფუთფუთებულ ხალხს თავი გააჩინა და დიდ ცაცხვთან გაჩერდა.

წინ ორმა კაცმა გაიარა.

— ეს ქალი უნდა იყოს, მამა, — წასჩურჩულა კოტემ ანანიას.

— თვალში მოგივიდა განა! რა იცი, რომ ეგაა? — ღიმილით დაუტია ანანიამ, კოტეს ხელი მოკიდა და ბაქანზე გზა განაგრძეს.

მამა-შვილი ჯიქურ მიდიოდა. ანანიას საყელოგაღდილი შავი სატინის ხალათი ეცვა. შუბლზე ქოჩორი დაგვირგვინებოდა, კეფაზე მზისაგან ოდნავ გაბუნებული თუშური ქუდი მოეგდო. სალოკი თითისსიგრძე მუქა უღვაშები ჩამოსწეწოდა. მსხვილ, ძარღვმაგარ კისერს ძლივს იბრუნებდა და მხრები ისე მიჰქონდა, რომ იტყოდით: ახალგაზრდობაში კარგი მოქიდავე იქნებოდაო.

კოტეს გაუთოებულ-გაწეკიპილი შალის კოსტუმი ეცვა. ახალი ფეხსაცმელი სიარულისას ქრატუნობდა, რაც გამველელ-გამოვლელს ძალაუნებურად ძირს

ახლებდა. ანანიამ ველარ მოითმინა.

— შვილო, სადმე გუბე იქნება, ჩააღებე ფეხსაცმელი, თორე მაგის ქრატუნმა გუნებაზე მოშალა.

ბაქანზე დიდი და პატარა სალაშს აძლევდა.

— ანანიას გაუმარჯოს!

— ანანიას სიცოცხლე!

ანანიაც ხუმრობით ხან ორი თითით თუშურ ქედს მოუხდიდა, ხან ჯარისკაცურად ხელს აუღებდა, ხან დარბაისლურად თავს დაუკრავდა. ენალაქლაქა ნაცნობებს შებლს შეუჭმუნხნიდა, აღმაცერად შეხედავდა, თან მიაყოლებდა: გამარჯობა იაფია, შენ საქმე იკითხეო.

შემობრუნდნენ თუ არა მამა და შვილი და კვლავ ცაცხვისქვეშ გაჩერებული ნინო დანახეს, ანანიამ შვილს უთხრა:

— კოტე, აბა მიდი, ჰკითხე.

— ის რომ არ იყოს?

— ის არის! — დარწმუნებით თქვა ანანიამ.

კოტემ ქალისაკენ ფეხაკრებით გასწია, თითქოს ეპარებო. უცბად ნინომ მოიხედა. კოტე შეკრთა, კითხვა ტუჩებზე მიეყინა. მათ მცირეხანს ერთმანეთს გაშტერებულებმა უყურეს. ნინომ თავი დახარა და უნებურად მიწაზე დადებული ჩემოდანი აიღო.

უხერხულობის ჩისიდან ანანიამ გამოიყვანა.

— ქალიშვილო, თქვენა ბრძანდებით ნინო ზალდაშვილი? — ჰკითხა ანანიამ და პასუხს აღარ დაუცადა. — ჩვენ თქვენს დასახვედრად მეურნეობიდანა ვართ გამოგზავნილი. ეს ჩემი ვაჟია.

ნინომ გაიღიმა.

— მე თქვენ გეძებდით, თუმცა არ გიცნობდით. აი, შეგხვდით კიდევ. წავიდე!

კოტემ ნინოს ჩემოდანს ხელი დასტაცა და ქალს მანქანისაკენ გაუძღვა. მოტორმა დაიგუგუნა, მანქანა სახანჯაევით სწორ გზაზე გასრიალდა.

ნინო კოტეს გვერდით იჯდა, ანანიი უკანა სკამზე დაბრძანებული, უღვაშებს სალოკი და ცერი თითით ძალუმად იხვევდა და თან ლაპარაკობდა.

— ეს უკვე მეურნეობის ვენახებია, აი, რქაწითელის უბანი, თელიანი, მწვანე...

ნინო დაუსრულებელ მწყრივებად გადაქიმულ ვენახებს ბავშვებით აღტაცებული გასცქეროდა.

კოტე მთელ თავის ოსტატობას ხმარობდა, რათა მანქანა ვარჯად ემართა და ხშირი ჯაყჯაყით სტუმარი არ შეეწუხებინა. მარჯვენა მხართან ქალის მხრის შეხებასა გრძნობდა, მის სუნთქვას და მთელ სხეულში სიამოვნების ერთნატიელი უვლიდა. უნდოდა, ნინოსათვის სახეზე შეეხედა, მაგრამ ეკრძალებოდა. უცბად რაღაცა გაიფიქრა და მანქანის პატარა სარკეს ტრიალი დაუწყო. ნინო მის მოძრაობას ყურადღებას არ აქცევდა, თვალები ცაზე ჩოხის ნახევრებით ჩამოყიდებულ ღრუბლისათვის გაეშტერებინა. ნეტავ სარკეში მაინც დამანახვია! — ფიქრობდა კოტე. მან მხერა ნელ-ნელა ააპარა და სარკეში ჩაიხედა. სარკეში ანანიას უღვაშები ქანაობდა.

კოტეს სიბრაზისაგან გააქანკალა. სარკეს ჯაყჯაყი დაუწყო, რომ ნინოსაკენ როგორმე მოებრუნებინა. არაფერი გამოვიდა. გადაწყვიტა, ზევით აღარ აეხედა. მაგრამ მამის უღვაშები მაინც ფაფატებდა და გაწიწმბებულ კოტეს თვალებში ებლანდებოდა. ეტყობა, ანანიამაც შენიშნა სარკეში თავისი უღვაშები და გრეხვას მოუხშირა. ანანიას ვერ გაეგო შვილის გულისწადილი და სარკეში პატარა ბავშვით იყუცებოდა.

კოტემ სიჩქარეს მოუმატა. სპიდომეტრმა ასი კილომეტრი უჩვენა, ქარმა დაუბერა, ფერები აირია. ნინომ მოიხედა. კოტე ქალის დაფინებულ მხერას თითქოდა ვერ ამჩნევდა, უნდოდა ჯაგერი მანქანაზე ამოეყარა, ტყვიასავით მოესხლიტა, სტუმარი შეეშინებინა... თითოღვე წუთს ასეთი სიჩქარით მიდიოდნენ. უცბა გზაზე გუბე გაიბლანდა. ეს გუბე ახსოვდა კოტეს. დაქობებული იყო, ვერ იქნა და ვერ შეაკეთეს. ბევრი მანქანა ფუჭლებოდა აქ. ბევრი ხელმარდი შოფერი კისერს იტეხდა. კოტემ ფეხი

მუხრუქზე გადაიტანა, სპიდომეტრმა თვლისდახამხამებზე ოცი კილომეტრი უჩვენა, მაგრამ მანქანამ გუბეში ინერციით გაიშლიგინა, ინერციითვე ზევით ამოვარდა, იქ ბორბალი წვეტიან ქვას დაეგო და ხმაურით გასკდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ ბორბალი როგორ ეშვებოდა, ისულებოდა და მანქანაც ვალ მხარეს ყირავდებოდა. კოტე გაცოფებული გადმოხტა, თვითონაც არ იცოდა რა მოსაზრებით, გუბისავე გაქანდა, მივიდა, გადააფურთხა, ვიდეცის მისამართით შეიგინა, ალბათ გზის ოსტატების სადღეგრძელოდ და ისევ მანქანისაკენ შემობრუნდა. რამდენიმე წუთის წინ სუფთა, კრიალა მანქანა ტალახში ისე ამოგანგლულიყო, რომ ვეღარ იცნობდით. — ფუი, ჩემ ბიჭობას, ვაი სირცხვილო! — ფიქრობდა კოტე. — ახალი აგრონომი, ქალი, რას იტყვის, რას იფიქრებს, — კოტე მანქანასთან საქციელწამხდარი მივიდა და გაღიმება სცადა. ნინოს გაეცინა.

— მე მინდოდა თქვენთვის შემენიშნა, რომ ჩქარობდით, — უთხრა ნინომ. — რა? შემენიშნა? ეგ ინსპექტორია? — გაიფიქრა კოტემ. ნინოს კი მიუღო:

— სრულებითაც არა. რაიონის გზებზე ეს არ არის დიდი სიჩქარე. ყველაფერი გზის ოსტატების ბრალია, ღვინის სმის მეტს არაფერს აცეთებენ.

— ერიჰა! — იძახოდა ანანია და მანქანას გარშემო უვლიდა. კოტეს გულს ეყრებოდა.

— რაო, მამაჩემო, დამტერეულა?

— აღარც დაჰკლებია.

— ფიქრი ნუ გაქვთ. ახლაც შევაცეთებ.

კოტემ სახელოები აიკაპიწა, საჭირო იარაღი გადმოიღო და დასულული ბორბლის მოხსნას შეუდგა.

ნინო და ანანია გზიდან გადავიდნენ და ცერად ვალბეულ მორზე ჩამოსხდნენ. ანანია ბევრი იფიქრა, სტუმარი გაჯავრებული ხომ არ არისო, გადაწყვიტა ასეთი სიჩუმე არ ივარგებსო და თქვა:

— რა ამბავია ქალაქში?

— შვიდობა. — მიუგო ფიქრებში წასულმა ნინომ.

— ჩემ ხნობას არეულობა იყო ერთ-თავად, — თავი გაიქნია ანანია, — ახლა რომ ყველა მანქანით დაგრიალებს, მაშინ ერთი საცოდავი, დანჯღრეული დილიეანი იყო, მგზავრებს ქალაქამდე ის დაარაზრებდა. მედილიჯნეს რა ერქვა? — ანანია უღვაში გადაიგრია. — ჰო, აღჩუ კოქო.

— ზედმეტი სახელი? — ჰკითხა ნინომ.

— ჰო.

— ალბათ რამეს ნიშნავს.

— რაო, ნიშნავს? ჰო, რად ერქვა? რადა და, ეს ჩვენი მედილიჯნე დღეცისმარე დუქანში ეგდო. ჯერ გათენებული არ იყო, მრავალყამიერს მღეროდა. დაღამდებოდა — მღეროდა. თავისი სიცოცხლე სულ ქეიფობდა და მღეროდა. ძნელი გახდა მისი ხელში ჩაგდება. ბიჭობა იყო, ლოთი მედილიჯნე როგორმე დილით, უთენია დაქირათ, სანამ ქვეშაგებიდან ადგებოდა და დუქანში საქეიფოდ წავიდოდა. თუ მიუსწრებდნენ, ხომ კარგი, მედილიჯნე იმ დღეს აღარ დალევადა და თავისი ჯაგლაჯა ცხენებით ქალაქისაკენ წალახლახდებოდა. თუ არა და...

ნინომ გაიღიმა და რაღაცის თქმა დაიპირა.

— აღჩუ კოქო! — ჩაიციხა ანანია — ამ ხანად აღჩუ კოქოს ჩემი ბიჭიცა ჰგავს, თუმცა ძაან პატიოსანი და გამრჯეა. ეხ, ახლავაზრობა!

— ძალიან ვთხოვთ, უარს ნუ მეტყვით. ნუ დაველოდებით მანქანას. ფეხით წავიდეთ, — გაბედა ბოლოს ნინომ.

— რას ამბობ, შენი ჰირიმე. გაგონილა! — ცივად იუარა ანანია და მანქანის ქვეშ შემჭვრალი შვილის ფეხებს გახედა.

კოტეს ნინოს ლაპარაკი ესმოდა და თავბედს იწყევლიდა. რა ჰირად გააქანა მანქანა. ან ის ოხერი გუბე რამ დაავიწყა, შუა გზაზე რომ იყო გახირული!

— კოტე! — მოესმა მამის ძახილი და

წამით გაინაბა, ყური მიუგდო. — ნელა ვივლით ჩვენ. თუ რამე მოუხერხო მამას, დაგვეწვი.

ნაბიჯების სწრაფი კარგახანს ესმოდა კოტეს. ანანია მიდიოდა და მესამედ იმეორებდა.

— აღჩუ კოქო... აღჩუ კოქო...

ვენახები გაილია და უცბად ყვავილნარი დაიწყო. მოზრდილი ველი ისეთი საუცხოო ყვავილებით იყო მოჭარგული, რომ ნინოს მისი მსგავსი თავის სიცოცხლეში არ ენახა. სიხარულით გასცქეროდა მარგალიტის მძივებივით გაბნეულ ყვავილებს, ილიმებოდა.

«დილით შინ ვაყავი, ახლა აქა ვარ, — გაათქვამა მან და ალაზნის ველს თვალი გააყოლა. — ნეტავი მამაც აქ იყოს... სადღურზე — დავიანებოთ გამოვიდა, ძლივს მოუსწრო მატარებელს... ნინოს გაეღიმა და უნებლიეთ აუჩქარა ნაბიჯს. — ამხანაგებმა ისე გამოამაცილეს, თითქოს ცხრა მთას იქით მისტუმრებდნენ. «პატივცემული» გვიც კი გამოვიდა სადღურზე, რალაც უსიამოვნო ნელსაცხებლის სუნი ასდიოდა. ნინოს ახლა უკვირდა, რატომ უნდა მოსწონებოდა მას ეს კაცი აღრე? რა იყო მათ შორის საერთო? ახლა დიდი კაცია გვიცი, სამინისტროში სკამი გამოუნახავს. შეიფერებს ისიც! არ ეტყობოდა? სულ ნიშნის მოგებით უციალებდა სახე, მე რომ მიყურებდა. ვნახოთ, ქალბატონოვო!..»

ნინომ თავი გაიქნია, ფიქრში კარგა გზა გამოევლოთ. მან მხნედ გადახედა ანანიას და მისთან ერთად საბჭოთა მეურნეობის ფართოდ გაღებულ კიშკარში შევიდა.

ჩრდილი მოსცილდა ვარდიანის ირგვლივ წაქცეულ, ორკუნიან აქლემებივით შემოჯარულ მთებს. მსუბუქმა ნიავმა ბეჭობი ფრთების ნაზი ფარფალით ჩამოირბინა და დამშეული საქონლის კბილით გაკორტინლ მიწას შეყვითლებული ფოთლის ზღუჯა მიაყარა. ტყრულულ ღობეზე შეფრენილმა მამლეების ყვირილმა მეკრდგანიერი ეზოები კი-

დევ ერთხელ დაახშიანა. ნახირი შემოდგომის მზით ალანძულ მინდერებსაცენ გაეფინა. მთელი დამის დარჯობით დალილიმა ძაღლებმა ბნელი და ნესტიანი გომურები მონახეს. მზემ თვალი ფართოდ გაახილა, ცას მტრედისფერი წაერთვა და დილის სიფთხემ დაბლუჯა.

ნინო ოთახში შემოპარულმა მზის სხივებმა გააღვიძეს. ლოგინში შეიმშუპნა, წინაღლის ნამგზავრს წამოდგომა ეზარებოდა. ბალიშზე იდაყვით დაეყრდნო, ცალი მხრით წამოიწია და საარკმელში გაიხედა.

რაფას ნაძვის მწვანე წიწვები უამრავ ნემსებივით დაფენოდა. წერწეტა, გემის ანძებივით ატყორცნილ ხეებს ნისლი დახეული აფრებივით ეკიდა.

ის იყო ნინო საუზმეს ამთავრებდა, რომ ღია კარში შემოჭრილ მზის სხივს ანანია შემოჰყვა. სანამ შენ საქმეს შეუდგებოდნენ, სოფელს დაგატარებო, — შესთავაზა ნინოს.

გარეთ გამოვიდნენ. ბაერში შემოდგომის სურნელება იდგა. საღლაც თვითმფრინავი გუგუნებდა.

ფუტკრები ზუზუნებდნენ.

შშენიერი ამინდი იყო.

ანანიამ ჯერ თავის ეზო-ყურეში შეიყვანა ჯიუტი ქალიშვილი, რომელმაც მგზავრობის შემდეგ არაფრით არ ისურვა ვინმეს სტუმარი ყოფილიყო და ღამე სასტუმროში გაათია.

— მაგდანა, ჩემი მეუღლე, — თქვა ანანიამ, როცა სტუმარმა საჩხების ზღურბლს გადაბიჯა და შავებში ჩაცმულ ვეება დედაკაცს თვალი შეავლო.

მაგდანას არ გაუღიმა, როგორც ეს გაცნობისას აღამიანებს სჩვევიათ. შეიძლება გაიღიმა კიდევ, მაგრამ აღრე დაღარულმა დაწვებმა ღიმილი ჩაიხვიეს. მან მკაცრად ახედა ნინოს და ღრმად ამოისუნთქა.

სტუმრები საჩხებში დადგმულ განიერ, ქრელფარდაგვადართებულ ტახტზე ჩამოსხდნენ.

მაგდანამ მოიბოდიშა და სტუმრები დასტოვა.

ნინომ თვალი მოაღწია კარ-მიდამოს. მიწიდან სახლი ერთი ადლის სიმაღლეზე იყო შედგმული. დაკორძებული, უზარმაზარი ხართუთა ეზოს შუაზე ჰყოფდა. ხელმარცხნივ საქათმე, საღორე იყო. შორიახლო თონე.

თონეზე შეინდის კეწეწებისაგან დაწნული ერთი ნაბდის სიფართო ლასტები ელავა, ზამთრისთვის გასახმობად დაჩირული ატმითა და ვაშლით სავსე.

ნინომ თვალი მალულად მოატარა, რომ სადმე კოტე დაენახა. მაგრამ კოტე არსად იყო.

მაგდანა ბუხართან ფუსფუსებდა.

მოგრობო სახეს კეხიანი ცხვირი შეენოდა. თვალის უბეები ჩაყვითლებოდა, ქუთუთოებში ჩაძირული თვალები ნახშირის ნატეხებს უგავდა. მთლად გათეთრებული, ნაზამთრი მატყლისფერი თმა თავსაბურავიდან ჯუფთად უჩანდა. ტუჩები ისე მტკიცედ ჰქონდა მოკუმული, კაცს ვგონებოდა, ენის წვერი წინა კბილებით მოუკვენტიაო. ფოჩებგაცვეთილი შავი კაბა ეცვა. თავს ზევით არ იღებდა.

ანანიამ მარნიდან ღვინო გამოიტანა და სველი ღოჭები მაგიდაზე დააწყო.

სუფრას შემოუსხდნენ.

ნინოს მარჯვნივ ანანია დაჯდა, პირდაპირ მაგდანა, მარცხნივ სკამი ცარიელი იყო.

ნინოს უკვირდა, ვისთვისააო, ყველანი აქა ვართო.

ანანიამ ის იყო ღოჭს ყანწში წამოქცევა დაუპირა, რომ ორღობეში ცხენის ფეხის თქარათქური გაისმა.

ცხენის ფეხისხმა ახლოედებოდა.

ანანია აივანზე გაიქრა.

მაგდანა არ განძრეულა.

— მოხველ, ბიჭო? — მოესმათ ანანიას ომახიანი შეძახილი.

— მოველ, მამა. გამოეპასუხა კოტე.

დამხედურნი წამოიშალნენ.

— ალბათ გიკვირდათ ხალხო, შემოსძახა ანანიამ აივანზე გამოსულებს.— გიკვირდათ, რომ მთელი დღე კრინტი არ დავძარ ამ ყმაწვილზე. არ იკითხავთ, რატომ? კოტე სანადიროდ იყო და... ხომ

გავგივით, სანადიროდ წასულ კოტე არ ლაპარაკობენ, ხელი არ მოეცარესო...

— გამარჯობათ! — გაიღიმა ქვიშის-თავში კოტემ.

ნინოს მონადირე ნანადირევით მხოლოდ სურათებში ენახა და ახლა მოხიბლული უყურებდა ყმაწვილკაცს. მალე ყველამ ისევ თავთავიანთი ადგილი დაიკავა სუფრასთან.

— ამ პირველი სასმისით, — თქვა ანანიამ, — ოჯახის დიასახლისი მინდოვადღეგრძელო. თუ არა გამრჯე დედაკაცის ხევიანი მარჯვენა, ისე ოჯახი უფერულია და საცოდავი. როგორც უღელში შეებმული ორივე ხარი უნდა იყოს მუხლდონიერი, ისე, ჩვენებური გლეხკაცისათვის ცოლის მხარი — იმედი და ფუქია ცხოვრებაში...

— ი, შენც ერთი, კაცო, — გაიღიმა მაგდანამ, — რა პატარძალივით მამკობ. ჩვენი ახალგაზრდების სადღეგრძელო დალიე ჯერ!

— სუფრას თავისი რიგი აქვს, მაგდან. შენ ერთი, შენებურად გაისარჯე და ყელი ჩაგვიმაჭირიანე...

სადღეგრძელო შეისვა, სიმღერა ითქვა და ანანიამ მეორედ წამოაღწია ყანწს ხელი.

— ჩემს ოჯახში დღენიადაც ღვინო იყო და დროსტარება, — დაიწყო ხმის თრთოლვით. — ერთი ბაღლი, ილა, კულაკებმა მომიკლეს, მამამ მკერდი კი მივეშვირე ტყვიას, მაგრამ იმ ბრმა ცეცხლმა შეილი გამიწირა... ამ დარდს რა თვალი იტირებდა, გულში ჯერ ისევ სევდა მიდუღდა, რომ ომი დაიწყო, ორი ბიჭი გავგზავნე, ორი თვალის სინათლე თან გავატანე იმათ, უკან კი მხოლოდ კოტე დამიბრუნდა. დაბერებული დედამისის თვალები მხოლოდ მასლა შესცქერია...

— გეგენა დაგავიწყდა, კაცო, — დაიკუნწა მაგდანამ.

— სიკვდილს დაეიწყებია იმისი თავი, მაგდან, — მოუტრიალდა ანანია, — ბიჭი მეგონა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს აკეთებდა, თავის დღეში ბელურაც არ მოუკლავს; ოცდაჩვიდმეტში წამოაღწეს

ხელი და გააქრეს... მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით... მაგრამ ზომ იცით, ხალხო, სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაქარგავსო... გვეგნა მართალი კაცი იყო და სიმართლე კი არასოდეს არ დიკარგება...

ანანიას ქუთუთოებში ცრემლი მოაწვა.

ნინომ მაგდანას შეხედა. მაგდანას სახე ცივი იყო და უძრავი. ერთი კუნთიც არ უტოკავდა. როცა ანანიას ცრემლი ღენიანად ქარვის მძივივით ჩაიძირა, მაგდანამ თქვა:

— შენი დარდი, მარტომ იტირე... სუფრა სამარის პირი ზომ არ არის, იქვითინო...

მაგდანამ ლოყაზე ჩამოცურებული ცრემლი სწრაფად მოიწმინდა, თითქოს ეშინიან არავეინ დამინახოსო.

კაეშანმა ოთახში გაიბრძინა. ანანიამ ცრემლი ვაეკაცურად გადაყლაპა.

— ბიჭებს სიმღერა უყვარდათ. აბა, სანდრო, ერთი მრავალყამიერი ჩვენი ბაღლების სადღეგრძელოდ...

როცა ანანიამ სტუმრები გააცილა და უკან შემობრუნდა, ოთახში მუხლებზე დამხობილი მაგდანა დაუხედა.

ანანია შეშინებული მიიჭრა ცოლთან და ჰკითხა:

— აჰ, რას აკეთებ, დედაკაცო?

— ელოცულობ, — ყრუდ დაიკვნესა მაგდანამ. — იქნება ბიჭები ცოცხლები არიან და როდისმე დამიბრუნდნენ...

— ეხ... — ამოიხსრა ანანიამ.

— ცოტახანს დამაცადე, გულო. სტუმრებთან დიასახლისი ვიყავ... ახლა ზომ მარტო ვართ... დამაცადე დედას, თუ შეილებს სიცოცხლისათვის ლოცვა დამიგვიანდა, მათი სიკვდილი მაინც ვიგლოვო...

ანანია თავის ვეება ეზოში დააბოტებდა, ჭიშკარს კეტავდა, ძაღლს ერთი ზიდან მეორეზე აბამდა, ხმაურობდა, ახველებდა, ლაპარაკობდა, თავის ცხოვრე-

ბას იგონებდა... ეჩვენებოდა რომ ეზოში ხარება დადიოდა, ქედგადახეჩილყო, ორმოცი წლის ძილით დეველებში შექრებული, მიწა ჩამოებერტყა, მუხლში გაშლილიყო, სახელოები აეკაპიწებინა და საყვედურს ცხელი ნაცარივით აყრიდა ანანიას გულზე...

— ბიჭო, რისთვის გაგზარდე? შეილები სად დაგხოცენენ?..

— არ ვიცი, მამაჩემო, — კვითინებდა ანანია, — ილა თოფმა შემიჭამა, გვეგნადლის სინათლიდან მომპარეს, დღესაც არ ვიცი რა ბედი ეწვია, მე ერთხანს მაგნებლის მამას მეძახოდნენ. ქარუმი ფრონტს მივეც და მისი სისხლი ქვეყნის ფუძეს ჩავაქციე, რათა არ მონგრეულიყო... კოტე მყავს ცოცხალი... აი, ეგაა ჩემი ქვევრისძირი, კერიის მაღალი ბოლი და გვარის სინდისი... მაგან უნდა შეგვინახოს ყველა, მამაცა და პაპაც, შეილიცა და შეილიშვილიც...

— ეჰ, ანანიავ, — ჩურჩულებს ხარებას ლანდი, — არ მეგონა თუ ეგეთი ლაჩარი იქნებოდი... მე ვითხარ, გამრავლდი-მეთქი, ჩემსავით ერთი შეილის მაცქერალი ნუ იქნები-მეთქი, შენ კი, გაზრდხლი, სამ-სამი ვაეკაცი შავ მიწაში ჩააწყვე, და, ამის მერე, ისეე მზეს შესცქერი?...

— ღმერთმა იცის, რომ მეცა და ჩემი შეილებიც ცამდე მართალნი ვიყავით, — გულმხურვალედ ჩურჩულებს ანანია, — რა ვუყო თუ მტრის ტყვია დაუნდობელი იყო და ავ კაცს კი ენა ხანჯლის პირზე ჰქონდა აღესილი... ბევრი ვეცადე, მაგრამ წუთისოფელმა მაინც წამგლიჯა ისინი...

ანანია ეზოში დადის, მასთან ერთად ხარებას ლანდიც დააბოტებს და თითქოს ჩურჩულებს გულდამწვარი:

— რა უბედურად ჩამოდნა ჩემი წუთისოფელი, ეხ, გახსოვს ლაზარეობა, ის ჩვენი ცოდვით სავსე ილია წინასწარმეტყველი, ყველაფერს რომ შებრუნებით გვიკეთებდა? ჯერ გვალვით ამოგწვამდა, მერე წყალდიდობით გავგანებდა და საბოლოოდ ჭიანჭველებივით მოგვსრესდა..

ეპ!

ანანია ეზოში დადის, იღრუბლება, ლაპარაკობს, ახველებს, აბინავებს ფრინველსა და საქონელს, მასთან ერთად ხარებას აჩრდილიც დააბოტებს, კისერზე ხელს ისევამს თრმოცი წელი გასულა, მაგრამ ისევ სტკივა... მძიმე ყოფილა ცხოვრების უღელი, ეგრე ადვილად დარდი და მოგონებაც არ დამსუბუქდება. თითქოს ყველაფერი გუშან იყო. ანანია თითქოს საკუთარი თვალით ხედავს აჯიას წისკვილში ზევის წყალი როგორ შეუფარდა, ყველაფერი როგორ მიუღწია, ის უცოდველი სარეკელა დაუნგრია და აჯიაც მოკლა. მეწისკვილეს ეგონა, ალაზანი ადამიანი იყო, გული ჰქონდა, მისი ხმა მოხიბლავდა... მეწისკვილე ამოდ მღეროდა, ყელს იგლეჯდა, ღრიალებდა... არა, მისი სიმღერა არ შეისმინეს. მის დაფქვილულ თმებში ალაზნის ზვირთები ტრიალებდნენ და აჯიაც გატეხილ სარეკელასავით გაჩუმდა.

ლამის სიჩუმეში აჯია მღეროდა, სა-

რეკელა წკარუნობდა. ანანია გიოს ეღვიებოდა, ქალაქში ნუ წახვალ, გლჭხვაცი სადაც დაიბადა იქ უნდა მოკვდეს... ცხოვრებამ ყოველივე როგორ შეატრიალა!

— გენაცვალე! — ბუტბუტებს ანანია და ეზოს სერავს. ხარებას ლანდი მასთან ერთად დააბოტებს.

დაბლა, მიწაში, აჯიას ძვლები იფშენება. ის გაჭირვების დროს ყოველთვის მღეროდა, სიმღერა იყო მისი ხმალი და ფარი, ვაქაცობა და გამბედაობა, გესლი და მახვილი. ახლა სიმღერა აღარ შეუძლია და ალაზანს სწყევლის.

— დაიცა, ალაზნის მადლს ნუ დაგვიწყევლი, აჯიავ! ალაზანია ჩვენი მარჩენალი და გამხარებელი.

— ჩემი? დამლუბველი? — ქედზე ხელს ისევამს ხარებას ლანდი.

— ჩემი? — ისევ მღერის აჯია.

— ეპ! — დაიკვნესებს ანანია და დიდი ნაბიჯებით კვლავ გადასერავს ეზოს.

## 5. მზე წისკვილში

მოლურჯო ნისლი დაფენოდა მინდვრებს. ჰაერი მძიმე და ნოტიო გამხდარიყო. შემოდგომას ისე ღონივრად დაებლუჯა ღედამიწა, თითქოს ზაფხულის მოგონებასაც კი უკრძალავდა. ერთი კვირა გადაბმულად ეინკლავდა, ორღობეები აეტალახებინა და შარავნისთვისაც აეჩიქნა პირი. ღამეები შესამჩნევად დაგრძელებულიყო, დღეს მოეკლო და ნახირის მობრუნებისას უკვე ბნელოდა ხოლმე.

ჭირნახული დაბინავებული იყო, ცხვარს საზამთრო იალაღებზე გასარეკად აშაადებდნენ, ვენახშიც უკვე დაეწყოთ მუშაობა; ისმოდა მსუყე შემოდგომის ნებეირი ფშვინვა, გარჯილ მაშურალს დასვენება სჭირდებოდა.

ამინდები სწორედ რომ საქეიფო იყო. ნედლი ნიგოზი, შუშუნა მაჭარი, აქა-იქ ფრინველი ან საკლავი, საამურსა ხდიდა

ამ დახუნძლული შემოდგომის ბარჩქით საცხე უბეს.

ანანიამაც მამა-პაპურად გადაიგრიბა უღვაშები, თავისი ეზო-ყურე მიალაგ-მოალაგა, ქვევრები, შიგ რომ უღელი ხარ-კამეჩი მობრუნდებოდა — წკრიალა რქაწითელით აავსო, დაჯდა და ის იყო, გემრიელი ნადიმი უნდა გაეკვიმა, რომ მეურნეობის დირექტორისაგან გამოზავნილმა კაცმა აუწყა, ბრიგადა ალაზანზე უნდა წაიყვანო სავენახე კიგოების დასამზადებლად.

ამ წვიმასა და უამინდობაში, მართლაც რომ საძნელო იყო ალაზნის ნეშომალაში ხეტიალი, მაგრამ ბრგადირი დირექტორის როგორ დაალაღტიანებდა, რაზან დასტური მისცა, ორ თვესაც რომ იქ დარჩენილიყო, ნაკისრი უნდა შეესრულებინა.

ანანიას ბრიგადას ნინოც გაჰყვა ტყე-

ში, მითუმეტეს, აგრონომების თათბირზე, სანდრომ ურჩია ახალბედა სპეციალისტებს, არცერთ სამწელო საქმეს არ გამოჰკლებოდნენ, თუ უნდოდათ სოფელი შეჰყვარებოდით და ბირიქით, სოფელსაც შეეყვარებინა ისინი.

ნინო გულდაგულ ემზადებოდა ამ „ლაშქრობისათვის“. სპორტული შარვალ-ხალათი ჩაიცვა, ალბინისტის ფეხსაცმელში ჩაჰყო თავისი პაწია ფეხები, ორ წყვილ წინდას საოცრად რომ გაედიდებინა... ერთ ვეებერთელა კეტს წამოაგვლო ხელი და ასე, მორთულ-მოკაზმული მიადგა ანანიას.

ახალგაზრდებს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინათ სახეზე, როცა შეჰქურვილი ნინო დაინახეს. კოტემაც ვერ შეიკავა თავი და თვალები აუციმციმდა.

ღიმილი, რა თქმა უნდა, არ შეუშინებია ნინოს, ის მხნედ მივიდა, ვაჟაკურად ჩამოართვა ყველას ხელი და თავიდან ფეხებამდე ისეთი გამომწვევი საქმიანობით შეათვალა, თითქოს ამოწმებდა, ყველა ისე იყო გამოწყობილი, როგორც საჭირო იყო, თუ არა.

გლახებს ზოგს თხელი სატინის ხალათი ეცვა, ზოგს ნალევი ფარაჯისათვის გაეგდო მხარი.

ახალბედა ვერ მიმხვდარიყო, რომ მთავარ აგრონომს — სანდროს მის გამოსაცდელად შეეთავაზებინა ანანიასთან ერთად ტყეში წასვლა; ნინოს დავიწყებოდა, რომ ანანიას ბრიგადისათვის, თავისი აგრონომობის მიუხედავად, უფროსობა მაინც არ ეკუთვნოდა, თუმცა ომახიანად იძლეოდა განკარგულებებს.

ერთმა ქალბატონმა გლახმა ვეღარ მოითმინა და ნინოს შეუტია:

— ბალო, შენ ე საყულო გაიხსენი, თორემა დაგცხება... ჩვენზე კი ნუ წუხარი!

აქა-იქ საცილი გაისმა. ანანიას არ გამოეპარა, თვალებით დაუტია მოქმელს, ხოლო გაწითლებულ ნინოს გასამხნევებლად უთხრა:

— აბა, აგრონომო, შენ იცი და შენმა ქალობამ! ტყემდე მე ვიქნები უფროსი,

ტყეში კი შენ აგვიჩიე ხის ჯიშები, რომელი უფრო გამოდგება საჭიგოვედ.

ბრიგადა დაიძრა ალაზნის ტყისაკენ. ანანიას დაბარებული ჰქონდა, ორ-სამ დღეში, დამზადებული ჰქონდნენ წასაღებად მანქანა გამოგვიგზავნეთო და ახლა მსუბუქად მიიბიჯებდა.

ნინო დაფიქრებული მიდიოდა. ეგონა, ის ბრიგადის სტუმარი იქნებოდა, დააკვირდებოდა, ისწავლიდა, ახლა კი, ანანიამ რა უთხრა: საჭიგოვეები შენ უნდა შეარჩიო. ნეტა ფეხი მომტეხოდა და არ წამოვუსულიყავი, — ფიქრობდა ნინო და გაფაციცებით თვლიდა ინსტიტუტში ნასწავლ ხეთა სახელებს. — ჰო, მუხა კარგია, წიფელი? ესეც კარგია თუ არც მუხა არ ვარგა?

ამ ტანჯვასა და ფიქრში ნინოს გზა შეუშინებლად გაველო. ტყეში მივიდნენ, გლეხები ჩამოსხდნენ და შეისვენეს. ნინომ ხალხი მოათვალა და უცხად კოტეს მოჰკრა თვალი. გაუხარდა, ტოლი რომ დაინახა, მასთან მაინც არ შემრცხვებარ და თამამად გასწია.

— დახმარება ხომ არ გჭირდებათ, — შესთავაზა კოტემ.

— არა, მხოლოდ თქვენი წალდი მომეცით, რომ ხეები შევარჩიო.

კოტემ წალდი მისცა და თავისი სამსახური კვლავ შესთავაზა. ნინომ მტკიცედ იუარა. წალდი ხელში მაგრად დაიჭირა და ხშირ წიფლნარში შეერია.

ნინო აი უკვე რა ხანია მიდის, ასი და ათასი ხე შეათვალა, მაგრამ ვერც ერთთან ვერ შეჩერებულა, ვაი თუ ეს არ ვარგა, მაშინ? თანდათან ბრაზი ეკიდება, რა ჰქონდა დამავალა ანანიამ, ბოლოსდაბოლოს, მე შევენახე ვარ, მეტყვევებ ხომ არა? — ნახა თითქოს გამოსავალი. — ამ განსხვავებას, აჰ, სოფელში, რა მნიშვნელობა აქვს, ფიქრობს დაღონებულად. — ასპირანტურაში რომ შევდიოდი, ეს იქ უნდა ვთქვა, სპეციალობაში გამოცდის ჩაბარების დროს, სოფელში აგრონომი-აგრონომია! ვენახების პატრონობას ვაპირებ და საჭიგოვე ხე ვერ უნდა მოვნახო? ამ ფიქრში ნინო ბრიგადას ისე დაშორებოდა, რომ როცა

შემოტრიალდა, მათი კვალიც კი ველარსად ნახა. გეზი მიინც არ დაუკარგავს, უკან, გზას, ალღოთი შემოჰყვია. ათიოდე ნაბიჯი არ გაევილო, რომ ხეზე ნიშანი დაინახა. მთელ გზაზე, რაც ნინოს გამოევილო, ვიღაც უჩინარს საჰიგოვე ხეები დაეკლდევიინა. ნინომ თვალს არ დაუჯერა. ჯერ ძალიან გაუხარდა, მიხვდა, სირცხვილი აცდენილი ჰქონდა, მაგრამ ლოყები ახლა იღუმალმა გულის ცეცხლმა აუწყვა.

ნაბიჯი მხნედ გადადგა და ერთ-ორ ხეზე წალდი თვათაც დაჰკრა. თანდათან აზრი დაუბრუნდა, ნასწავლი ვაიხსენა და უცბად, თითქოს სულში ნათელი ჩაედვარაო, ისეთი შვებით ამოიხსნა.

ბრიგადის მუშაობა დაეწყო. ისმოდა ელექტროხერხის ხმა, ცულებისა და წალდის რაკენი.

— სადა ხარ, ნინო, — დაინახა თუ არა, შესძახა ანანიამ. — რახანია გეძებ!

— მე ეს სვე გავიტანე და ხეები დავაქდევე, — გულგრილად ჩაილაპარაკა ნინომ, თითქოს ათასჯერ გამეორებულს, უკვე შეჩვეული და მოწყენილი რამ გაეკეთებინოს. — მზად არის, ახლა საქმე თქვენ მარჯვენაზეა დაგდებული.

— ყოჩაღ. გოგო, — გუნებაში გაიფიქრა ანანიამ. — სოფლის ალღო აქვს, ეგ მიწის მადლსაც მალე გაიგებს და იქნებ, დროულებსაც გაგვისწროს...

ბრიგადა გულდაგულ მუშაობდა. ამინდიც ხელს უწყობდა. წვიმისა და ნისლის შემდეგ ისე მოულოდნელად გამოიღარა, მზემ ერთხანს ისე დააცხუნა, კაცს ნაადრევი გაზაფხული ეგონებოდა. დახერხილი ხეები კარგად შრებოდა და მეორე დილისათვის უკვე მურყნობიდან გამოგზავნილ მანქანას მოელოდნენ, რომ დამზადებული ჰიგოები წაეღოთ.

ნინო პატარა კუნძუზე იჯდა და ჰიგოებს ითვლიდა. მზეს, ტყის მათრობელა სუნს, სუფთა ჰაერს იგი ისე გაებრუნებინა, თითქოს დედამიწაზე კი არა, მსუბუქ ღრუბლებზე დადგინებოდა. ნინო

გარინდული იჯდა, ის თავის საფიქრალს წაეღო, მოგონებათა უწყვეტ ჯაჭვში გაება და დააფარდა. ქალაქს, ახმაურებულ ქუჩებს იგონებდა და ამ გაყუჩებულ ბუნებას, გასუქულ ალაზანსა და გორიზად აღმართულ კავკასიონის მწვერვალებს ადარებდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე და სიმშვიდე იდგა, მიუხედავად იმისა, რომ ტყე საესე იყო ტყისმკრელების იარაღის ნმაურით. ზევით, ცაში ზვიადად წასულ ხეებზე ფოთოლიც არ ტოკავდა. მიწა ყვირთელი ფარჩით დაფარულიყო. ხეები ისე რბილად ცვიოდა, თითქოს ქვეშ ბამბა გაუფენიათო. ტყეს ოდნავი მუქჩრდილი დასდგომოდა, ახოვში მზის ნათელი ბროლივით ბრწყინავდა, თვალისმომკრელად კიაფობდა. პატარა ცეცხლის ალი ჰაერს ტკბილად აესებდა; რალაც მეტად თბილი, მშობლოური და საყვარელი იყო ამ კვამლის სუნში, ამ დამშვიდებულ, ზვიად, იღუმალი გარინდებით მოცულ ბუნებაში და თვით ჰაერშიც კი, რომელიც საოცრად მსუბუქი და გამჭვირვალე გამხდარიყო. ნინოს თვალები მიეღულა, ნიკაბით ხელისგულს დაყრდნობოდა და ღრმა ფიქრში წასული, ბუნების ნებიერ სუნთქვას უსმენდა.

საღამოედებოდა. მზე თავის მცხუნვარებას კარგავდა. ცაზე გომბორიდან გამოსროლილი შავი ღრუბლის კუდი გამოჩნდა. ცივმა ნივამა წამოუბერა. ნინომ, ერთი კი გაიფიქრა, კარგი იქნება ხალხი გვაფრთხილო კარვები გაამაგრონო, მაგრამ ხმის ამოღება რატომაც დაეზარა.

ის იყო გლუნები საქმეს მორჩინენ და პურის საქმელად დალაგდნენ, რომ მხაპუნა წვიმამ წამოსახა. ყველამ მაშინვე კარვებს მიაშურა. ეგონათ, ჩქარა გადაიღებდა, მაგრამ ერთი საათი გავიდა და წვიმა ისევ ისე უწყაუნებდა. თან ქარიც აპყვა, წამოუბერა და კარავში წყლის პირველი ტალღა შეაგდო.

ანანიამ არჩია, ნინო უფრო უშიშარ

ალაგას გაეგზავნა; შეიღს დაუძახა და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა. კოტემ თავი გაიქნია, არ დათანხმდებოდა, — მაგრამ ანანიამ დაჟინებით გაუძეოვრა.

— ნინო, — გაუბედავად წამოიწყო კოტემ, — აქვე ახლოს წისქვილია, წვიმას ბოლო არ უჩანს და აქ რომ არ შეგცივდეთ...

ორივემ რეზინის ჩექმები ჩაიცვა და ჩამოწოლილ სიბინელში გზას გაჰყენენ. წისქვილამდე სამასიოდე ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ ამ საშინელ წვიმაში მიწას პირი ისე მორღვეოდა, რომ მუხლამდე ტალახის გატოვება იყო საჭირო.

როგორც იქნა წისქვილიც გამოჩნდა. ეს იყო გიგოლას დროინდელი წისქვილი, რომელსაც ახლა მისი შვილი — ბუდუკა განაგებდა. გიგოლა უკვე პენსიონერი იყო და სოფელში იჯდა.

ელექტროწისქვილის გზგუნის შორიდანვე მოისმა. ირგვლივ ყველაფერი ტოკავდა, წვიმის სქელ ფარდაში ისე ჩანდა, თითქოს ტოტებდამსხვრეულ ხეებსაც გულა-ნაბადი წამოუყრეფიათ და საღლაც გაქცეულანო.

წისქვილში რომ შევიდნენ, კოტეს მოეჩვენა, რომ შიგ არავინ იყო. მაგრამ დაკვირვებით მიმოიხედა და დაინახა თავისი კბილა ბუდუკა, რომელიც ვიღაც ქალს ჩახვეოდა.

კოტემ დაახველა. წისქვილის ხმაურში მისი ხმა არავის გაუგია. ნინო ზურგით მდგარ მეწისქვილეს გაკვირვებული შეჰყურებდა.

როცა კოტემ იმდენი ახველა და აცემინა, რომ ლამის ყელი ამოიხრინწიანა, ბუდუკამ, როგორც იქნა, მოიხედა. ნინო შეიშმუნდა. მათ წინ წამოწოთლებული მეწისქვილე და მთლად ფქვილში მოსვრილი ტანმორჩილი ქალი იჯდა. მასპინძლები დამნაშავებივით იცქირებოდნენ და ხმა ვერ ამოედოთ.

გამოსავალი კოტემ იპოვა.

— გამარჯობა ბუდუკა, — უთხრა მზიარულად. — დიდი წვიმაა და მე და ნინომ გადავწყვიტეთ, შენ წისქვილს შემოვაფაროთ თავი.

ბუდუკა, როგორც იქნა, კალამოტში ჩაიღდა.

— მოზრდანი, შენი კირიბე, სტუმარი ღვთისაა.

— იცნობდე, ბუდუკა, აი, ეს არის ჩვენ ახალი აგრონომი.

— ძალზე სასიამოვნოა თქვენი ნახვა, — ხელი ჩამოართვა ბუდუკამ, — ბოდიში რომ მოუწყობელი ვართ...

პირველი უხერხულობა გაქრა. ფქვილითა და ხორბლით სავსე ტომარებზე გრძელი ფიცრები გააწყვეს და სახელდახელო სუფრა გაიშალა. ტურფა ჩინებული დიასახლისი აღმოჩნდა. ნახულები, ცივად მოხარშული ღეღალი, ხელადით ღვინო, მწვანელი, ხილი, ყველაფერი ერთ წამში მოზიდა და მშვენიერი სუფრა გაშალა.

წისქვილი კი დუღუნებდა. დუღუნებდა აჯიაც, იქ, სველ და ნოტიო მიწაში. გიგოლა ოხრავდა, წარსულს იგონებდა, როცა ეს წისქვილი პაწაწინტელა იყო, ანანიამ ქალაქიდან წისქვილის ქვები ჩამოიტანა, და თან რამხელა სიყვარული ჩამოჰყვა ამას. ახლა კი იჯდა ბუდუკა, უღვაშმედღრებული, კობტად გამოწყობილი, საყვარელ ცოლთან ერთად და მამა-პაპის სადღეგრძელოს გულაჩუყებული სვამდა.

— მეც მეწისქვილე ვარ, კოტე, კაცმა რომ თქვას, — ლაპარაკობდა ბუდუკა. — ტქნიაკუმი დავამთავრე, ე, ჩვენი წისქვილიც, კარგა იცო, ქარხანას უფრო ჰგავს...

ნინო ბუდუკასა და ტურფას მოზიბლული შეჰყურებდა და ეს სუფრა დღევანდელი კარგი დღის გაგრძელება ეგონა. კოტე რატომღაც დამორცხვებული იჯდა, მაგრამ სამი ყანწის შერევა მანაც ამოიღდა.

შეისვა დიასახლისის სადღეგრძელო. შემოსწრებული სტუმრისა. კეთილი, გამარჯე გლუხაკაცისა. ღვინისა და პურისა.

და, რაღა თქმა უნდა, სიყვარულის სადღეგრძელო.

წისქვილი დუღუნებდა. დრო გარბოდა, ტყეში რახანია შუალამეს გადაე-

ბიჯებინა, ისინი ისევ ისე ისხდნენ და ტკბილად მუკჭუკებდნენ.

მერე, ნაღვინევ ბუღუკას თვლემა მოერია. კოტე სადღაც წავიდა და კარგახანს აღარ გამოჩენილა. ტურთა ქმარს უვლიდა, იმდენი უტრიალა, სანამ მისი თავი მუხლებზე არ დაიდო და არ მოასვენა.

ნინო გვრიტიბივით მოლუღუნე წყვილს შეჰყურებდა და მათში იმდენ სიჯანსაღეს, სიწმინდეს ხედავდა, რომ გული სიხარულით უცემდა.

წისკვილი დუღუნებდა. აჯიას ეძინა. ბუღუკა ძილფხიზლობდა და თავისი საყვარელი წისკვილის ტკბილ გუგუნს უსმენდა.

ინათა. ხორბლით საესე ტომარებს მზის პირველი სხივი დაადგა. წისკვილი ჰაერით, სიხალისით აივსო. მზემ შემოიხედა. მათრობელა, შემთბარი ფქვილის მტვერი მზის სხივებს თხელი აბრეშუმის ფარდასავით დაეკიდა. წისკვილში მზე იცინოდა და ადამიანს გული სიხარულით ევსებოდა.

ნინო გარეთ გამოვიდა. ტყეში სიცოცხლე იწყებოდა. უზარმაზარ ხეებს ცელქი ნიავე ატოკებდა.

ნაწვიმარ მიწას ორთქლი ასდიოდა. ამ ორთქლს ცაში აჰქონდა საოცრად მძაფრი და ძლიერი მიწის სუნი... ნინო გაღივებული იდგა და მზეს შუბლგახსნილი ეგებებოდა.

ჯერ ისევ დილა იყო, მეურნეობის ავტოპარკის უფროსი მზექალა, მოტოციკლეტით რომ ამოგრიალდა. რა ნახა, მანქანა არ იყო, გაცეცხლდა. ანანიამ თავი უხერხულად იგრძნო, რატომღაც ეგონა, რომ ყველამ მომსვლელისათვის მასპინძლობა უნდა გაეწია; აწრიალდა, მიდგა-მოდგა, მზექალას მოსვლა და დაბრძანება სთხოვა.

— მაშ, მანქანა კიდევ არ ამოსულა? — ეკითხებოდა მზექალა.

— არა, გენაცვა. შოფერი ალბათ მხარ-თეძოზე გორაობს... — მიუგო ანანიამ.

— მე იმას ვუჩვენებ სეირს. ერთი მოვიდეს!

ნინოს გაგებული ჰქონდა მზექალას დაუღეგარი ხასიათი, ამიტომ ბავშვივით ეშინოდა, გაბრაზებულს გამოლაპარაკებოდა. ეგონა, მზექალა ცეცხლს მე შემომიბრუნებსო, ამ ცხელ გულზე გავალიზიანებო.

მზექალა კი ისევ ბრაზობდა, ბორგავდა, თვალებს აბრიალებდა.

— ვაი შენ ქმარს, — ჩაიდუღუნა ვილაცამ.

მზექალას მახვილ ყურს შენიშვნა არ გამოეპარა.

— ვაი კი არა, ნეტავი იმასი რა, ცუდი გოგო ვარ?

სიცილია ჩაირბინა. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

უცბად მოტორის გუგუნე მოისმა. საბარგო მანქანა გამოჩნდა.

მზექალა ხელახლა აენთო.

— რომელი ხარ, პო, შენა, გუჯავ, მოდი აქ! — ბრძანებას უფრო ჰგავდა ეს, ვიდრე დაძახებას.

— დაიცა რა, ხო ხედამ, მოვდივარ.

გუჯამ მანქანა გააჩერა და კაბინიდან ზანტად გადმოვიდა.

— სადა ხარ აქამდე? — ჰკითხა მზექალამ. — არ გითხარი, ექვს საათზე იქ იყავ-მეთქი!

— ვა, ვერ მოვასწარი.

— რატომ?

— ბორბალი დამესულა და იმას ვებრამდი.

— იმდენი.

— რა იმდენი?

— თავი დაგესულოს. წუხელ ილოთებდი და დილით, ალბათ, გოგრა ველარ ასწიე.

— ცოტა ნელა, უფროსო...

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო... გთხოვო... გემუდარო... რა ხარ, ხე თუ ადამიანი?

— ვა, რეაქტიული ხო არ ვიყავი, მოვფრენილიყავი.

— ქრელი ჰეპელა ხარ სწორედ, — ხურდა დაუბრუნა მზექალამ. — იცოდე,

უქანასკნელად გაფრთხილებ.

— ეჰ, შენც ერთი, — დაიღრვიჯა გუჯა და მანქანასთან საქციელწამხდარი დაბრუნდა.

გლეხებმა მანქანა კიგოებით მალე დატვირთეს, მსხვილი, დაგრებილი წნე-ლი გადაუჭირეს, რათა არ ჩამოცვენი-ლიყო.

— ახლა რვა საათია, — უთხრა გუჯას მზექალამ. — ცხრაზე, მეორე რეისისათვის უნდა ამოხვიდე.

— ვა, რეაქტიული... — აღარ დაამთავრა გუჯამ.

— არა ხარ და გახდები, კმარა ცუდ-ლუტობა!

მანქანა წავიდა. ერთხანს ყველა ჩუმად იყო. მერე მზექალასთან კოტე მივიდა და უთხრა:

— ცოტა დაისვენე, აი, ნინოც აქ არის...

ნინო მზექალას გაოცებული უყურებდა. ჯერ საშინლად არ მოეწონა იგი, პირიქით, აშკარა უხეშობისა და სიტლანქისათვის, გულში კიდევ დასციინა. მაგრამ ახლა, როცა ნახა, მან შოფერი კუთხეზე როგორ მოიყვანა, უნებური პატივისცემით აივსო.

მზექალას ღიღხანს აღარ მოუცდია. დაჯდა თავის მსუბუქ „მოსკვიჩზე“ და თვალისდახამხამებზე ტყეს მიეფარა.

ანანია ამდგარ ბუქს კარგახანს გამყურებდა, მერე უღვაწზე ხელი გადაისვა და დინჯად თქვა:

— ყოჩალი ქალია, მე და ჩემმა ღმერთმა! მოწონს მაგისთანა კლდის ნატეხი. საცა შევა — ყველგან თავის ნაპერწყალს შეიტანს!

მართალია ბრიგადას მუშაობა დაემთავრებინა, მაგრამ ანანია მაინც ვერ ისვენებდა. ტყეს თვალეზმოკუტული გასკეპროდა, თითქოს მის გულში ჩახედვა, რალაც ავი ზრახვის გამოჩხრეკვა და გაგება უნდაო. მსხვილი, დახეთქილი თითებით, ქარს რომ კანი აეტკრიცა და გაეწითლებინა, ბუდედ შემდგარ ქოჩორს იწეწავდა, შუბლს ისრესდა და მთელი მისი გრძნობა-გონება

რალაც იღუმალ საფიქრალს წაიღო. რას ფიქრობდა ანანია? მას სამოცდაათ წლამდე აღარაფერი აკლდა, იმისაკენ იყო, როცა კაცს თავისი ცხოვრების ლოდი უკვე გადაგორებული აქვს. სიბერემდე ჯერ შორს იყო, მაგრამ ახალიც უკვე გონებას ველარ უფორიაქებდა. უყვარდა თავისი დღევანდელი ცხოვრება, მერცხლის ყოველ შექიქიკებას შვილთან ერთად შესტრფოდა, მაგრამ გულს ნისლი ჩაფენოდა, მძაფრ ცხოვრებას ძარღვებისთვის ლეჭი მოედო, ანანია გრძნობდა რომ ახალგაზრდობა, ჯანი, ღონე უკვე წარსულს ეკუთვნოდა, იქით, ზვალის მიღმა აღარაფერი ჰქონდა, აღარაფერს ელოდა, ცხოვრების ღერძი წარსულში დაეტრიალებინა, მაშ ახლა რისთვის უნდა მოეცადა? ანანია ასეთ ფიქრებს არ იყო მიჩვეული, მაგრამ გულს მცირე რამ სევდა შემოსწოლოდა... წარსულს იგონებდა, გიოს ქალაქად წასვლას... ანანიამ იცოდა, რომ გიო სოფელზე გულნაკლული იყო, რომ მას გულისძარღვები აქ, ამ მიწაში, ამ ვაზის ძირებთან, ამ მუხის ფესვებში ჰქონდა დატოვებული... რომ ის, როცა იქნებოდა, შემობრუნდებოდა, თავის კარ-მიდამოს მოუტრიალდებოდა... გიო არ ჩამოვიდა. ნინო კი აქ არის. ეს ანანიას სიხარულით ავსებდა, მას მეგობარი უნდოდა, თავის ახალგაზრდობასთან რალაც დამაკავშირებელი ძაფი, ნინოს უყურებდა და თითქოს გიოს ესაუბრებოდა...

ტყეში შუადღის სიჩუმე იდგა. გლეხები თავის საქმეს უგურგურებდნენ, ვის ბაღისათვის საჩონჯურე ტოტი მოეჭრა, ვის შვინდისა და ზღმარტლის კეწეწები დაეხვავებინა, ვინ სოკოს ეძებდა... ახალგაზრდებიც საღლაც წასულიყვნენ. ანანია მარტომარტო იყო.

თითქოს, რამდენიმე წუთით, ის სრულიად მარტო დარჩენილიყო დედამიწაზე. აქეთ, ტყის ნაპირას ის იდგა, იქით, მოპირდაპირე მხარეს — ცხოვრება. ისინი ერთმანეთს უყურებდნენ და საუბრობდნენ:

— დაბერდი, ანანია?

— ჯერ არა, ათიოდე წელს კიდევ შემიძლიან მუშაობა.

— დაილაღე, ბიჭო?

— ჰო, დავილაღე.

და უცბად, როგორც მეხი, ისე გაგარდებოდა:

— მერე, ბედნიერი ხარ, ანანია?

— შეილი მყავს, გიოსაცაჲ ჰყავს ქალი... ისინი იქნებიან ბედნიერი...

— შენ, უმადური ხარ?

— მე ძალზე დავილაღე...

ტყის ნაპირს აქეთ — ანანია იღგა, იქით — ცხოვრება. ახლა ანანიამ ჰკითხა:

— შენ რა გეგონა, კაცს ზურგზე მოვაჯექი, დავეჯანნო?

— რათა ხარ გამწყვრალი, ანანია?

— მაშ რას მიქირქილებ.

— მინდა გავიგო, გაცვდი?

— არა, მე მუხის ფესვებითა ვარ დაწული. ასი წლისაც კაჟივით ვიქნები!

კვლავ შუადღის სიჩუმე იღგა. ნიავე არ იძროდა. ანანია მარტო აღარ იყო. მის გარშემო იდგნენ ხეები — მუხა, ძელქვა, წიფელი, კობიტო... ისინი თითქოს მხნეობას მატებდნენ, ნუგეშს აძლევდნენ, სიყვარულით ელამუნებოდნენ. ანანია იღგა, როგორც მათთან ერთად შეზრდილი და ჩაკირული. ფეხები მუხის კუნძებს მიუგავდა. თვითონ, მთლიანად ტანდაბალ, მაგარ ხესავით იყო ფესვებგაბაჯლული და ღონიერი. ტყეს, ალაზანს, ცასა და დედამიწას შეჰყურებდა და გრძნობდა, სული მათში ეღგა, ისინი აცოცხლებდნენ. როგორც ისინი იყვნენ დაუღლეო და უცვეთი, თავათაც ასეთი იქნებოდა. სწამდა. რწმენა კი ანანიასათვის — გადაწყვეტილებას უღრიდა.

ახალი დაღამებული იყო. ერთი კვირის მუშაობის მერე ბრიგადა სოფელში ბრუნდებოდა. მანქანას ელოდებოდნენ.

ტყეს მდინარის ნაპირი დაებნელებინა. ალაზანი კალაპოტს მღვრიე, ფართო

ზოლად გაჰკროდა. მდინარის იღუმალი დრტვინვა ისმოდა, რალაც, გუტეგებარის ლულულეო...

სიბნელეს თავისი ხმები მოეტანა. იქვე, სულ ახლოს რალაც დაფაჩუნობდა. შორს, ნადირის თვალებში გაიელვა. სადღაც ტოტი მოტყდა, ხიდან ხრიალით ჩამოცურდა, კარგა ხანს ისმოდა, ხმელ ფოთოლს დარწეული კეწეწები როგორ ეთამაშებოდა.

ღამეს, სიბნელესა და ტყის იღუმალეზას ყველა გაეჩუმებინა. ტყე იმდენად დიდი იყო, ღამე კი ისე ღრმა, რომ მასთან ყოველივე არარაობად ჩანდა. თვით ეს ალაზანიც პატარა რულ მიიკლაკნებოდა, როცა კაცი ამ უზარაზარო ტყის, უთვალავი ხეების მიღმა იყურებოდა, როცა ღამის ღრმა გულში იხედებოდა. ამიტომ ყველა განუმებულოყო. ბაგე გარინდებდას მოეცვა, თვალები გასლიდებოდათ და ღამისა და ტყის შეჯახებას ყურადღებით მისჩერებოდნენ. ტყე დიდი იყო. ღამე — ღრმა. მაღლა, ცაში წასულ ხეთა კენწეროებს არ უნდოდათ ტანზე შავი ნაბადი შემოეხვიათ, მინდორსა და გორაკებზე აყელყელავებულნი, ზევით, თითქოდა უსასრულობაში მიიწევდნენ, რათა ნათელი ყოველთვის გვირგვინად სდგმოდათ. ღამე კი თავის საქმეს აკეთებდა. კავკასიონზე შემდგარიყო, გრძელ ხელებში შავი ნაბადი დაეჭირა. აფრიალებინა და უნდოდა მთელი ალაზნის ველი, გაღმაგამოღმა, სიღნაღიდან ლაგოდებამდე და წითელ-წყაროდან გურჯაანამდე დაეფარა. ნაბადს იქნევდა, მიდამოს აბნელებდა და ტყე შავში ეხვეოდა. ტყისა და ღამის კიდილი დიდხანს არ გაგრძელებულა. ის იყო ღამემ აჯობა — რომ სქელ ღრუბლებიდან სუსტი სხივი გამოკრთა. ერთ სხივს მეორე მოჰყვა — ცას ნათელი გადაეცლო. მერე, ღრუბლების ფარდას ქალის ღამაზ, ბარაქიან ძექქსავით გამოუსხლტა მთვარე და ქვეყანა გაანათა. ალაზანი თეთრად ალაპლაპდა. ხეებს შუქი მოადგათ, მთვარემ ტოტებში ჩამოიხედა და ყვითელი ფოთლით მოფარდაგებულ დე-

დამიწას ოქრო გადაავლო. ახოებში ლანდები ათამაშდნენ. ვეებერთელა ხეთა ჩრდილები ზღაპრულ ურჩხულებად გაჟნენ, ტოტები გაშალეს და მინდორი უცნაური სურათებით მოხატეს. მთვარის შუქზე ბუჩქებიდან კურდღელი გამოცურებულა, ყურები წამოცქეცია და მიწაზე ათამაშებულ შუქჩრდილს აედევნა. შერე მთვარემ, მორცხვი პატარალივით, ღრუბლების მანდილი კვლავ მოიფარა და მიდამო ღამის სიბნელითა და სიჩუმით აივსო.

ნინო ადამიანებს მოჯადოებელი უყურებდა, მას ბუნების ამ უჩინარი ბრძოლის შეგრძნების შემდეგ, თითქოს კაცთა გულში ჩახედვის უნარიც მისცემოდა. გლეხები ხმადაბლა საუბრობდნენ, თუთუნს ზველებითა სწევდნენ, ბარგს ჰკრავდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ.

ანანია ტყეს დაფიქრებული გაჰყურებდა და თითქოს გული აქა რჩებოდა. ამდენ ხეებთან, ამ დიად ბუნებასთან ის თითქოს უშიშრად იყო; სოფელში დაბრუნება რატომღაც ეზარებოდა. იქ შეჩვეული ეზო-ყურე, ვენახი, ბაი, ორლო-

ბე ელოდა... ყველაფერი წესრიგში მოყვანილი და დამში მოსული. აქ — არევედარევა, უწესრიგობა იყო — საბაგიეროდ უჩვევი და დიდებული.

ანანია ტყის ვეებერთელა გულისცემას მოეხიბლა. მას ხეები თითქოს ადამიანური სიყვარულით შეჰყვარებოდა და ახლა, მათთან დაშორება უმძიმდა.

მთვარემ კვლავ გამოანათა, ბილიცხე სინათლე ბროლივით დაიღვარა. მთვარის ნათელში მანქანის ორი მოციმციმე თვალიც გამოჩნდა.

აღგნენ. ანანიამ სხვათაგან მაღულად ჩაიშუბლა, ბებერ, კანდაკორძებულ ნუხის ფესვებს დააწვა და გაიჩინდა. მცირეხანს ასე იყო. მტკიცე შერქანი თითქოს მის სხეულში შექრილიყო და ძარღვები ფოლადით ამოქვედა.

„მე მუხის ფესვებითა ვარ დაწნული. ასი წლისაც კაცივით ვიქნები“ — თრთოლვით გაიფიქრა ანანიამ.

„აბა, შენ იცი!“ — ჩაიქირქილა ვილაკამ.

ანანიამ თავი წამოსწია. არავინ იყო. გლეხები მანქანაში სხდებოდნენ.

## 6. საღამო

ნინო სოფელს ეჩვეოდა. თვალბუმში ჯერ ისევ ქალაქის ქუჩები ედგა, ყურში მანქანათა ხმაური ესმოდა და ზანდაზან, შუალამისას, ლოგინში წამომჯდარი, გარეთ რომ გაიხედავდა, ჩაბნელებულ ორლობეს დააკვირდებოდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდებოდა — რომ ის ქალაქიდან დიდხინის წამოსული იყო და ახლა უკვე სოფელში ცხოვრობდა.

პირველხანად ნინოს განსაკუთრებით საღამოები უმძიმდა. მზე რომ ჩავიდოდა, დედამიწაზე ბინდის პირველი ნაბადი გაიშლებოდა — სოფელში ისეთი საოცარი სიჩუმე, დაღლილობა და გარინდება ისადგურებდა, რომ ნინოს ეშინოდა. მას უნდოდა დიდი ქალაქის ხმაური, მანქანის ლაშქართა ხმა, მრავალათასიანი ადამიანთა ტალღის გუგუნე, ქალაქის რთული, ხმაურიანი

ცხოვრება, აქ კი თითქოს ყველაფერი ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო. მაგრამ ეს რამდენიმე თვეს. ნინო სოფელს თანდათან ეჩვეოდა. საღამოებიც შეიცვალა, სიჩუმე — ათასი ხმითა და შეძახილით აივსო; საღამოობით სოფელში ნახირი ბრუნდებოდა, მამურალი გლეხკაცი ვენახიდან გამოდიოდა, დიასახლისები მთელი დღის მუშაობას თავს აბამდნენ, ბავშვები დიდ მინდორზე შეყრილიყვნენ და ათასნაირი თამაშობანი გაემართათ, მათი ყიყინა, მხიარული სიცილი ისმოდა. ნინო უკვე ამ ხმებით იყო სავსე, სოფლის საღამოებსაც მის თვალში ის ეშხი და საღამაზე მიეცა, რასაც აღრე ვერ ამჩნევდა.

მეტურნეობაში ნინო ხალხს მალე შეეგუა. მთავარი აგრონომი სანდრო გულლია კაცი აღმოჩნდა. აგრონომებიც არ

უყურებდნენ ახალბედს ცუდი თვალით. ყველაზე მეტად კი ანანიამ შეითვისა. ეს პარმაგი კაცი, ისეთი გულთმისანი იყო, რომ ნინოს აკვირებდა. რაც არ უნდა დაფიქრებული და ნაღვლიანი ყოფილიყო ნინო, ანანია ერთ ისეთ სიტყვას ეტყოდა, რომ ახალგაზრდა ქალს გუნებას მთლიანად შეუცვლიდა. ამიტომ ნინოს ანანია მამასავით შეუყვარდა. თავის გაქირვებას მას ყველაზე თამამად ეუბნებოდა.

ანანია ყურადღებით უსმენდა ნინოს, მოსწონდა, ამ „პატარა გოგომ“ რამდენი რამ იცისო, რჩევას იქვე ეუბნებოდა, ახალსებდა, ამხნევებდა და ანუგეშებდა. მაგრამ, ანანია, როგორც კი მართო დარჩებოდა, მაშინვე თავის საფიქრალს მიეცემოდა ხოლმე.

ამ ბოლოხანს ანანიას უცნაური ძალით აუკვირებდა ეს ფიქრი. შინაურებს არ უმხელდა, არ დამციხონო, გარეშეს კი აბა როგორ ეტყოდა. რატომღაც ეგონა, რომ ეს საიდუმლოდ უნდა შეენახა. არავის უთქვამს საიდუმლოდ შეინახეთ, თვითონ აიკვირებდა, და, ახლა, ამ გაუგებარ ფიქრთა აბლაბუდიდან ვერაგზით ვერ გამოხსნილიყო.

ბევრს წვალობდა, ღამეები არ ეძინა, ბორგავდა, ოხრავდა, მთელი სიცოცხლე გულგახსნილი იყო, აზრი ყოველთვის ტუნპირზე ეკერა, არასოდეს დამალული არაფერი ჰქონია, ახლა კი რაღაც შინაგანი ხმის ჩაგონებით უნდა დაემალა ის, რაც მის სულს მოსვენებას უკარგავდა, ღამე ძილს უფრთხობდა და დღისით, მუშაობაში ხელს უშლიდა. რა იყო ეს? ამისათვის ჯერ სახელი ვერ გამოიძებნა. ისე კი, გულში, ყველაფერს უწოდებდა — ჯადოს! თილისმას, ეშმაკს, სატანას და ჯოჯოხეთის ცხრა მუგუზაოს. მაინც რა იყო ის, რამაც ანანიას მოსვენება დაუკარგა? ამას სათავე ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ დაედო; თვენახევრის ავადმყოფობის შემდეგ, ანანია მეთურნობაში მივიდა და სირცხვილი ქაბა. გახურებულ რთველში გლეხები დროზე ვეღარ შემოვიდნენ, ხუთფუთიან გოდორს უნდოდა

ხელის შეშველება. მაგდანა ელოდებოდა და ანანიას მალე უნდოდა ცოლთან მისვლა. გაიფიქრა, მოდი ამ გოდორს მარანში მე შევიტან და მაგდანასაც არ ვალოდინებო. შეუგდო ბექი გოდორს, ემძიმა, მაგრამ მაინც ყოჩაღად წამოიკიდა. ჯერ ადგილზე დაზანზარდა. მიწას თარიფე ტერფი მტკიცედ დაადგა, ბილიქს ნელი ნაბიჯით შეჰყვა. ქოშინი მოერია, პაერი აღარა ჰყრფნიდა, გული ამოვარდნაზე უცემდა, თფლი ნაკადულივით ჩარბოდა გულისპირში. ანანია მაინც მიდიოდა. იცოდა, გოდორი რომ დაედგა, ვეღარ წამოიკიდებდა, თანაც ის აკვირებდა, წინებზე, ათფუთიანის წამოიკიდება არ უქირდა, ახლა რა ემართებოდა? ნუთუ ვაზი უქვე ერევა?.. აგერ მარანიც, ოციოდე ნაბიჯია იქამდე. იქვე მაგდანა დგას და ქმარს გაოცებული უყურებს. უცბად, ანანიას თვალი დაუბნელდა, მთელი სხეულით დაბარბაცდა. ჯეღმა ბექემმა დაინახეს და მისაშველებლად გამოქანდნენ. მაგრამ სანამ ისინი მოვიდოდნენ, ანანია მუხლზემოკვეთილი დაეცა და გოდორიდან გადმოცვენილ ყურძენში მოეტანა...

მთელი ღამე არ დასძინებია. მაშ გაეთავდი, დაგებრდი? — ეკითხებოდა თავს და თვალეზი ცრემლებით ეცხებოდა.

ანანია გრძნობდა, რომ სიბერეში შედიოდა. გული ეთუთქებოდა. უნდოდა ეს სიზმარი ყოფილიყო ცუდი, ამაზრზენი, მაგრამ მაინც სიზმარი და არა მწარე სინამდვილე. არ უნდოდა უძლურება თავისი თვალთ ენახა. არა, ამის შეგნება ანანიას აგოყებდა. თუ გინდა დღესვე მომკვდარიყო, ოღონდ თავისი უძლურება, თავისი არარაობა ბუნების ამ სიდიადესთან — არ ეგრძნო. რა უძლვევი, დაუსაბამო იყო ეს მთები, ხეები, ვაზი... და, რა პატარა, უმწეო და მოკვდავი იყო ანანია.

მას სიცოცხლე სურდა, უნდოდა, ყოველდღე, ვაზის მაგარი ფესვებისათვის ხელისგული გადაესვა, ლაღად ევლო, ფეხი მიწაზე ღონივრად ებრაზუნებინა, ხარირემივით ეყვირა... „ვერ გამტეხ,

ასი წლისაც კაცივით უნდა ვიყო, მე მუხის ფესვებითა ვარ დაწნული, ვერ მომერევი! მე კი დაგჯაბნი, დაგიმორჩილებ, დაგამტვრევ... — ემუქრებოდა ვიღაცა უჩინარს და ხელს გაურკვეველი მიმართულებით იშვერდა. ძნელი იყო ამ დროს მისი ფიქრების გამოცნობა. უფრო სწორედ, ეს ფიქრი და დალაგებული მსჯელობა კი არ იყო, არამედ, დაუდგარი სულის ნაბერწკლები — დიდი ქარიშხლის მოლოდინში აქეთ-იქით რომ ცვიოდა. ანანია ხედავდა, ქარიშხალი უკვე ამდგარიყო და წამოსულიყო მის შესამუსრავედ. მას უნდოდა ლოგინზე მიეჯაჭვა იგი, დაესნეულენინა... ასეთ დროს იგი ჰგავდა უღელთ კისერგადაყვლეფილ, დაღლილ, მავრალ ხარს, რომელსაც სიბერე მუხლებში შეპარვია, აბურჩი ყელში უჭერს და ხრიალებს, მაგრამ ჯერ კიდევ ფეხზე დგას. ასე ფეხზე დგომა უნდოდა სულმუდამ ანანისაც. ოღონდ ქვეშაგებს ნუ დანახავდა, ავადმყოფობას ნუ გაიგონებდა და გულდაგულ, ფეხდაფეხ, თუ გინდა, ათ სიკვდილს შეხვდებოდა ისე, რომ თვალსაც არ დაახამხამებდა...

სალამოები სულ უფრო მოკლე ხდებოდა, მზე ჩაეიდოდა თუ არა, დედამიწას ბნელი ეფარებოდა, და ანანია გრძნობდა, მისი ცხოვრების სალამოც შორს აღარ იყო...

ეს სულს უგუბებდა. შვებას ისევ მუშაობაში ზოულობდა, მეურნეობიდან დაბრუნებული ვენახში შეეიდოდა და თუ მთვარიანი ღამე იყო, გათენებამდე მუშაობდა.

იქ, ვენახში, თავის სათაყვანებელ, შვილივით გაზრდილ ვაზებთან დამშვიდებული იყო. იქ სხვა რამეზე ფიქრისათვის არ ეცალა. იქ მხოლოდ ერთი ფიქრი აწუხებდა, თუ ვაზს სატკივარი გაუჩნდა, რითი ვუშველო, ჭრილობა რითი დაეუყუჩო, რა მალამო გამოიყენახო...

ვენახი უდგამდა პირში სულს. ის იყო იმედი. ათასჯერ დასეტყვილა, ფილოქსერასა და ნაცარს უნადგურებია,

ავი კაცის ხელს უჩებია, ნიაღვრის ურცხვია, გრიგალს დაუნჯრევია და მოუსრესია, მაგრამ ის მაინც იღვავ, ფესვებმტკიცე, ჩუმი, მორჩილი და მდიდარი.

მამ ანანია რად უნდა გატეხილიყო? არა, არ გატყდებოდა. ბოლომდე შეკვებოდა ძალა, კისერგადაყვლეფილი ხარით ფეხზე მდგარიყო და, თუ მაინც მოვიდოდა, ის, უხსენებელი... ასე, ფეხდაფეხ შეხვედროდა...

ნოემბერმა ისე გაიბრინა, რომ ციდან ნამი აღარ ჩამოვარდნილა. დეკემბრის დამდეგსვე წამოაყარა თოვლი და ორიოდ დღეში გაყვითლებული მთები და ველ-მინდვრები თეთრი სუღარით შემოსა. თოვლმა ბილიკები დაქარა და ვენახებიც ისე გადალესა, რომ თოფის ტუჩით ამოშვერილი ვაზის რქა, აქი-იქ თუ მოჩანდა.

ყინვებიც შესაფერი დაიქირა. დღისით ზამთრის ძილით დაოსებული მზე ერთხელ თუ გამოიხედავდა და თოვლს ააბრჭყვიალებდა. ღამე ყინვა ისე უჭერდა, რომ ძველ-რბილში ატანდა და ბელურები კეწეწებზე ჩამომსხდარი იყინებოდნენ.

ერთ ასეთ ცივ დღეს მეურნეობის თითქმის ყველა მუშაკი საბასთან შეყრილიყო. დირექტორის ოთახში მამა-პაპური ბუხარი გოზგოზებდა და შეყვინულ ფანჯრებს ოფლი ჩამოსდიოდა.

გრძელ მაგიდასთან სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, აკრონომები, მუშები ისხდნენ.

ბუხარში ცეცხლის ენები თამაზობდა. ალი გარეთა სცემდა და ნახევარ ოთახს მოყვითალო, მოფარფატე შუქს აფენდა. ანანია ხან ფანჯარაში იჭერიტებოდა, თითქოს აკაციის ფოთლის-ოდენა თოვლის ფანტელებს თოვლისოდ ხან ოთახში მსხდომ ადამიანების ჩაფიქრებულ სახეებს ათვალიერებდა.

ალი იგრაგნებოდა, იგრიხებოდა, კაცს სადაც, შორეული წარსულის მიღმა ახედებდა.

უცბად, თავისდაუნებურად, ანანის

ჯამბარა გაახსენდა. მოაგონდა რომ, დიდხნის წინ, მან, თავათ, ცეცხლისაგან იხსნა მეზობლის ვენახი. იქნებ ამ მსურველს ალს შეუძლია ყინვის დამარცხება?

ანანიამ ღრმად ამოიქშინა, ხელი აბუზუნებულ ბუზრისაყენ გაიშვირა და წყნარად თქვა:

— აი ის!

— ცეცხლი? — ჩაეკითხა სანდროს და ფეხზე წამოდგა.

— ჰო — თავი დაუქნია ანანიამ.

ჩამოვარდა ისეთი მყუდროება, რომ მხოლოდ ელექტროაღმრიცხველის ღელუნი და შეშის ტკაცა-ტყუცი ისმოდა. სიჩუმე ისევ ანანიამ გატეხა.

— კოცონებს დავანთებთ, თქვენი ჭირიმი, ჰერს გაეთბობთ, ჩვენი ძვლებითა და სისხლით ნაამგდარი ვენახი არ დაგვეღუპება...

ზავითა და ყვილით მოედო ხალხი ვენახებს.

სოფლის ქალებს მაგდანა მეთაუროვით მიუძღოდა.

— ჩქარა, ფეხი გადმოადგით, გასაწყვეტლებო, — ეუბნებოდა ზოგიერთ ენააჭაებულ დედაკაცს.

— ნუ დაგვწყვიტე, ქა, — შეედავებოდა რომელიმე.

— არა, სწორედ, მაგ ყბებზე გოზინაყს დაგაწყობ!

ბაღებს ძაღლები წამოეყვანათ და ერთიმეორეს გუნდაობით მიერეკებოდნენ, ზოგი სახედარზე გადაიჯდარიყო და ფეხებდამზრალ პირუტყვს ყვირილით მიანაქჩაეკებდა. ისმოდა ქალების ქოთქოთი, კაცების ხმამალალი ლაპარაკი, ძაღლების ყეფა. ამას თან ერთოდა მამლების შეგვიანებული ყვირილი და ისეთი ალიაქოთი იდგა, რომ უცხოს ეგონებოდა, მთელი სოფელი აყრილა და საცხოვრებლად სხვაგან გადადისო.

ქულზე კაცი გამოსულიყო. ანანია ოხუნჯობდა:

— ყინვას კი არა, ზღვას აადულებს და დაამრობს, ამოდენა ხალხმა თუ ცეცხლი დაანთო!

მალალ თოვლში არათუ ზამი ხალხისათვის, ვენახებში დაბერებულებისათვისაც ძნელი გასაყვლევი იყო. ბილიკი ყველას თავის ნებაზე რომ ებოტებინა, ვაზნარს გადათქერავდა და გააოხრებდა. კოტემ თოვლი ნიჩბით გადაწმინდა, ბილიკის თავი და ბოლო მონახა, ორივეგან სახელდახელოდ დათლილი პალოები ჩაარქო და ზედ მავთული გააბა.

— ამ მავთულს მოყვეთ! — გაათრთილა ხალხი.

— ყოჩალო, — რომ ნახა, მოუწონა და შეაქო საბამ.

ნინომ და მშექალამ ყველა ნაკვეთი შემოიარეს, იმ ადგილებში სადაც ცეცხლი უნდა დაენთათ — დიდი კერები დაარქვეს.

მშექალა მუხლმაგრად იყო. ნინო მოიქანცა. შუბლზე და ყვრიმალეზე ოფლის მძივი გაეკიდა. მკლავებზე ძარღვები დაებერა. სიარულში ფეხები მართალია გაუტბა, მაგრამ თითები დაებუჯა.

ჩამობნელდა.

სანამ ცაზე ვარსკვლავები აენთებოდნენ — თეთრად გადაენტილ მინდვრებში ასამდე კოცონი აკაფდა.

მალე ისეთი ბოლი დადგა, რომ სუნთქვა გაჭირდა.

ვენახები ცეცხლის კვამლში იყო გახვეული. ორიოდ საათში ახლომანლო დათბა.

თეთრი სუღარები ბევრგან ჩაირღვა, ჩაიწეწა, ჩაშავდა.

ყინვამ გალობა დაიწყო.

ანანია თვალებს ამრიალებდა, კოცონიდან კოცონამდე დაალაჯებდა, ახმაურებულებს ამომშინებდა, გაანცებულებს ყურს უწევდა; ხანდახან ნინოს გახედავდა და სიყვარულით ჩაიდუღუნებდა:

— გენაცვალე გაჩენის დღეში!

მაგდანა დედაკაცებში იჯდა, ქორებს ბასრი კბილით გლეჯდა, სოფელი ჭრელი იყო, ყველას ტუჩ-პირზე კლიტი ვერ დაედებოდა, ამიტომ მაგდანა ცდილობდა სოფელში უცხოოდ ჩამოსულისათვის პატრონობა გაეწია, რათა:

ამით ხალხისათვის დაენახებინა, რომ ის ნინოს აუგად ხსენების უფლებას არაყის მისცემდა, ქალიშვილს არავის დააჩაგვრინებდა და თუ ვინმე გაბედავდა და ასეთ გზას დაადგებოდა — მაშინ მავანასთან ექნებოდა საქმე.

ანანია მოკალულ სიტყვებს არ უსმენდა, ჰაერს დაბერილი ნესტოებით ღრმად სუნთქავდა, ხალხის ფეხით გაგოზილ ბილიკებზე თმებაფოფრილი დალაჯებდა, სოფლის ავეყებს კიცხავდა, რომლებიც ცდილობდნენ ნინოს ყურადღება მიექციათ, ტანადობით და ვაჟკაცობით მოწონებოდნენ, ეშმაკურად თვალებს უმაკუნებდნენ, უდიერად იცინოდნენ, ნატრობდნენ ნინო მართო მოეხელთებინათ, საამიყო ზამთრით.

ჰარმაგი გრძელი, გამოზომილი ნაბოჯით კოცონიდან კოცონამდე დააბობებდა, ცაში ცეცხლის ალი თამაშობდა, ბოლი სქელ ფარდებდა იშლებოდა, ყინვა ჩუმი შიშინითა ღებებოდა, მხდალი მეთომარით იპარებოდა.

ანანიას თვალები ერთ წერტილზე გაშტერებოდა. აბრიალებული კოცონების ხილვით — გონების კუნჭულში ძველი მოგონება წამოტივტივებოდა, ცეცხლს მის ძარღვებშიც გაეცოცხლებინა მიძინებული ნალველი — მთელი სხეულით დაებარბაცებინა და წარსულის სქელი ნისლიდან სურათივით ვადმოეცურებინა ერთი სევდიანი დილა.

## 7. ძველები

სიღო საჩხის სვეტს ცალი ბეჭით მიწყებებოდა, გულხელი დაეკრიფა და ტუჩატრუკული უსმენდა მელანოს ლაპარაკს.

— არა-მეთქი, ჩემი სიცოცხლე ჩითებში გავატარე, ახლანდელი ქალები რანი ყრიხართ, სულ აბრეშუმში დაბრძანდებით. ამას დამიხედეთ, თავადის ქალი გამიხდა, ხალხო! შენ არ იყავ, შიშველი შემოგაყვანეთ, თავიდან ფეხებამდე ჩაგაცვით და დაგახურეთ, გასვით და გაქამეთ, იმიტომ რომა ბოლოს

იმ დილას ანანია თავის ვაზებს დასტრიალებდა — ჯამბარას ვენახიდან პაერში შავი ყორანივით წამოსული ბოლის ფრთა რომ დაინახა. ცუდად ენიშნა, რამე უბედურება ხომ არ დაატყდაო მუზობელს, საქმე მიატოვა და ერთი ნახტომით გაჩნდა ჯამბარას ვენახში.

ვაზების გარშემო დაქენილი კაკაკი მოწითალო ალში გაბვეულიყო. ცეცხლის ენები პატარ-პატარა შხამიანი ისრებივით წინ მიიწევენ, რათა იქ შეერთებულიყვნენ, გაზრდილიყვნენ, აგუგუნებულიყვნენ და ვენახისათვის თავისი მომფრუტაკვი კალთა გადაეფარებინათ. მაშინ არ გამოუღდა ანანია მიზეზს — ცეცხლი რას გაეჩინა, თავგანწირულად ეცა და ჩააქრო.

დღეს კი, მას თავით აენთო ამ უზარმაზარ ვენახში ცეცხლი, რათა ყინვა გაეტეხა და ვაზის ყლორტები დაზრობას გადაეჩინა.

უცნაური იყო ამ აგოზგინებულ კოცონის ძალა, ის მოთვინიერებულ, დაბორკილ ლომსა ჰგავდა, თუმცა ცალი თვალი კვლავ ველისაკენ ეჭირა, უნდოდა გაქეულებო, გაენავარდნა, რომ ერთიანად გადაეხუტა მიდამო.

გუგუნებდა, ბღღვინავდა ვენახში ეს უზარმაზარი, ყვითელი, მოგოზგინელომი და მის ბრიალსა და მხურვალე ტყეცუნში ცხოვრების უჭკნობი იმედი კიაფობდა.

მანც უმადური იყო და ისეც ჩვენა გვლანძლო? აი, ღვთისმშობელო, ამისთანა აშარი რძლების ქოქი გაწყვიტე და სამამანეთიან სანთელს აგინთებ საყდარში...

— კიდევ რეებსა იტყვი, რასა? — შეუბღვირა სიღომ. — სულ ე მაგას მაყვედრი, სალაპარაკო აღარაფერი გაქვს? ჩემი მზითვეი ვინ შესანსლა, თუ არა თქვენა, ღორმუცელობით და გაუმადლობით. ამას უყუოე ქა, იქნება მალე ისიც მითხრა, მე-გაგაჩინეო.

— ღმერთს დავეფარებინე, შენისთანა არ მოსასვლელი გამეჩინა! — ხელი გაიქნია მელანომ.

— რა გინდა დედაკაცო, რატომ არ დამეხსნები? — ხმას უწევდა სიღო. — რისთვის მიწამლაე დღეწუთისოფელსა? რატომ არ მომასვენებ, შენ ქერქში რათ ვერ ეტყვი. რა გინდა, სახლიდან გინდა გამაგლო? ე მაგ დღესა ვერ ეღირსები. მე და სტეფანე მშვენიერათა, გუგულუბივითა ვართ ერთმანეთთან, შენ წყალს რათ გვიმღვრევ და ჩვენი გაყრა რაზე გწადია...

— მე თქვენი გაყრა მინდა? — გაცეცხლდა მელანო. — არმად შეგერგოს რაც შენთვის სიკეთე გამიწევია. რაც შენ ჩვენთან შემოხირდი, ოცდამესამე წელიწადია, წელი მომწვეტიე პრანჭიანობითა და მანჭვა-გრებითა. აი, ის დღე დაბნულდეს, შენი თავი რომ მომგვარა სტეფანემა და ჩემი ცოლიაო, მითხრა. აი, დაცომდი და დაეუტდი, შე არ გასახარებელი, ამოდენა მადლს რომ ვერა ხედავ და თვალები მიწით აგვსებია. პირი უნდა აგვესოს მიწით, მიწა უნდა ჩაგიტანოს, იმისი ღირსი ხარ შენა და არა ეგეთი სახლ-კარისა.

— სახლ-კარისა, თორე, მე ვიცი, სრასასახლეები გაქეთ! — ნაძალადევად გაიციინა სიღომ. — რაც შემოგრიათ, ესეც ჩემი წყალობით, თორე ხალხი ამბობს, ჯამბარას ღროს, ეს კარ-მიდამო, ეღემის ბალსა ჰგავდაო.

— ხალხის რაკარუქსა ყურს უგდებ და ჩვენსას არ იჯერებ? ხალხმა რა იცის, რა როგორ იყო. შენა მე მკითხე! მე და ჩემი სტეფანე რომ არ ვყოფილიყავით, იმ უბედურ ჯამბარასა თავისი მცონარა შვილების პატრონისა, ქერი თაეზე ჩამოეჭეოდა. რასაცა ხედავ, ჩვენ გავაკეთეთ, აი ამ ხელებითა!

— გაგიკეთებიათ კი არა, გაგიფუქებიათ. რა ვიცი, მე აქ გაკეთებულს ვერაფერსა ვხედავ.

— აი დაგიბრმავდეს ეგ თვალები! რას ვერა ხედავ, რასა, მარნის გამგეს, ამოლონსა, ხომ კარგად ხედავ, ჰა?

— ეგ რაღა წამოარაკუნებ, ქა?

— რაც გაიგონე.

— ვითომ რაო?

— თავს ნუ იკატუნებ, გეგონაკვერ გავიგებდი. რას დახვალ იმ კაცთან, რას ეკურკურები?

— ხომ არ შეშლილხარ დედაკაცო, სტეფანემ გამგზავნა საქმეზე და მაშინ მიველ, მე ამოლონთან რა მინდოდა.

— დამაცა, ერთხელაც იქნება კოცა წყალზე გაგიტყდება. მაშინ სხეანაირად აგახხვლებ. ეგრე უნდა ოჯახის სახელის შერაცხვენა?

— პირი მოკეტე, თორემა შერაცხვენას მოგცემ ხელში! — დაექაღნა სიღო.

— რაო, მემუქრები კიდევ? შე საწყალო, გაგწეწავ თუ თითი გაგიტოკებია.

— ეჰ, რა უბედური ვყოფილვარ, — დაუწია სიღომ. — რისთვის გავთხოვდი, ფეხი რათ არ მომტყდა, როცა აქ შემოველ.

— შენი ბეჩავი თავის ამბავი რომ იცოდი, აღრე უნდა გეფიქრა ეგა, — დასუსხა მელანომ. — ბიჭი საცაა საქორწილო გაგიხლება და ქუეზე ახლა მოღიხარ?

— გუჯაც უბედურია დედასავით. — ჩაიდუღუნა სიღომ. — სულ შენა ჰქენი, შენ გაიფუქე, გაღამირე და სასწავლებლოდან გამოაგდებინე...

— ეგე, ახლა მაგასაც მე დამბრალე.

— მაშ ვის დავბრალე? გუჯასხელებმა სკოლა გაათავეს, ზოგი უმადლესში სწავლობს, ზოგი სადა, ეგ შოფრად დაეთრევა...

— შენ რატო მაგრე არეულად ლაპარაკობ, ქა! — კილო შეიცვალა მელანომ. — ახლა ეგეც არ დაიქაღნო, გუჯამ ცუდი ხელობა აირჩიაო. რითაა შოფრობა სათაელო, კაცმა რომ გკითხოს?

— ჩემი შვილი ყველგან და ყველადეფერში გამორჩეული რათ უნდა იყოს. ე. შოფრობაც ძლიეს ვასწავლეთ, თორე შენგან გაღარეული, ვინ იცის, აქამდე, ხუთჯერ გამოლპებოდა ციხეში.

— მამე მე დავლუბე?

— შენ გასთხლიშე, ერთი მეტრი ენა ჩაუღე პირში, ჯიბეებს ფულით უტენავდი, ბალობიდანვე ლენინო-არაყს შეაჩვიე და ეგე რა გვეყავს...

— ძანაც კარგი გვეყავს! ვენაცვალე იმასა, ვაქცაცი ბიჭია! აბა ზოგიერთი-ვით ქალაჩუნა და ნედლო ხომ არ უნდა გამოსულიყო. ახალგაზრდამ უნდა იქეიფოს, დარდი სიბერეშიც ეყოფა.

— ეგრე გაზარდე ალბათ სტეფანეცა და იმიტომაა ახლა ქეიფის მეტი ვერაფერი მოუხერხებია...

— დედაცაო, რა ყვავივით დამჩხავი დილაადრიან, — ვაცეცხლდა მელანო. — ძანაც მშვენიერი მყავს შვილიცა და შვილიშვილიცა. შენ არ ვარგინარ და გულის ჯაფრი აღარ იცი თავზე ვის გადააყარო.

— ერთი შენ ჩაძალღებას მოვესწრებოდე და მაშინ გავიხარებ! — ქოქოლა მიაყარა სიღომ.

— მოგიღნობ შე უბედურო! შენ წინ გაგიმძღვანიებ და იგრე მოვეკვდები. ვერ შეესწრები ჩემ სიკვდილსა, რომ მერე ჩემ სახლში, იპარპაშო.

— სახლი თორე, შენმა თავის ხეთქვამ, წელი მოგწვდა აშენებაში.

— ისეე მაგას წამოუარე? დამეხსენებთქი, ნაღველა ნუ გაასიე.

სიდო გაჩუნდა, ცოცხს ხელი წამოავლო და ეზოს დაგვა დაიწყო. ცრემლები თვალებს უწვავდა, მაგრამ თავს იმაგრებდა, არ უნდოდა დედამთილისათვის თავისი სისუსტე დაენახებინა, თორემ მელანოს თუ ერთხელ დაეჯახინებოდა, მერე საშველი აღარ მიეცემოდა, თავისუფლად ამოესუნთქა. სიღომ ეზო დაგავა და საქათმისა და საღორის გამოხვეტას შეუდგა.

— ვერ იქნა და ვერ გააკეთეს მამა-შვილმა ე ჩამოვარდნილი კარები, — წაიბუზღუნა თავისთვის, როცა საქათმეზე შილიფად მიყუდებული კარი ბრახუნით გაღმოვარდა. — სხვა რაღა აქვთ გაკეთებული, ამ საცოდავებს, — გაიფიქრა სიღომ და დაღონებულმა ეზოს თვალი მოაგლო.

იმ ოცი თუ ოცდაორი წლის მანძილზე, რაც ოჯახიდან ჯამბარას წამოერთა კვლიც წაიშალა, მელანოს მეზობელთა და სტეფანეს სიზარმაცით, ოჯახს თუ არა დაჰკლებოდა რა, არაფერი მიმატებოდა. ჯამბარას აშენებული ქვეთიკრის ორი ოთახი ისეე ისე იდგა, თუმცა კრამიტს ხავსი მოჰკიდებოდა, ადგილ-ადგილ სტეფანისა და გოგო-ბიჭების ლაგატკის ქვისაგან დამტვრეულიყო, რაც ავღარში ბევრ უსიამოვნებას იწვევდა.

ბევრჯერ გაჯავრებულა სტეფანე, ეზოში ახალი კრამიტი უქმად აწყვიდა, გამოიღარებს თუ არა, სახურავზე ავალ და გამოვეცილო. დაქანება ცარიელ სიტყვად დარჩენილა, გამოიღარებდა და გატეხილი კრამიტი აღარავის ახსოვდა.

წვიმას ოთახებში ჩამოეყონა, კირით შეფუთილი კედლები ჩამოერეცხა, გაეყვითლებინა და ისე დაედარა, რომ კედლებს ზოგან პირი დაეღოთ და თავიანთი გული გამოეჩინათ. ჯერ კიდევ ჯამბარას ხელით გაკეთებული ფანჯრის ჩარჩოები დამკვლევულიყო, გატეხილ მინების სანაცვლოდ ქალაღი გაეკრათ; ამიტომ იყო რომ სინათლე ძალზე ცოტა შემოდიოდა, ხოლო მოღრუბლულ ამინდში დღისითაც ღამეცა უნდა აენთოთ, რომ რამე დაენახათ.

ეზოში თავდაყირა იდგა ყველაფერი. საღორის ცალი კედელი ჩამოტყეულიყო, ღორები ეზოში თავისუფლად დანავარდობდნენ და იქაურობას ბილწავდნენ. დამშეული ძაღლი მათხოვარით სულ საჩეხის პირზე იჯდა; გაქურდებულ ქათმებს მელანო საკენკს ათასნაირი ეშმაკობით აკმევდა, მათი ულუფა რომ შეემციარებინა, ან მეზობლის ბაღში გადაერეკა და იქ ბაღბით გამოეძლო. ქათმები ხშირად მშვივრები რჩებოდნენ და ეს მიზეზი იყო, რომ როგორც კი, ღროს მოახელთებდნენ, ოთახებში შედიოდნენ, ვარცლზე ან მაგიდაზე შეფრინდებოდნენ და ყველის საკმაოდ მოზრდილ ნაჭრებს იპარავდნენ. ამის გამო კართან სულ ვიღაცა იდგა და გრძელი ჯოხით ქათმებს აქმუებდა. ბალახიანი ეზო, რაც ეგრე უყვარდა

ჯამბარას, ახლა ღორებსა და ქათმებს პირწმინდათ გაეკორტნათ, საქონლის უწმინდურობით მორწყული შმორღებოდა და უამინდობაში ქობაღ იქცეოდა ხოლმე.

ბალ-ბოსტანი, სადაც ორმოციოდე მსხლისა და ატმის ნამყენი, სოსიკომ თავისი ხელით ჩაყარა, ერთ დროს ამ ხეებით იყო დაბურული. სახლის პატრონებს ზაფხულში შეშა არ სჭირდებოდათ და ტყიდან მოტანით თავს არ იწუხებდნენ; ზამთარში უკვე გვიან იყო და სციოდათ. სტეფანემ ბაღია შეშად აჩეხა და მშვენიერი ხეხილნარი რამდენიმე წელიწადში სულერთიანად გაავარანა. მეზობლებთან კი თავს იმართლებდა, ხეებს ჭია გაუჩნდათო.

გლეხებს მიწის პატარა ნაკვეთები მისცეს, მათ წინანდებურად იქ ვენახები გააშენეს, ათიოდე წლის წინ, სტეფანეც მოეპიდა თავისი ეზოს გადაღმა ვენახს და მეზობლების შემწეობით გააქტა.

მელანო საკმაოდ გატეხილიყო, მაგრამ აღრინდელი კარგი ცხოვრებით თავშენახული ავადმყოფობას არ უწვევებოდა.

სიღო რაც გათხოვდა, ფერშლად აღარ უმსახურია, სტეფანეს ეხვეწა ვარდიანის ამბულატორიაში მინც გაეშვა, მაგრამ სტეფანე, რატომღაც, ცოლის მიმართ ძალიან ახირებული იყო და ნაბრძანები ჰქონდა, მის ნებადაურთველად ეზოდან ფეხი არ გაედგა.

სტეფანე მეურნეობაში, საწყობის გამგედ მუშაობდა; ღვინის ქურჭელი, გოგირდი, შაბი, ზელსაწყო-იარაღები ებარა. გუჯა კი მეურნეობის შოფერი იყო, საწყობს ემსახურებოდა.

წლები დამჩნეოდა არა მხოლოდ ჯამბარას ნაბუღარს, არამედ თვით აღამიანებსაც. სტეფანე ბევრი სმისაგან საშინლად გადაფითრებული და წელში მოხრალი იყო. სიღოს ნაღვლიანი სიცილი ჰქონდა, თვალბში რაღაც არაკეთილი სხივი უკრთოდა, აკრძალული ზილი ტკბილიყო, რაბან სტეფანე ეჭვიანობდა და გარეთ გასვლასაც კი უკრძა-

ლავდა, ის ჩუმჩუმად, თავს ნებდა აღევდა თვალისათვის წყალი დაეღვეინებინა.

მელანომ რომ აპოლონი ახსენა, სიღოს დასცხა და შეახურა, მაგრამ ჯერ იგეთი არაფერი მოემოქმედნა, რომ ფეხი გამოედოთ.

მელანო უფრო ღვარძლიანი გახდა. ის ცხოვრებით კმაყოფილი არ იყო. სტეფანეს შესწირა სიცოცხლე, მისგან კი სულ ლანძღვა-გინება ესმოდა.

რძალ-დედამთილი დღენიადაგ წავიდებული იყვნენ და ერთმანეთს ნესტრავდნენ.

გუჯა ბებიას ტკბილ სიტყვას მაშინ ეტყოდა, თუ მელანო ოცდახუთმანეთიანს მისცემდა. დანარჩენი დრო, შვილიშვილი მამასავით ღრინავდა, ივინებოდა, მელანოს ფულს პარავდა.

ერთხელ, საღადაც, ასი თუმანი წააგო, მელანოს დაემუქრა, თუ ჩემ ვალს არ გადაიხდი, მილიციაში დაგაბეზლებ, რომ მევახშობ და მაშინ ნახე შენი სეირიო. მელანომ იცოდა, გუჯა იგეთი დაუნდობელი იყო, ბებიას მილიციაში მართლა დააბეზლებდა, ამიტომ უსიტყვოდ მისცა შვილიშვილს ფული.

ოჯახში სიმშვიდე არ სუფევდა. ყველა კბილებდაღესილი იყო, ჯობრში ედგა, ჭირდავდა, ცდილობდა ერთიმეორისათვის რაც შეიძლება მეტი წაეღლიტა, წაერთვა, წაეფტქენა, ხანდახან ისე იქცეოდნენ არა როგორც მამაშვილი, ცოლ-ქმარი, რძალ-დედამთილი — არამედ მოსისხლე მტრებივით.

ბედის უკმაყოფილონი იყვნენ, ამ უბედობას ერთმანეთს აბრალებდნენ. ცალცალკე, ყველას, თავისი უკმაყოფილების გასამართლებელი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ეს მიზეზები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, ყველა ცდილობდა ოჯახში მისი ხმა პირველი ყოფილიყო, მის სიტყვას ყველაზე მეტი გასავალი ჰქონოდა, ოჯახის უფროსობა აეღო, რათა სხვები თავის ღუღუჭზე ეცქევიბინა.

სიღო ეზოს დასუფთავებამ მორჩა, ქათმებს მელანოსაგან მალულად სიყენ-

კი დაუყარა, მერე ზედადგარზე წყალი შედგა და ცომის მოსახელად ფქვილის გაცრა დაიწყო.

მელანო ოთახში შეკეტილიყო, ძველ-თაძველი კამოდი აქოთებინა, რაღაცა ნივთებს დიდი გულმოდგინებით ერთ-მანეთზე ალაგებდა, ფუსფუსებდა, ფაციფუცობდა, თან სულ კარებისაკენ იყურებოდა, საკლტურის ჭურჭრებიდან სიღო ხომ არა მზევრავსო.

სიღოს ძაან ეწადა გავგო დედამთილი ოთახში რას აკეთებდა; ფანჯრიდან ვერ შეიხედავდა, გულში ნატრობდა, მელანო სადმე წასულიყო, რომ იგივე უჯრები გამოეჩხრიკა და მისი ქონება ენახა.

სიღომ ფქვილი გასცრა, ვარცლში ძირილიანი წყალი გადმოსახა, საფუარი აურიო, წელში წახრილიყო, ცომს თეთრი, ღონიერი მკლავებითა ზელდა, გულსპირი ჩაეხსნა და ბარაქიანი თუქუები აგრე ჩამოგრძელებოდა, თითქოს კაბას ჩახვევას უპირებდა.

მელანომ გარეთ თავი გამოჰყო, ორობებში ვიღაც პატარა ბიჭი დაინახა, პელოსთან აფრინა, დააბარა, ახლავე ჩემთან გადმოვიდესო. სანამ პელო მოვიდოდა, საჩხეში ჯარა, ამოხვეული ბაწარი, რამდენიმე თითისტარი და ფთილებად დაწყობილი მატყლი გამოიტანა. სიღო დედამთილს არ უყურებდა, ცომს ზელდა და ალბათ რაღაც სასიამოვნოს ფიქრობდა, სახეზე შუქი დაფენოდა, ვნებიანი ტუჩები იღუმალ ცახცახს შეეპყრო. არც მელანო აქცევდა რძალს ყურადღებას. საოჯახო საქმიანობა სიღოს მოვალეობა იყო, თავათ მხოლოდ მატყლის დართვას, წინდების მოქსოვას და ბაზარზე მათ გაყიდვას დასდევდა, წელიწადი-თორმეტი თვე, პელო მისი მარჯვენა ხელი იყო, მართალია იმდენს ვეღარ აკეთებდა, როგორც ახალგაზრდობაში, მაგრამ მთელი დღეები მაინც მელანოსთან იჯდა და რაც შეეძლო, თითებიდან იწოვდა.

პელო ჩქარა მოვიდა. დალილი, ძლივსლა სუნთქავდა. მელანო რატომ-

ღაც ხუმრობის გუნებაზე დამდგარიყო, პელოს სიცილით უთხრა.

— რამ დაგლალა, მობროდი?

— ჰო.

— რათა ქა, — გაუკვირდა მელანოს.

— ვინმემ ხომ არ შეგამინა?

— ეჰ, შემაშინა, შენც ერთი, — ხელი ჩაიჭნია პელომ. — სანამ გველი ვიყავ; ეგრე უბედურად დავბერდი და სიბერეში ვინ გამოამეკიდებოდა.

— მაშ რათ მობროდი?

— ძაღლები გამომიდგნენ ქა, რას მეჯოჯინები.

— როდის იყო, ძაღლები გერჩოდნენ. ვისი იყო? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა მელანოს.

— ქუსპა ვეგონე; იმ უბედურებს ალბათ. აი ის, მათხოვარი დედაკაცი, თქვენთან რო დადის. ნეტა რისთვის დაეთრევა, რა უნდა.

— რაღი, სტეფანეს უყვარს იმი ლაპარაკი.

— ერთი ეგ არი ცის ვარსკვლავის რა აქვს შესაყვარებელი, იმ მურღალ დედაკაცსა!

— იმი ლაპარაკზე იცინის, თორე, ხო არა გგონია სულში უზის.

— სხვა ვილა უზის სულში სტეფანესა, თავის მეტი.

— ნუ ხარ მწეიტინა, — შეუბღვირა მელანომ. — შენა და სტეფანე ვერ იქნა და ვერ მორიგდით. რა გაქვთ სადაო, კაცმა რომ გკითხოს?

— ისა რომ, მე მთელი სიცოცხლე თითისტარს ჩავაწყალე თვალეზი, იმას — ღვინის ჭიქა უჭირავს. აი რათ არ მოგვწონს ერთმანეთი.

— პელო, მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ დღესა. — შეუწყრა მელანო. — რას იტბინები?

— ვიტბინები არა, შენც ერთი, — დაიღრიჯა პელო. — პირველად გაიგე, შენმა მზემ, აქამდე არ იცოდო.

— გეყოფა ყბედობა დედაკაციო, — გამოეძრახა სიღო. — დღეცისმარე უნდა მილანძლო ქმარი?

— გეყურება, ქა ვაი, ჩემ მოსწრება-

სა! — ღიმილით პირზე ხელი აიფარა პელომ. — ვერ დაგინახე, თუ აქ იყავ.

— ზურგსუკან ხომ სულ ჩვენ კორვაში ხარ, პირში მაინც შეგრცხვეს, შე საწყალო, პირს მუწუკი მოერიდებო, ჩვენ პურსა სკამ და კიდევ ავსა ლაპარაკობ?

— შენსას რასა უკამ, დედაკაცო, — იწყინა პელომ. — მე ჩემი მარჯვნივ ვკამ ლუქმასა, მელანოსია, შენ რა გეკითხება.

— მელანო, თორე თავისი ჯიბიდან იღებ. ეგვეც ჩემი ქმრის მონაგარს ანიავებ.

— რაო? — წამოიყვირა მელანომ. — ისევ დაიწყე. ვერ იქნა და ეგ ყბა ვერ მოძალდე. შენი მოსვლის დღე დაიწვას ჩემ ოჯახში, შენგანაა რომ ყველა უბედურება მჭირს, შენ დამიძნე და დამილოე სტეფანე...

სიღო აღარაფერს პასუხობდა. მელანომ რამდენიმე მწარე სიტყვა კიდევ ესროლა, მერე თავლით შეზავებული ტყბილი არაყი გადახუხა და პელოსაც მიაწოდა.

— ამა, ოღონდ ხეირიანად დაართე და მოქსოვე, თორე, ორი კვირის წინ ოცდახუთ მანეთს იძლეოდნენ წინდებში, გუშინ ოციც არავინ გაიშეტა. შენც გატიჩიციდი და თვალი გაქცევაზე გიჭირავს.

— სად უნდა გავიქცე, ქა?

— რა ვიცი, კირში და ჯანდაბაში.

— მაღლობელი ვარ.

— ჰოდა, გეყოფა, საქმე გააქეთე.

პელო, როგორც ჩვეულებრივ, რამდენიმე წუთს ნაწყენია, მერე ყველაფერი ავიწყდება, სახე ებადრება და ღიმილით ახალ კორს ამბობს.

— ე, გიოს გოგო რო ჩამოვიდა, გაიგებდი. აგრონომად დამდგარა მეურნეობაში. ანანია იგეთი გახარებულა, გეგონება ქალაქიდან მზეთუნახავი ჩამოსვლოდეს. ის კი არ იცის, რომ თურმე, გიოი გოგო ქალაქიდან გამოუგდიათ.

— რას ამბობ? — ცნობისმოყვარეობა თვალებს უვსებს მელანოს.

— ეგრე იქნება, აბა რა ყველა ვინც ქალაქში სასწავლებლად მიღის, უკან აღარ ბრუნდება. ი, ძღაბი ბიჭიც თურმე იქ გაუგზავნიათ, აი საცოდავ სოსიკოს რო გზავნიდნენ... შენა და ჯამბარამ რომ არ გაუშვით...

— ნუ მომაგონებ ხოლმე მაღმალე, ჯამბარასა და იმის ბიჭსა. თითქოდა ძაან მახარებდე.

— თუ არ გახარებ გენაცვა, სოსიკოს პენსიასა რისთვის იღებ, ოცი წელიწადი. თავმჯდომარეს უთქვამს, სანამ მელანო მოკვდება, იქამდე ექნება პენსიაო.

— რას ვიღებ, მე ვთხოვე თუ? — წამოიწია მელანომ. — თითონ მომათხლიშეს, რაღაცა ქეციანი ორი კაპიკია...

— რას ამბობ დედაკაცო, — წამოედავა პელო. — შენ სხვა დაატყუე, ბალები. თითონ ვინ მოგცა? აღარ გაბსოვს, ჯერ სოსიკოს საფლავი გაციებული არ იყო, საბჭოში და სიღნაღში რომ დარბოდი, მართალია დედინაცვალი ვიყავ, მაგრამ დედაზე ნაკლები არ ვიყავ, მე გამოვზარდე, მე ვასწავლეო, ეგ იყო ჩემი მარჩენალიო...

— ნეტა არ ყბედობდე! — უნდილად ჩაიღულუნა მელანომ.

— შენ მე ვერ დამატყუებ, კუჭი! მე შენი ასავალ-დასავალი იგრე ვიცი რომ ჩემი არ მეცოდინება. სოსიკო სანამ ცოცხალი იყო, ამწარებდი, როცა მოკვდა, მაშინ გაგიტება? ჩემი მარჩენალი იყოვო! ეგ მართალია, ის გინახავდათ შენცა და შენ მშვენიერ სტეფანესა, მაგრამ შენ რას უშვებოდი? შენ კისერზე იყოს ცოდვა მელანო, სოსიკო შენი მოკლულია, შენი გადაგდებულია ამ ქვეყნიდან...

— დამეხსენ, — ჩაიღრინა მელანომ. — თავში რაღაცას გამომტყუებ.

# პკიტიკა & ჟურნალისტიკა



3410008 ზამბახიძე



## ბურჯი ეროვნებისა

დელა-ენა — ბურჯია ეროვნებისა  
ი. გოგებაშვილი

მრავალჯერ თქმულა, რომ ყოველ წიგნს თავისი ბედი აქვს. ამ ჰემპარიტების დამადასტურებელი იყო ის სიმბოლური დამთხვევა, რომლის მოწმენი გაეხდით ჩვენ გასულ წელს.

სწორედ 1957 წლის შემოდგომაზე, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზეიმიით აღნიშნა უკუდავი ილას დაბადების საიუბილეო თარიღი, სიამაყის გრძნობით აღვსილი ხალხის გულს ახალი სიხარული შემატა იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ახლად გამოცემულმა მეხუთე ტომმა, რომელშიაც მრავალი ფიქრისა და ჯანციდის აღმძვრელი „ქართული ანბანი“, ყველა ქართველისათვის მშობელივით საყვარელი „დელა-ენა“, აგრეთვე „ქართული წერის დედანი“, „დარიცხვა მასწავლებელთათვის“ და დიდი მწერლისა და პედაგოგის რამილენიმე პოლემიკური წერილი შორეულსებით მის შემდგენელს ვ. ჭავჭავაძის და რედაქტორებს, გ. თავზიშვილსა და დ. ლორთქიფანიძეს.

ძნელია ამ მოვლენის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გადაფასება, რადგან ი. გოგებაშვილი, როგორც ილიას უეროველესი თანამესაგრე არა მარტო მდიდარი პუბლიცისტური და მხატვრული შემოქმედებით, არამედ თავისი შესანიშნავი სახელმძღვანელოებითაც ემსახურებოდა გასულ საუკუნეში ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კარგად სთქვა თავის დროზე სიმ. ხუნდაძემ, რომ მე-19-ე საუკუნის 60 — 70 წლები ჩვენი ქვეყნის ახალი რენესანსის ხანა იყო.

ეროვნული და სოციალური თავისუფლების დროშით დაწყებულმა ისტორიულმა მოძრაობამ მართლაც წარმოიჭა მამინ ახალი ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ლიტერატურული და პედაგოგიკური მომღერებანი, რომლებმაც ადამიანის პიროვნების უფროთესად გაგებულ თავისუფლების, მისი ყოველმხრივი განვითარების მივალ იღვის მსახურება დაისახეს წმინდა მიზნად.

ახლა საყოველთაოდ ცნობილია ის კავშირი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ამ მოძრაობას ჰქონდა რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის საბო-

ლოო იდეალებთან. ვინ არ იცნობს დღეს იმ საერთო მიზანს, სურვილებსა და მისწრაფებებს, რომლებსათვისაც ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა გასულ საუკუნეში საქართველოს და რუსეთის მოწინავე, რევოლუციურია ახალ-გაზრდობა?

მაგრამ ამ საერთოსთან ერთად, ჩვენს ქვეყანას იმ დროს თავისი საკუთარი, სპეციფიკური ტყვიანობაც ჰქონდა. მოწინავე მოღვაწეებისათვის ნათელი და გასაგებია იყო, რომ საერთო ძალებით საერთო შტრის მოსპობის გარეშე საქართველოს ამ ტყვიანობისგან განთავისუფლება არ შეეძლო, მაგრამ ჩვენ ხალხს რომ თავის ბედზე განსაკუთრებული ფიქრი და წუხილი მართებდა, ქვეყნის იმდროინდელ დღეურ მესვეურთ ეს კარგად ესმოდათ. ამის გამო წერდა ილია: „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტყვიანობა აქვს, სულ სხვა ფათერაკი... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას ღაღადებს... ის „სხვა რამეა“ ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველი მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვედგინა — ყველსათვის ცხაღზე ცხადია...“

ჩვენი ქვეყნის „დაცემული ვინაობის აღდგენა“, ეამთა მსგელობაში თითქმის უფლებიანად რილი ქართული ენის ვინაობის აღდგენასაც გულისხმობდა. მამინ, რადგან ყოველ ჰემპარიტ პატრიოტს სწამდა: „სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამდე ცოცხლობს ხალხი,“ ხოლო „როცა ჰქრება ხალხის ენა — აღარ არსებობს ხალხიც“.

ხუდივის გასაჭირი, რომელიც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე და შემდეგშიაც ადგა ქართულ ენას ჩვენში, სწორედ სამოციან წლებში დაიწყო. ამ გასაჭირს ახალ ჰირს ის მატებდა, რომ ჩვენთვის საუბრისწერო ეამს, გარედან მომალეებულ და დაუნდობელ შტერს ბევრი „შინაური მოყვარეც“ ეხმარებოდა და უმართავდა ხელს.

რაც უფრო მეტს ძალმომრებოდა შტრის ბანაკი, მით უფრო უღმობელი ხდებოდა ქართველ-

პესამოციანელთა შერკინება ქართული ენის დიდშეკრებელი მტრების — კატკოვების, მეზინგრსკების, ბანოვსკების, ეოსტარგოვებისა და ამ ენის არანალებ მოძულე ისეთი შინაური რენეგატებისა და ნილოლისტების წინააღმდეგ, როგორცეც ქართველ პეროსტრატებელ ცნობილი ივ. ჯამბაღარი და უბადრუცი გიორგი მუხრანსკი იყო.

ამ ბრძოლაში, რომელშიაც ქვეყნის ინტერესების დამცველთა რაზმს ილია ჭავჭავაძე შეთარობდა, ერთი პირველი ფალავანთაგანი იყო იაკობ გოგებაშვილი, აღამაინი, რომლის უსაზღვრო ზნეობრივი სიმტკიცე და შემოქმედებითი ნიჭის მრავალფეროვნება ცნობილია არა მარტო ჩვენსა.

ინათებდა რა გზას აღამაინში „კაცური კაცის“ ძალად თავისებოდა აღზრდის დიდი იდეით, იაკობ გოგებაშვილი დაუღალავად ქადაგებდა, რომ ნამდვილის კაცურის გონებისა, გრძობისა და ხასიათის აღზრდა ბავშვებში, შათი პირადი ბედნიერება შემუშავებულია მაშინ, როდესაც შათი აღზრდაში მებრძოლებად უარყოფილია დედაცნა, ეს ძირითადი ერთგული ძალა, შთაგანი „მურჯანი ერთგუებისა“, რადგან, „დედა-ენა არის ძვირფასი საღარი, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაუღალა მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიჭრისა, ნაგრძნობისა, ნამოქმედარისა და, რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობითა“.

ყველათვის სარწმუნო ანბანურ ქვეშაობაობას გამოხატავდნენ დიდი პედაგოგის ეს შესანიშნავი სიტყვები, მაგრამ სწორედ ამის გამო, რომ „დედა-ენის შესწავლა აკავშირებს ბავშვს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან“, მეფის კოლონიზატორები მოუერიდებლად ერეკებოდნენ მას სკოლებიდან.

ამ ქართველთა მოძულეებს უმაგრებდნენ ზურგს „ჩინებისათვის“ მებრძოლ შინაურ მოღალატეობის „ქართული ოჯახები“, სადაც, ი. გოგებაშვილის გამოთქმით „მოხარული თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსაც უცხო ენაზედ და ქართულის ქადაგებაც არ იმსის“, და, რომელთა წევრებს შორის „მხედვეთ არა მარტო ვადაბირებულ მოხელეთა და ზოგიერთ ვადასწავლებულ არისტოკრატებს, არამედ ზოგიერთ პატრიოტებსაც, რომელნიც ლიბერატურაში ცხარე-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულისშვილობაზედ და საქმე კი იმით გათავჯეს, რომ თვითონაც უღალატეს ერთგუებას და თავიანთი სახლებიდანაც გამოაძევეს ქართული ენა“.

ასეთ გადავიარებულთა მიმართ იყო განსაუვრებელი სისტიკი დიდი მწერალი და პედაგოგი, რომელიც კარგად გრძნობდა, რომ ამ თავდაცვით ბრძოლაში, მტრას მოქმედების შუა-

ლოდ ნეგატური კრიტიკა ჩვენი ხალხს საოლო გამოარჯევებს ვერაფრით უშველიდა, თუ ერთდროულად, ამისათვის საქართველო იარაღი არ გამოინახებოდა. ერთი ასეთი იარაღთაგანი იყო მთავი ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, მისი შემქმნელის უდავო გენიალობით აღბეჭდილი.

1861 წელს დაასრულა იაკობ გოგებაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარია, სადაც იგი პირველად ეხიარა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წინდა აზრებს და მით შოგონებულმა მოწაფეობიდანვე დასლო ფიცი თავისთავიან, რომ ბოლომდე ერთგულად გააყვებოდა ერთხელ არჩეულ გზას ხალხის სამსახურისა.

ამის შემდეგ კივეის სასულიერო აკადემიაში გატარებული ორი წელი, მისი განუბრცი-ზნეობრივი მოქმედებისა და ნამდვილი დედაკაცების ხანა იყო. მეცნიერული ბუნებისმეტყველების დიდი ფუძემდებლებისა და ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის თხზულებებს ხარბად დაწვებული ახალგაზრდა იაკობი აქ გამოაკვეთა საბოლოოდ როგორც მატერიალისტი და რვეულიცურა დემოკრატი. ამ ორი წლის მანძილზე გაეცნო იგი კომენსკის, რუსსის, პესტალოცის, პიროგოვისა და უშინსკის პედაგოგიურ აზრებს, აქ შეითვისა მან პირველად ხალხურობის ის მაღალი პრინციპი, რომელიც შემდგომში დვრიტად დაედო თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ი. გოგებაშვილი 1863 წელს დაბრუნდა კიევიდან სამშობლოში. იმ წელს გამოიკა პირველად სახელოვანი „საქართველოს მოამბე“, რომლის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე ეყრნალის პირველს მოწინავეში წერდა: „...ეყრნალის დანიშნულება — ეს არის დასახევა ღონისძიებითა, რომელნიც გვიშველიან ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანას“.

ყველა მოწინავე და ვინაილბებულმა ქართველმა ილიას ეს სიტყვები გაიგო, როგორც პირდაღ მისდამი მემართული პატრიოტული მოწოდება. ასე გაიგო იგი დიდმა განმანათლებელმა იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც იმდროინდელი ჩვენი „ცხოვრების სიბნელიდან სინათლეში გამოყვანას“ მიაშველა 1865 წელს გამოცემული თავისი პირველი „ქართული ანბანი“.

საანბანო წიგნების დიდი ივტორები, „ღვთებეტების გამოშგონებლებივით სამუდამოდ რჩებიან ზალხთა ხსოვნაში. ამის საბუთით: იან ამოს კომენსკი, კ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი.

ქართულ ანბანს თავის ბდი და შორეული წარსული აქვს, მაგრამ ბევდური სახით პირველად ხალხებმა იგი გაიყენეს მხოლოდ 1629 წელს, როდესაც რომში ზალოცაშვილმა თავისი Alphabetum Ibericum გამოისცა.

შემდეგ მე-18 საუკუნის დასაწყისსა და პირველ ნახევარში ქართული ანბანის წიგნები იბეჭდებოდა სტავროპოლსა, მოსკოვსა და თბილისში. ცნობილია რომ ამ დიდ ტირაჟსა საქმეს ჭირისუფლები არც შემდგომში მოკლებია და შეცხრამეტე საუკუნეში, ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანის“ გამოცემამდე, პლ. იოსელიანის, ივ. კერესელიძის, დ. ფურცელაძის და სხვათა მიერ შედგენილი თხუ მტეი სახელწოდების „ანბანი“ გამოიცა, მაგრამ ენობრივი და დიდაქტიური ნაკლის გამო ვერც ერთმა მათგანმა დროით გამოცემის ვერ გაუძლო. არ, როგორ შეიძლებოდა ასეთი „გამძლეობა“ გამოეჩინა, მაგალითად, პლ. იოსელიანის არქაისტულ „ანბანს ქართულს“, რომელშიაც ბუტური და მხედრული ერთი მეორეში იყო არეული, ხოლო ხალხის სასაუბრო ენას უფსკრულით დამორბული ავტორის მეტყველება ბავშვისათვის მიუწვდომელს ხდიდა „ანბანი“ შემდეგ საკითხავ“ მასალას? და, არა მარტო პლ. იოსელიანის, არამედ თითქმის ყველა დანარჩენ ავტორთა იმდროინდელი „ანბანი“ იყო მეტ-ნაკლებად შუაგობილი არქაიზმის იმ სენით, რომელსაც გამანადგურებლად შეებრძოლა იაკობ გოგებაშვილი, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილი ახალი „ქართული ანბანის“ ეს პირველი დღოსტატი.

ილიას და აკაკისთან ერთად ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებელი იყო იაკობ გოგებაშვილი. ამიტომ ამტკიცებდა იგი სიტყვით და საქმით, რომ მწერლობაშიაც ის ენა უნდა იხმარებოდეს, რომელზედაც ხალხი მეტყველებს.

დიდმა ქართველმა პედაგოგმა და მწერალმა იმ მოთხოვნის განხორციელების პირველი ცდა შეახდინა „ქართულ ანბანში“, რომლის გამოცემას ვახუთი „დროება“ აღტაცებით მიესალმებოდა უშუალოდ ენის ხალხური სიმარტივისა და ბავშვებისათვის მისი მისაწვდომობის გამო.

ენის სიმარტივესთან ერთად „დროება“ გულწრფელად მიესალმებოდა ი. გოგებაშვილის მიერ თავის სახელმძღვანელოში პირველად გამოცემულს ბავშვთა-ანბანს. მეთოდისა, რომელიც ანბანთმწერთების მეთოდთან შედარებით ასე აადვილებდა ბავშვების მიერ წერაკითხვის შეგნებულად შეთვისებას და რომლის დახმარებით „მოსწავლე“ იარაღობდა კავშირის ბუნებას, ცხოვრებასა და სწავლას შუა. ერთი მხარე ჰქონდა კიდევ მისასაღმებელი ამ წიგნს, რაც ავტორის შინაშენით იმაში მდგომარეობდა, რომ „ანბანი“ ყმაწვილს აჩვენებდა შრომას“. ყველა ამ ახალ თვისებათა გამო წარმოადგენდა ეს სახელმძღვანელო მნიშვნელოვან მოვლენას არა

მარტო პედაგოგიური, არამედ იდეოლოგიური დოგმებიც თვალსაზრისითაც.

ი. გოგებაშვილი თავისი დროის მძვინვარეულსოფერი და სოციალოგიური აზრების გამოცემელი იყო არა მარტო პედაგოგიური და მხატვრული შემოქმედებაში, არამედ თეორიულ პედაგოგიურ პოლემიკაშიაც. ამის პირველს, თუმცა შედარებით არა სრულ საბუთს წარმოადგენს იგივე „ქართული ანბანი“, რომელიც, ცხადია, ზოგიერთი ხარვეზისაგან თავისუფალი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო იმ დროს. ამიტომ, შესაძლებელია შევშინდარი არ იყო ი. გოგებაშვილი, როდესაც დიდი რუსეთის მოძღვრების და კერძოდ, მისი მარად უკეთესი „უმოლის“ რეპრინსიციებით ამტკიცებდა „ანბანის“ წინასიტყვაობაში, რომ იგი მიზნად ისახავდა გაბედულად შეეყვანა ყმაწვილი „მოსთვის უფრო სასამოვნო“ ბუნების წიაღში, რადგან „ზნეობითი, ისტორიული და სხვა საგნები ყმაწვილის გონებას ჯერ სულ არ ეხებოდა“, მაგრამ არავითარი გადაწყვეტი მნიშვნელობა. წიგნის ავტორიანობის შესაფასებლად ამას არ ჰქონდა. მათგარი ის იყო, რომ ეს სახელმძღვანელო უადვილებდა ბავშვს ქართული ანბანის შესწავლას, და ძირითად აღმზრდელთათვის ამოცანის სჭრიდა იმ პროგრესული მსოფლმხედველობის შესაბამისად, რომელსაც თვით მისი ავტორი იზიარებდა.

„ანბანის“ შემდგომ „პირველი საკითხავი წიგნის“ პირველი ფურცლების გაეცნობისთანვე შეათხველი რწმუნდება, რომ ი. გოგებაშვილი არა მარტო შესანიშნავი პედაგოგი, არამედ ღრმად განათლებული ბუნებისმეტყველი, რომელიც დიდი მეცნიერული სიზუსტითა და ადვილ გასაგებად აწვილიდა მოზარდ თაობას კუჭმარიტად მეცნიერულ ცოდნას ცხოველთა და მცენარეების, ბუნების მოვლენათა კანონების შესახებ და ამ მისალიც შეეუბნებოდა თანდათანობით და რიტატურად ანთავისუფლებდა მის გონებას იმ რელიგიური ცრურწმენებისაგან, რომლებიც ოჯახურ ან სხვა ვარემოს შემქმნელი ადრე დაუნერგა ბავშვში. სრულიად მარტივი სასწავლო მასალითა და ხერხით არუყვდა ი. გოგებაშვილი მოზარდის ცნობიერებაში შეპარულ თეოლოგიურ, თელეოლოგისტურ, რელიგიურ-გეოცენტრისტულ წარმოდგენას სამყაროზე და ამრიგად მის სულში შეუმჩნეველად აწვიოებდა იმ პირველ უკეს სარწმუნოებრივი დოგმატების სისწორისადმი, რომელშიც შემდგომში თანდათანობით უნდა მიეყვანა იგი შეგნებულ ათეიზმამდე.

ასეთი იყო ი. გოგებაშვილის პირველი „ქართული ანბანი“, რომელიც ჩვენს ნორმ თაობაში აღვივებდა საყვარელს „მადლი იგებულების“ მშობლიური ენისადმი და აზიარებდა მას მეცნიერული ზრტის იმ მძვინვარე მონაპირეებს, რომელთა შეუმჩნეველი დახმარებით უნდა აღმოცენდა მოზარდის სიყვარული და მისწრაფება იდამიანისათვის ეგზომი აუცილებელი შინაგანი თავისუფლებისადმი.

შეა საუკუნეების წყევლიადითა და ასეტიზმით გამოშრჩავალი ადამიანის ზნეობრივი განთავისუფლების, მის სულიერ და ხორციელ ძალთა ყოველმხრივ და სრულად განვითარების მქადაგებელი იყო აღორძინების დიადი ხანა, მისი უცვლელი ტიტანების უცვლადი შემოქმედებით.

უნივერსალისმის დიადი სულით იყო გაკლენთილი ეს ეპოქა, რომელშიც წარმოშვა ადგივტური მოძღვრება ბავშვის პიროვნებასა და აღზრდაზე. „ყველაფერი ბავშვის, როგორც ადამიანის სრულყოფისათვის“ — ასეთი იყო ის ამოცანა, რომლის გადაჭრისაც ავალებდა დიდი ჰუმანიტური პედაგოგი, „მამა ყოველგვარ ჰუმანიზმისა“, ეიტორიონ და ფელტრა, ბუნების წიაღში გაპართულ თავის სკოლას, „სიხარულის სასახლედ“ წოდებულს.

ენობლია, რომ ჰუმანიტური პედაგოგიური აზრები არც ზვენი ქვეყნისათვის იყო უცხო თავის დროზე. შეტვი, იგი უფრო ადრე ჩაისახა და განვითარდა ჩვენში, ვიდრე ევროპაში. ამას ადასტურებენ პეტრიწონელი და რუსთაველი. მათი შიდალი ჰუმანიზმის გავლენის ვარკვეული ბეჭედი აზის საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის პედაგოგიურ კონცეფციებს, რომლებშიც ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი შინაარსით ჰპოვეს გამოძახილი მეტწიამეტე საუკუნის დიდ ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში, ამ დიდი ჰუმანიზმისა და მისგან განუშორებელი ღრმა პატივისცემის გამო ბავშვის პიროვნებისადმი, წერდა ილია: — „ჩვენ რომ ეგრე დავიწყებით და უკან დაუხველად ვიხოვრობთ დედაუნისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში — ეგ მარტო დედაუნის სიყვარულით არ მოგვიდის. ვიხოვრობთ და ენატრობთ იმტომაც, რომ უდედაუნად გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩავერისა, გონების დაბნევისა, დათრგუნვისა, გათახსირებისა“...

ბავშვის პიროვნებისადმი დამოკიდებულებაში ილიას პოზიციისა იყო ი. გოგებაშვილი. იგი თავისი იდეური წინამძღოლის მსგავსად, შობლიურ ენას წარმოვიდგენდა ერთერთ საშუალებად ხალხის სამსახურისა და ბავშვის პიროვნების პოტენციურ სულიერი ძალთა გამოვლინების, მათი გაფურჩქნის ერთერთ მთავარ პირობად და ამის შესაბამისად შენიშნავდა:

„...სკოლაში უნდა გაუხსნას ბავშვს გონება, გაუნაოლოს, შესძინოს კუთხისა და ზნეობის ამაღლებელი და ხალხში კეთილდღეობის მომფენი ცოდნა, ამ განზრახვის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედაუნებულ იქნება“.

ამ ზოგადჰუმანიტური მოსაზრების გასაშრთლებლად წერდა ი. გოგებაშვილი, რომ შობლიური ენის ნიადაგს მოწვევითი და უცვლდართი

გზით აღზრდილი ბავშვი ვერასდროს ვერ ავიმ გონების სიმალემდის, რომელიც შეუფერება მის ბუნების ნიჭსა, ვერ მოეწყება ვერ ეტორისება ევროპის სიღრმეს აზრისა და გრძნობისას, მეტნაკლებობით გამოვა ნევერ-ნევერა, ქართველთა პირი, უხასიათო ადამიანი და ამის ნახვერისაც ვერ ვაყეთებს თავის სიყოცხლეში, რის გაყეთების ნიჭიც მისთვის ბუნებას მიუღია. ამით იყო გამოწყვეტილი, რომ ი. გოგებაშვილი არა თუ გრძნობით თავს ევლებოდა ახალთაობას, არამედ ქვემარტივი მშობლიური გულშემატკივრობით, პასუხისმგებლობითა და მოუსვენრობით შრომობდა მისთვის საჭირო სულიერი საზრდოს მისაწოდებლად.

„ქართული ანბანი“ გამოსვლიდან თერთმეტი წლის მანძილზე იღწეოდა დღედაღამ ი. გოგებაშვილი, რომ ქართველი ახალგაზრდობისათვის ახალი, წინანდელთან შედარებით უფრო სრულყოფილი საანბანი და საკითხავი წიგნი მიეძღვნა.

1876 წელს გამოვიდა პირველი უცვლადი „დედა-ენა“, რომლის ყდას დღესაც ეს სწორეპოვარი სახელწოდება ამშვენებს. ჩვენი ხალხის ათეულმა თაობებმა ისწავლეს ამ პატარა წიგნით ქართული ანბანი; მისი საშუალებით გააკაფეს მათ გზა ერის ამოუწურავი სულიერი საგანძურებისაკენ.

ამ წიგნის პირველი მომხიბლავი სიტყვა, რომელსაც უნდა აეხადა პირველი უარდა ბავშვისათვის საიდუმლოებით მოცულ ცოდნის სამყაროსათვის — იყო პატარა „ია“. ქვემარტივებისათვის მარტივია იგი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი დრო და ფიჭი მოანდომა ი. გოგებაშვილმა ამ პირველი სიტყვის ძებნას, რომელიც ასე ადვილგამოსათქმელი, ადვილსამახსოვრებელი, ემოციური და ესთეტიკურად დამატკობილი უნდა ყოფილიყო ბავშვისათვის? ამასთან, ვინ იცის და ვინ აღწერს, თუ რა შემოქმედებით სიხარულით აღივსებოდა ალბად „დედა-ენის“ მამა როდესაც ოქროსმეხენელებით მიიგრო მან პირველ და მთავარ მარცვალს, ორი ჰმოვანისაგან შედგენილ იას, რომლის მსგავსი სიტყვა, გახაფხულის პირველი ყვავილის გამოშატველი, არც არსებობს ქვეყანაზე სხვა, რადგან ერთთა ქართველი ხალხი და ერთთა მისი ენა, ამ სიტყვის მომხიბლი.

საოცარიო, რომ ამ უადოქარ სიტყვაში ასოთა უბრალო გადაადგილება კი წარმოშობს ახალ სიტყვას „აი“-ს, რომლის შერწყმა „აი“-სთან ქმნის აზრიან წინადადებას — „აი ია“.

უსაზღვროთა განცდითა ის ნაირფერობა, რომელსაც ლერჯთავლება „ის“ წაითხვა იწვევს ბავშვში, „იისა“, რომელსაც პოეტი გოგებაშვილი ალბად ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობითა ხმარობდა თავის „დედა-ენაში“. ია ბუნების გახაფხულის პირველი ყვავილია, ამ გახაფხულის მოსვლის მარწყებელი და ბავშვიც ხომ პირველი ყვავილია ადამიანის ცხოვრების გა-

ზახტლისა, რომელიც ისევე მარადიულაა კაცობრიობისათვის, როგორც ია ბუნებისათვის.

სიყოცბლისა და სილამაზის გამარჯვების დიდი აზრია მწერლის მიერ ჩაქსოვილი ამ ბაქანინა სიტყვაში. იგი გვაგანობინებს ჩვენ იმ დიდ ოპტიმიზმს, რომელიც უეჭვო განწირულების ემასაც არ კვდებოდა ჩვენი ხალხისა და მის ისეთ წინამძღოლა გულში, როგორც ი. გოგებაშვილი იყო.

„ქართულ ანბანთან“ შედარებით უფრო ახალი და უჩველესი მეთოდით იყო შედგენილი „დედაენა“. ამ მეთოდს ი. გოგებაშვილი ანალიტიკურ-სინთეზურს უწოდებდა და წიგნის წინასიტყვაობაში ჩამოთვლიდა მის ამ უპირატესობებს, რომლებიც მიზნის უფრო ადვილად და სრულად მიღწევას უზრუნველყოფდნენ.

ერთი მთავარი ღირსებათაგანი „დედაენისა“ იმ „ოკროს წესის“ გამოყენებაში მდგომარეობდა, რომელსაც პედაგოგიკაში თვალსაზრისობა ეწოდება. ეს ურთაობები და ბავშვისათვის ერთგვარად მოსაწყენი იყო „ქართული ანბანი“. სურათებიანი და წამახალისებელი იყო „დედაენა“, რომლის მასალას თვალსაზრისით წარმოადგენილს, ერთნაირის ძალით ეუფლებოდა ბავშვის გონებაც და გრამატიკა.

ი. გოგებაშვილმა, როგორც ღრმად განათლებულმა მესაიდუმლემ ბავშვის სულისა, კარგად იცოდა ზღაპრის ძალა ნორჩი თაობის შემოქმედებითი ფანტაზიის გაშლისა და ზნეობრივი წრთობის საქმეში და ამიტომ შეიტანა იგი შედარებით ასე უჩველ „დედაენაში“. როგორც გოგებაშვილი წერდა თავისი წიგნის წინასიტყვაობაში „პირველი ადგილი მასში (ე. ი. „დედაენაში“ ვ. ზ.) უპირაეთ ზღაპრებსა. იგიანი არიან ან ხალხური ჩვენგანვე შეკრებილნი, შეუცვლელნი, ან ცელილებით შეტანილნი წიგნში, ან ეუთვინიან წარსულა სიუჟეტის ჩვენ შეწარმის საბა ორბელიანის და ამირხეილის არიან მისი ოხზელებიდან „სიბრძნე სიკრუვის წიგნიდან“ ან კიდევ რუსულიდან არიან ვადმოღებულნი და გადმოკეთებულნი“.

ზემორიგა-აღმზრდელითი დანიშნულებისა იყენენ „დედაენაში“ მოთავსებული იგავ-არაკეობი, რომლებიც თვით გოგებაშვილს ცნობით ან ეზოპესა და კრილოვისაგან ნასესხები ან ხალხური. ამასთანავე, „ქართული ანბანისაგან“ განსხვავებით, „დედაენაში“ მდიდრადაა წარმოდგენილი ლექსები, რომელთა უმრავლესობა აგრეთვე ხალხური წარმოშობისაა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით გარკვევას ერთხელ და საბოლოოდ გარკვეული კეშმარტებისა იმის შესახებ, თუ რა დღეფასებელი სამახური გაუქნია ი. გოგებაშვილის სახელმწიფანერგებმა, ეკრძოდ კი „დედაენამ“, ახალა სალტერატურო ქართულის დამკვიდრებას, მის გამდიდრება-გაფართოებას, ჩვენი ენის უდიდესი ლექსიკური სიმდიდრის გამოვლინებას, მოზარდი თაობის მიერ მის დღეფლებას და სხვ.

ჩვენ მოკლედ შევიხრდებით „დედაენის“ სხვა მხარეზე, მის სხვა ღირსებებზე, რომლებიც ორგანულად დაკავშირებულია სხენებულ სიხელმძღვანელოს ერთ მთავარ დანიშნულებასთან — შეიყვაროს ბავშვს ქართული ენა და გაუადგილოს მას ამ ენის შესწავლა.

წიგნის ამ „სხვა მხარის“ ნათელყოფა მოათხოვრ წინასწარ გარკვევის ი. გოგებაშვილის, როგორც მესამოციანელის დამოკიდებულებისა ცოდნისადმი, განათლებისადმი.

ცნობილია, რამ მესამოციანელთა და მათ შორის ი. გოგებაშვილის აზრით, ცოდნის შეძენა, განათლება, სრულად არ ნიშნავს მარტო წერაკობის დათვლებას; მისი დანიშნულება არც იმამა, რომ ადამიანი მარტო ბუნებასთან საბრძოლველად მოამზადოს. „ცოდნამ — წერდა ი. გოგებაშვილი — ადამიანი უნდა მოამზადოს ერთის მხრით ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრით სოციალურ სანატრელ ცელილებებისათვის“. ი. გოგებაშვილს, ისე როგორც ყოველ ჭარბველ მესამოციანელს, ამ „სანატრელ სოციალურ ცელილებების“ გარეშე ვერც წარმოედგონა ხალხის ნამდვილი ერთეული თავისუფლება და ამის გამო წერდა კატეგორიულად: „ღიად, კარგი რამ გახლავთ ერთეულის პრინციპის დამყარება ყოველი სფეროში, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცელიებაზედ, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ“.

ამ პრინციპიდან გამომდინარეობდა ი. გოგებაშვილის შეურთაგებელი, უკომპრომისო ბრძოლა არისტოკრატების ბატონობის დამშობისა და დემოკრატიის გამარჯვებისათვის. მწერლის სიძულვილი არისტოკრატის მიმართ იმდენად ღრმა და მამაფრა იყო, რომ წინაშეობრივი უთანასწორობის ფაქტს იგი პოულობდა ქართული ანბანის ძველ მომზებულობაშიც კი. „უთანასწორობა ხელის საფუძველს — წერდა ი. გოგებაშვილი — ჩვენ ეს თეტიკაში ვერ ვაპოვებთ, იგი ჩვენ უნდა მოვჭებნით უწინდებურს საზოგადოებრივს უთანასწორობაში. დიად, როგორც ძველ ქართველობაში არსებობდა არისტოკრატული უთანასწორობა, ისეთივე უთანასწორობა დამყარეს მათ ასოებს შორის. ჩვენს ასოებში იყვენთ თავადნი: რ, ს, ხ; ანაურნი: წ, შ, პ; გუნენი: მ, ძ, ნ და სხვანი. ლევისი მდლით, ამკამად არისტოკრატის მზე ჩადის, დემოკრატიული თანასწორობის სინათლე ვეინება კაცობრიობას და არავითარი დამმარტოლებელი მიზეზი არ არის თანაბარის ხელის შემოღებისათვის“.

ამ პრინციპები, უსაქმო, ლეარსამ თათქარისებური არისტოკრატის გროტესკულ სურათს წარმოვიდგენს „დედაენაში“ დაბეჭდილი ორპეკარიანი მოთხრობა „ბეჯიითი ბატონი“. რომლის შინაარსისა ამ ბატონის მმრძანებლობითი მიმართვა ხელქვეითებისადმი: „გამხადეთ“

დამაწივინეთ, დამახურეთ, ბირჯგარი ვადამწი-  
რეთ, ვადამახურეთ, დამინებით კი მე დავიძი-  
ნებოა”.

ეს მოთხრობა ბუნებრივად იწყვედა ბავშვებში  
არსობდა და ზიზღს ზარმაცი ბატონებისადმი და  
ამით სრულად აღწევდა თავის ზნეობრივ-  
მზრდელობათი დანიშნულებას.

ძალმომტობის საზოგადოებაზე, ძლიერის მიერ  
სუსტის დაბეჩავებასა და დამრიყვებაზე მოუ-  
თხრობდა ბავშვებს საქართველოში ფართოდ  
ქრთბილი „ჩიტი და მეღია“ და თვით გოგებაშვი-  
ლის მიერ ვზომედან გადმოქართულებული „ლო-  
ში, ვირი და მელა“.

მაგრამ ძლიერთა ეს თავისუფლება დაუსჯე-  
ლი არ უნდა ჩინებოდეს, მისი დათრგუნვისა-  
თვის ერთა იბრძოდეს ხალხი შეთანხმებულად  
და უნთიანი ძალით, ასეთი ი. გოგებაშვილის  
მიერ „დედა-ენის“ უფრო გვიანდელ გამოცემე-  
ში შეტანილი „უღიფთო ბატონის შორჯულუბა“,  
რომელშიაც ქიანჭველები იმარჯვებენ თვით  
ხალხზედაც კი.

თავისუფალი, ხალხის კეთილდღეობისადმი  
პაიპათული შრომის დიდი აპოლოგეტები იყვნენ  
ქართველი მესამოციანელები, ილია ქავჭავაძის  
მეთაურობით. მის ქადაგებდა ი. გოგებაშვილიც  
თავის პუბლიცისტურ წერილებსა თუ სახელ-  
მძღვანელოებში. განა შრომის საზოგადოებრივ  
დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე. მის გამაყ-  
თილშობილებელ ძალაზე არ შეტყვევებს „დედა-  
ენაში“ შეტანილი ისეთი მოთხრობა, როგორა-  
ცაა „ორი სახნისი“, ან „უიანჭველა და ფუტკა-  
რი“? ამ თემისადმი მიძღვნილი ნოველისებუ-  
რ „ბერაკიანი“ და „მეწიანი“, რომელშიაც ემაწ-  
ვილის მიმართებაზე ბერაკისადმი: „ბიძია  
რას ეწეალები, შენ ხომ მაგის ნაყოფს ვეღარ  
შოუსწრებ? — მოხუცი უმასუბებს: „უღუტყარიც  
კი მარტო თავისთვის არ შრომობსა“.

ადამიანი ყალიბდება და ვითარდება შრომით  
საქმიანობაში. სწავლაც ამგვარი საქმიანობის  
ერთ-ერთი სახეა და ამიტომ აქვს „დედა-ენაში“  
დათმობილი ესოდენ დიდი ადგილი ლექსებს,  
მოთხრობებსა და ანდაზებს სწავლის საქართვე-  
ბაზე, მისი წარმატებისათვის აუცილებელ ზე-  
ჯითობაზე და სხვ. ეს არჩია გამოთქმული „დე-  
და-ენაში“ შესულ ლექსში „მყვარე გოგონა-  
ნების სიმღერა“, რომლის ორი უკანასკნელი  
სტროფები ასე იკითხება:

„...ვინც რომ შრომაში, სწავლაში  
ზეჯლითა და კარგია,  
იგი ვუვლსათან ყოველთვის  
ამზანავადაც კარგია.  
კეთილი საქმე ყოველთვის  
შევ სიღარიბის მტერია:  
ვინც წმინდა საქმეს ჯანს ახმარს,  
ყველა მის მადლიერია“.

თავისი მოწინავე მსოფლმხედველობის შესაბა-  
მისად, ი. გოგებაშვილი ყოველთვის უღიღესი

ურთადლებით გვიდებოდა ბავშვში სიკეთა-  
რი ინსტინქტების გაძლიერების ამოცანას. ამ  
საქმეს ემსახურებოდა ი. გოგებაშვილის სახელ-  
მძღვანელოებში და კერძოდ „დედა-ენაში“ მო-  
თახსნული ის მრავალი მოთხრობა, ლექსი და  
ანდაზა, რომლებიც ადამიანთა ურთიერთდახმ-  
არების, მეგობრობისა და ამზანავობის მაღალ  
აზრს ქადაგებდა პირდაპირ ან ალგორითულად  
ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა „რწყილი და  
ქიანჭველა“ ან მოთხრობა „ერთობის ძალა“, რო-  
მელშიაც ერთი აზრითა და გრძნობით შეკრული  
კოლექტივის უძლეველობაზეა საუბარი.

ი. გოგებაშვილის შემოქმედების შუაგულში  
დგას ზნეობრივი აღზრდის საკითხები, რადგან,  
თვით დიდი პედაგოგის სიტყვით, „პატიოსანის,  
კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მზარდი  
თაობის გულში კიდევ უფრო საქირთა და ძვირ-  
ფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა  
კოდნით“. ამ სფეროს მიეკუთვნება ახალთაობის  
პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდაც.  
რომელსაც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საზო-  
გადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო დიდი  
ადგილი ჰქონდა დათმობილი „დედა-ენაში“.

ი. გოგებაშვილი, როგორც მესამოციანელი,  
ახალთაობის აღზრდისა და განათლების ამოცა-  
ნას არასოდეს არ ამორებდა პოლიტიკას. მას  
სწამდა, რომ „ყოველთვის, რაც ქვეშაობილად  
პედაგოგიკურია, ამის მიხედვით არ იყოს ქვეშა-  
ობილად პოლიტიკური“. ამიტომ, პატრიოტულსა  
და ინტერნაციონალურ აღზრდას, როგორც  
ახალთაობის ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ  
მზარეს, იგი განიზილავდა ჩვენი ქვეყნის იმ  
ეროვნულ და სიკეთაღერ განმსათავისუფლებელ  
მოძრაობასთან მჭიდრო კავშირში, რომლის ერთ-  
ერთი ზეღმძღვანელი გასული საუკუნის მეორე  
ხახეარში თვით ი. გოგებაშვილი იყო.

პატრიოტის აღზრდა მიაჩნდა ი. გოგებაშვილს  
სწავლა-განათლების ერთ-ერთ ძირითად დანიშ-  
ნულებად, მაგრამ ვის უწოდებდა იგი პატრიოტს?  
„პატრიოტი ჰქვანდა მას — ამბობდა ი. გოგება-  
შვილი — ვისაც სიციცხლის უმთავრეს საგნად  
გაუხდია შრომობიერის ქვეყნის ბედნიერება,  
ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის  
დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც  
მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე  
გადალობებია, ვისაც მოვლად დაკარგულად მიაჩ-  
ნია ყოველი წამი, არ მხოლოდ არ მოუხმარნია მ-  
შელის ზრუნვისათვის, ვისაც ვედაგვის გული მ-  
შელის ტანჯვითა, უხარის მისი ღზენითა, ვინც  
ბედნიერია მისი ბედნიერებით, უზედურობა  
მის უზედურებით, და ვინც მზად არის დიმილით  
შესწიროს მას თავისი სიციცხლე“.

ი. გოგებაშვილის მიერ ამგვარად დახასიათე-  
ბული პატრიოტი ახალი, მოწინავე საქართველო-  
სათვის მებრძოლი ის ადამიანი, რომელსაც  
უკუდავი პედაგოგის სიტყვით „ძველებურის სა-  
ქართველოს აღდგენა, მჩვიდმეტე და მეთვრ-

მეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია, ხიზმარად არ ეჩვენება.

ი. გოგებაშვილის მტკიცებით, ნამდვილ პატრიოტებს, „ახალი ტიპის ჭართველებს“, რომლებიც თავისი ქვეყნის საუკეთესო შერმისისათვის იბრძოდნენ, „სურდათ არა მკედლის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა უკობიდან. ისინი ჩატრობდნენ იმსვე, რასაც მოისურვებდნენ, წყენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნივერსიტენი შოდასაყდეთენი (ზაბანდიკები): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანისა „ვის სტყუის?“ (ა. ვერცენი — ვ. ზ.) და „რა ვაკეთოთ?“ (ნ. ჩენინშვიესი — ვ. ზ.) და სხვანი“.

ამ ციტატიდან ნათელია, რომ „ახალი ტიპის ჭართველის“ პატრიოტიზმი ი. გოგებაშვილის აზრით გამსჭვალული უნდა ყოფილიყო სოციალური სამართლიანობის მძალი იდეით, „შეოთხე წოდების“ ინტერესების დაცვის პრინციპით, რადგან მისი რწმენით „ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედობა დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზედ, ხალხის წარმატებაზედ“.

ი. გოგებაშვილი შერჩევილები მტერი იყო კოსმოპოლიტიზმის და შოფინიზმისა. ამიტომ ამბობდა იგი, რომ მამულის ჭეშმარიტ სიყვარულში არ უნდა ერთოს „ვისიმე სიძულელი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი“.

ახალთაბაში ამ მაღალი აზრის დანერგვის შესაძლებლობა „დედა-ენის“ ის ნაწილი, რომელშიაც საქართველოზე, მის ბუნებაზე, ხალხსა და ისტორიულ წარსულზეა საუბარი.

„დედა-ენის“ ბირველ გამოცემაში საქართველოს თემაზე მასალები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი და შემოფარგლულია ერთი პატრიოტ მოთხოვით თილისზე, ლექსით „ქართველები“ და ორი სასაუბროთა, რომლებშიაც საქართველოს ნაწილებზე, მის მდინარეებსა და ქილიჭებზეა საუბარი.

გაცილებით მეტი სისრულითაა იგივე თემა გაშუქებული „დედა-ენის“ შემდგომ გამოცემაში, როდესაც იგი 1906 წელს ავტორმა ორ ნაწილად გაყო. აქ, განყოფილება „საქართველო“ იწყება „ჩვენი სოფლის“ აღწერით, რომელიც მარტო მის გეოგრაფიის კი არ მოიცავს, არამედ ბაყშეს ნათლად დანახებებს იმ ღუბუბორ ცხოვრებას, რომელიც გლეხების ზევირი იყო ძველად. ამიტომ, ამ მოთაობაში, რომელიც დიდი პედაგოგის შრომატორი ვაჩიანისადმი აბის მიძღვნილი, მაგრამ სინამდვილეში რეკლამური-ამფელი ქართული სოფლის ტიპიურ სურათს ავსოებს, ი. გოგებაშვილი ამბობს: „სახან-სათვის მიწაც ნაკლებად აქვთ (ვარიაანებს — ვ. ზ.) და ისიც საღალი. ამის ვაჟო ღარიბნი არიან და ველი ბევრი მართებთ სხვადასხვა ფულიანი მოქალაქეებისა“ (ე. ი. ვაჭარ-მეფაშვილებისა — ვ. ზ.). ჭეშმარიტი შესამოცინაელის ზნეობრივი პორტრეტი ისახება ჩვენს წინაშე,

როდესაც ი. გოგებაშვილი ამ პატრიოტულ იდეაში გვამცნობს, რომ მან ეს სოფელი შეიყვარა უმთავრესად იმის გამო, რომ „იქ შეიფარებენ, და შეიფარებენ შრომელი ხალხი“.

თილისის, საქართველოსა და მისი ნაწილების მოკლე აღწერაში მოცემული „ჩვენი სოფლის“ მომდევნო მასალაში.

ვარშე და შინაური დეზორგანიზატორების აღავშვისა და ქართველი შრომელი ხალხის ურღვევად შეშვიდროების დიდ ამოცანას ემსახურებოდა ეროვნული შეგნების განმტკიცებისათვის გამოიღო ის იდეური-მორალური სიმბოლია, რომელიც გასულ საუკუნეში ქვეყნის მოწინავე ძალები ეწეოდნენ საქართველოში, ილია ქაჭავაძის შეთაურებით. ამ ბრძოლის ერთი მესვეურთაგანი იყო ი. გოგებაშვილი, რომელსაც ზემოდასახელებული მიზნის შესახებ სად შეურჩევი და ერთად მოუყარა თავი სამი ლექსისათვის და „ამიერ-იმიერ ქართველი სიმბოლის“ სახელწოდებით მოეთავესება იგი „დედა-ენის“ ერთ გვერდზე. ამ ლექსებიდან ორი („მამულის სიყვარული“ და „თავდადებულება მამულისათვის“) ხალხურია, ხოლო მესამე „საყვარელი სამშობლო“, დეტლ შეერელის ის უკვდავი ქმნილებაა, რომლის ერთგვარად მარადილი თემა დღესაც იდელებს ქართული სამკითხაო პოეზიის უნივერსალ წარმომადგენლებს.

„დედა-ენის“ ხსენებულ მეორე ნაწილში მოთავსებული აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცალკეული პროვინციების აღწერანი. ყველა ამ კუბებს და იქ მცხოვრებ შრომელ ხალხს აქვს თავისი საკუბარი ღირსებანი, რომელია ზუსტი დახასიათებისათვის არ დაუშურნია მწერალს თავისი ნაქი, ძალი და მხატვრული საღებავები. ი. გოგებაშვილი სავსებით სამართლიანად უქმებს კახელებს ვენახებსა და ზერებს, გულზე პერადობას, ხასიათის სიღრჯესა და პირდაპირობას. არც ქართულთა და რაკველებისათვის იშურებს იგი ქების სიტყვებს, ხოლო იმერებს იმ უბრატიცობას ანიჭებს, რომ იქ „სწავლას ძლიერ ეტანებთან და ბერის სოფელში სკოლები აქვთ ვაპართული“. ამით ვერძის დამამწვენებლად ჰყავს წარმოდგენილი ი. გოგებაშვილის „ნიქიერი და გამბედავი“ მეგრელები, რომლებსაც, მისი გამოთქმით „საქართველო სხვა ქართველებზე თუ მეტად არა, ნაკლებად არ უყვართ“. აქვე იხსენიებს მწერალი სვანეთსა და სამურხაეთს, რომელშიაც მას შეჰყავს აფხაზეთი მთლიანად, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. იგი აქვს გურულებსაც, რომლებსაც „უყვართ პირდაპირობა და სწულთ ბირმოთეობა“, ამასთან „განთქმულნი არიან სიმარჯეთითა და გულადობით“, ხოლო „განათლებლას ვატყვებით მისდევენ“. ქართველების განუყოფელ მძებლად იხასიათებს

ი. გოგებაშვილი აქარღებს, რომლებიც „ძლიერ გვიან გუბრულებს აგებულებით, შეხედულებით, ზნე-ჩვეულებითა და ლაპარაკის კილოთით“.

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ ი. გოგებაშვილს პატრიოტად ის მიიჩნდა, „ვინც მზად არის დიდილით შესწიროს სამშობლოს თავისი სიცოცხლე“. სწორედ ასეთები იყვნენ ქვეყნისათვის „თავდადებული ქართველები“, რომელია მამულისშვილობას აღწერს იგი ასე შთაბეჭდვად თავის „დედა-ენაში“. როგორც ნამდვილი დემოკრატი და ხალხის წინამძღოლი, ი. გოგებაშვილი ამ აღწერას იწყებს „თავდადებული გლეხებით“. ესენია ლეგენდარული „სამასი თავდადებული გლეხი“, რომლებსაც ხალხმა „სამასი არაგველი“ შეარქვა და უსაზღვროდ გულად „გლეხი ბისტაშვილი“. მათ მიუყვებიან სხვა წოდების იოთამ ზედღინიძე, ცხრა მძანი ხერხეულიძენი, საინთო ბარათაშვილი, ცოტნე დიდიანი და მღვდელი თედორე.

პატრიოტიზმისა და სოციალური სამართლიანობის ის იდეა, რომლითაც გამსჭვალულია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, გატარებულია „ქართული ფერის დედნების“ ზოგიერთ ტექსტშიაც და ნაწილობრივ „ქართულ ხალხურ სამღერებშიაც“. ეროვნულ ნიადაგზე სწორად დაყენებული სწავლა-განათლების საშუალებით ხალხის სულიერი ინტერესების უკეთ დაკმაყოფილების ამოცანას ემსახურებოდნენ აგრეთვე ი. გოგებაშვილის პოლემიკურა „წერილები დედა-ენის სწავლების შესახებ“.

ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილის ეს პატრიოტიზმი არასოდეს ცალმხრივი და უკიდურესი არ ყოფილა. ცნობილია, რომ დიდი მწერალი ანტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის

იდეის დაუღალავი პროპაგანდისტი იყო ჩვენში. ამის შესაბამისად მოითხოვდა ი. გოგებაშვილი სხვა ხალხთა ენებისადმი პატივისცემით მოპყრობასა და მათ შესწავლას ქართველი ახალგაზრდობის მიერ. „მხოლოდ მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართველებს: შეაქციეთ ზურგი უცხო ენასა და დარჩით მარტო დედა-ენის ამარა... რაც შეეხება კერძოდ რუსულ ენას, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მის შრავალგვარი მნიშვნელობა აქვს... რუსული ენის შეთვისება არამც თუ არ ავნებს ქართულს ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვავებას“ — წერდა ი. გოგებაშვილი.

„ბურჯი ეროვნებისა“ — ასე უწოდა ჩვენმა ხალხის ენას, ი. გოგებაშვილმა. როგორც ვთქვით, ამ ენის შემდგომი გამდიდრებისა და განმტკიცების დიდ საქმეს ემსახურებოდნენ მოზარდი თაობის ცნობიერებაში მოწინავე საზოგადოებრივი აზრების დამწერგავი მისი სახელმძღვანელოები და კერძოდ „დედა-ენა“, რომელიც ჩვენს დროშიაც აწეღის საზრდოს ქვეყნის ნორს თაობასა და რომელშიც ქვეშაირტად უკვდავყო მისი შემქმნელი.

ლევ ტოლსტოი ცნობილ ნ. სტრაზოვს წერდა თავისი „ანბანის“ შესახებ: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი „ანბანი“ სამარადისო ძეგლი დავიდგო“.

„დედა-ენაც“ სამარადისო ძეგლია დიდი ქართველი პედაგოგის და მწერლისა.



## ხალხისათვის მიძღვნილი სიმღერები

1957 წლის 5 დეკემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ლატვიის სახელმწიფო სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მწერალს ანდრე უბიტს. ნახევარი საუკუნის განმავლობაში უანგაროდ ემსახურა იგი თავის ხალხს.

ძნელა მოინახოს ისეთი სფერო ანათე ლიტერატურაში, არამედ ლატვიური კულტურის რომელიმე დარგში, სადაც არ იგრძნობოდეს კეთილმყოფელი გავლენა ამ დიდი მწერალ-მებრძოლისა. უბიტმა, მხენელ-მთესველის მსგავსად, მოიარა თავისი შობილური მიწა, მოამზადა იგი მოსახლავად და შემდეგ — უხვად მიმოიხილა კვლავ თავისი კეთილი. იგი დაუდგომლად სპობდა სარგებელს და ფანტავდა წავი უვავ-ვორნების საზარელ ვენდს. ამჟამად კი თმადათოვლილი მხენელ-მთესველი ამჟამად დვას დაპურებულ ყანაში. ტიტანურმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ლატვიელი ხალხი აღიდგებს თავის გამოჩენილ შეილს, რომელმაც არაფერი არ დამშრა თავისი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

ილაპარაკო ანდრე უბიტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ეს ნიშნავს — ილაპარაკო ამ საუკუნის, განსაკუთრებით 1905 — 1907 წლის რევოლუციის დროინდელი მთელი ლატვიური საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. უბიტი უოველთვის იდგა სახალხო ბრძოლის მუდგულში, როგორც უშიშარი მებრძოლი, ძველის მგრეველი და ახალი ცხოვრების მშენებელი. ანდრე უბიტის ვარემე შეუძლებელია დანამდევილებით გამოვარკვეით ლატვიელი ხალხის არა მარტო ლიტერატურისა და კულტურის ისტორია, არამედ რევოლუციური ბრძოლის მთელი გზა ამ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. თავი როგორც რაიონის ვარემე შეუძლებელია ვაკივით ისტორიული პრიციების, რომელთაც იდგილი ჰქონდათ ვასულ საუკუნის 90-იან წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციისა და შემდეგ — სტალინის რეჟიმის ხანაში. ლატვიელი ხალხის სულიერი ცხოვრების ეს ირა ვივანტი მხატვრული სიტყვისა და ნოვარტული რევოლუციური აზრის შემეღობით სიტუაციორტულად არის დავემირებელი თავისი ხალხის გულისთქმისათვის.

ლატვიელი ხალხის კლასობრივ ბრძოლაში არ არსებობდა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც არ შეეხებოდა უბიტი, გამოხატავდა რა ფართო მასების, განსაკუთრებით რევოლუციური პროლეტარატის, შეხედულებებსა და მისწრაფებებს.

ანდრე უბიტი დაიბადა უშიწაწყო გლეხის ოჯახში; სათემო საწაფელბელის დამთავრების შემდეგ იგი დამოუკიდებლად მოეშადა მასწავლებლობისათვის. 1897 — 1908 წლებში მუშაობდა სახალხო მასწავლებლად, ამის შემდგომ მთელი თავისი ძალა და ენერჯია მან ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას მოამარა.

ა. უბიტის პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა 1889 წელს. პირველხანად მწერალი იმყოფებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ამ გავლენებისაგან განთავისუფლებას ზელი შეუწყო 1905 — 1907 წ. რევოლუციამ, ამასთანავე მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლენინოვის ნაშრომების საფუძელიანდ შესწავლამ. 1907 წელს გამოქვეყნდა ა. უბიტის სატირული მოთხრობა „ბურჟუა“. ამ ატორი გესლიანად დასტინის და ამთარახებს ლატვიელ ბურჟუაზიის. ამ თხზულების გამოქვეყნების შემდეგ ა. უბიტი ხდება ლატვიური კლასიკური რეალისტის ფუძემდებელი.

1908 წ. რომანით „ახალი საწყისები“ მწერალი იწყებს ტრილოგიას „რობენიცი“, რომელიც შემდეგ ვადამარდა რომანების მთელ სერიამში. „რობენიცი“ — ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია სახელმწიფო პერიოდის წინანდროინდელ ლატვიურ ლიტერატურაში. წიგნში დიდი რეალისტური ძალით გამოხატულია კლასობრივი დიდგრენციაცია ვასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ლატვიელ გლეხობაში, ნათლად ნაჩვენები 1905—07 წლების რევოლუციისაგან მომავალი გზა და კლასობრივი ბრძოლის სურათები.

„ახალი საწყისების“ შემდეგ მწერალი თანდათან აქვეყნებს ახალ-ახალ რომანებს, ნოველების კრებულებს, პიესებს, ფელეტონებს. ამ ნაწარმოებებში ატორი ამხელს ლატვიური

ბურჟუაზიის შექმნაობას, მემანობას, რენეგატებსა და დეადენტებს. ლატვიურ ლიტერატურაში უბიტი უველაზე მწვავე სატირიკო-ბად ითვლება. სწორედ ამით აიხსნება ბურჟუაზიის სიმძლედი მისდამი.

პირველი მსოფლიო ომის წინ, მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში ა. უბიტი უვე პროგრესული ლატვიური ლიტერატურის მეთაური. იგი ხელმძღვანელობს მთელ რიგ პერიოდულ გამოცემებს, რომელთა ირველივე შემოკრებილი იყვნენ დემოკრატიული და რევოლუციური ძალები. უბიტის ავტორიტეტი ყოველ უფრო გაიზარდა მის შემდეგ, რაც მან დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა ლიტერატურულ კრიტიკაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ა. უბიტს ირწვევენ რიგის მუშათა საბჭოში. მწერალი აშკარად დადგა ბოლშევიკების მხარეზე. 1919 წელს, რადესაკ ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, უბიტი მუშაობს განათლების სახალხო კომისარიატში და ხელმძღვანელობს ლატვიური ლიტერატურის საბჭოთა რედაქციებზე გადაყვანის საქმეს. ბურჟუაზია, რომელმაც დროებით ჩააგდო ხელში ძალაუფლება, მწერალს ციხეში ამწყვედვს.

ბურჟუაზიის ბატონობის ოცი წლის მანძილზე, 1920 წლამდე 1940 წლამდის, ანდრეი უბიტი, როგორც მწერალი და როგორც ბუბლიცისტი, განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას რეაქციის წინააღმდეგ. ამ დროს გამოდის მისი ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა რომანი „ირდილოეთის ქარი“, „ციხარტუელის ხიდი“, „მომღიარის ფოთილი“, „საუკუნეთა მიჯნაზე“, ნოველების კრებულები — „მომწველი ცხოვრება“, „მოთხრობები მწყემსების შესახებ“, ტრაგედია „თან დარკი“, სატირული კომედია „მოკურავე სუხანა“, „თოლების გადარჩენა“, დიდტანაინი წიგნები ლატვიური და შოკალიო ლიტერატურის ისტორიიდან. ერთობ მსოფლიოვდა მისი ნაწარმოებების თემატიკა, ნაწარმოებებისა, რომლებიც გამოხატავენ ლატვიური საზოგადოების სხვადასხვა ფენებისა და მსოფლიოს მრავალი ხალხის ცხოვრებას, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებს, დაწყებული მონათმფლობელური რომიდან და დამთავრებულ თანამედროვე ამერიკის კაპიტალისტური საზოგადოებით.

ფაშისტურმა ვადარიალებამ ლატვიაში 1934 წელს მწერალს მოუსპო საშუალება აშკარად მიეღო მონაწილეობა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ბრძოლებში. იგი იძულებული გახდა ა. ტოლსტოის „პეტრე პირველის“ თარგმანი ფსევდონიმით გამოეყვეყნებინა.

ლატვიის საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ (1940 წ.), ა. უბიტი ლატვიური საბჭოთა ლიტერატურის მეთაური ხდება. დიდი

სამამულო ომის დროს იგი ცხოვრობს კრიონის ოლქში, მთელ თავის ნიქსა და გამოცდილებას ახმარს ბრძოლას დამყარობა წინააღმდეგ. 1946 წელს რომინისათვის „მწვენი უბიტის მიენიჭა სტალინური პრემია. ამ ნაწარმოებში აღწერილია ლატვიელი ხალხის ცხოვრება და ბრძოლა გასული საუკუნის ბოლოს. რომინმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. მთელ საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება ომის შემდეგ დაწერილი ისტორიული ეპოქა უბიტისა „ნათელი ღრუბლებში“, რომელიც ასახავს ლატვიელი პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას გასული საუკუნის 90-იან წლებში.

შეხებდავად ხანდაზმულობისა, ა. უბიტი აღსაესია შემოქმედებითი ენერჯითი. მისი ახალი შესანიშნავი შრომა „სოციალისტური რეალიზმის საკითხები ლიტერატურაში“ (გამოვიდა 1937 წლის ზაფხულში ლატვიურ ენაზე და მიენიჭა რესპუბლიკური პრემია) გამსჭვალულია რეალიზმის მაღალპრინციპულობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

დაუცხოებელი ენერჯითი მუშაობდა ანდრეი უბიტი ბელეტრისტიკის ყველა ეანრში. მის კალამს ეკუთვნის 18 ვრცელი, იღვერად და მხატვრულად მაღალ დონეზე მდგარი რომანი, ამსახველი თანამედროვეობისა და ისტორიული საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემებისა. უბიტის ნოველათა და მოთხრობათა კრებულების რიცხვი ათეული აღემატება. ეს ნაწარმოებები საუკეთესოა ლატვიურ ლიტერატურაში. ჩვენმა მწერალმა თავისი კალამი სცადა აგრეთვე დრამატურგიის ყველა ეანრში. მან ჯერ გამოაქვეყნა ვონებაშახვილობით ისლავესე ერთმოქმედებიანი კომედიები, ბოლოს დაწერა დიდი ტრაგედიაები. პოეზიის სფეროში უბიტმა მოკვცა ანთიკული მინიატურებიც. სატირული ფელეტონებიც.

არანაკლები ნაყოფიერება გამოიჩინა ანდრეი უბიტმა ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაში. დღითიდღე ადგენებს რა თვალყურს ყოველივეს, რაც კი ხდება ლატვიურ ლიტერატურაში, ღრმად იყვლევის რა მსოფლიო, განსაკუთრებით რუსულ, ლიტერატურას, უბიტი წერს არა მხოლოდ მოკლე ანოტაციებსა და რეცენზიებს, არამედ აქვეყნებს ფართო ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებს და ვრცელ შეცნიერულ გამოკვლევებს, რამდენიმე ტომის სახით წარმოგვიდგენს მსოფლიო ლიტერატურას. ამავე დროს, მწერალმა მაღალ საფეხურზე იყვანა ლატვიური პუბლიცისტიკა და მთარგმნელობითი ხელოვნება. მან ისტორიულ თარგმნა ლატვიურ ენაზე ვრბოეფოვის, ვოგოლის, ვორკის, ა. ტოლსტოის, შექსპირის, ლინეს.

შოუს, ფლობერის, მანის, ე. ვერანის და სხვა მრავალი დიდი მწერლის ნაწარმოებები.

ლატვიურ ენაზე გამოცემულია უპიტის ნაწერების 22 ტომი (თითოეული მათგანი შეიცავს 50 საავტორო თაბახს). მაგრამ მათში არაა მოთავსებული ყველა ნაწარმოები, რაც ეს მას დაუწერია თავისი ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე.

ანდრე უპიტის რეალიზში კარგად გვიჩვენებს, რა მისცეს ლატვიურ პრაგრესულ ლიტერატურას რუსულმა რეალისტრმა ლატვიურებამ და დასავლეთის რეალისტრმა ლიტერატურამ, ამავე დროს, რა შეუძლია მისცეს მსოფლიო კულტურას ლატვიურმა ლიტერატურამ. ჩეხოვი, გორკი, ა. ტოლსტოი, ბალზაკი და ფლობერი გაცუნებს ახდენდნენ დიდ ლატვიურ მწერალზე. მათგან უპიტი სწავლობდა თავისი ქვეყნის როგორც ყოფითი სცენების, ისე ისტორიული მოვლენების რეალისტრად ასახვას. მაგრამ იგი არა მხოლოდ სწავლობდა, თავადაც ეძიებდა გამოსახვის ახალ ხერხებს. რომანი „ნათელი დრუბლებში“ შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა აჩვენო მშრომელი ადამიანი კოლექტივში, როგორი რელიეფურობით უნდა აღწერო მასობრივი სცენები. ა. უპიტი დიდი ოსტატია ფსიქოლოგიური ანალიზისა.

ა. უპიტის შემოქმედებაში მხატვარი არ არის გამოთიშული საზოგადოებრივი მებრძოლისაგან და მოაზროვნისაგან. ანდრე უპიტი უნდა

მივაკუთვნოთ მსოფლიო ლიტერატურის იმ დიდი ოსტატების გუნდს, რომელთაც ღრმად და მთელი სისავსით ჰქონდათ შეცნობილი დღევანდელი დღე და დაუცხრომლად ანბროლებდნენ თავისი ხალხის უკეთესი ხელისნეული დღისათვის. და ამ ბრძოლაში მხატვრული სიტყვა — პოეზია, პროზა, დრამა — ყოველთვის იყო იარაღის ერთ-ერთი სახეობა. არა-ნაყლებად ბასრი იარაღია პუბლიცისტიკა, ამასთანავე — ლიტერატურული კრიტიკა. ეს თვით უპიტმა დაადასტურა, როდესაც 1952 წელს ხაზი გაუსვა იმ გაზეთებს, რომ ბელეტრისტიკას, ლიტერატურულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკას შორის არ არის პრინციპული სხვაობა. ყველა ეს სფერო სხვადასხვაა მხოლოდ გამომხატველობის მიხედვით, მათი გამოერთიანებელია საერთო იდეა, საერთო მიზანი. ეს საერთო მიზანია კამბატისტური სამყაროს ნგრევა, სოციალიზმის შენება.

ანდრე უპიტის მრავალმხრივ მოღვაწეობას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა ლატვიური ხალხის გმირულ ბრძოლაში თავისუფლების მოსაპოვებლად. მისი ხელოვნება ყოველთვის იყო, არის და იქნება პარტიის ერთგული თანაშემწე.

გლეხი-მონაბეგრის შეილი, სახალხო მასწავლებელი, თავისუფლებისათვის მებრძოლი, დიდი მწერალი ერთმანად აღიარებული საბჭოთა კავშირში, — ასეთია ანდრე უპიტის მიერ განვლილი გზა.



## სამედ ვურლუნი—აზერბაიჯანის სახალხო პოეტი

გამორჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი სამედ ვურლუნი მწერლობაში მოვიდა საკეთარი გზით, განუმეორებელი ხმით, თავისი პოეტური ინტონაციით. ვურლუნის პირველ ლექსებშივე ნათლად ჩანდა მისი ბრწყინვალე და ბუნებრივი ნიჭი. იგი მალე ჩაღვა აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტების პირველ რიგებში.

სამედ ვურლუნის პოეზია გამსჭვალულია სამშობლოსადმი სიყვარულის მხურვალე ვრწოხით, მას ახასიათებს ნამდვილი ხალხურობა. მის პოეზიაში გულწრფელი და გულთბილი ლირიზმი განუყოფლად შერწყმულია ღრმა სოციალისტური შინაარსთან.

ვურლუნის შემოქმედება ფართოდაა ცნობილი არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მისი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ენებზე. აზერბაიჯანის სახალხო პოეტის სამედ ვურლუნის პოეზიაში ტემპირიტად სახალხო აღიარება დამსახურდა.

აზერბაიჯანის ხალხური და კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციების შემკვიდრე და გამგრძელებელი, სამედ ვურლუნი, ამავე დროს, არის საბჭოთა პოეზიის, სოციალისტური რეალიზმის პოეზიის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი აზერბაიჯანში.

ვურლუნი ევროპის აზერბაიჯანის საბჭოთა მწერლების პირველ თაობას. იგი ლიტერატურაში ჩაღვა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათწლეულში.

პოეტი დაიბადა 1906 წელს ყაზახეთის რაიონის სოფელ სალახლიში, გლეხის ოჯახში. გაიზარდა მშობლიურ და სიღვიძაროთ იყო სავსე ვურლუნის ბავშვობა. ამ წლებში კვლი დატოვა პოეტის სულის სიღრმეში.

ს. ვურლუნს თავის ლექსებსა და პოემებში არა ერთხელ მიუძღვნავს წარსულისათვის, პოეტურად გაუზარებია თავისი უსიხარულო ბავშვობის დღეები, თავისი ახალგაზრდობა.

სამედ ვურლუნი თვითმეტი წლის ბავშვი შეხვდა რევოლუციის. ბავშვური გულწრფელობით და აღტაცებით შეხვდა მას. უფრო და უფრო ფიზიკურ ხედივდა სამედის თვლი, ფართოვდა მისი პოარიზონტი.

... სწავლის წლები სოფლის დაწვებით სკოლაში. ახალგაზრდა სამედი ბეიკითაუ სწავლობს მშობლიურ ენას, ეუფლება მშობლიური ენის

მშვენიერებას, მას ილაფროვანებს აშუღთა სულში ჩამწვდომი სიმღერები, ხარბად ეწაფება მშობლიური პოეზიის მწვეფარე წყაროს. პირველად ეცნობა იგი აქ აზერბაიჯანის კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს. ეს წლები წარმოადგენს მისი პირველი პოეტური ცდების ჯერ კიდევ გაუბედავ დასაწყისს.

დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სამედი, რომელიც ჯერ მშობლიურ სოფელ სალახლის არ გასცილებია, მოხვდება პატარა დაბა ყაზახში, რაიონულ ცენტრში. აქ ის სწავლობს საშაწავლებლო სემინარიაში, წარმატებით ამთავრებს მას და შემდეგ მსახურობს მასწავლებლად. ახალი შთაბეჭდილებები, ახალი აზრები, ყოველდღიური დაძაბული შრომა, ცოდნითა და ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრება—იი რითაა დამახასიათებელი ეს პერიოდი. შეიმეცნოს და შექმნას—იი ეს ორი მისწრაფება ბყრობს მას. საბოლოოდ ვლინდება მისი გზა და მოწოდება—ამიერადან იგი მთლიანად პოეზიას ევთენის.

ნორჩი პოეტის კალმის პირველი ცდები ევროპის 1924 წელს. ვურლუნის ლექსების ბეჭდვა იწყება 1926 წელს. ამ პერიოდის საუკეთესო ლექსებია—„სალამოს კონცერტზე“, „დილიჯანის ხეობა“, „სსოვნა“. ამ ლექსებში ნათლად გამოსკვივის ვურლუნის ბუნებრივი პოეტური ნიჭი, მისი სულერი სიფაქიზე, მგზნებარე გონება, უნარი მოგვინებისა და საგნების თავისებურად დანახვისა მკითხველისათვის მოულოდნელი მხრიდან და მასთან ერთად საოცარი სიმართლით მათი გადმოცემისა. რასაკვირველია, ეს ლექსები ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფიანი, ხანდახან მათში იგრძნობოდა ხელოვნურობა.

სამედ ვურლუნი აგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების მისაღებად. 1929 წელს იგი მიემგზავრება მოსკოვს და შედის უნივერსიტეტში.

მოსკოვის უნივერსიტეტი სიმწიფისა და სიბრძნის სკოლა გახდა სამედ ვურლუნისათვის. „ბერძნულ წიგნთა შორის მიმდინარებს ჩემი ცხოვრება“—სწერს პოეტი დედას, აღწერს რა თავის ცხოვრებას დედაქალაქში.

ვურლუნი ებმება მოსკოვის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამყარებს მკიდრო შეგობობას რუს მწერლებთან და პოეტებთან, სწავლობს რუსულ კლასიკურ ლიტერატურას.

დიდი რუსი მწერლების შემოქმედებამ მთელი სამყარო გადაეშალა პოეტს. რუსული პოეტური სკოლის კეთილშობილი ტრადიციები, მისი იდეური სიმდიდრე, მხატვრული მრავალფეროვნება, უღრმეს გავლენას ახდენს ვერდენის შემოქმედებაზე. იგი იზრდება ამ ტრადიციებზე, მდიდრდება სულიერად, ამასთან რჩება მერტლ თავისებურ და ნაციონალურ პოეტად.

მოსკოვში სწავლის წლებში იდევრად და თეორიულად შეიარაღა ვერდენი. „რომ არ ჩამოვრჩე ჩემს თანატოლებს, დღედაღამ ვსწავლობ ლენინის ტომებს“, წერს პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში.

შესამჩნევად გაფართოვდა სამედ ვერდენის პოეზიის დიაპაზონი, განმტკიცდა მისი ხმა, უფრო ნათელი თვალახედვა, გაიწევა კალამი, გამდიდრდა მხატვრული გამოხატულების საშუალებათა არსხალი. პოეტმა უფრო ფხიზლად და მახვილი თვლით დაუწყო მზერა სინამდვილეს, უფრო ღრმად გაიანზნა მოვლენები. 1929 წელს მოსკოვში დაწერილ ლექსში — „დუდას“ ჩვენ ვხედავთ გამოთქმებს, რომლებიც გვაძლევს გასაღებს ვერდენის მთელი პოეტური შემოქმედებითი პროგრამის გასაგებად. იგი უწოდებს თავის თავს „განადგურელი ცხოვრების მაცნეს“ და გადაქრთ უარყოფს „წმინდა, არაამჭვენიურ“ პოეზიას. ვერდენმა იცის, რომ ხელოვნებისა და პოეზიის დანიშნულება ხალხისაღმე სიშასტური, მისი ინტერესების გამოხატვა; პოეზია ბასრი იარაღია ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის; რევოლუციამ მისი ნამდვილი თავისუფლება პოეტის შთაგონებას, შემოქმედებას, გადაშალა მის წინ ფართო საზივილი. ხელოვნების ძლევაშისილი ძალაა მისი ცხოველყოფილობა, სიმართლე, ხალხურობა. „ჭვენიერება არ ცხოვრობს უნაყოფო ოქნებით, იგი ცხოვრების საზრდოს მიწიდან იღებს“, — ამბობს ვერდენი.

ხელოვნებისა და პოეზიის დანიშნულების ამ მაღალ და კეთილშობილურ თემას სამედ ვერდენი არა ერთგვის უბრუნდება. და ვერდენის შემოქმედებაე წარმოადგენს იმის მკაფიო მავალითს, თუ როგორ შესაბამება მისი თეორიული გამოანთქვამები მისსავე პოეტურ პრაქტიკას.

1930 წელს გამოდის სამედ ვერდენის პირველი წიგნი „პოეტის ფიცი“. ამ კრებულში შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები — 1924 წლიდან 1930 წლამდე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი ჩანაფიქრით, თემატიკით, მხატვრული თავისებურებით. მატარამ მათ ერთიანებას ერთი საერთო ხაზი — აქტიურობა და სიმწვავე დასმული საკითხებისა, საბრძოლო მიზანდასახულობა.

„პოეტის ფიცი“ წარმოადგენდა სამედ ვერდენისათვის „საგზურს პოეზიაში“. მან გვაუწყო ლიტერატურაში ახალი, თავისებური, ორიგინალური ტრადიციის მოსვლა.

„პოეტის ფიცი“ არ არის დაზღვეული ნაკლოვანებათაგან. ამ კრებულში შეშავალ ლექსებს აკლიათ სიღრმე, მათში ცოტაა მკაფიოდ გამოკეთილი და ნათელი სახეები. აქაღვზრდუ პოეტის გამოხატულებისათვის საშუალებანი ერთფეროვანია. დიდ რიც ლექსებში, როგორცაა „ზეციდან შედამიწაზე“, „სლაში“, „ახალი სამყარო“ შესამჩნევა განყენებულობა, არა ჩანს პოეტის აქტიური დამოკიდებულება აღწერილისადმი.

ვერდენის შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისი დემოხევა აზერბაიჯანში ნამდვილი რევოლუციური საბჭოთა ლიტერატურის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდს. მიმდინარეობდა გამაფრებული ბრძოლა ყოველგვარი ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ლიტერატურაში, დამყაყებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და დეკადენტური პოეზიის წინააღმდეგ. ამ მავდ გაველდებთან ბრძოლაში ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა ახალგაზრდა აზერბაიჯანის ლიტერატურა, ისე როგორც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა. ამ გაველენათა წინააღმდეგ ვაბედულად და შეუღოვრად გამოდიოდა ახალგაზრდა პოეტი სამედ ვერდენი.

აზერბაიჯანის საბჭოთა პოეზიის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში დიდშნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულმა საბჭოთა პოეზიამ და მისმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ; არა მარტო რუსული საბჭოთა ლიტერატურის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა მამაშე ხალხთა ლიტერატურის წარმოდგენა უმთავრესად, თვითველი ამ ლიტერატურის განვითარებაზე მისი პოეზიის გამსაზღვრელი ვავლენის ვარგეშე — უბრალოდ წარმოუდგენელიაო, წერდა სამედ ვერდენი წერილში „სწორება მაიაკოვსკისაგან“ („დრუბა ნაროდო“, № 2, 1950 წ.).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის ყველა პოეტი ცოტად თუ ბევრად განიცდიდა მაიაკოვსკის პოეზიის კეთილნაყოფიერი ვავლენას, განიცდიდა მას სამედ ვერდენიც შემოქმედებითი შემოაბის დასაწყისიდან. უღრმესი მადლოვრების გრძნობით ლამარაკობს პოეტი მაიაკოვსკის შესახებ, როგორც თავის მასწავლებელზე, როგორც აზერბაიჯანის პოეტთა ახალი თაობის მავზურსა და დამრიგებელზე.

სამედ ვერდენის შემოქმედებაში ახალ ნაბიჯს წარმოადგენდა მისი ლექსების მეორე კრებული „ლამპარი“ (1932 წ.). ამ წიგნში შესული ლექსები, თვითონ ავტორის ილიარებით, გარდატეხის პერიოდისაა. ვერდენი თითქმის პირველად აღბარაკდა ამ ლექსებში სავეებით ნათელი და მკაფიო ენით, პოეტის ხმა დავაკეცდა, აბლისდამი გრძნობა შესამჩნევად მახვილი ვახდა, ვაბედული ვახდა მისი პოეტური ფიჯის მონასმში. ამ ლექსების ციკლიდან გამოირჩევიან „პატაკი“

„ლამპარი“, „როტ-ფონტი“, „ოქტომბრის დღეები“, „პოეტის ხმა“. პირველი ორი ლექსი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

„პატავი“, პოეტის თქმით, მიმართულია უშუალოდ რევოლუციის პევემონისა და საზოგადოების ვივეთარების წამყვანი ძალის მუშათა კლასის მიმართ. ლექსი „ლამპარი“ მოძღვნილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი, იგი გამსჭვალულია მთელ მსოფლიოში კომუნისმის გამარჯვებისადმი ურთველი რწმენით.

„ლამპარის“ შემდეგ თანმიმდევრულად გამოდის კრებულები: „გულის წიგნი“ (1934) „ლექსები“ (1935), „თავისუფალი შთაფანება“ (1939), „ბედნიერების სიმღერა“ (1940). პოეტი ქმნის შესანიშნავ ეპიკურ ნაწარმოებებს — პოემას „აზერბაიჯანი“, „კომკავშირულ პოემას“, „სიტყვა კოლმურერ ქალ ბასტის შესახებ“, „26“, დრამებს ლექსად, როგორცაა „ვალფი“ „ხანლარი“, „ფარხადი და შირინი“.

სამედ ვერდუნის ყოველი ახალი ნაწარმოები თამაზად იჭრება ცხოვრებაში, ყოფაში და აბიტრამ მკვიდრდება ხალხთა ფართო მასების შეგნებაში.

ვერდუნის ლექსებს იღვრს სიღრმესთან ერთად თანა სდევს ბრძნული უბრალოება. პოეტი დაუღალავად იბრძოდა ლიტერატურული აზერბაიჯანული ენის სისადავისა და სიმშინდისათვის. მაგრამ ს. ვერდუნის ამ უბრალოებას არაფერია არა აქვს საერთო გაუბრალოებასთან, ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ავიატებულ გაღარბებასთან. პირიქით, იგი მოდის აზრის სიმდიდრედან, მისწრაფებიდან, რაც შეიძლება სრულად მიიტანოს იგი მკითხველის შეგნებაში. „ჩვენ ენაში ვეძებთ ხალხურ სულს, ხალხურ აზროვნებას. მავალითისათვის შეიძლება ვაგრძნოთ აზერბაიჯანის დიდი პოეტი ფიზული... რატომ კითხულობს ხალხი ოთხხას წლის მანძილზე მის ლექსებს ზეპირად? იმიტომ, რომ მის ლექსებში ცოცხლობს ხალხის სული“ — წერდა ვერდუნი.

ადვილად არ მოუპოვებია პოეტს ეს სისადავე. ამას მან მოაღწია დაუღალავი შრომით, კლასიკოსების მდიდარი მემკვიდრეობისა და ზეპირი ხალხური შემოქმედების ღრმა ათვისების შედეგად. არაფერს ვამბობთ იმ დიდი სკოლის შესახებ, რაც იყო პოეტისთვის ყოველდღიური სიხალდე და კავშირი მშობლიურ ხალხთან.

სამედ ვერდუნის თვითრულ შეხედულებებს ენის სისადავის შესახებ მთლიანად შესესაბამება მისი მხატვრული პრაქტიკა. „სისადავე ჰუმბარატიების მშვენიერებაა“ — ბელენსკის ეს სიტყვები საუკეთესოდ აბსაბობებს სამედ ვერდუნის პოეტური სისადავის ფილოსოფიურ აზრს.

ვერდუნი რეალისტური პეიზაჟის დიდი და ფაქიზი ოსტატი. სამშობლოს ბუნების სურათების ხატვისას იგი ვერდუნის როგორც მიაღწარდევნებასა და „ემპირიაში ნავარს“, ასევე გატყბილებულ ნატურალისტურ აღწერილობას.

ამასთანავე, მთელ თავის რეალისტურ უტყურობასთან ერთად, ვერდუნის პეიზაჟი გამოირჩევა რომანტიკული სილიაით. „სიტყვებისა, როგორცაა „მშობლიური მხატვრობა“ „გულსდებულა და მე“, „სამურ-ჩაი“ ვერდუნი აღწევს ჰუმბარატი პოეტურობას ბუნების აღწერაში და, ამავდროს, გამოსახულების განსაკუთრებულ რეალისტურობას.

ხალხის შემოქმედებითი შრომა — დაუშრეტელი წყაროა სამედ ვერდუნის შთაგონებისათვის. იგი უმღერის ბაქოს მენავთობეთა შრომითს წინსვლას, კოლმურერობის ყანებში მოშეშავით. ვერდუნის შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანის შრომის თემა. ამ თემისადმი მიძღვნილი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსთაგანია „ლოპატონი“. ამ პოეტი მიმართავს ორიგინალურ მხატვრულ ხერხს: იგი ფიქრით ესაუბრება მიწის წიაღში დამალულ „ციცხლს“ ნავთობს. და თითქოს პოეტის კითხვის სიხალხოდ მის თვალწინ იშლება წარსულის შავნელი სურათები. ის-ის იყო დაიწყო ნავთობმა გამოიყენა მიწის წიაღიდან, რომ აღწერონზე აღმოჩნდა შტაყებულთა სისხლთან თათი, საერთაშორისო ავანტიურისტთა კლანჭები და „ბურღილიანი ტურის კვილი შეუერთდა ლონდონის ლამის ღრისს“. ნავთობი კი არ დამოჩნდა მტრების ძალს, წავიდა და დამილა შორეულ წიაღში...

ვერდუნის შეხსენებაში ცოცხლებდა გმირული ისტორია სამოქალაქო ომისა აზერბაიჯანში, სურათები ხალხის ერთგული შეიღების ბრძოლებსა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ — მესაუბრელების ნაციონალისტური კონტრრევოლუციური პარტიის დაწყებით, რომელსაც მეთაურობდა ბაქოს დირექტორია, მის მფარველ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებამდე, ოცდაექვსი კომისრის მკვლელობამდე.

პოეტის სევედა იცვლება სიხარულით, როდესაც იგი გადადის თავისუფალი შრომისა და საყოველთაო სახალხო ბედნიერების სამყაროში, ახლა ნავთობი უნდა ემსახუროს ბედნიერების შემქმნელებს. იგი სტირდება ხალხს, შრომელ ხალხს, და პოეტი ამ ხალხის სახელით მიმართავს შვე ოქროს და მოუწოდებს, ამოვიდეს იგი მშობლიური მიწის, აღწერონის მიწის ზედაპირზე, ამოვიდეს, რათა მისცეს სიმძლავრე ახლის მშენებლებს, სოციალისტური ქვეყნის მშენებლებს.

შეგნება იმისა, რომ დედამიწისა და მშობლიური ბუნების მთელი დოვლათი ეკუთვნის შრომელ ხალხს, აფრთხილებს პოეტს. მის სულს პატრიოტული სიამავე ეუფლება, როდესაც უყურებს კოლექტიურ მინდერებზე მოშეშავთ, რომლებიც ეგებებიან ახალ ცხოვრებას, შეაქვთ თავიანთი წვლილი, ამღვევენ განახლებულ მიწას, რათა გადააქციონ იგი ხალხის დოვლათიან ბედლად. მას ახარებს ბაღების ღიმილის პლანტაციების, ჩაის ბუჩქების ყვავილობა. ეს ყველაფერი ხომ საყოფია იმ უბრალო შრომელი ფაბრი-

ანის ხელებისა, რომელიც თავისი შიშა-წელის და ყოველი მისი სიმდიდრის ბატონ-პატრონი გახდა.

რახედაც არ უნდა ეწერა ვერლენს, რომელი თემისათვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველგან ვადმოჩქეფდა მისი სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალისტადმი ჩვენი თვალსუფიერი ქვეყნის შესანიშნავი ხალხისადმი. ამ სიყვარულის გამო საბჭოთა აღმავლების სახეები პოეტის ნაწარმოებებში ისეთი ძლიერების ზემოქმედებას იწვევენ, რომ ისინი თითქოს ჩვენს ცხოვრებაში შემოდიან, ჩვენთვის ახლობელნი და ძვირფასნი ზნებიან. ასეთებია ლეილა, ბასტი, ვიხ-სინიში ამავე სახელწოდების ნაწარმოებებში ისრაფილი („აზერბაიჯანის შვილს“), კამალის „გვირის თავდადება“ და მრავალი სხვა.

„სიტყვა კალმურენე ქალ ბასტიზე“ ერთ-ერთი ამ ნაწარმოებთაგანია, რომელშიც პოეტმა წააქოვა საბჭოთა აღმავლისადმი სიყვარულის მთელი ძლიერება. ბასტის სახე გამოხატავს მშრომელი აზერბაიჯანელი გლეხობის, თავისუფალი აზერბაიჯანელი ქალის ყველაზე საუკეთესო და კეთილშობილურ თვისებებს.

პოეტი თავისი გვირი ქალის სახეს ხატავს კონტრასტულად. ჯერ ბასტი რევოლუციამდელი აზერბაიჯანის უფლებო ქალია, მისი ტრადიციული ბედ-იღბლით, მისი მძიმე და წყევლილი მოცული ცხოვრებით. მძიმე იყო ბასტისა და ითანობი მის მსგავს ნიუიერ ქალთა ბუდი რევოლუციამდელ აზერბაიჯანში, ისინი იძულებული იყვნენ გულში ჩაეკლათ სულიერი ძალა, განდგომოდნენ ცხოვრებას.

რევოლუციამ სიხარული და ბედნიერება მიანიჭა აზერბაიჯანის ქალს, სამუდამოდ გაანთავისუფლა იგი მონობის უღლისაგან, მუსლიმანური რელიგიისა და შარიათის ჩაგვისაგან. იგი საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრი გახდა, მთელი თავისი ძალ-ღონე და უნარი მოახმარა ახალი, სოციალისტური ქვეყნის მშენებლობას, მოიპოვა კეთილი და დიდებული სახელი და ახალ ბასტი სოციალისტური შრომის გვირია, ხალხის რჩეულია — ისიც უმაღლესი სამშობლის დეპუტატია, იგი ცნობილი ადამიანია არა მარტო მის სამშობლო აზერბაიჯანში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

სამედ ვერლენის პოეზია ხალხურია სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით...

ამ ხალხურობის წყაროს წარმოადგენს მის პირი საბჭოთა აღმავლების ცხოვრების, მათი გრძნობების, ოცნებებისა და იმედების ღრმა ცოდნა. ვერლენის ხალხურობა ემყარება ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას, უღრმეს გრძნობას. „მე გვევლი სიტყვას არა დეკლამატორისათვის. ხალხისაგან ვიღობ მის, რათა ხალხისათვისეც დამებრუნებინა, — წერს ვერლენი. ვერლენის ხალხურობა — ეს არის ხალხისაგან დაკისრებული მისიის მნიშვნელობის უღრმესი შეგნება.

თავისი ხალხის გრძნობებთან და აზრებთან სამედ ვერლენის ორგანული კავშირის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს მისი დამოკიდებულება ფოლკლორთან. შემთხვევითი არის, რომ მის პოეტურ პრაქტიკაში იგი ემყარება ხალხურ შემოქმედების სიმდიდრეს.

ზეპირი ხალხურა შემოქმედების მოტივებზეა დაწერილი ვერლენის ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორცაა „ვახ. ვაისი“ („ქალწულის კლდე“) („ასლან გეასი“) („ასლანის კლდე“), „ლეგენდა ხმლის შესახებ“, ხალხური პოეზიის ნამდვილი სულისკვეთებითაა გამსჭვალული ლექსები „მოვილაპარაკებთ“, „ამულ-ძმობის“, „გვიხსენე“ და მრავალი სხვა.

ზეპირი ხალხურ შემოქმედების ტრადიციები მჭიდროდაა აქ გადახლართული წერილობითი ლიტერატურის ტრადიციებთან. ვერლენი ისევ შორსაა ფოლკლორის ბრძაღ მიმამძველობისაგან, როგორც ყოველი ჯერის სტილიზატორისადაც. პოეტი ზეპირი ხალხური პოეზიის საკანძურად იღებს ფოლკლორულ მოტივებს და შემდეგ ამუშავებს მათ.

რევოლუციური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან ფოლკლორული მოტივების და სახეების გააზრებისას პოეტი ქმნის ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე აზერბაიჯანელი პოეზიის ნიმუშებს.

აზერბაიჯანის საბჭოთა პოეზიაში საინტერესო მოვლენაა სამედ ვერლენის ფილოსოფიური ლირიკა. უნდა ითქვას, რომ ეს თანა რუსთა არაა აზერბაიჯანის კლასიკური პოეზიისათვის. იმით სარგებლობდნენ ნიზამი და ნახიში, ფიხუღი და მ. ფ. ახუნდოვი. თავიანთი საუცხოო მხატვრული ნაწარმოებებით ისინი აღიოდნენ მათი თანამედროვე მოწინავე ფილოსოფიური აზროვნების სიძლიერედ. მაგრამ წარსულში ფილოსოფიური პოეზია ვერცერთ წარმოდგენილ პოეტურ-პოლიტიკურ პირობებთა გამო ზნობად ატარებდა პასიურ მკვრივებლობის ხასიათს. სამედ ვერლენი, ფილოსოფიური ლირიკის ფუძემდებელი აზერბაიჯანელ საბჭოთა პოეზიაში, რასაკვირველია, ამ ეანის იგი ანიჭებს სულ სხვაგვარ თავისებურებას. ეს, უპირველესად ყოვლისა, არის მკაფიოდ გამოხატული პოეტური ფილოსოფიური აზროვნების მკაფიოდ გამოხატული აქტიურობა.

სამედ ვერლენი ცდილობს ჩასწვდეს საცნობისად ბუნების მოვლენათა და საზოგადოებრივი ცხოვრების არსს. მას შეუძლია გამოიხატოს დიდი მოვლენები მკირეში, ისეთნაირად გააშუქოს ეს მკირე, რომ ჩვენ უმაღლვე შევიგრძნობთ მის იღვმალ აზრს.

ვერლენის ფილოსოფიურ ლირიკას არაფერი საერთო არაა ქმნის განყენებულ მორალურებასთან. პოეტი არასოდეს არ გვევლინება დამრიგებლის პოზიაში. ესაა ლირიკა — ნათელი, ცეცხლოვანი, სიცოცხლის დამადასტურებელი ოპტიმიზმის, ლირიკა დიდი და კეთილშობილი ადამიანური გრძნობებისა.

აქ შეიძლება დავისახელოთ მისი ისეთი ლექსები, როგორცაა „ჩინარის სეფი“, „ცხოვრების ფილოსოფია“, „ნაზამი“, „პოეტის სიყვდილი“, „გაზაფხული და მე“.

სამედ ვერდუნის ნაწარმოებები სოციალისტური პუნქციონის სულსკვეთებითაა გამსჭვალული. მასში ჩქეფს დიდი და მგზნებარე სიყვარული ადამიანისადმი. პოეტს მგზნებარედ უყვარს თავისი ხალხი. ამასთანავე, მისი პოეზია ინტერნაციონალურია. მეგობრობისა და ხალხთა ძმობის თემა — ესაა წამყვანი თემათაგანი მის შემოქმედებაში. ხალხთა ინტერნაციონალურ შემოქმედებაში იგი ზედღაც მთელი მშრომელი კაცობრიობის ბუნებრივი მიმავლის გასაღებს. ხალხისა.

ისეთ ლექსებში, როგორცაა „იოლ ოაშ, ინგურ, ამხანაგო“, „ბედნიერების სიმღერა“, „რუსეთის არმიას, საბჭოთა არმიას“, და სხვ. ვერდუნი უმღერის საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას.

ფიქრები მეგობრობაზე, ერთობაზე, ხალხთა კავშირზე, კავშირზე რომელიც არავის არ ძალუქს დაარღვიოს, პოეტში იწვევს აღტაცებისა და სიამაყის გრძობას.

ლექსში „ლენინი ცოცხალია“ პოეტი გამოთქვამს აზერბაიჯანელი ხალხის სიყვარულსა და მიღლოვების გრძობას დიდი ლენინისადმი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების სახელმწიფოს ფუძემდებლებისადმი.

ვერდუნს ესმის, რომ ძველი, დროშემწული თავისთავად არ ჭრება, თავის პოზიციას უბრალოდ უნდა არ თმობს. ამისათვის აუცილებელი დაკინებითი და შეუპოვარი ბრძოლა ჩვენს ცხოვრებაში ყოველი ახლისა და მოწინავეს დამკვიდრებისათვის, წყველი წარსულის გადმონათობის ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. შემოთხვევით არაღი უჭირავს ვერდუნის შემოქმედებაში სატირას მნიშვნელოვანი ადგილი, პოეტი უღმობლად ამბობს კარიერისტს, ბიუროკრატისტს, შეშინაობას, ეგოიზმს. პოეტის სატირული ლექსები, როგორცაა „კარიერისტი“, „ნაზი ჰალბატი“, „ჩოფურა ქაშაშის ერთადერთი კვებობა“, „პარაზიტი“, „პოეზია და ხალხურა“ და სხვა გამოირჩევიან თავიანთი მიზანდასახულობით, სიმკვეთრით, სიმხველით უღმობელობით.

როგორც პოეტი-სატირიკოსი, ვერდუნი აგრძელებს აზერბაიჯანის ლიტერატურის სოციალური სატირის კლასიკოსთა მ. ფ. ახუნდოვის, ჯ. მამედულოზადესა და საბირის კეთილშობილურ ტრადიციებს.

დიდი სამამულო ომის წლებში პოეტმა შექმნა ლექსების დიდი ციკლი, რომელიც თემატიკურად ომთან და საბჭოთა ხალხის გამართლ თავდადებებთან იყო დაკავშირებული. მათ შორის საუკეთესოა: „გმირის თავდადება“, „რუსეთის

არმიის“, „უკრაინის პარტიზანები“.

ლექსებში „ჩემი ცენი“, „მალაქი ცეცხლში“ „გმირის თავდადება“, „წითელი შეჯარღლება“ პოეტი აღიღებს მებრძოლებს, რომლებიც ვმარულ სასწაულებს ახდენენ ფრონტებზე და მამაც პარტიზანებს, რომლებიც სასიკვდილო ლახვარს სცემენ მტრებს ფრონტის ზაზს გადაღმა. სამედ ვერდუნი განსაკუთრებული სიამაყის გრძობით უმღერის შრომითი აზერბაიჯანის ხალხთა შეილების გმირობას — გენერალ აზი ასლანოვს, საბჭოთა კავშირის გმირს ისრაფელ მამედოვს, უშინარ პარტიზანს ბაბაშს, შრომითი ფრონტის სახელოვან გმირებს, ბასტო ბაგიროვს, ვაზხანოვს მანაა ქერიოვს და სხვ.

ს. ვერდუნის ამ წლებში ლექსები გამოხატავს აზერბაიჯანელი ხალხის ერთგულებას და თავდადებას შრომითი კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი.

ეს ლექსები გამსჭვალულია ურყევი რწმენით — საბჭოთა დემოკრატის ძალებისადმი, მისი გონებისადმი, პოეტს სწამს და სჯერა, რომ სიამართლიანი და სწორი საქმე ყოველთვის გაიმარჯვებს. პოეტი სრულად და ორმად ხსნის ჩვენ წინაშე მებრძოლების — საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცებისა და ოფიცერების მიღარი სულიერ სიამაყის, გვირგვინებს მათ სულიერ სიმტკიცეს.

... დამთავრდა დიდი სამამულო ომი. ხალხმა და პარტიამ ხელოვნებისა და ლიტერატურის წინაშე წამოაყენა ახალი ისტორიული ამოცანები. სამედ ვერდუნი ახალი შესანიშნავი ნაწარმოებებით ეხმარება ამას.

სამედ ვერდუნის ომის შემდგომი ლექსები ნაწილობრივ გამოცემულია ცალკე წიგნებად სათარით: „მოხალისის სიმღერა“ (1947), „მულანი“ (1950), „მე ვემღერ კომუნისტს“, (1954), ნაწილი ჩვენი პერიოდული პეისის ფურცლებზეა დაბეჭდილი.

ამ პერიოდის ვერდუნის პოეზიისათვის დამახასიათებელი ხდება ფართო ეპიკური ტილოები, დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობის თემები, ომის შემდგომი წლების ისეთ პოემებში, როგორცაა „მულანი“, „ხაზე დობაჩაკობს“, „სათევის მიდროში“ მთელი თავისი ძლიერებითაა გაშლილი ვერდუნის შესანიშნავი ეპიკური ნიჭი. ამასთანავე, იგი ქმნის პატარა-პატარა ლექსებსაც, ლირიკულ მინიატურებს. რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ადამიანების გრძობები და ფიქრები.

ვერდუნის ნაწარმოებები ომის შემდგომი წლების თემათიკური რკალი შედიან საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, აზერბაიჯანელი ხალხის გმირული წარსულის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის. ამხანა და მშვიდობისათვის ბრძოლის თემები. სოციალისტური შემოქმედებითი შრომის თემისადმი მიძღვნილი 1948 — 1949 წლებში დაწერილი პოემა „მულანი“. ამ პოემაში პოეტი მოკვებობს იმ ადამიანთა შრომითი გმირობის

შესახებ, რომელთაც მულანოს უსიციოცხო და უდაბურ ტრამალებზე შექმნეს კომუნისზის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა — შინგეჩურის ჰიდროელექტროსადგური.

პოემის გმირი სარვანი ასახიერებს მშენებელს, ახალი ცხოვრების შექმნის საუკეთესო სახეს. ის არაა ყალბი ანდა ვაშლიანი სახე. სარვანი შვიდროდაა დაკავშირებული საბჭოთა დამაინებთან. სარვანის ბედი — ესაა ბედი აზერბაიჯანელი ხალხისა, რომელმაც ბედნიერება პოვა თავისი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავისივე ძალიან შრომით.

სამედ ვურლენის ომის შემდგომი პერიოდის ნაწარმოებში დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს მშვიდობისათვის ბრძოლის თემას. ამ თემისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოემა ვურლენისა — „ზანგი ლაპარაკობს“, დაწერილი ვროსლავში კულტურის მდივანეთა მსოფლიო კონგრესის შთაბეჭდილებებით (1948 წ.) იგივე თემა უდევს საფუძვლად ვურლენის ანტი-იმპერიალისტური ლექსების ციკლს, 1952 წელს რომ დაიბეჭდა „ევროპული მოგონებების“ სათაურით.

პოემა „ზანგი ლაპარაკობს“ გამოირჩევა თანამედროვეობის მძაფრი გრძნობებით, გმირული პათოსით, მგზნებარე რევოლუციური ტემპერამენტით. პოემის გმირის — ზანგი მხატვრის პირით ლაპარაკობს მრავალტანჯული ზანგი ხალხი, რომელმაც თავისთავზე გამოსცადა იმპერიალიზმის მონობის მთელი სიმძიმე და დამტკბება. ეს ზანგი — ტრიბუნი შეგნებული და აქტიური მებრძოლაა თავისუფლებისა და მშვიდობისათვის. ტყელად როდი მიიპარო პოეტის ურადლება ამ ხანგმ. სამედ ვურლენი დიდ, ნათელი და ძლიერი ხასიათების პოეტია. მისი გმირი აღსავსეა მომავლისადმი უდრეკი რწმენით. თანაც, მთელი პოემა გამსჭვალულია მისი რწმენით, რომ შორს არაა ის დღე, როდესაც ჩაბრული ხალხები სამარადემოდ განთავისუფლდებიან მონობის უღლისაგან, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღება კოლონიალიზმის სისაძვლეს.

ძალზე ძლიერი და მკვეთრია სატირული ხაზი პოემისა. ეს ფართო სოციალური სატირა უღმობელი რისხვის და მარჯვე პოლიტიკური დერტების სატირაა. პოეტის ზნა აქ თითქმის უტრთლება ზნას მილიონებისას, რომლებიც შოთხოვენ, პასუხი აგონ ომის გამაჩლიბლებმა. პოემა „ზანგი ლაპარაკობს“ აშკარად ეხმარება მთავრობის პოეზიას, მის ცნობილ პოემას „მთელი ხმით“.

„მთავრობისაგან ნაყოფიერი სწავლის, ყველაზე დამაჯერებელ საბუთს, — წერს იგი, — ჩემთვის წარმოადგენს ახლახან დაწერილი პოემა „ზანგი ლაპარაკობს, რომელშიც მე ვაშხელ ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებს. ეს ნაწარმოები არა მარტო ეხმარება მთავრობის ცნობილ ლექსებს ამერიკისა და დასავლეთ ვე-

როპაზე, არამედ მთელი თავისი სტლისკეებებით სოციალური თემის მხატვრულად დამუშავების პრინციპით მთავრობის მებრძოლი მარტიული პოეზიის მონათესავეა“ (სამედ ვურლენი, „სწორება მთავრობისათვის“; „დრუება ნაროდოვ“. № 2, 1950 წ.).

ვურლენის ანტიიმპერიალისტური ლექსების ციკლი, რომელიც გამოქვეყნდა „ევროპული მოგონებების“ სახელწოდებით, იღვერად და თემადიქურად ენათესაება „პოემას“ „ზანგი ლაპარაკობს“. ისეთ ლექსებში, როგორცაა ლონდონელი დედაბერი“, „პანკეტი“, „ედუარდ მანეს სიკვდილი“, ვურლენი აშხელ იმპერიალიზმს, რომელიც ძარცვავს ხალხებს და ადგენს სისხლიან გვეგებს ახალი მსოფლიო სასაკლასათვის. ეს ლექსები მოწმობენ სიფხიზლისაყენ. მთელი ძალადან შესამკვიდროებლად, მშვიდობისათვის საბრძოლველად, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

„ევროპული მოგონებები“ დაწერილია აგრეთვე მთავრობის ტრადიციებით, შვგამ მასში არაა მიმხამელობის ნიშანწყალიც კი. ისინი განუშეორებელი. აირინ. ეს პატარა-პატარა ლირიკული ლექსები დიდ აზრებს და გრძნობებს შეიცავენ. ისინი გამოხატავენ დიდ სიმართლეს.

მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლა — ესაა სამედ ვურლენის ომის შემდგომი პერიოდის შემოქმედების წამყვანი თემა. მისი შესანიშნავი პოემა „საუკუნის ედროში“ წარმოადგენს კაცობრიობის პიზნს კავიტალისტური მონობის ბოროტებიდან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მისი „სამხრეთული ლექსები“, „მე-20 ვახფხელი“, „დაშვარი წიგნება“ და „ხედის ოცნება“ ცოტად თუ ბევრად გვერდში უდვას ამ წამყვან თემას. ვურლენის ამ და სხვა მრავალ ნაწარმოებს ახასიათებს ლირიკული და ეპიკური საწყისთა თანმთავანება, სოციალური და პირადი თემების სრული შერწყმა.

ვურლენის ვაყაყერი და ხალისიანი პოეზია თანდათან ძლიერებით ატრება საბჭოთა დამაინების ცხოვრებასა და შეგნებაში, აყენებს თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან და აქტიურ საკითხებს.

1938 წლიდან სამედ ვურლენი იწყებს მუშაობას დამატურგის დარგში. მის კალმს გვერდის ამ ფარის ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, როგორცაა „ვალდი“, „ზანლაი“, ფარხადი და შირინი“. ვურლენმა განაგრძო და ვანავითარა აზერბაიჯანული საბჭოთა დრამატურგის ფუძემდებლის ჯაფარ ჯაბარლის მიღწევები.

სამედ ვურლენმა დრამატურგიაში აირჩია ყველაზე ძნელი და რთული გზა — გალქსილ დრამის გზა. მომდგენი წლებში დრამების ლექსებად წერა სხვა ჩვენმა პოეტებმაც დაიწყეს. ვურლენის დრამატული შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს სახალხო-კომიკური დრამა „ვალდი“, რომელიც მიეძღვნა მე-18 საუკუნის

დიდი აზერბაიჯანელი პოეტის, ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის — მოლა ფანახა ვალაფის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს ღრამა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია არა მარტო აზერბაიჯანელ, არამედ მთელ საბჭოთა დრამატურ-გიაში. იგი თარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე და ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში.

„ვალიფი“ მოგვითხრობს ხანებისა და უცხო-დამპყრობთა წინააღმდეგ აზერბაიჯანელი ხალხის ვაჟკაციური და თავდადებული ბრძოლის შესახებ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. პიესა ეხება აზერბაიჯანის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს მე-18 საუკუნეში, როდესაც ქვეყანა დაქვემდებარებული იყო მრავალ პატარა ფეოდალურ სამფლობელოდ. სისხლისაგან იცლებოდა სამფლობელოებს შორის დაუსრულებელი ბრძოლებისაგან, ინგურთა და ნადგურთაგან აზერბაიჯანელი ხალხის დაძვინტეული მტრების ირანის სატრაპებისა და თურქეთის დამპყრობთა ბარბაროსული შემოსევებისაგან.

ამ ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენები დაედო საფუძვლად „ვალიფს“.

ღრამა „ვალიფი“ წარმოადგენს მეცნიერული აზროვნებისა და მხატვრული გემოვნაგონის რეალიზმისა და ფანტაზიის შესანიშნავ სინთეზს. ყველა ფაქტი და მოვლენა ამ ნაწარმოებში ასახულია ეპოქის კლასობრივი წინააღმდეგობების, აზლისა და ძველის ბრძოლის პრიზმაში. თავისი დროის ამ მოწინავე ტენდენციებისა და იდეების მტარებელს წარმოადგენს სწორად ვალიფი პიესაში. ესაა ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე და გამოჩენილი პოეტი-მოაზროვნე, მისი აშუღურ სიმღერებად დაწერილი შესანიშნავი ლექსები აქამდე შეპირად იციან აზერბაიჯანის უფელ კუთხეში.

ვალიფის მსოფლმხედველობის არსი მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სახე მთელის სისახლით გამოსჭვივის მის დამოკიდებულებაში უბრალო ადამიანებისადმი, მშრომელებისადმი.

ვალიფის სახე მოცემულია მოქმედებაში, განვითარებაში, თავდაპირველად ვალიფის ბრძოლა ატარებს პირად-ეპიზოდურ ხასიათს, იფარგლება წერილობით, უმნიშვნელო შეტაკებებითა და კონფლიქტებით. მაგრამ თანდათან იმსჭვალება იგი სოციალური და პოლიტიკური შინაარსით. ვალიფი სასტრეჟად ილაშქრებს ყარაბახის ხანის წინააღმდეგ, ამ უწყალო მიჯვერებისა და მშრომელი ხალხის გამველევის წინააღმდეგ, უყაყმანოდ დგება დაიჯარულების მხარეზე და გახედულად იცავს მათ ხანების თვითნებობისაგან.

საინტერესოა აგრეთვე პიესის მეორე გმირის — აზერბაიჯანის მე-18 საუკუნის გამოჩენილი პოეტის, ვალიფის თანამედროვის და უახლოესი მეგობრის — ვილადის სახე.

აჯანყების მეთაური ელდარი გამოდის პიესაში როგორც დაიჯარულ და უფედებო გლეხთა

ფართო მასების წარმომადგენელი. იგი ღარბი და უსახლკარო, მაგრამ ამაყი, უმნიშვნელი და ღირსეული მებრძოლია.

ბრძოლის პროცესში ყალიბდება ელდარის ხასიათი, იზრდება მისი შეგნება, იჭრითობა ნებისყოფა. უბრალო გლეხი ხდება პოლიტიკური მოძრაობის ზეღმქმანელი, ხალხთა მასების წინააღმდეგი და ამ მთელი სისრულით იშლება მისი მდიდარი, გონიერი ბუნება — ბუნება ადამიანისა, რომელსაც შეუძლია ჩიდიწის გასაოცარი გმირობა და სიმამაცე, როდესაც ამას ხალხის ინტერესები მოითხოვს.

პიესაში გამოკვეთილია ნაწიენები ვალიფის მეგობრობა ელდართან, ქურთ შესასთან, თეამერთან, ყურბანთან მშრომელი გლეხობის სხვა წარმომადგენლებთან. და ეს მეგობრობა წარმოდგენს პიესის ერთ-ერთ შინა დამატურავულ ქანქის, რომელიც ავითარებს სიუჟეტს.

ისტატურადაა გამოკვეთილი სისხლისმწეული დესპოტისა და ჯალააის შამ კაჯარის სახე, რომელიც ვალიფის ნათელი სახისა და დრამის მთელი იდეებით კონცეფციის საწინააღმდეგეა.

ქმნიდა რა ამ სახეებს, სამედ ვერლენი არ წასულა უმცირესი წინააღმდეგობის გზით, ე. ი. განგებ რადიკალურად ებრძოდა უარყოფითი გმირების ხასიათი, მათი გარეგნულ სახე. კაჯარის სახე იხსნება მოქმედებაში. ზვენ ვხედვით, თუ როგორ ღრამად შეიკრა მის გონებასა და სულში კაცობიძელება, სიმკაცრე, ვერაგობა. ეს ამოძრავებს მის ყოველ ნაზრებს და საქმეს, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ადამიანებთან.

სამედ ვერლენმა ისტატურად ააგო თავისი ღრამა, ერთ კომპოზიციურ ღერძზე თავი მოუყარა მოქმედებას, მთელი ამბების მსვლელობას. თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ცალკეულ გეჰიანურებულ ადგილებს, არსად არაა დარღვეული ლოგიკური კავშირი ცალკეულ სცენებისა და ეპიზოდებს შორის, პიესის ნასჯი. მოიცავს არა ერთ და ორ სახეს, არამედ ყველა მოქმედ პარს.

სამედ ვერლენი დიდიანობის დიდი ისტატია, რაც გამოირჩევა ლაკონიურობით, უბრალოებით, იფორისტულობით.

„ვალიფი“ დაწერილია მშვენიერი ლექსით. იგი გამოირჩევა სამედ ვერლენის პოეზიის საუკეთესო თვისებებით, ამაღლებული პათოსით, ხალხიანი და მოქნილი სტრიქონებით...

1939 წელს ვერლენმა დაწერა რევოლუციურ-გმირული ღრამა „ხანლარი“. ესაა პოეტის მეორე გამარჯვება დრამატულ ეანრში. პოლიტიკური სიმხავილად და იდეური შინაარსი. ამ პიესას საბჭოთა დრამატურგის საუკეთესო ნაწარმოებთა გვერდით აყენებს.

დრამატურგის დიდი წარმატებაა პიესის მთავარი გმირის ხანლარ საფარალიფის სახე. აზერბაიჯანელი ხალხის შესანიშნავმა შვილმა განასახიერა ამ ხალხის ყველაზე საუკეთესო, ყველაზე კეთილშობილური სახე.

ხანარის მთელი ცხოვრება ეკუთვნოდა ხალხს, იგი ვერწირა მშრომელთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდ საქმეს. ხანარია აზროვნებს და გრძობს როგორც რევოლუციონერი, მისი ყოველი ნაბიჯი ცხოვრებაში ნაჯარნახეია რევოლუციის ინტერესებით. იგი ბრძოლაში შეუდრეკელია, არაფერს არ შეუძლია შეაჩუქოს მისი ჩქმენა რევოლუციის საქმის საბოლოო გამარჯვებასა და წარმატებას.

ხანარის ადამიანურია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უბრალო ადამიანი, ხანარის აზრით, ღირსია დიდი ბედნიერებისა. მაგრამ ეს ბედნიერება თავისთავის უფარდება ხელთ, ის უნდა მოიპოვოს. ამისათვის საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა — საბოლოო გამარჯვებამდე. ხანარის სიტყვა და საქმე ერთია. ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას იგი ახშარს მთელ თავის ძალღონეს, მთელ სიცოცხლეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

დიდი სიძლიერითაა დამერილი ხანარის დაკარგვის სცენა, რომელიც ნაქვენებია პოეტის შიგაროგორც რევოლუციის იდეებისადმი მუშათა კლასის, მშრომელი ადამიანების ერთგულების მკაფიო დემონსტრაცია...

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებში სამედ ვერლენი წერს შესამე დრამატულ ნაწარმოებს „ფარხადი და შირინი“. პოეტი ქმნის თავისებურ პოეტურ ვარიანტს, რომელაც ყველაზე პოეტურად იყო აზერბაიჯანში, და არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ესაა ფარხადისა და შირინის რომანტიკული ლეგენდა.

ნიხაში, ინდოელმა პოეტმა ემირ ხოსროვ დახლევა და უზბეკმა პოეტმა აღიშერ ნავოი ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ თავიანთ ნაწარმოებებში უკვდავყვეს ქვისმტეხელი ფარხადისა და ბარდინის ტურფა ასულის შირინის სახე.

სამედ ვერლენმა დაწერა დრამა „ფარხადი და შირინი“ ნიხაშის ამავე სახელწოდების პოემის პოტიკებზე. პოეტი ძველ ლეგენდას კითხულობს თანამედროვე პოეტის თვალებით, აძლევს მას ახალ სახეს, ახალ ელერადობას.

ვერლენი თავისი დრამის მოთვარ გმირად ხდის ქვისმტეხეველ ფარხადს. ეს სახე უძალვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ფარხადი—ესაა აზერბაიჯანელი ხალხის გმირული წარსული. იგი გვაფრთხილებს სვენ თავისი მახვილი ქუთია და ნიჭით, ნებისყოფის დაუშრეტელი ძალით, ადამიანებისადმი სიყვარულის ცეცხლოვანხეხებული დიდი გულთ. იგი მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს მონობის წინააღმდეგ. შე ჩემი ქვეყნის შვილი ვარ, — ამბობს ფარხადი, — მე შეცრა ჩემი ხალხის ძალისა“.

ფარხადი ხალხის გულისთვის მრავალ გმირულ საქმეს აკეთებს.

ფარხადის სიყვარული — გამაყთილწონილე ბელია, ამაღლებულია, იგი გვაფრთხილებს გმირობისათვის. ასეთი სიყვარული ათქვეცხლს ფარხადის ძალღონეს.

სამედ ვერლენი „ფარხადსა და შირინი“ ქმნის მონუმენტურ სახეს ხალხისას, რომელიც ხელშეხებულ და ფარულად მოქმედებს პიესის ყოველ სცენასა და ეპიზოდში.

სამედ ვერლენმა ბევრი რამ გააკეთა მხატვრული თარგმანების დარგში მან თარგმნა მშობლიურ აზერბაიჯანულ ენაზე ნაწარმოებები რუსული და მოჰმე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებთან. 1936 — 37 წლებში პოეტმა თარგმნა დიდი რუს პოეტის ა. ს. პუშკინის უკვდავი „მგვნი ონეგინი“. ამ თარგმანზე მუშაობა ვერლენისათვის წარმოადგენდა მისი პოეტური ძალების სერიოზულ გამოცდას. შე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვსწავლობდი და ვსწავლობ პუშკინისაგან, — ამბობდა ვერლენი, — მისი შემოქმედება ჩემთვის ყოველთვის წარმოადგენდა ოსტატობის დიდ სკოლას. თუკი პოეტი განიცდის პუშკინის პოეზისთან შინაგან სახლოვეს, თუკი მისი იდეალი და შემოქმედებითი სწრაფვა ემთხვევა პუშკინის პოეზიის იდეალსა და შემოქმედებისათვის სწრაფვას, თუკი მას სურთა და გულით უუყარს პუშკინი, მაშინ ამ სკოლას შეუძლია ბევრი რამ ასწავლოს მას. თუკი ასეთი შინაგანი კავშირი არ არსებობს, მაშინ ყოველგვარი სწავლა კარგავს მის შემოქმედებით მნიშვნელობას და იქცევა უსულთ, ბრამა, უპროფიცი მინამდევლობად.

შე ხელი მოკიდევ „მეგვნი ონეგინის“ თარგმნას იმიტომ, რომ რომანმა გამოკცა არა მარტო როგორც მკითხველი, არამედ როგორც პოეტიც ამ ნაწარმოების თარგმნამ ბევრი რამ მოძცა. ეს შე მოგვიანებით გავიგე მთელი სიცხადით და პასუხისმგებლობით. ამ თარგმანმა მოძცა შე ფართო მხატვრული შესაძლებლობა და მდიდარი პრაქტიკა „კომკავშირული პოემის“, „ვადიფის“ და „ხანარის“ შექმნის პროცესში“.

ამ ნაწარმოების თარგმნისათვის სამედ ვერლენს 1937 წელს მიენიჭა „პუშკინის მედალი“. დიდი ქართველი კლასიკოსის შოთა რუსთაველის ცნობილი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ წარმატებით თარგმნისათვის პოეტი დაჯილდოებული იქნა საქართველოს ცაკის საპატიო სიგელით.

სამედ ვერლენმა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ა. შ. გორკის ფილოსოფიური პოემა ზღაპარი „ქალიშვილი და სიყვლილი“ ვერლენის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი თარგმანი ფარსულიდან. მან თარგმნა მე-12 საუკუნის გენიალური აზერბაიჯანული პოეტის ნიხაში განჯელის უკვდავი პოემა „ლეილა და მეჯნენი“.

სამედ ვერლენი იყო არა მარტო გამოჩენილი პოეტი, არამედ აზერბაიჯანის კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღაწეც.



## პოეტური ენის შესწავლისათვის

პოეტური ენა მხატვრული ფორმის ის ძირითადი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა შეეროს გრძობათა და იდეათა საყაროში ღრმად შესვლისათვის. იგი უტყუარი ბარამეტრია ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კონცეფციის დადგენის, მისი შეხვედრით-აღზრდლობითი და ესთეტიკური ფუნქციის გარკვევის დროს. ამიტომ პოეტური ენის სრულყოფილ, საფუძვლიან ანალიზზე ზვერი რამაა დამოკიდებული. ზვენი გვინდა მივეთითოთ კვლევა-ძიების იმ ცალმხრივ ხასიათზე, რასაც ხშირ შემთხვევაში ზვენს სინამდვილეში აქვს ადგილი პოეტური შემოქმედების ენობრივი ანალიზის დროს.

ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები, რომლებიც პოეტურ ენაზე მუშაობენ, ხშირად ნაწარმოების ენობრივი მასალის ლექსიკური შემადგენლობისა და გრამატიკული წყობის გვერდის ავლით ეხებოიან ენის მხატვრულ წყობას (ტროპებს, შედარებებს, ეპითეტებს), იკვლევენ ნაწარმოების სტილს ამის გათვალისწინების გარეშე, რასაც თვითონ სტილი ეყრდნობა. ბოლო ენათმეცნიერები, რომლებიც შეეროს ენას სწავლობენ, ასევე ხშირად კმაყოფილებიან მისი წმინდა ლინგვისტური მიმოხილვით, ნაწარმოების ენობრივი მასალის ლექსიკური შემადგენლობისა და გრამატიკული წყობის ანალიზით, მხოლოდ იმის გარკვევით, თუ რამდენად სწორად, გამართულად წერს ავტორი, რა და რა მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებით ხასიათდება, დგას თუ არა გარკვეული ეპოქის საერთო-სახალხო ენის პოზიციებზე, იყენებს თუ არა დიალექტს, ეარგონს, არქაიზმებს, ნეოლოგიზმებს და სხვ. ყოველივე ამის გარკვევა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ როცა საკითხი მხატვრული ნაწარმოების ენას, პოეტურ ენას შეეხება, ეს სრულებით არ არის საქმარისი. პოეტური ენის ანალიზის დროს აუცილებელია ამის გარკვევა თუ რისთვის, რა მიზნით იყენებს მწერალი ამა თუ იმ სიტყვას, ტარტომ მიმართავს პროინციულიზმებს, არქაიზმებს, როცა მისი ბადალი სიტყვები მოიქმენება მელიტრატურა ენაში, რაკოჲ დასჭირდა მაინცადამაინც მოკრემული გრამატიკული კატეგორია და არა სხვა რომელი? და საერთოდ, რა მხატვრული ფუნქციის მტარებელია სიტყვა ნაწარმოებში, ამდენად სწორად, ადექვატურად გამოხატავს იგი საგანსა თუ მოვლენას და რამდენად აკმაყოფილებს შეთხვევლის ესთეტიკურ მოთხოვნებს? ერთი სიტყვით, საჭიროა პოეტური ენა განვიხილოთ იქნას, როგორც ფორმისეული კატეგორია, როგორც ამა თუ იმ შინაარსის გამოხატვის საშუალება. ყოველივე ამის გარეშე აუხსნელი დარჩება მხატვრული ნაწარმოების ენობრივ-სტილისტური მრავალგვარობა, მწერლის ენობრივი პოზიციისა საერთოდ.

ენობლია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რთულა, გავრცობილი, მრავალკიბიანი მეტაფორებისა და ჰიპერბოლებამდე მისული შედარებების გვერდით გვხვდება მთელი სისტემა მხატვრული სახეებისა, რომლებიც შეტად ახლოს არიან ზვეულუბრივ-მარტივ სასაუბრო ენასთან, ამის კარგი ილუსტრაციაა, ერთი მხრივ, 1146-ე სტროფი, რომელშია აც მთლიანი მეტაფორიზაციის გზით გადმოცემულია ნესტანდარეჯანის ტირილი და, მეორე მხრივ, 878-ე სტროფი — ავთანდილისაგან ტარიელის მიმართ ნათქვამი იგავი, რომელიც სადა, მარტივი ენითაა შესრულებული. 1146-ე სტროფი:

შინა შევიდი, მას წინა ედვის ცრემლისა  
გუბები,  
შვიან მელნისა მორვესა ეუარის ვიშრის  
შუბები,  
მელნისა ტბათათ იღვრების საცხე სათისა  
რუბები,  
შუა ძოწისა და აყიყისა სვერის მარგალიტი  
ტყუბები

878-ე სტროფი:

ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა რამან  
შეგქმნა ტანად, პირად?  
მიიკირს, რად ხარ ეკლიანი, პოვან შენი რად  
არს ჰირად?  
მან თქვა: ტყბისა მწარე ჰპოებს, სჯობს  
იქმნების რაცა ძვირად;  
ოღეს ტურფა გაიფუდეს, არღარა ღირს  
არცა ჰირად.

ეს ენობრივ-სტილისტური სხვადასხვაობა მოცემული შინაარსითაა გამოარბებული. ერთმანეთისაგან ასე დიდად განსხვავებული მხატვრული სახეები რუსთაველს გენაღური სიზუსტით აქვს გამოყენებული განსხვავებულ განედნათა, სიტუაციითა გადმოსაცემად.

ნესტანის სიღაზიზითა და მისი „გაუწყვედილი ტირილით“ გაკვირებული ფატმანის მეტყველებითაგან სრულად ბუნებრივი ზემომოყოფანი-

ლი სტროფი: „შინა შევიდო...“, რომელშიაც კარგადაა გამოხატული როგორც ნესტანის გარეგნული სიმშვენიერე, ისე მისი მძაფრი სულიერი მდგომარეობა და ბოლოს ფატმანის განცვიფრება ირავე ამ მომენტით. გარდა ამისა, ისიც საველი-სხმოა, რომ ფატმანისათვის ამ მეტად უცნაურ და დიდი შთაბეჭდილების მომხდენ ამავსე იგი უყვება უცხო ადამიანს (ავთანდილს), რომლის მიმართ ვაკეველი სიმპათიები აქვს და რომელიც, როგორც ფატმანი დაწმუნდება, ძალზე დანტერესებულია ამ ამბით, ყოველივე ამან განაპირობა ზემოთაღნიშნული სტროფის მაღალი მერტორული სტილი.

მეორე შემთხვევაში სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: ავთანდილი მინდორში ნახავს გონწყვეტელ ტრაიელს, მოასულიერებს მას და რჩევა-დარიგებებს აძლევს. ავთანდილის მთელი საუბარი ტრაიელთან, რომელშიაც შედის ზემოთ-მოტანილი იგავი ვარდზე, მეტად კონკრეტული და საგანობრივია და ამის შესაბამისად მარტივი ენითაა შესრულებული. თავისთავად ცხადია, საუბარი ადამიანთან, რომელიც ეს-ეს არის თავისი გრძნობაზე მოვიდა, შეუძლებელი იყო ისეთი რთული მხატვრული სახეებით, როგორიც ფატმანის ნათქვამისთვისაა დამახასიათებელი.

ამავე თვალსაზრისით სანტერესია ნ. ბარათაშვილის „მერანი“. „მერანის“ პირველი სტროფები, სადაც მხედარი თავის მერანს მიმართავს, სხვა მხატვრული პრინციპითაა შესრულებული, ვიდრე ლექსის მომდევნო ნაწილი. დასაწყისში ავტორის თბობა მშვიდი და ეპიკურია. თავგანწირული მხედრის დაუდგროველი სიბოლა უსაზღვრო სიფრცხილი, რაც ჩვენ ასე გვაღელვებსა და გვაოცებს, მისთვის, როგორც ჩანს, წვეულებრივი და უბრალო ამბავია, იგი კარგა ხანია შეეჩვია ამას, შეურაცხა თავის ბედს („რაა, მოეშარდე ჩემსა მამულსა“), ამიტომ პოეტის თბობა ლაღი და გაშლილია და იგი ნახულობს დროსა და საშუალებას მხატვრული საქაულებების გამოყენებისა:

მირბის, მიამფრენს უგზო-უკელოდ ჩემი  
მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყოჩანი!  
ანდა:

გაკვეთე ქარი, გააბე წყალი,  
გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაფრცხლე--

ან კიდევ:  
კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი,  
მიეცე ზღვის ღელვას  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გაფერვას  
ლტოლვას!

ამ ნაწევრებში ეპითეტებისა და მეტაფორების გარდა გამოყენებულია პოეტური სინტაქსის მთელი რაიგი სახეები: გრადაცია, ვაიორობა, რიტორული შეჭახება, ანტითეზისი და სხვ.  
როცა ბარათაშვილი ლექსის ახალ, განსხვავებულ

ბუნ შენაარსზე გადადის, როცა იგი გვესაუბრება თავის ტრაგიკულ ხვედარზე, სასიკრცხლო იდეალებზე, თბობა უღარესად ენერგიული, დამბული და კონდენსირებულია. აბარს რჩება ადგილი სიტყვების სამკაულებსათვის. მას შეეძლო მხოლოდ შეეფერებინა აზრის მდღევარე დინება, ამიტომ სტრიქონიდან „ნუ დავიშარხო ჩემსა მამულში“ ლექსის ბოლომდე (რეფერენის გამოკლებით) იშვიათად თუ შევხვდებით სიტყვიერ საქაულს ამ ფიქტურულ გამოთქმას:

ცუდად ხომ მიინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მიანც დარჩება;  
და ჩემს შემდგომად მომესა ჩემსა  
სინძელე გზისა ვაუადგილდეს,  
და შეუბოვრად მის ჰუნე თვისი  
შავის ბედის წინ გამოქტროლდეს!

ამრიგად, ბარათაშვილს მკაცრად აქვს განსაზღვრული ღრე და ადგილი მხატვრული საღებავების გამოყენებისა. იგი ლექსის შინაარსსა და მიზანდასახულებას უფარდებს ყოველ სიტყვას და გამოთქმას; ლექსის იდეური შინაარსი არის განსაზღვრული მისი პოეტური ენის რავგარობისა.

პროფ. ა. შანიძე თავის გამოკვლევაში ნ. ბარათაშვილის ენის შესახებ საპართლიანად მიუთითებს, რომ ბარათაშვილის პოეზია არაა მთლად ერთგვარი ენობრივი ნიშნების მატარებელი, რომ ზოგიერთი მისი ლექსი უფრო მსუბუქი ენით არის დაწერილი, ვიდრე უმეტესობა მისი ნაწარმოებებისა.

ამის განსაკუთრებით მკაფიო მაგალითია ლექსი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, რომელიც შესრულებულია მარტივი, სადა, ხალხური ენით და ამ მხრივ გამოირჩევა ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში, სინიშნოდ:

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,  
ქალო შეთვალედიანო,  
ღღისით მწვე, ღამით მოთვარევე,  
წყნარო და ამოდ ხშიანო.

ისმება საკითხი, რამ განაპირობა ამ ლექსის ენობრივი სიმსუბუქე და სისადავე? რატომ დაუშვა ბარათაშვილმა ასეთი გამოწყალისი? საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ბარათაშვილმა გამოწყალისი დაუშვა არა მარტო ლექსის ფორმის მიმართ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი შინაარსის მიმართ. ეს ერთადერთი შემთხვევაა ბარათაშვილის პოეზიაში, როცა გამოყვანილია ხალხის შეფრთხილავებული, ვინმე ლაბობი, მდამობო, „სოფლისა მუშა საწყალი“. გადმოცემულია მისი ფიქრები, განცდები. მოვლენები დანახული უშუალოდ მისი და არა ავტორის თვალთახედვით. ამ შემთხვევაში ბარათაშვილი ვარდასახავს აბდენს

და თავისი გმირის პირით საუბრობს მკითხველის წინაშე. ამ განსხვავებულმა შინაარსმა განაპირობა ლექსის განსხვავებული ფორმაჲც, კერძოდ, მისი ენობრივი თავისებურება. ხალხის წარმომადგენლის განწყობილებათა გადმოსაცემად ძალზე შეუფერებელი იქნებოდა ის „მძიმე ენა“, რაც საერთოდ დამახასიათებელია ბარათაშვილის პოეზიისათვის, ამიტომ ავტორი ამ შემთხვევაში ხალხური პოეზიისაგან „სესხულობს“ ხმას, ფორმას. მაიკო ორბელიანისაგან ვაგზავნილ წერილში იგი წერდა: „აი ამ ქართულ ლექსს (იგულისხმება „მადლი შენს ვამჩნეს“, ავ. ხ.) ვაგზავნი მდამბურად დამერილს, როგორღაც ფიქრში მამოვალა — მე ვარ და ჩემი ნახადი, იმის ხმაზედ“.

აზრივად, ლექსის შინაარსობლივმა მხარემ განსაზღვრა მისი ენობრივი სისადავე. გმირის მეტყველება შეფარდებულია თვით გმირის შინაგან ბუნებასთან. ამ პრინციპს ბარათაშვილი არც სხვა შემთხვევაში ღალატობს. ლექსში „ქეთევან“ საოცარი ზღვარია დადებული ავტორისა და გმირის მეტყველებას შორის:

ავტორი:  
 ზეპირთბი მოდუღუნებენ,  
 ქალები ბუნქნარობენ,  
 ხშირნი ღამათა კიდეთა  
 მჩქვდრად მდინარის ქნისათა.  
 ნეტა რა ქარმან დახრო  
 მისის სიცოცხლის ყვევილი  
 და სხვ.

ქეთევანი:  
 თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი,  
 მე შენი ვარ საუცნოდ,  
 სიყმაწვილეს რად მიღვინდი  
 თუ მოქალაქე ასე უღეროდ?  
 რად შემოყარა მე გლახ გული,  
 უმანკო და უზრუნველი?  
 რად დამიქნენ მე ყვავილი  
 ყმაწვილობის, ჯერ უშლელი.

ფიქრობთ, განსხვავება ნათელია. მაგრამ ამ განსხვავებების მიზეზი არ არის ნათელი. ყოველ შემთხვევაში აქ არ გამოვკვლავდება ზემოთ მოშველებული არგუმენტი, რადგან ცნობილია, რომ მალე ერისთავის ასული ქეთევანი, ვისაც პოეტმა ეს ლექსი მიუძღვნა, სრულიად არ იყო ხალხის დაბალი ფენების წარმომადგენელი, ხოლო მსგავს შემთხვევებში („ბედი ქართლისა“, „ნაზოლკონ“) ავტორისა და გმირების მეტყველებას შორის ვერსად ვერ ვნახულობთ რაიმე მნიშვნელოვან სხვაობას. მაშ, რამ განსაზღვრა ქეთევანის სამეტყველო ენის სიმარტივე?

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში გმირის განცდები, წარმომავალი სიყვარულის ნიადაგზე, უფრო კერძობილით ხასიათისაა, ვიდრე ნაპოლეონის, „ბედი ქართლისას“ გმირების და თვით ავ-

ტორის განცდები. ამ ვარაუზოვებს კი ბარათაშვილი დიდ მნიშვნელობას აძლევს. მისი აზრით, შედარებით წერილმანი, პრაქტიკული და შეორეხილის-ხოვანი მოვლენები ჩვეულებრივ მარტივი სისაუბრო ენით უნდა გადმოიყოს. ამიტომაც, რომ ბარათაშვილის კერძო წერილების ენა ასე ახლასა სისაუბრო მეტყველებასთან. ვგეგვ უნდა ითქვას ბარათაშვილის ეპიგრამებზე „ელენეს და მაროს“, აგრეთვე ცალკეულ ადგილებზე ლექსისა „ღამე ყაბახზედ“, კერძოდ, ამ უკანასკნელის დრამატულში აშკარად იგრძნობა ბარათაშვილის კერძო წერილების ენა და სტილი:

„სთქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნიერთი ქალები,  
 „თუნდ თავსა უფლად, ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები!“  
 ანდა: „გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენი მინცუ გახსოვართ კიდევ:  
 „ახლა მოვალა, ვინც ვის იცნობს, იფიქვებს ისევ“.  
 „დარწმუნებულ ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოღები ვერ შამიშლიან თქვენსა სხოვნას და ვერც დროები“.

ამ სტროფებში უფრო ნათლად ჩანს ბარათაშვილის კერძო წერილების ლირიული გმირი, ვიდრე ლირიული გმირი მისივე პოეზიისა.

სრულიად სხვაგვარად ფიქრობს ბარათაშვილი როცა საყოთბი შეეხება დრამა ფილოსოფიური, ზოგად-კაცობრიული იდეალების გამოხატვას. მისი აზრით, ასეთ შემთხვევებში ისეთი კატეგორიის მოვლენებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ამაღლებული სტილით, მწიგნობრულ-არქაული და მძიმე ენით უნდა იქნეს გადმოცემული. ეს იქნება მოცემული შინაარსის შესატყვისი ენობრივი გაფორმება. ამის ნათელი დადასტურებაა ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ნაპოლეონ“, „ჩემი ლოცვა“, „სული ბოროტი“ და სხვ.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ერთი ადგილი ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზედ“:

მთაი ცხოველო, ხან შკინარო, ხან ცრემლიანო,  
 ვინ მოვიხილოს, რომელ მუხზევ თვისთა  
 ფიქრო შევბა  
 არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვება.

ჩვენს მიერ ხაზგასმული წინადადება, რომელიც აზრის არაჩვეულებრივი „ტყვიდობით“ ხასიათდება, ენობრივად მძიმე და აღსაქმულად რთულია. მაგრამ ბარათაშვილი ყოველთვის არ მიჰყვება თუნისს — მადალი შინაარსი უსათუოდ „მადალი“, მწიგნობრულ-არქაული ენით გამოხატოს. ამ თვალსაზრისით ჩვენ, პროფ. ა. შანიძის გამოცვლებებს საფუძველზე, საგანგებოდ დავაკვირდით „მერანის“ ენას.

„მერანში“ გვხვდება არქაული ფორმით ნახშიარი სიტყვებისა და გამოთქმების ვარკვეული რაოდენობა: სამძღვარი, ვარდაიარე, ვარდამატარე,

ჩემთა მშობელთა, ძველთა შთენილთა, ზვანი მყოფანი და სხვ. მაგრამ, ამასთან ერთად, „მერანში“ შესამწნევია ენობრივი გამარტივების ტენდენცია. მაგალითად: ძველი ქართულის მიხედვით უნდა ყოფილიყო სატრფომ გულისამ, გვაქვს — სატრფომ გულისა, უნდა ყოფილიყო: გარდაიარე კლდენი და ღრენი, გვაქვს — გარდაიარე კლდენი და ღრენი; ასევე, უნდა გვეწოდებოდნენ: ნულარ და ნურცა, გვაქვს — ნულა და ნურცა. გარდა ამისა, შეინიშნება სასაუბრო ენის კვალი — მამყარობა. როგორც ვხედავთ, ფორმები გამარტივებულია, მიუხედავად იმისა, რომ ეს გამარტივება წმინდა ენობრივი თვალსაზრისით ზოგჯერ არ არის გამართლებული.

ამ გამარტივებას „მერანში“ თავისი მხატვრული საფუძველი აქვს, ისევე როგორც გარკვეული მხატვრული ფუნქციის მატარებელი არიან ზემოთაღნიშნული არქაული სიტყვები და ფორმები, რომლებიც მიღწეულ არ ამომივებენ ლექსის ენას, რამდენადაც სიმტკიცესა და სილამაზეს აღწევენ მას.

ნათქვამის სილუსტრაციოდ ენახოთ უკანასკნელი სტრიქონი სტროფისა „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“:

და ქარისშხალი ძველთა შთენილთა, ზარით, ღრიალით მიწას მამყარის.

სიტყვა ქარისშხალი, ძველი ფორმა იგი თუ პოეტური ლიცენცია, ავტორს ვარკვეული აზრით აქვს მოტანილი<sup>1</sup>. ქარისშხალი ს-ს ჩართვით, ს-სა და შ-ს ერთად მოხვედრის გამო, პოეტი ამ სიტყვას მეტ სიმამარეს აძლევს და უკვე გვაგრძნობინებს საფლავზე ობლად მიტოვებულ ძელებს შორის მოტირალი ქარის სისინს (ქარისშხალი), თანაც ეს ს აქ ფონეტიკური თვალსაზრისითაც მანიკდაშინი უადგილოდ არ გვეჩვენება. იგი ნაწილობრივად კიდევ ისმის ი-დან შ-ზე გადასვლის დროს. სინტაგმა ძველთა შთენილთა თ-ს ალიტერაციის გამო მუსიკალური თვალსაზრისით ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე იტყობოდა ახალი ქართულით მისი შესაბამისი გამოთქმა მიტოვებულ ძელებს, გარდა ამისა, შთენილთა ფონეტიკურ კავშირშია ქარისშხალთან ბევრათა ეს პარაზონიულობა მოქმედებს სიტყვა-

<sup>1</sup> პროფ. ა. შანიძის განმარტებით ქარისშხალი ტოლად-მერწყმელი სხელაა: ქარ-იშხალი (მიღებულია დისიმილაციით ქარ-იშხარი-სავან). იშხარი იგივეა, რაც იშხარი, რომელიც, ს.ს. ორბელიანის თანახმად არის „იქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“ (იბ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველი, I, 1953, გვ. 159).

ჩვენი ვარაუდით: ქარ-ისხარი-დან ქარ-იშხალ-ზე გადასვლისას შესაძლებელი იყო ორივე თანხმოვნის ერთად არსებობა: ქარის-შხალი.

თა შინაარსზე, მას მეტ ემოციურ სიმახვილეს აღწევს.

მსგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე სიტყვების გარდაიარესა და გარდაამატარეს მამართ რ. პოეტიკურში გარ ალიტერაციის იწვევს როგორც ამ სიტყვებში, ისე ამ სტრიქონებში, რომლებშიაც ეს სიტყვები შედიან: „გააკვეთე ქარი, გააიე წუალო, გარდაიარე, კლდენი და ღრენი“.

ანდა: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდაამატარე ბედის სამძლეარო“.

როგორც ვხედავთ, „მერანში“ არქაული სიტყვებისა და ფორმების ზმარება (რაც თავისთავად ძალზე მცირეა) არ არის შემთხვევითი და თვითმიზნური. იგი მხატვრული კანონზომიერებით ხასიათდება და ამდენად, ამ ნაწარმოების მიხედვით, არ იქნებოდა მართებული ბარათაშვილი არქაისტად გამოგვეცხადებინა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ „მერანში“ ბარათაშვილი ენის ხალხურობამდე აშაღდა. „მერანი“ პირდაპირი უარყოფა იმ აზრისა, რომ მაღალი იდეალების გამოსახატავად თითქოს აუცილებელი იყო განვებ და ცილება ჩვეულებრივი საშუალებლო ვნიდან.

საკრთოდ, როცა ისმის საკითხი მწერლის არქაისტობის შესახებ, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა აქნას მიღებული შემდეგი ძირითადი გარემოება: თუ ჩვეულებრივად, ლინგვისტურ გაგებით, არქაისტია ის, ვინც ძველი, ზმარებიდან გამოსული სიტყვებითა და ფორმებით წერს, მხატვრულ შემოქმედებაში ეს ასე არ არის. შესაძლებელია მწერალი არქაულ სიტყვებსა და ფორმებს იყენებდეს და საქმოდ უხედავ, მაგრამ იგი არ იყო არქაისტი. ისტორიულ თემაზე მომუშავე მწერალი, რომელიც არქაიზმებს მიმართავს გარკვეული ისტორიული გარემოს გასაცხადებლად თუ გმირთა დასახსიანებლად, არქაისტად ვერ ჩაითვლება; ისევე როგორც არქაისტად ვერ მივიჩნევთ მწერალს, რომელიც მუსიკალური თუ სხვა მხატვრულ-ესთეტიკური მიზნით მიმართავს ზოგჯერ არქაულ სიტყვებსა და ფორმებს და დადებით შედეგებს აღწევს. მხატვრულ შემოქმედებაში არქაისტი ეწოდება იმას, ვინც არადანიშნულებისამებრ ზმარობს ძველ სიტყვებსა და ფორმებს (მაგალითად, თუ შემოქმედელი თანამედროვე თემაზე დაწერილ ნაწარმოებს ძველ სიტყვებითა და ფორმებით ტვირთავს, თანამედროვე გმირებს არქაული ენით ამტკიცებებს, ანდა აქარბებს საერთოდ არქაიზმების გამოყენების დროს).

გამომდინარე აქედან, მწერლის ენობრივი პოზიციის ვარკვევა შეუძლებელია მისი ენის მართლედ ლექსიკურ-გრამატიკულ-ორთოგრაფიული მიმოხილვით. აქ გადაწყვეტილ მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის მხატვრული ფუნქციის გათვალისწინებას, ნაწარმოების ენობრივი მასალის შინაარსთან მიმართებაში განხილვას.



## მეორე მსოფლიო ომის შედეგები

უკანასკნელ ათ წელიწადში დასავლეთის სახელმწიფოებში მოზღვადა ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის შესახებ დოკუმენტების, დიპლომატიური მიმოწერის, მემუარების, დღიურების, ბიოგრაფიების, ისტორიული გამოკვლევებისა და პუბლიცისტური შრომების სახით.

მემუარებისა და დღიურების ავტორებია ინგლის-ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები, პიტლერელი სამხედრო დამანავეები. ასე, მაგალითად, ომის შემდგომ წლებში გამოცა მემუარები: დეივტი ეიზენჰაუერის — „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაში“, უინსტონ ჩერჩილის ექსტრემული — „მეორე მსოფლიო ომი“, თმარ ბრედლის — „ჯეარსიციის ჩანაწერები“, ბერნარდ მონტგომერის — „ნორმანდიდან ბალტიკამდე“, ლუკატის, ხელის, სიმონის, ნორვიჩის (დაფ კუბრი), ტემპლედის (სამუელ ხორი), ემერის, ეტლის, აგრეთვე პიტლერელის — პაუენისა და გებელისის, გუდერიანის, კესლერინგის, რენშტედლის, მანტოაფელის; ტაბლსკირხის, შახტის, ვალდერის და სხვათა მემუარები და დღიურები.

ეს არა სრული ბიბლიოგრაფიული ცნობაც ნათელყოფს დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების ვაჭლიერებულ ინტერესს მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ წამოჭრილი პრობლემებისადმი. დასახელებულ შრომებში განხილულია მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა, მეომარი სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკა, შეჯამებულია ომის შედეგები და, რაც მთავარია, გაკეთებულია შორს მიმავალი დასკვნები მომავლისათვის.

გარდა ამისა, ატლანტიკის ბლოკის აგრესიული საგარეო პოლიტიკის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გუალებებისა და უნიფიკაციის საქმეში განსაკუთრებით შეიმჩნევა დასავლეთის სახელმწიფოების ოფიციალური ისტორიკოსების როლი.

საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, ინგლისში ფორინ ოფისის დირიგებობით უკვე გამოიცა „მეორე მსოფლიო ომის პრედისტორია“ 9 ტომად, დაიწერა და გამოქვეყნდა აგრეთვე მთელი სერია ნაშრომებისა, რომლებშიც ყალიბდა არის წარმოდგენილი მეორე მსოფლიო ომის ისტორია. მეორე მსოფლიო ომზე კიდევ უფრო მე-

ტი რაოდენობით დაიწერა ისეთი ხასიათის წიგნები ამერიკის შეერთებულ შტატებში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

მთელი ეს ლიტერატურა შეიქმნა „ცივი ომის“ ატმოსფეროში.

ის თავისი არსებით შეესაბამება და აქტიურად ემსახურება დასავლეთის სახელმწიფოების რეაქციულ პოლიტიკურ კურსს — იდეოლოგიურ საფუძველს უზაადებს მესამე მსოფლიო ომს. ამ მავნე ისტორიულ მკვლევარებში პოპულარიზაციის უკეთეს დასავლეთის რეაქციული პრესა. ინგლისური გაზეთის „Daily Mail“-ის ვაჭრული გამოთქმით ამ ტრანკატებს „იტაცებენ როგორც ცხელ ქაღალს“.

ეს ისტორიული მკვლევარებია განირჩევა ავტორების იდეალისტური კონცეფციებით, სუბიექტივისტური მეთოდოლოგიით, ხალხის მასების — „უსახელა ადამიანები“ — როლის დამცობებით, ცალკეულ პიროვნებათა უზომო განდიდებით, პროპაგანდისტული და ხშირად მოხერხებულად შენიღბული აპოლოგეტიზმით, ომის გარდუვალობის „წინასწარმეტყველებით“ და უტილიტარული დანიშნულებით. ამ ლიტერატურისათვის, იქნება ის დასავლეთ-გერმანული, ინგლისური თუ ამერიკული წარმოშობისა, ნიშანდობლივია ომის ერთადერთ დამანავედ პიტლერის გამოცხადება და გერმანიის ვერმახტის რეაბილიტაციის ცდა, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების გადაწყვეტი მნიშვნელობის უგულებელყოფა და მასზე ცილისმწამებლური თავდასხმები. ინგლის-ამერიკისა და ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიოგრაფია მემუარისტულია და პუბლიცისტური ისტორიის ვაჯალებით, მილიტარისტული კონცეფციებითა და სოფიზმებით ემსახურება ატლანტიკის ბლოკის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას. ამ კონცეფციების, და სოფიზმების მხლებმა ჩვენი ისტორიოგრაფიისა და პუბლიცისტის გადაუღებელი და საპატიო ამოცანაა.

ამ წერილის მიზანია გერმანული რევანშიზმისა და მილიტარიზმის რეაბილიტაციის ზოგიერთი ცდის ჩვენება ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემული რამდენიმე წიგნის, უმთავრესად ამ თეალასრისით განხილვის საფუძველზე. მხედ

ველბაში გააქვს კოლექტიური ნაშრომი „მეორე მსოფლიო ომის შედეგები. აღიარებანი და ვალდებულებანი მომავლისათვის“, რომელიც ჰიტლერული სამხედრო დამანაშავების კალამს ეკუთვნის და თითარგმნა რუსულ ენაზე<sup>1</sup>, ფინანსური პლუტოკრატის წარმომადგენლისა და ჰიტლერული სამხედრო დამანაშავის იალმარ შახტის შემუშავები — „ანგარიში ჰიტლერთან<sup>2</sup>, ისტორიკოსი გ. ვიორლიცის შრომები<sup>3</sup> და ჰიტლერული გენშტაბის ყოფილი უფროსის ფ. ვალდერის წიგნი — „ჰიტლერი როგორც სასიდალი“<sup>4</sup>.

ბონის მილიტარისტებისა და რევანშისტების აზრებმა და ზრახვებმა თავისი გამოხატულება პოვა კოლექტიურ შრომაში, რომელიც გამოვიდა მეტად სიმპტომური სათაურით „მეორე მსოფლიო ომის შედეგები. აღიარებანი და ვალდებულებანი მომავლისათვის“ წიგნის 23 ავტორის შორის უმრავლესობა ჰიტლერული გენერლები და აღმარალებია, არიან „რაიხის“ მაღალი საგნის ჩინოვნიკები. მათი უმრავლესობა დიდი გავლენით სარგებლობს ბონში.

აქვე უნდა შევინშნოთ, რომ წიგნის მიზანია ომის შედეგების შეფასება და მომავლისათვის დასკვნების გაკეთება. აღსანიშნავია, რომ გერმანულ მილიტარისტებს აქვთ სათანადო გამოცდილება მათ მიერ გაჩაღებული და წაგებული მსოფლიო ომების შედეგების შეჯამებაში. ცნობილია რომ I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ გენერლებს: ჰინდენბურგს, ლიუდენდორფს, ფალკენგეინს და სხვებსაც ჰქონდათ სიძველე სიამოვნება შეეჯამებინათ მისი შედეგები. მათ შეაჯამეს ის და ომის ერთადერთ დამანაშავედ (გერმანიის მხრივ) კაიზერი ვილემ II გამოაცხადეს, ხოლო გერმანიის შეიარაღებული ძალები დიდების შერავანდელი შემოსეს; 1914 — 1918 წ. წ. ომში გერმანიის დამარცხება მონათლეს „გამარჯებულის დამარცხებად“ და წამოაყენეს დოქტრინა: „ომი გერმანიის ბედაა“. კაიზერულმა გენერალტებმა ჩამოაფალიბა გაკვეთილები (დასკვნები) „მომავლისათვის“, ამ გაკვეთილებს ჰიტლერული ავაზაკები მთელი ოცე წელი სწავლობდნენ. მაგრამ ამაოდ... მეორედ გაჩაღებული მსოფლიო ომიც სრული კამპიტულაციით დამთავრდა.

აი სწორედ ჰიტლერული გენერლები, რომლებიც ეხლა ამერიკის შეერთებულ შტატების

ლანდსტეხტების როლშიც გამოდიან, აჯამებენ ამ ომის შედეგებს და ცდილობენ გააკეთონ დასკვნები „მომავლისათვის“, რომ გერმანიის იმპერიალიზმმა მესამედ ჩააბაროს „გაკვეთილები“ და ისევე სამარცხენოდ ჩაივარდეს ისტორიის წინაშე „გამოცდაზე“, როგორც ეს მოხდა უკვე ორჯერ.

სწორედ დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს ამ სამარცხენო „გაკვეთილების“ სისტემატურ კერძს, რომელშიც განხილულია მეორე მსოფლიო ომის თითქმის ყველა ძირითადი პრობლემა: სამხედრო ხელმძღვანელობა, შეიარაღება, საპარო ბრძოლა, წყალქვეშა ომი, პარტიზანული ომი, დაწვერვა, ტრანსპორტი, ომის დაფინანსება, სასურსათო მომარაგება. შრომის ყოველ თავს ახლავს თავისი დასკვნები, თვალში გვეცმათ ის, რომ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია „ომი რუსეთთან“ და დასკვნები უმთავრესად საბჭოთა კავშირთან ომის გაკვეთილების ასპექტშია ჩამოყალიბებული. ეს დასკვნები, როგორც ავტორები შენიშნავენ, გამიზნულია „სახელმძღვანელოდ მომავლისათვის“. წიგნში გვხვდებით აფილუმს, სიდავ ლირსული შეფასება ეძლევა საბჭოთა კავშირის ძლიერებას. მაგრამ ჩანს, რომ ამას ავტორები აკეთებენ იმისათვის, რომ რევანშისტებმა მომავალში არ გამოიჩინოს „საბჭოთა ქვეყნის ძლიერების შეუფასებლობა. მეორე მხრივ, ბონის რევანშისტების შეფასებების მიზნით, ავტორები, საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიასზე აცხადებენ არაკანონზომიერ, — შემთხვევით მოვლენად. მაგალითად წიგნის შესაბამის თავში გუდერიანი, ლენინგრადთან ჰიტლერულეს და მარცხების, შესახებ წერს: გერმანიას დავივილი ჰქონდა შემოტევა სამი მიმართულებით: ლენინგრადი, მოსკოვი და უკრაინა-კავკასია. მაგრამ „მოხდა სხვანაირად, ვიდრე იგეგმებოდა: ჰიტლერი უეცრად შეაშინა ლენინგრადის დაპყრობამ მისი მილიონიანი მოსახლეობით. აი რამ ოხსნა გუდერიანის განმარტებით ლენინგრადი: ჰიტლერს „შეშინებია“... თორემ ლენინგრადის კარები ღია ყოფილა ტიხვინთან...

ასე განმარტავს გუდერიანი მოსკოვთან ჰიტლერულეს ზრახვების ჩაფუშვასაც. მას რომ დავუკეროთ 1941 — 1942 წლებში ფაშისტები მოსკოვთან დამარცხდნენ, თითქმის მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი მეტისმეტად გაიწვია და ვრცელი აღმოჩნდა, ხალხი მოიქანცა, გზები ხან მტკრიანი და ხან ტალახიანი იყო, შემოღობა და ზამთარი შეკერი გამოიდა, არმის არ ჰქონდა კარგი ბნემა ჯარისკაცებისათვის, მათ ავლდო ზამთრის ტანსაცმელი, თამბაქო, შოკოლადი და ამავე დროს, თურმე ნუ იტყვიო, მათ პარტიზანებიც აწუხებდნენ. მოსკოვის გენერალურ ბრძოლებში განადგურებული მოტოციკლიზებული ნაწილების შეთავრის ფრონტის ამ უხანაქო არ უხანახეს საბჭოთა არმიები ან ეტყობა დაავიწყდა ეს „წერილობანი“.

1. Итоги второй мировой войны. Признание и обязательства на будущее. Перевод с немецкого. Под редакцией генерал-майора И. Н. Соболева. Издательство иностранной литературы. М. 1957.

2. Hjalmar Schacht, A rechnung mit Hitler, Hamburg — Stuttgart, 1948.

3. Walter gñ Hitz, Der Deutsche generalstab, Frankfurt a/M, in, 1951; მისივე ორჯამეული Der zweite Weltkig, Bd. I—II, 1951—1952.

4. Franz Halder, Hitler als Feldherr, München, 1948.

გუდერიაინის და ვერნერი ჰიტიის მტკიცებით აღდგა იყო სტალინგრადად ვერმანის შეეჭვა არმიის კატასტროფის თავიდან აცილება. მაგრამ... ჰელიუსის გეგმა სტალინგრადის მარშბუკიდან გამოსვლისა დაგმო პიტლერმა. თვითონ პიტლერი შეადგინა გერინგმა, რომელიც „ფიურერის“ დაპირდა მეექვსე არმიისათვის სამაერო გზით ყოველდღიურად 500 ტონა სურსათისა და სოპარის საკურველის მიწოდებას, ზოლო სინამდვილეში მხოლოდ 100 ტონის მიწოდება შეძლო. ამ მრავალსართულიან შეცდომას დამატა ის, რომ მან შეიტანა „დონის არმიამ“ ვერ განახორციელა მადელოკირებული დარტყმით მეექვსე არმიის გამოსვლის გეგმა. პიტლერი ვერ შეირგებია ამ არმიის მიერ დაკავებული პოზიციის დაკარგვის. მაგრამ მისთან ერთად მეექვსე არმიაც დაუკარგია. ანგარი მსჯელობის შემდეგ გუდერიაინ დაასვენა: „მსხვერპლი, რომელიც ვერმანამ გაიღო, მთავლითად სტალინგრადში, სადაც თავგამოდებით ინარჩუნებდა არსებითად უცე დაკარგულ პოზიციებს, იყო უპარა“. შემდეგ ის გვარწმუნებს: „პიტლერის ჯიუტობით გამოწვეული, სტალინგრადის კატასტროფა, არ საპირობებს დაწერილობით აღწერას“. გუდერიაინის სიტყვები რომ ვინმართ, ასე უბრალოდ ჩაიწერა „საშუუხარო თავი ვერმანის სამხედრო ისტორიაში“. აქაც შემთხვევით, გარკვენი ძალების მოქმედების გარეშე, განუტვია ვერმანის სამხედრო კატასტროფა. სამკოთა არმიების მძლავრი დარტყმები ამ შემთხვევაშიც „დტალი“ და უბრალო „წერისგანია“...

მაგრამ გუდერიაინის მიერ ამავე სტატიში გაკეთებულ დასკვნაში მკითხველი თავისთვის მოულოდნელად პოულობს მთელი სტატიის შინაარსისაგან განსხვავებულ მოსაზრებას სამკოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შესახებ. ის აქ სამართლიანად აძლევს მაღალ შეფასებას სამკოთა არმიას და მის ტექნიკურ შეიარაღებას, აჭებს სამკოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას, მის სტრატეგიას, სამკოთა არმიის შემადგენლობას და მოითხოვს, რომ ვერმანისაკენ ისეთივე გამოწვეობილი და მაღალი მორალის თვისებებით აღჭურვილი არმია ჰყავდეს, როგორც რუსეთს. გუდერიაინმა ამით ვერმანელ რეინისტებს სფეროსილე და საკუთარი შეიარაღებული ძალების მაქსიმალურად გაძლიერება უანდერძა.

წიგნის სულისკვეთება მკაფიოდ ასახა ვენერალი შენიდერის მიერ დაწერილ თავში „ტენჯივა და შეიარაღების განვითარება ომის დროს“, სადაც ავტორი აცხადებს დასკვნებს: „ქვეითი ჯარი ცუტების ძალის, მოპარობისა და მოწინააღმდეგის ცუტებისაგან თავდაცვის მზრგ იმდენს ჩამორჩება შექანიზებულ ჯარებს, რომ მისი გამოყენება ბრძოლის მხოლოდ მეორეხარისისგან უზენებზე დასაშვებია. კავილურია კი, საერთოდ, ვერ პოულობს ადგილს თანამედროვე ბრძოლის ველზე. თუ ქვეითი ჯარი ბრძოლის მთავარ ველზე

იქნება გამოყენებული, ის უნდა იყოს შექანიზებული, მსუბუქი, ჯავშნით დაცული, მაქსიმალური იარაღით აღჭურვილი... 3. შეიარაღებული ძალების ბირთვი იქნება სატანკო და შექანიზებული შენაერთები. 3. არტილერიას ესაპირობებთ თვითმავალი ძრავები ძლიერი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით. ატომური არტილერია შეცვის მძიმე და ზემოთე არტილერიას... 8. საპარაშუტო ძალებისა და დესანტის გამოყენების გზით მოწინააღმდეგვის ჯარების გარემოცვა ალბათ უფრო მეტი წარმატებით და მასშტაბით იწარმოებს“.

ვერმანის ავიაციის ერთ-ერთმა ცნობილმა მეთაურმა კესლერმა განსახილველი წიგნისათვის დაწერა თავი „ვერმანის სამხედრო-საპარაშუტო ძალები“. ის ვრცლად იხილავს ავიაციის მოქმედებას ომის წლებში და აცხადებს დასკვნებს „მოშავლისათვის“: „ამ ბედისაგან, რომელიც წილად ზედა ვერმანის სამხედრო-საპარაშუტო ძალებს, ვერმანელმა ხალხმა უნდა ათვისოს ძივრად შექმნილი გამოყენება, რაც მით უფრო აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოშავალში: 1. ავიაციას აუცილებლად უნდა მიენიჭოს პირველი ადგილი ხალხის შეიარაღებაში. თავის განვითარებისათვის ავიაციის უფრო მეტ დროს მოითხოვს, ეილერ ყოველგვარი სხვა იარაღი... კესლერინგი დასკვნებში ამტკიცებს, რომ გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ავიაციის გრანდიოზული ძალების მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ის ეტება ავიაციის სხვადასხვა სახეობას და მათ მოქმედებას, მოითხოვს სამხედრო-საპარაშუტო ძალების ზღმძღვანელობის ცენტრალიზაციის და ბოლოს დასკვნებს: „სამხედრო-საპარაშუტო ძალები პოლიტიკის ყველაზე ძლიერი საშუალებაა და ამიტომ ისინი ყოველთვის კარგად ორგანიზებული, მოქნილი და ბრძოლისუნარიანი უნდა იყვნენ“. სინამდვილეში, როგორც ნ. ს. ზრუნოვმა აღნიშნა ამერიკელი ვაზუტ „ნოუ-იორკ თაიზისში“ მთავარ დიპლომატიურ კორესპონდენტ დე. რუსტანისაში გაკეთებულ პასუხში, დღევანდელ ვითარებაში მიმდინარეობს გარკვეული გარდატეხა და, როგორც სამხედრო სპეციალისტები ფიქრობენ, თვითმფრინავების არსებობა იქნება ისინი ბოშადმშენები, თუ გამანადგურებლები, აღსასრულს უახლოვდება.

ვენერალი რომში ვინიხილავს „საპარაშუტო ძალებს ვერმანიაში“, ეტება საპარაშუტო თავდასხმისაგან მოსახლეობის დაცვას, დეტალურად მიუთითებს ვერმანიაში საპარაშუტო თავდაცვის მოწოდებაზე მოშავალი ომის დროს და გაფრთხილებას იძლევა: „ქვეყანა, რომელიც პარაში დამარცხდება დაღვება არჩევნის წინაშე: კაბიტუალაია ან ნგრევის ქაიში“.

დოქტორი ლატერნერი შესაბამის თავში—„მეორე მსოფლიო ომი და სამართალი“ წერს: „ნამდვილი საერთაშორისო სისხლის სამართლის წინამძღვარი უნდა ვახდეს მოშავალი ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხის სისხლის სამართლის წესით განხილვაზე უარის თქმა“. ის უახლოვდება

ლაბარაკობს „მედიავილი ომზე“. მაგრამ მის მიერ დაწერილ თავში გამოცნად რჩება: ვის წინააღმდეგ? მას პასუხს აძლევს იგივე გუდერიაში, რომელიც დასველებში წერს: „მომავლისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი კიდევ უფრო ინტენსიურად გამოიყენებს თავისი დიდი ქვეყნის უპირატესობებს... ვააუზგობლებს გზებს... დასავლეთ ვერობის სახელმწიფოების ყველა თავდასხმა რუსეთზე დღემდე ატარებდა წმინდა ფორტალური ხასიათს და, როგორც წესი, თერაპიების განსახლებებოდა ხმელეთით. ისინი იყო წარუმატებელი, თუ თავდასხმელი უზრუნველყოფს თავის უპირატესობას ზღვაზე, მაშინ ავიაცია და ფლოტი რუსეთში წარმატებით შეტრისათვის მას აწინააღმდეგებს შექმნილი ამ შემთხვევაში, თუ ვინაადა და ფლოტი მშობლიურ ურთიერთმოქმედებაში იქნება საკმაო რაოდენობის სახმელეთო ძალებთან და შათი მოქმედება იქნება არა ფორტალური ხასიათისა, არამედ გარემომარტყმითი, რომელიც გამაზნულაა უმთავრესი ობიექტისაკენ“. აშკარად ლაბარაკობს რა საბჭოთა კავშირთან რამე, გუდერიაში გავრთხილებას აძლევს იმის შესახებ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ელვისებური ომის წარმატება არ არის მოსალოდნელი. მისი სიტყვით, მოულოდნელობებს ქმნის რუსეთის სიღრმე-სიგანე, იმინდი, გზების მდგომარეობა...

წიგნში დიდი ყურადღება ექცევა პარტიზანულ მოძრაობას. მის შესახებ სპეციალური თავი დაწერა გენერალმა რენდელიში. ის მიუთითებს შაგის კონვენციაზე იმის დასამტკიცებლად, რომ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით პარტიზანული ბრძოლა „უკანონოა“. მაგრამ მას „აფიურება“ იმის მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართალი, რბილად რომ ვთქვათ, არ აჯანონებს ტყვეების მოკვლას, მშვიდობიანი მოსახლეობის გაქურტას, „დღეშეგუბების“ გამოყენებას, აღმზანების ცოცხლად დაპარტყას და დაწვას, სიკვდილის ბანაკების შექმნას, რასაც არ გრძობდნენ პიტლერელი ავსაქები. პროფ. პლაფერი კი გულოლიდინედ ამტკიცებს გერმანელი ჯარისკაცების არა მარტო უდანაშაულობას, არამედ დიდ სულონებასა და კეთილშობილებას. სპეციალურ თავში „გერმანელები და სხვა ხალხები შერაც მსოფლიო ომში“ ის ვვაუწყებს: გერმანულ ჯარისკაცებს კარგი პირობები ჰქონდათ და არავის ძარტყავდნენ, ისინი ზრუნავდნენ იმაზე, რომ მუსახლუბა „დაემეგობრებინათ“, რომ ოკუპანტებისა და დაპურობლი ტყვეების მოსახლეობის „გულითიდი ურთიერთობისათვის“ არსებობდა ყველა პირობა.

პროფანისტურ ტენდენციებს ყველაზე მეტად აქლავნებს გენერალი ხასი მანტოიფელი, რომელიც დაწერა შრომის შესავალი „იდლები და ძალები ორ მსოფლიო ომს შორის“ და დამამთავრებელი თავი „გარდატეხა“. ის პირდაპირ იცავს ფანსისტურ თეორიას, პიტლერის გეგმებს, ვერშატს. მისი შეხედულებების არის ასეთი: ნაცი-  
9. „მნათობი“, № 1.

თნალ-სოციალიზმის იდეები თავისთავად კარგია, მაგრამ პიტლერმა დაამახინჯა და წარუბნა ისინი. ახლა უნდა აღორბინდეს ეს იდეები! და გამოხსნორდეს პიტლერის შეტლიონები... მანტოიფელი არტოვ ისე ორბროვინად მიუთითებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობაზე და დიდ იმედებს აქყარებს ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

პიტლერელი სამხედრო დამნაშავეები, საერთოდ, განირჩევიან რევანშისტული განწყობილებით. გენერლებმა მანტოიფელმა, ბლიუმენტრტიმა და ხანსენმა ამერიკელი ყურნალისტისადმი მიცემულ ინტერვიუში, ჯერ კიდევ 1951 წლის იანვარში, განაცხადეს: წმინდა თავდაცვა სასაციოლოა... ვერობის შეტევა შეიძლება გამორტყელდეს მხოლოდ მდევებით ომის საშუალებით —...რუსეთის მიმართ წვენი პოლიტიკა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს წვენს ძალას: 1951 წელს ის უნდა იყოს ზომიერი, 1952 წ. ის უნდა გახდეს უფრო ვაბედული, 1953 წელს ჩვენ შევძლებთ მკაცრად ვაგონებას“. გერმანელი რევანშისტების კალენდარი, როგორც აკადემიკოსი ი. შ. შანსი შენიშნავს, რამდენადმე რეალური გამოდგა, მაგრამ საგულისხმოა არა მისი ქრანოლოგიური თარიღები, არამედ საერთო სულსკვეთება. პიტლერული სამხედრო დამნაშავეების ცინიკური გამოხდომები კომენტარის არ საჭიროებენ.

გერმანელი მონოპოლისტების რეაბილიტაციის და რისიტელი ატრესის გამართლების ცდიტ გემორიურვა იალმარ შესტი, რომელმაც დაიწახსურა ცინიკური, ბუქიანი და სისხლიანი საქმეების მოერიდებელი ამოლოგეტის რეპუტაცია მისი წიანი „ანგარში პიტლერთან“ სინამდვილეში გერმანიის დემოკრატიულ ძალებთან ანგარბმის გასწორების კანდიერ ცდას წარმოადგენს. რაოდენ დიდი ცბიერება არის საჭირო, რომ ამტკიცებდეს: გერმანიაში დემოკრატიის ერთადერთი თანმიმდევრული დამცველია გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი, ხოლო მოწინააღმდეგე — გერმანელი ხალხი, რომ მთელი ისტორიული პასუხისმგებლობა პიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლისა და გერმანიაში ტერორისტული რევიმის დამპურებისათვის გაესრულა მშრომელ ხალხს და არა ვინმე სხვას. რაოდენ დიდი უსირცხვილობა და უკანონობისადმი რწმენა არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, თითქოსდა გერმანიაში 30-იან წლებში დემოკრატიისა და თავისუფლების მდღრომე იყო იალმარ შესტი, რომელიც, თუმცა ენ იტყვიე, პიტლერულ მთავრობაში შესულა შეგნებულად, როგორც მისი მოწინააღმდეგე. შატრა იმდენად „შორს მიდის“, რომ აცხადებს: მესაზე იშპერაა დაეცა არა საბჭოთა არმიის მძლავრი დარტყმებისაგან, არამედ ის პირდაპირი წინააღმდეგობის შედეგად, რომელ-

საც თვითონ (შახტი) უწევდა პიტლერული მთავრობის მისწრაფებას „ესამართლობისა და ძალდატანებისადმი“.

ეხება რა საკითხს ომის დამნაშავეების შესახებ, შახტი თვითრეაბილიტაციის მიზნით ცინიკურად აცხადებს: „შუქლერული ემბეო ომის დამნაშავეები, თუ როგორც შემოწმარა მხარე არ დაადანაშაულე“. ისტორიული დისკუსია ომის დამნაშავეების შესახებ, — განავრცობს ის, — საფუძველს აძლის გერმანიისა და ატლანტიკის სახელმწიფოების ერთიანობის გრძნობას, ეს მაშინ, როცა საკითხი შახტი შერჩევად ერთობლივ მოქმედებისთვის“.

„დამარცხების მიუხედავად და დამარცხების გამო, რომელიც გერმანიამ განიცადა უკანასკნელ ომში, — დასაცენის შახტი, — არ არის გამორიცხული გერმანიის მიზნების განხორციელება“, ვინაიდან გერმანიის ექსპანსიონისტურ ზრახვებს თურმე განაჩნათ „ღრმა ისტორიული და ეკონომიური საფუძვლები“. შახტი, რომელსაც დასავლეთის რეაქციული პრესა უწოდებს „ჩვენი დროის ტალღიანს“, ასე ამართლებს გერმანიის იმპერიალიზმის დამპყრობლურ ზრახვებს: „გერმანიელი ხალხი ვაიზარდა და გასცდა იმ სასიკეთეს სივრცეს, რომელიც მას ისტორიამ მიუჩინია“. ის განავრცობს: „თუ 1914 წლამდე შუქლერული იყო გერმანიის მოსახლეობის გამოკვეთა საკუთარი მიწა-წყლის ხარჯზე, მით უფრო შუქლერულია ეს ახლა“. შახტი მოითხოვს ვერშახტის აღორძინებას და გერმანიას უსახავს შეერთებულ შტატებთან უფრო შვიდობა დაკავშირებას და ახალი ომის „პერსპექტივას“. მისი მოსაზრებანი დიდი თანავრძნობით სარგებლობს ჰენტავონში.

•••

დასავლეთ რეაქციული წრეები კიდევ უფრო დიდი ინტერესით გეოდეზიან ვერშახტის რეაბილიტაციის ცდებს, რასაც ადგილი აქვს „ფედერაციული რესპუბლიკის“ ისტორიოგრაფიაში. აგრესიის წაქეზება-გამართლებათა, პირველი და მეორე მსოფლიო ომების იდეოლოგიურ მომზადებაში გერმანიის რეაქციული ისტორიოგრაფიის როლი საყოველთაოდ ცნობილია. ვაგონსენათ ისიც, რომ 1939 წელს, როცა პიტლერული გერმანია ჩაება ომში დასავლეთის სახელმწიფოებთან, გერმანიის ისტორიოგრაფიამ დაუყოვნებლივ ჩამოიხადა ნიღაბი: მან საქვეყნოდ განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომს განიზილავს, როგორც პირველი ომის უშუალო ისტორიულ გაგრძელებას.

„ფედერაციული რესპუბლიკის“ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ვლტერ გორმანის შრომებს „მოკლე მსოფლიო ომის შესახებ. მისი შრომა „გერმანიის გენერა-

ლური შტაბი“ ვერშახტის რეაბილიტაციის ცდას წარმოადგენს. ეს შტაბი უოველთის იყო ომის ცერა. დაარსების დღიდან სამი საუკუნის მანძილზე (1657 — 1945 წ. წ.) ის დიდ როლს ასრულებდა იმ ომების განაღდებაში, რომელთაც ეწეოდა ჯერ პრუსია, შემდეგ კაოზერული და, ბოლოს, პიტლერული გერმანია.

გიორლიცის შრომაში ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციასთან ერთად შეიმჩნევა ზოგიერთი იძულებითი აღიარება. ის, სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ცნობს, რომ „პიტლერული სტრატეგია ჩაიფუშა და ვერშახტი განადგურდა რუსეთში“, აღიარებს, რომ „უმთავრესად სტალინ-გრადის ბრძოლამ განსაზღვრა ილუზიებზე დაფუძნებული პიტლერული სტრატეგის გაკოტრება“. თუმცა მას პიტლერული გენშტაბის პრესტიჟი არ ეწვეუნება შებღალულად. გიორლიცა ძალას ატანს ისტორიულ ფაქტებსა და საკუთარ ინტელექტს, როდესაც აეთთარებს იმ აზრს, რომ პიტლერული გერმანიის განადგურება არ მოასწავებდა „საუბუნეების განმეფობაში ჩამოყალიბებულ გერმანიის მილიტარიზმის საშუალო იდეოლოგიის კრახს“. ის ცდილობს დაამტკიცოს, თითქოსდა პიტლერული დიქტატურის დამყარების შემდეგ გენერალური შტაბი იყო ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ცენტრი. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს პიტლერსა და გენერალიტეტს, ნაციტებისა და გენშტაბის სტრატეგიას.

გიორლიცს რომ დაეუჯეროთ, ომის დამნაშავეა მხოლოდ პიტლერი და „პიტლერული ხზოვა“, უცნაური ისიც არის, რომ მას ომის დამნაშავეთა ხროვიდან უკანა რიგითი, ხელოვნურად გამოთყავს გენშტაბის წარმომადგენლები.

ასეთივე ტენდენციებით გამოირჩევა გიორლიცის ორტომიანი ნაშრომი — „მეორე მსოფლიო ომი“. 1250-ე გვერდზე ავტორი ცდილობს გადაშალოს მეორე მსოფლიო ომის გრანდიოზული პანორამა, დაწყებული გერმანიის პოლონეთზე თავდასხმიდან — ბერლინის დაღეღამდე. ავტორი ძენწია დასკვნებში. მისი კონკლუფიო, „ომი დაიწყო ინსტიტუტთა, ლოკალური ომი მსოფლიო ომად გადაიქცა და დამთავრდა გერმანიის კატასტროფით“. ავტორი, ამავე დროს, ამაჟობს ფაქტია, რომ გერმანიის ვერშახტი „6 წელს 1939-1945 წლებში, კიდევ იმართდა თავისი დიდი ტრიადიციების სულისკვეთებით“; მაგრამ, შენიშნავს ის, ხელმძღვანელობა და ფრონტი მის წინაშე აყენებდა, არსებითად გადაუწვევტელ ამოკანებს; ამავე დროს, „რაიხის ხელმძღვანელობა უშეუბნებლად უკასუსისმგებლო შეუდომებს და ავროვებდა სპეშინელ დანაშაულებებს“, გიორლიც აქაც „ასაბუთებს“, თითქოსდა პიტლერის ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა გენერალიტეტი. ვერშახტის რეაბილიტაციის მიზნით ავტორი ცდილობს მკითხველი მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე ომი წარმოიპოვება და წაიგება „უპირველეს-



ყოფისა, პოლიტიკურ და სწარმო-ტექნიკურ დარგში", რომ ამიტომ „პოლიტიკოსი და არა ჯერისკაცია მასუბმგებელი“, ე. ი. გერმანიის დამარცხებაში ამ მითით რევანშისტების წინაშე მხოლოდ „ფიურერია“ დამნაშავე.

განხილავს რა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას აღმოსავლეთის ფრონტზე, გიორგიევი ცდალობს დაამტკიცოს, რომ გერმანიის არმიების შეეძლოთ გამარჯვება; მაგრამ „უშაღლესი ხელმძღვანელობა“ (იგულისხმება ჰიტლერი, გ. მ.) ვანუწყებულთ ცელიდა გენშტაბის სტრატეგიის, რომელიც გამოცდილმა გენერლებმა შეიმუშავეს, სინამდვილეში ჰიტლერი და მის გენშტაბი სოლიდარულად წარმართადგენენ სტრატეგიულ ხაზს საბჭოთა არმიის მიერ გერმანიის რიგული არმიების განადგურებამდე და მათ შორის აღვლილი არ ჰქონდა აზრთა პრინციპულ სხვაობას. მათი დაბრისპირება გიორგიეს ესპირობმა გერმანიის გენერალიტეტის რეაბილიტაციისათვის, ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით წარმომადგენელი გ. რიტერი თავის წიგნში „კარლ გერდერეი და წინააღმდეგობის გერმანული მოძრაობა“ ასე ახასიათებს ჰიტლერისა და მისი გენერალიტეტის დამოკიდებულებას: ჰიტლერის ბრწყინვალე ტრიუმფმა გააქარწყლა გენშტაბის პესიმისტური წინასწარმეტყველება. შემდეგ მას მოჰყვა წვიმა სამხედრო ჯილდოებისა და ამაღლებებისა, გენერალობისა და ფელდმარშალის ჩინების... განსაკუთრებით ეს ეხებოდა ფელდმარშალ ფონ რეიხენაუსს, რომელიც 1939-1940 წლებში თითქმის მხად იუო ომობიციამო გადასასვლელად, ხოლო ახლა, ერთი წლის შემდეგ... ჰიტლერის სტრატეგიისა და გენის განდიდებით აუძღურებდა წინააღმდეგობის მოძრაობას. თითოთი ფიურერი ცილობდა ფულით და მამულებით უხვად დაჯილდოების გზით კიდევ უფრო აუმაღლებინა მადლობას გრძნობა და მორალური დამოკიდებულება თავის სამხედრო ქვეშევრდომებს შორის და ამაში მან წარმატება მოიპოვა“. გიორგიეს მტკიცებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საწინელი ბოროტ-მოქმედებებშიც დამნაშავე ყოფილა მხოლოდ ჰიტლერი, რომელმაც, ავტორის სიტყვებით, „უღრმესი სირცხვილით დაფარა გერმანელი ჯარისკაცისა და გერმანელი პოლიციელის კეთილი სახელი“.

დასავლეთის რეაქციულ წრეებში გიორგიეს წიგნებს და მის სწრაფვას — ილდგინოს გენშტაბის და გერმანელი პოლიციელის „კეთილი სახელი“ — თავშეკავებით შეზღუნენ. მათ თავისი პოლიტიკური ტენდენციები კიდევ არ ეწყენებათ მკვეთრად გამოხატული და გერმანიის მილიტარისტის სრული რეაბილიტაციისა და აღფრახსნილი რევანშისტული პროპაგანდის სელისკვეთების საყსებით შესაბამისი.

დასავლეთის რეაქციულ წრეებში განსაკუთრებული წარმატება ხვდა გენერალ გალდერის წიგნს — „ჰიტლერი როგორც სარდალი“, რომლის შესავალშიც ავტორი აღნიშნავს: „ჩვენი ისტორიული კონცეფცია მიზნად ისახავს შეზღუდვას ჰიტლერის, როგორც სტრატეგის, რეპეტაცია. სინამდვილეში წიგნი წარმოადგენს ჰიტლერული გენერალიტეტის რეაბილიტაციისა და განდიდების ცდას.“

„რაიხის“ სტრატეგიის გაკოტრების მიზნებს გალდერი „ხსნის“ ჰიტლერის არაკომპეტენტური ჩარევით სტრატეგიულ და თავრატულ ხელმძღვანელობაში, „ფიურერის მიერ სარდალის როლის მითვისებით“. ის წერს: სარდალის როლი ისტორიულად ამოწურულია, ობიექტურად უმწეოა და არ შეესაბამება თანამედროვე ომის ხასიათს. სარდალისათვის, ე. ი. საშხედრო შეთაურისათვის, ამ სიტყვის ძველი გაგებით, — განაგრძობს გალდერი, — თანამედროვე ომში აღარ არის ადგილი“. ის არ ერიდება მაგარ გამოთქმებს „ფიურერის“ მიმართ: დასცინის მის სიმხდალეს, გაუხედაობას, ამხელს მის უპასუხისმგებლობას და განდიდების მინიის და ასაბუთებს, რომ ჰიტლერის სტრატეგიის გაკოტრება სრულებით არ ნიშნავს გერმანიის გენერალიტეტის გაკოტრებას. ჰიტლერული გერმანიის განადგურების ერთ-ერთ მთავარ მიზნად გალდერი აცხადებს ბრძოლას „ჰიტლერსა და გამოცდილ გენერლებს შორის“. მას ისე გამოყავს საქმე, თითქო ვანუწყებულთ მიმდინარეობდა შეურჩებელი ბრძოლა „ჰიტლერის უმაღლეს პოლიტიკასა“ და „გენერლების მოსახრებებს“ შორის.

გალდერი საყსებით ამართლებს ჰიტლერული გერმანიის თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, ჰიტლერს კი ბრალს სდებს კომპანიის ცუდად მომზადებაში. ვერხატი, — გულისწყრომით წერს ის, — ვამარჯვებდა 1941 წელს, რომ ჰიტლერის უურადლებოდ არ დეტოვებინა „არმიების სარდლობების განწირული მოწოდება შესაძლებელი რეზერვების კონცენტრაციის შესახებ“. გალდერი, რომელსაც გენერალიტეტი სრულებით არ მიაჩნია დამარცხებულად, უმაღლის ღმერთს, რომელიც თურმე „უყოფლეთვის სწყალობს გერმანიის გენერალიტეტს“.

ეს ისტორიოგრაფიული შენიშვნები ცხადყოფენ, რომ ფედერაციულ რესპუბლიკაში აღვლილი აქვს იდეოგრაფიული რევანშისტულ პროპაგანდას, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა ვერხატის რეაბილიტაციის ცდება; ამავე დროს, ამათ წარმოებს გაკოტრებული იდეოლოგიური სამზადისი ახალი ომისათვის, რაც შეესაბამება ატლანტიკის ბლოკის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას.

## მხეილ თარხნიშვილი



### ქართული სასულიერო პოეზია და მისი უკეთიმეტობა ბიზანტიურ პოეზიასთან\*

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა მონუმენტალური შრომა: „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“<sup>1</sup>. ეს თასი გვერდის შემცველი დაწვრილებითი წიგნი წარმოადგენს ნამდვილ საგანძურს მეათე საუკუნეში დღეი საქართველოს შესასწავლად; მისი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო დაწესებულებების შესასწავლად, მისი ეთნიკური და ბოლტიკური საზღვრების შესასწავლად, მისი მატერიალური, ისევე როგორც სულიერი კულტურის, უპირატესად კი ძველ-ქართული პოეზიის შესასწავლად, ამ პოეზიის, რომლის წარმოშობა და განვითარება ამ წიგნში დაწვრილებით არის განხილული.

ამ ისტორიული პანორამის გარეგან ჩარჩოს წარმოადგენს თვით გიორგი მერჩულის<sup>2</sup> მიერ დაწერილი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელშიც მე-8 — 9 საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობა დაიფუძნა და იგი უმაღლეს საფეხურამდე განავითარა<sup>3</sup>.

ინგოროყვას შრომა განაყოფება ორ მთავარ

\* ცნობილი ქართველოლოგის მიხეილ თარხნიშვილის წინამდებარე წერალი დაბეჭდილია საერთაშორისო ფილოლოგიურ კურსალში *Oriens Christianus*, ტ. 41 (1957), გვ. 76 — 96, გერმანულ ენაზე.

<sup>1</sup> გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა (თბილისი 1954), გვ. 868 + 0128 ერთ ტომად (ინგოროყვა).

<sup>2</sup> ნ. შარია ეძახის მას „მერჩულე“; მისი საწინააღმდეგოდ ინგოროყვა ეძახის „მერჩულე“. რადგან „მერჩულე“ ნიშნავს „მსაჯულს“, „კანონის მასწავლებელს“ და ქართულად თანამდებობის პირის აღმნიშვნელი სიტყვაა — ნით ბოლოდებდა, იმიტომ ინგოროყვა ას მერჩოლოდებულს ფორმა უფრო სწორი უნდა იყოს, მით უმეტეს რომ ექვთიმე ათონელი გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი პომილიას თარგმანში ხმარობს გამოთქმას მეჩხულე (*komikhs*) (ინგოროყვა 17 — 29).

<sup>3</sup> შდრ. M. Tarnischwilli und Julius Assfalg, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur—Studi e Testi 185

ნაწილად. პირველი ნაწილი იხილავს უპირატესად საქართველოს სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ცხოვრებას გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ საფუძველზე; მეორე ნაწილი კი მიძღვნილი აქვს ძველ-ქართულ პოეზიას.

რაც შეეხება პირველ ნაწილს, აქ ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვხაზავთ მის მთავარ შინაარსს. ამ ნაწილში განხილულია „ქართლის სამეფოს“ თანდათან წარმოშობა და გაძლიერება ბაგრატიონთა იდეოლოგიური საგვარეულოს ხელშეწყობით; „ფხაზთა სამეფოს“ წარმოქმნა დასავლეთ საქართველოში შავ ზღვასთან, რომელი სამეფოც ვადაქიბული იყო ნიკოფსიდიან, კავკასიის უკიდურესი დასავლეთის თხემიდან, ძველ ცნობილ ქალაქების სოჰის<sup>1</sup>, ბიჭვინთის<sup>2</sup> და ფაზისის გაყოფებით ვიღრე ქუთაისამდე, აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებამდე. ამას მოსდევს ტაო-კლარჯეთის ისტორია, და აქ ფართო არღვევს აკადემიკოს ნ. შარის ფანტასტიკურ თეორიის ამ მხარის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, და სრულიად სამართლიანადაც<sup>3</sup>. ნ. შარია ეწყობოდა ერთ მკლარ ეოკალიზაციას და აქედან გამომდინარე ყალბ ინტერპრეტაციის სახელისა ირჩავდა, რომელიც მან სომეხთა განმანათლებლის გრიგოლის არაბულ „ცხოვრებაში“ იპოვა და წიკითხა, როგორც „არტანუჯი“, და ამ მკლარ და ყალბი მასალის საფუძველზე იმტიკიცებდა ტაო-კლარჯეთის მთელი მხარე, განსაკუთრებით კი არტანუჯის მხარე<sup>4</sup> თავდაპირველდ მართლ-

Città del Vaticano 1955, გვ. 98 შდ., 106 შდ. ნ. შარისა და კ. კეკელიძის მიხედვით გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 861 წელს ხოლო ინგოროყვას მიხედვით — 860 წელს.

<sup>1</sup> ქართული სიტყვისაგან „სოჰი“ (ნაძვის“ ჯიშისა).

<sup>2</sup> ქართული სიტყვისაგან „ფიჭვი“.

<sup>3</sup> ინგოროყვა 368 — 376; 400 — 434.

<sup>4</sup> არტანუჯის მდებარეობის შესახებ შდ. კოროსზე დასავლეთ საქართველოში შდრ. კონსტანტინე პორფიროგენის, De administrando imperio, თავი 46. (Bonn 1840), გვ. 206 — 213.

მოდებულ სომეხთა მიერ იყო დასახლებული, მხოლოდ მე-7 — 8 საუკუნეებში ეს მხარე ქართველთა ხელში გადავიდა. ამგეარი დებულების უმართებულობა უკვე კიდევ პროფესორმა ე. გარიტმა სრულს უპყველობით დასახვია<sup>1</sup>...

იმეფ ნაყევოში ინგოროყვას ლაპარაკი აქვს „ქართულ სინაზე“ ანუ თორმეტ მონასტერზე, მოკლედ რომ „ათორმეტნი“ ეწოდება, რომლებიც თითქმის ყველანი მღებარეობდნენ არტანუჯის ჩრდილო იმოსავლეთით იმერხევის ჩრდილო აუზში, ამ იმერხევის, რომელიც ქუროსს ერთვის<sup>2</sup>. ეს ათორმეტნი შემდეგია:

1. **თიზა**, აშენებულია მე-5 საუკუნეში ვახტანგ მეფის მიერ, განახლებული მე-8 საუკუნეში და ახლად აშენებული ვეარამის მიერ (გარდ. 882 წ.)<sup>3</sup>.

2. **მერე** აგრეთვე ვახტანგ მეფის მიერ აგებული მე-5 საუკუნეში<sup>4</sup>, განახლებული დედაფა მონასტრის სახით ფებრონიას მიერ გრიგოლ ხანძთელის დროს<sup>5</sup>.

3. **დაბა** შესაძლებელია უკვე ვახტანგ მეფის დროს დაარსებული, მაგრამ მონასტრად ზღაბსა დაწესებული ამოტ პირველის დიდის დროს (813 — 826)<sup>6</sup>.

4. **პარეხი** საქაოლ ძველი საფანე მე-6 — 7 საუკუნეებისა, ახლად გამოყენებული სამონასტრო ცხოვრებისათვის გრიგოლ ხანძთელის მოწადის მიქელის მიერ<sup>7</sup>.

5. **ხანძთა**, გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული პირველი მონასტერი, 782 წლის მახლობლად, ხანძთა უღრის ქვემო ფორთას დანგრეულ მონასტერს<sup>8</sup>.

6. **ვატბერდი** დაარსებული გრიგოლ ხანძთელის მიერ მე-9 საუკ. მეორე ნახევარში, მაგრამ პირველის დროს (826 — 876). ის მდებარეობდა ტაოკლარჯეთში არტანუჯის დასავლეთით<sup>1</sup>.

7. **მიჯნაძორი** ან **მიძნაძორი** დაარსებული დავით ბუიის (დღლიდ მამად დავითა) მიერ ამოტ პირველი დიდის დროს<sup>2</sup>.

8. **წეაროს-თავი** დაარსებული მიძნაძორიდან ზემოსწენებული დავითის მოწადის ილარიონის მიერ<sup>3</sup>.

9. **ბარეთელთა**, მისა დამაარსებელი იყო ზაქარია, დავით მიძნაძორელის მოწადე მე-9 საუკუნეში<sup>4</sup>.

10. **ბერთა**, ის არსებობდა უკვე მე-9 საუკუნეში<sup>5</sup>.

11. **ჯუმრეკი**, ცნობილია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“<sup>6</sup>.

12. **დოლის-ყანა**, დაარსებულია 830 — 840 წლებს შუა ამ მონასტრის წევრადვე მოღწეული წარწერებიდან ვტყობილობთ, რომ მისი მთავარი ტაძარი აშენებული იყო 954 — 958 წლებში სუმბატ მეფის მიერ ზურაბმომადგარ გამრიეღის ხელით<sup>7</sup>.

ყ ა ი შ ე ჲ ი ჲ , არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (თბილისი 1907) 76.

<sup>1</sup> ინგოროყვა 316 — 318; 351 — 353.

<sup>2</sup> იქვე 353 შდ.; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, აღწერილობა 104 შდ.; Н. Марр. Описание грузинских рукописей Синавского монастыря (Москва 1940) 110; ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა = მნათობი № 10—11 (1939) 246 — 248; საქართველოს სიძველენი II (თბილისი 1909) 1 — 5.

<sup>3</sup> ინგოროყვა 354 — 356; ყაუხჩიშვილი 205; ე ო რ დ ა ნ ი ა ქ რ ი ნ ი ე ბ ი II, 523 შდ.; შალვა ამირანაშვილი, ბექა ონიზარი (თბილისი 1937) 6 შდ. III. Амиранашвили, История грузинского искусства (Москва 1950) 104; 219.

<sup>4</sup> ინგოროყვა 356.

<sup>5</sup> იქვე 356 შდ.; Tarchnischwill. Geschichte 317; ამირანაშვილი, ბექა 33 შდ.

<sup>6</sup> ინგოროყვა 356.

<sup>7</sup> იქვე 358 — 361; ყაუხჩიშვილი 372. ზემოსწენებული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი [სხე — მიძნაძორი] სომხური წარმოშობისად მოჩანს. შესაძლოა, რომ აღბრუნებული ხანებში იქ პატარა სომხური ახალშენი იყო, ხოლო იგი უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო ყოველ შემთხვევაში საეკლესიო ისტორიამ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ აღდგნენ არსებულიყო სომხური საეპისკოპოსოები ან მონასტრები საქართველოს ამ ძირითად მოწაყვალზე (ინგოროყვა 441).

<sup>1</sup> Documents pour l'étude du livre du Agathang e.Studi i Tesii 127 (Città del Vajcano 1946) 200—202; 341—349.

<sup>2</sup> ინგოროყვა 302 — 310.

<sup>3</sup> იქვე 57 შდ.; 314 — 332; 340 — 343; 441;

4. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ჲ ი ჲ , ქართლის ცხოვრება I (თბილისი 1955) 178; 260.

<sup>5</sup> ინგოროყვა 324; 332; 343 შდ.; ყაუხჩიშვილი 178.

<sup>6</sup> P. Peeters, Histoires monastiques An. Boll. 36—37 (1923) 233.

<sup>7</sup> ინგოროყვა 324; 344 შდ.; ყაუხჩიშვილი 178.

<sup>8</sup> ინგოროყვა 324 — 334; 345 — 347; ყაუხჩიშვილი 48 შდ.

<sup>9</sup> ინგოროყვა 311 — 316; 347 — 351; ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (თბილისი 1947) 341; სამცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავარნი და მწყემსნი ობ. Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре (Петербург 1878) 81; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები და სხვა მასალა II (თბილისი 1897) 187; ე. თა

## I

ქართული სასულიერო პოეზია წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის შერჩეული უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს. ის ძალიან მდიდარია როგორც მათარგმნი ძეგლებით, ისე ორიგინალური ობზერვაციებით, რომლებიც უმეტეს ნაწილად ავტორთა მიერ გამოქვეყნებულია და ამიტომ მწერლად მისაწვდომია და ნაკლებად ცნობილი არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ ავტორთა და უმოავრესად მისი შინაგანი ხასიათისა და მისი მეტრული სტრუქტურის მხრივ. აი, ამ უკანასკნელი საკითხის გაშუქებას ემსახურება სწორედ მეორე ნაწილი ინგოროყვას შრომისა. ინგოროყვას მიერ ახლად მოპოვებული წარმოდგენის საფუძველზე ამ დარგში გვიჩინა ჩვენ მიმოვლილი სასულიერო პოეზია და წარმოვიდგინეთ მისი მეტრული და რიტმიული აღნაგობა.

1. საკმაო ხანს გავრძელება, სანამ იმას მიაღწევდნენ, რომ ბიზანტიური საეკლესიო პოეზიის მეტრული ხასიათი საბოლოოდ გაერკვიათ<sup>1</sup>. ასევე მოუვიდა ქართულ სასულიერო პოეზიასაც და მის მეტრიკასაც; მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ მოახერხა პავლე ინგოროყვამ გვეყინებდა ის ბურუსი, რომელიც ამ საკითხს შემოხვეოდა. სხვადასხვა გარემოებებმა მას ეს სამუშაო გაუადვილეს.

ცნობილი იყო თორმეტმარცვლიანი იამბიკო, რომლის ლექსითაც უკვე ძველმა პოეტებმა სასურველად შემოსაზღვრეს. ასე, მაგალითად, ჩვენ გპოულობთ მიქელ მოდრეკელის იამბიკოს<sup>2</sup>. შემდეგ განმარტებას<sup>3</sup>: „ყოველი სტროფი შეიცავს 60 მარცვალს, 5-ჯერ 12“, ე. ი. თვითული იამბიკური სტროფი შედგება 5 ტაქტისაგან, რომელთაგან თვითული შეიცავს 12 მარცვალს, ე. ი. 60 მარცვლი შეადგენს ერთ იამბიკოს<sup>4</sup>. ამას დაერთო ის გარემოება, რომ მრავალი პოეტი გვაძლევს ლექსებსა და სიმღერებს, რომლებიც ხშირად შეიცავენ ზედწერაღას: იგალობეთ ამა და ამ სიმღერის მქონე დიახუო და სათანადო სიმღერის დასაწყისი სიტყვებიც არის მოყვანილი. ჰიმნების შესწავლის დროს ინგოროყვამ დაადგინა, რომ ბევრ ასეთ გალობას მოეპოვება გარკვეული, ხშირად კინონომიური და განსუორებული პუნქტუაციის ნიშნები, რომლებსაც ერთგვარი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. კვლევა-ძიების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმ გარემოებამ, რომ მრავალი ჰიმნის თავში მოთავსებული

იყო შენიშვნა: „სოფლისა ზღუდა აღძრულ არსა, ან ზღუდა მის შეწამელისა“ და სხვა. მაღე ინგოროყვამ იპოვა ამ ზედწერაღების სრული ტექსტი; შემდგომმა კვლევა-ძიებამ, დასასრულად, გამოავლინა ის, რომ მრავალი ჰიმნი ამ სტროფებით იყო გასართული. ამით იქნა აღმოჩენილი ირმოსა; ეს იყო მნიშვნელოვანი მონაბოგია, რომლისაგანაც გამომდინარეობს შემდგომი დასკვნა, რომ ქართული ჰიმნები პროზული ნაწარმოებებია კი არ არის, როგორც კვანდლიძე ფიქრობდა, არამედ ნამდვილი, გარკვეული კანონების მიხედვით შეთხზული, ლექსები<sup>5</sup>. ამის შემდეგ უნდა მიმხდარიყო ის, რომ ეს კანონები დადგენილიყო, ჰიმნების უამრავი რაოდენობა ამ მეტრული სტრუქტურის საფუძველზე გაეცხილულიყო და დალაგებულიყო.

ნება მომეცით ავთორიოდ სიტყვა იმის შესატყვის ტერმინოლოგიაზე მოგახსენოთ.

2. ბერძნული სიტყვა „პოეზია“ ძველ ქართულში სხვადასხვანაირად გადმოიციმ: სიტყუა<sup>6</sup>; სიტყუაი მარცვლუა<sup>7</sup>; იამბიკო = იამბიკო<sup>8</sup> ლექსი; = ლექსი; შაირი = ტყვისათვის „პოეტი“ ჩვენ გვაქვს რამდენიმე შესატყვისი: სიტყვის მოქმედი<sup>9</sup>; გამოთქმული; მისანი<sup>10</sup>; გამოშეცეული<sup>11</sup>; სიმღერის შე-

<sup>1</sup> ხშირად ამ შენიშვნა — ზედწერაღებს მოსდევს განმარტება „ამათ ზედა“, ე. ი. ჰიმნი ამ სიტყვის მქონეობაზე იგალობო.

<sup>2</sup> ინგოროყვა 591 — 593; 611 — 617.

<sup>3</sup> შერ. Tarnischwill, Das Verhältnis von Kirche und Staat im Königreich Georgien-Or. Chr. 39 (1955) 81, შენ 9.

<sup>4</sup> ეფრემ მცირე, ელინთა ზღაპრობანი; იხ. ზელნაწერი A — 109; ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მკვლევარება [თბილისი 1938] 52, შენ; შანიძე, ფისტიკურის ისტორიისათვის: ლიტერატურული ძიებანი II (1945) 6.

<sup>5</sup> იამბიკო „ლექსის“ მნიშვნელობით გვხვდება ეფრემ მცირესთან და თანე პეტრიწთან (ინგოროყვა 556).

<sup>6</sup> იხ. ქართული ლექსიკონები.

7. [ი. ინგოროყვა, მეგვიდრობა, გვ. 52] კ. კვანდლიძე, კიმენი II (თბილ. სი 1942 119; G. Garitte, La version géorgienne de la passion de S. Procope par Eusèbe Mus. 66. (1953) 250, n. 40) იგივე. L'ancienne version des Actes des Apôles: B. bibliothèque du Mnséon 38 (Louvain 1955) 116.

<sup>8</sup> ზელნაწერი A — 584, ფ. 44, ფ. 225; ზელნაწერი S — 407, ფ. 230; ზელნაწერი S — 1318, ფ. 121; ინგოროყვა 554.

<sup>9</sup> ეფრემ მცირე, ზღაპრობანი (ზელნაწერი A — 109); [ი. ინგოროყვა, მეგვიდრობა, გვ. 52] შანიძე, ფისტიკურის ისტორიისათვის 5.

<sup>1</sup> J. — B. Pitra, Hymnographie de l'Eglise grecque (Rome 1867) 10 — 12.

<sup>2</sup> მიქელ მოდრეკელის შესახებ შერ. Tarnischwill, Geschichte 118 — 121.

<sup>3</sup> ინგოროყვა 591; Tarnischwill, Geschichte 450 შდ.

არლი; მგოსანი?; მოშაპირე?; მეღუქე—შოთა არსთაველთან. პიმწოგრაფიის გადმოსაცემად იხმარება შედეგი სახელწოდებანი: მგალობნი-თი რაცეა „საგალობელი“ ან „გალობანი“ უღრის ბერძნულ-ბიზანტიურს გალობათა კომპლექსს — „კანონი“; მხოლოდითი რიცხვის „გალობა“ კი უღრის ბიზანტიურ „ოღას“ და „დასდებელი“ უღრის ერთი სტროფისაგან შედგენილ პიმწს; იმ დროს, როდესაც მუხლი ძველ ქართულში უღრის სტროფის, ახალ ქართულში — ლექსის მუხლს, ხოლო „გალობელი“ უღრის პიმწოგრაფს\*. ქართული სიტყვა „ძლისპირი“ ემთხვევა შინაარსობლივ ბერძნულ ირმოსს; ხლო ეტიმოლოგიურად მას ირმოსთან არავითარი კავშირი არა აქვს „ძლისპირი“ შედგენილია ორი ტერმინისაგან: „ძალი“ — ძალი, სამეცნიერო საკრავის სიმი; „პირი“ ნიშნავს პირს, კოდეს, ნაპირს, პირველს. ამისდა მხებდით „ძლისპირი“ ნიშნავს გალობის პირველ მელოდიას ანუ წამყვან სტროფს, ე. ი. ირმოსს.

3. რაც შეეხება ძველი ქართული პოეზიის ფორმას, ჩვენ შეგვიძლია ის ორ მთავარ ჯგუფად გავყოთ: მეტრული და რიტმიული პოეზია; ამასთანავე ხაზი უნდა გვეყვებოდეს იმას, რომ ქართული პოეტიკა, მხაგვსად იტალიურისა და ფრანგულისა, მხოლოდ სილაბურ-ტონურ მეტრიკას იცნობს და იყენებს.

მეტრულ ჯგუფს ეკუთვნიან ისეთი სილაბური ლექსები, რომლებიც შედგებიან გარკვეული რაოდენობის სილაბურად გაწყობილ მტკიცე მუხლებისაგან და ჩვეულებრივ თავდებიან რითმით. ზოგჯერ მიაბივება აგრეთვე შინაგანი რითმა ან ალიტერაცია. ამავე დროს მუხლთა შედგენილობით შეპირობებულნი, გარკვეულ ადგილას მოთავსებული ცეზურა გვხვდება სიტყვის დასასრულს, და ეს სწორად დაკავშირებულია აზრობრივ პუნჯასთან. მეორე ჯგუფს ეკუთვნიან რიტმიული ლექსები. პოეზიის ეს დარგიც, თუმცა აგრეთვე მარცვლოთროდენობას იცავს ერთგვარი მოცულობით, მაგრამ მუხლი და ცეზურა, თუკი ისინი კიდევ გვხვდებიან, არავითარ კანონზომიერებას არ იცავენ. ამ დარგის პოეზიაში უმთავრესი ხაზი გასმული აქვს

არა ტაქსს, არამედ რიტმიულად აგებულ სტროფს. აქ ცალკეული კოლონები სტროფისა ისე არის სიმეტრიულად გაწყობილნი, რამდენადაც სტროფი შეიძლება დანაწევრებულად გაკვეთილად, თანაბარი მოცულობის ნაწილებად. პოეზიის ეს დარგიც არ გამოირჩევა რითმის!

11

ვინაიდან მეტრული პოეზია მარცვალთა რაოდენობაზეა აგებული, იგი იწყება ორი მარცვლიდან და მიდის ზევით-ზევით, ვიდრე 24 მარცვალსაც მაღლვდეს. ამ ორ საზღვარს შორის პოეტს ეძლევა დიდი თავისუფლება მოძრაობისა. ინგოროყვას<sup>2</sup> მოჰყავს 67 სხვადასხვა სახე ამ პოეზიისა, რომელიც გვხვდება ქართველ პოეტებთან. აქედან შეიძლება მხოლოდ ისეთი ლექსები მოვიხსენიოთ, რომლებიც სასულიერო პოეზიაში გვხვდება. ჩვენთვის ამ შემთხვევაში შემიღებ სამი ფორმაა საგულისხმო: ბისტაკაური, შაირი და ამაზიკა.

ბისტაკაური (ანუ ფისტაკაური) ცნობილია მხოლოდ სახელით, სხვა დანარჩენი ბნელით არის მოცულ<sup>3</sup>. ბისტაკაური არის ოთხ მუხლიანი ოცმარცვლიდი. თვითველი მუხლი შედგება 5 მარცვლისაგან, მისი ქვეყანაყოფები არის სამშებლანი ოთხთმეტმარცვლიდი, ორ მუხლიანი ათმარცვლიდი და ერთმუხლიანი ხუთმარცვლიდი: 5/5//5/5; 5/3//5; 5/5; ნ. ეს ლექსი იცნობს როგორც რითმის, ისე შინაგან რითმის.

შაირი არის კლასიკური თექვსმეტმარცვლიდი, რომელსაც იყენებს შოთა რუსთაველი. შაირი ორნაირია: მალალი და დაბალი. შაირი მალალ შაირს ამაღლად (მახვლი) მოუღის ბოლოდან მეორე მარცვალზე, დაბალ შაირს — ბოლოდან მესამე მარცვალზე. ტაქში აგებულია ოთხმუხლადი მეტრით. თვითველი მუხლს აქვს მალალ შაირში ოთხი მარცვალი და დაბალ შაირში სამი ან ხუთი მარცვალი: 4//4//4: 3/5//3/5; 5/3//5/3; 5/3//5/3. მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად შოთა რუსთაველი შაირის ამ ორივე ფორმას გარკვეული ცვალებადობით ხმარობს და გარკვეული თანმიმდევრობით.

იამაზიკა საზოგადოდ გვხვდება, როგორც ხუთტაქსიდი, და თვითველი ტაქში შეიცავს 12 მარცვალს; იგი შედგება სამი მუხლისაგან და თვითველი მუხლი შეიცავს 4, 5 ან 7 მარცვალს, თუმცა სხვა ოდენობის მარცვლები და მუხლებიც შეიძლება შეგვხვდეს. ინგოროყვას<sup>4</sup>

<sup>1</sup> ხელნაწერი S—407, ფ. 16; შტრ. G a r r i t t e, L'ancienne version 5; ხელნაწერი S—1138, ფ. 14; ინგოროყვა 555—575; ხელნაწერთა ფონდების აქ მოყვანილი ინიციალების (A, S...) შესახებ იხ. T a r c h n i s c h w i l i, Geschichte 15, შუნ. 2.  
<sup>2</sup> ყაფხჩიშვილი 40 (ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება, შტრ. Geschichte, გვ. 91), [ინგოროყვა 555].  
<sup>3</sup> არსენ ივალთოელი, ხრონოლოგიკი გიორგი მონაზონისაჲ (თბილისი 1920) 225 (ყაფხჩიშვილის გამოცემა).  
<sup>4</sup> ინგოროყვა 557; Geschichte 450—458.

<sup>1</sup> ინგოროყვა 557.  
<sup>2</sup> ინგოროყვა 562—573.  
<sup>3</sup> შტრ. [ინგოროყვა, მეგვიდრობა, 75-79], შინაძე, ფსტაკაურის ისტორიისათვის 7—13.  
<sup>4</sup> ინგოროყვა 829—831.

მოყავს 16 სახე იამბიკური ლექსისა. ზემო-  
თქმულის მნიშვნელობის ნათელსაყოფად ჩვენ  
მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც  
3-5 საუკუნიდან მე-12 საუკუნემდე გვხვდება.

ბის ტიკაურის საზომისათვის მხედვე-  
ლობაშია მისაღები ახალი აღთქმის თარიღე  
ტექსტი. პირველ ყოვლისა ეს არის ეპიმინიდეს  
(ძვ. წ. V საუკ.) ცნობილი ციტატი პველს ეპის-  
ტოლუში „ტიტის მიმართ“ (1, 12) ამ ადგილის  
ჩვენთვის ძირითადი მითარგმნელი V  
საუკუნისა შემდეგნაირად გადმოგვცემს:

კრიტელნი მარადის მტუარნი  
მხეცნი ბოროტნი / შეუცლნი უქმნი ?

ეს ტაბე 19-მარცვლელის საზომით არის გა-  
მართული და შედგება სამი ტერფისაგან; პირვე-  
ლია ცხრამარცვლიანი მონომეტრი, ორი უკ-  
ნასკნელი ქმნის ხუთმარცვლიან დიმეტრს:  
9/5+5. ცხამარცვლელი წარმოადგენს ვერტო-  
წოდებულ „პოიბლურის“ საზომს; ის აქ შეუ-  
დღდა ბისტაქურის ნახევარ-ტაბეს.

მეორე ციტატი ვეტოენის არატეს (III საუკ.)  
და მოიპოვება „მოკოქელთა საქმეში“ (17,28):

Тотъ чаръ хатъ хъасъ емаевъ.

ქართულად ასეა გადმოცემული:  
რომლისა იგი /ნათესავეა ვართ.

ეს ორტერფიანი ტაბე წარმოადგენს თ-  
ბარცვლელს და სრულად უდრის ბისტაქურის  
ნახევარ — ტაბეს : 5/5.

მესამე ბერძნული ლექსი მომდინარეობს  
„ილიადიდან“ (2.204). ამ ლექსის ქართული  
თარგმანი იმავე საზომით არის შეთხზული და  
მჭკრად მთლიანად ფარავს ოცმარცვლიან ბის-  
ტაქურს: 5/5 || 5/5. ეს ლექსი მოიპოვება  
პროკოპის „მარტილობაში“ (VI—VII საუკ.),  
რომლის შესახებ ჩვენ სხვა ადგილას გვემოწა  
უკვე საუბარი ?...

იმავე საზომით არის გამართული ეფრემ მცე-  
რის მიერ გადმოთარგმნილი ჰომეროსის ტაბე  
(ილიადა 6,506), რომელსაც გრიგოლ ნაზიანზელი

ბასილის გარდაცვალებაზე წარმოთქმულ თავის  
„სიტყვა-ეპიტაფიაში“ იხსენიებს !:

და შ' ხეა რა თარბს სიპაჲ ძიარჲმან ქაი ||  
დაძვენილია

ამის ვისიმე /დგომა ცხენისა/  
სასმენელ იქმნა ? / ბავათა ზედა.

აქ ჩვენ ვაჟქს ნამდვილი ოცმარცვლიანი ბის-  
ტაქურის ზემომარცვლიანი ტერტარმეტრის სი-  
ზომ ? ზედმეტია იმავე ლაზარაკი, რომ XII საუკ.  
კენის ორივე ლირიკული თხზულება—შეთელის  
„ამდუღებესიანი“ და ჩახარუხადის „თამარი-  
ნი“<sup>1</sup> — იმავე საზომით, ბისტაქურით, არის  
შეთხზული ?.

აგრეთვე მეორე სახის პოეზიასაც, შიირი რომ  
ქვია, ჰკავს თავისი ცნობილი წარმომადგენლე-  
ბი. პირველ ყოვლისა — ლონტი მზოველი, ის.  
ტარიყოსი VIII საუკუნისა (Voran steht der  
Historiker Leonti Mroveli aus dem 8. jh)<sup>2</sup>.  
მის მოყავს, შესაძლებელია ირანულ საგმირო  
თქმულებათა კრებულებიდან, ხვალა ნამედან ?.  
ნასესხები ადგილი, რომელიც ნებშროთის შთა-  
მომავალს აფრიდონს ეცხება:

რომელმან შეკრა /ჯაევიეთა/ ბევრასფი/

ბეულთა უფალი

და<sup>3</sup> დააბა /შთასა რაზხუხედა/ რომელ არს/  
კათუმუეუელი ?.

ეს ტაბეები გამართულია დაბალი შიირის 16-  
მარცვლოვანი საზომით, შესატყვისი რითობით.

ყველაზე უფრო ცნობილი ლექსი, მაღალ-  
შიირის საზომით გამართული, არის „ქება ბეთ-  
ლემისა, ქალწულისა და ძისა“, რომელიც ვეტო-  
ენის სხვა მზომთა უცნობი მგონის ფილიპეს კა-  
ლამს. საშტროფიანი ჰაქმის აქროსტრიხი: ფო-  
ლოზე ბეთლემი; აქედან, ცხადია, რომ ამ ლექ-  
სის ავტორი რაღაც კავშირში უნდა იყოს ბეთ-

<sup>1</sup> ხელნაწერი A — 109, ფ. 29 — 137, იერუს.  
ხელნ. № 8, ფ. 22 — 84, შტრ. PG 36,529 B;  
ამ ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ ეფრემ მცე-  
რეს ხელთ ჰქონია თვითონ ჰომეროსის ტექსტი.

<sup>2</sup> სასმენელ იქმნა: აქ უთოვლ არეულია ერთი-  
მეორეში აჯაათუჯა; (ზნისისაგან აჯაათა) „ჭერ-  
ნაკამი“ და აჯაათუჯ (ზნს; საგან აჯაათა „მესმის“  
<sup>3</sup> [ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, მემკვიდრეობა, 52], შა-  
ნიძე, ფისტაქურის ისტორიისათვის 5 შტ.  
ინგოროყვა 582.

<sup>4</sup> ამიტომაც ზნირად „ჩიხრუხაულსაც“ უწო-  
დებენ ბისტაქურს.

<sup>5</sup> ინგოროყვა 583 — 585.

<sup>6</sup> Tarchnischwili Geschichte 91.

<sup>7</sup> შტრ. C. H u a r t. Littérature arabe  
(Paris 1912) 211 შტ.

<sup>8</sup> ეს არ ვეტოენის ტაბეს, მხოლოდ სტროფის  
დამთავრებაზე მიუთითებს.

<sup>9</sup> [ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, შოთა რუსთაველი, 1937,  
გვ. V; ისტორია „მნაობი“, 1939, IV, 96 — 97)  
ყუხნიშვილი 13, ინგოროყვა 576.

<sup>1</sup> ახალი აღთქმის ქართულ თარგმანთა თარი-  
ლის შესახებ იხ. Tarchnischwili  
Geschichte 313 — 318.

<sup>2</sup> ბუნებრივების ნიშნები მოიპოვება ხელნ-  
წერებში (S — 407, ფ. 181; S — 1398, ფ. 71).  
ამ ლექსის ყველა ვარიანტი უკლებლივ ცხრა-  
მეტმარცვლელის ფარგლებს არ სცილდება; ინ-  
გოროყვა 574.

<sup>3</sup> კ. ინგოროყვა 575, 561; მემკვიდრე-  
ობა, 52; Tarchnischwili, Orientalia,  
à propos de travaux de philologie géorgi-  
enne de M. Garitte = Mus. 68 (1955) 376 შტ.;  
Geschichte 459 შტ. 2.

ლემთან. შესაძლებელია, ის იყო წმინდა თევ-  
დორეს სახელობის ქართული მონასტრიდან,  
რომლის ნანგრევები მერ-ნაუციის რამდენიმე  
ქართული და ბერძნული წარწერით ნაპოვნი  
იქნა ბეთლემის მახლობლად. თუ ეს ასეა,  
მაშინ ამ ბინის წარმოქმნის დათარიღება შეიძ-  
ლება სულ ცოტა მე-8 საუკუნით. რადგან ეს  
ლექსი დატულია სინას მითის რამდენიმე ხელ-  
ნაწერში<sup>2</sup>, ამიტომ საფიქრებელია, ყოველ შემ-  
თხვევაში, რომ იგი თვით პალესტინაში გაჩნდა.  
ამ ლექსზე ჩვენ მეტს აღარ შეგვირბობთ<sup>3</sup>...

შეათე სიუკუნდიანე გვაქვს ჩვენ ითანე ზო-  
სამეს<sup>4</sup> ერთი ანდერძი, რომელიც აგრეთვე შაი-  
რის საზომით არის შეთხზული. იგი შესდგება  
რ სტროფისაგან, რომლის დასაწყისი და ბოლო  
ასოები ორჯერ ქმნიან აკროსტისს „გეორგი“.  
ოთხსტრიქონიანი სტროფების წარვეი ტაეებში  
წარმოგვიდგენენ მაღალი შაირის ყველა ფორ-  
მის და მის გვეგანაყოფებს, ამავე დროს სტრო-  
ფი უოველთვის 16 მარცვლით განისაზღვრება;  
ასე, მავალითაც, პირველი სტროფი შემდეგანი-  
რად არის აგებული:

- 1. 4/4/4/4; 2. 4/4; 3. 4/4/4/4; 4. 4. —

სტროფი ასეთია:

გუნდნი იგი / ზეცისანი / შენ წმიდასა / წმიდა-  
თასა /<sup>5</sup> განწყობილი / გიგალობენ:

შე უღირს / შეგვირბობი / რათა ვიყო / მათ-

თანვე / შენგან უმაგ.  
ცალკეული სტროფების აგებულებაზე ვი-  
ტყობთ ჩვენ, რომ აქ საქმე გვაქვს ნათლად  
გამოსახულ პოლიმეტრთან — სალესო საზომ-  
თან, რომელიც უაღრესად სახეიმიოდ და უზეს-  
თავსად მოქმედებს. ტექსტის ბოლოს არის სი-  
ტყებობ: „სახელად გეორგი, ძმა ჩემი“; ამის მი-  
ხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გეორგი უნ-  
და ყოფილიყო მისი ზორციელი ან სულიერი  
ძმა, რომელსაც ზოსიმემ თავისი ლექსი  
უძღვნა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Tarchnischwill, Das neu ent-  
deckte georgische Kloster in Bethle-  
hem, Paris 1954; P. V. Corbo, Gli scavi di Kh  
Siyar El-Ghanam (Campo del Pastor) e i  
monasteri del dintorni (Gerusalemme 1955)  
113—135.

<sup>2</sup> სინას ხელნაწერი № 59 (მეათე საუკუნისა),  
ფ. 2. შტრ. H. Mapp. Описание 102 შტ.;  
140.

<sup>3</sup> შტრ. Tarchnischwill Ges-  
chichte 109—114.

<sup>4</sup> ითანე ზოსამეს შესახებ შტრ. Tarchni-  
schwill Geschichte 109—114.

<sup>5</sup> ეს სიტყვა „წმიდათასა“ არ არის დაბეჭ-  
დილ ლექსში (ყველაზე, ინგოროყვა); მე ის  
მომყავს სინას ხელნაწერის მიხედვით; იხ. სი-  
ნას ხელნ. № 34, ფ. 208.

<sup>6</sup> ამ გეორგის შესახებ შტრ. ინგოროყვა  
875 შტ.

შაირს, სახელობრ, დებალ 16-მარცვლიან  
შაირს, ეკუთვნის გარდა ამისა, ეგრემ მცირე-  
საგან მომდინარე თარგმანი პოეტრუსის ლექსისა  
(ილიადა 17, 5):

(აქ რეჟი პირეიკი მარეი)  
πρωτοτοξαξ, χαιρησῃ, ὅθ πρὶν εἰδῆναι τόξατο  
ბარბოთ მცემელობს / პირმშო-შობ / ვერ  
შეცენიერი / შობისა<sup>7</sup>.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით შაირის საზომით  
შეთხზულ ყველა დანარჩენ ლექსებზე მე-11  
საუკუნისა და პირდაპირ გადავართ რიტმიულ  
პოეზიაზე<sup>8</sup>.

III

ზემოთ განხილულ მეტრული პოეზიიდან არ-  
სებთოდ მხოლოდ იამბიკური საგალობლები  
იყო ლიტურგიული დანიშნულებისა. ამიტომ  
ისინი არსებითად თავისებულად იყვნენ რითმი-  
საგან, რადგან ლიტურგიული გალობა რელი-  
გიური გრძნობის გამოხატვის ამ დახვეწილ  
ფორმას ვერ ითმენდა. საქმე ისე შორსაც კი  
მიდიოდა, რომ გაართმულ პიწებს სწორად გა-  
დაკეთებდნენ ზოლიე ურითმო ლექსებად<sup>9</sup>.  
რიტმიული პოეზია კი, პირიქით, უმეტეს ნაწი-  
ლად ლიტურგიული ზემისათვის იყო განკუთ-  
ვნილი.

პოეზიის ამ დარგის ძირითად ნაწილს პირ-  
ველ რიგში ე. წ. ლიტურგიული „ჰანონი“  
მოკუთვნება და განცალკევებულად არსებულ  
სტიქარონები ან იდიომებლები. ცნობილია, რომ  
კანონი შედგება 9 ან 8 ოღისაგან, თვითველი  
ოღა შედგება 3 ან 4 სტროფისაგან, რომლებიც  
თავის შორგვ, რამდენადაც ისინი ერთსა და იმა-  
ვე ოღას ეკუთვნიან, მეტრულად ერთნაირად  
არიან აგებული. საფუძველი ასეთი სტროფების  
მეტრული აგებულებისა, ისევე როგორც მე-  
ლოდიისა, არის ესა თუ ის ირმოსი, ქართუ-  
ლად ძლის-პირი, რომელიც ოღის დასაწყისში-  
ვე არის მოთავსებული. ირმოსი არის წამყვანი  
სტროფი ანუ სანიშნული სტროფი, რომლის მი-  
ხედვით გამართული არის თვითველი ოღის  
დანარჩენ სტროფები და რომლის მიხედვითაც  
ეს სტროფები იგალობება. მთლიანი თხზულება

<sup>1</sup> სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს: ბარბიტონზე  
დაკვრას; χαιρησθαι — სიმებიანი საკრავი ღირის  
ან კითარობ მსგავსი.

<sup>2</sup> ხელნაწერი A — 163, ფ. 440; ყაუხჩი-  
შვილი, ეგრემ მცირე და ბერძნულ-ბიზან-  
ტიური ლექსების საკითხები; თბ. უნივე. შრო-  
მები 27 ხ. (1946) 71.

<sup>3</sup> იამბიკოზე, რომელიც მეტრულ პოეზიის  
ეკუთვნის, უკვე გვაქონდა ლაპარაკი სხვა  
ადგილას; შტრ. Tarchnischwill, Ges-  
chichte 450 შტ.; P. Maas, Der byzantinische  
Zwölfsilber-Byz. Z. 12 (1903), 278—323.

<sup>4</sup> ინგოროყვა 708.

განლაგებული არის ბიზანტიური გალობის 8 ხმის მიხედვით.

როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოშიაც არსებობდა ირმოსების სავანეებო კრებულები, ვ. წ. ირმოლოგები. 3. ინვოროყვაში გოშთიკლია ამგვარი კრებულების მთელი რიგი, რომლებიც ირმოსებთან ერთად ხშირად სხვა ხიშნებსაც შეიცავენ. ეს კრებულებია:

- 1. სამი ხელნაწერი მათვე საუკუნისა;
- 2. იველი მოდრეკილის კრებული 978 — 988 წლებსა, რომლის უდიდესი ნაწილი აღარ არის მოღწეული (ხელნაწერი S — № 425);

3. ალავერდის კრებული აღმოსავლეთ საქართველოდან (ხელნაწერი A — № 603).

არის აგრეთვე 13 — 15 საუკუნეების კრებულები:

4. აბუსერიძის კრებული (ხელნაწერი A — № 85, მე-13 საუკუნისა).

5. გელათის კრებული (ქუთაისის მეზუემიზი = ქუთაისის ხელნაწერი № 22, მე-13 საუკუნისა);

6. კრებული 1480 — 1481 წლებსა (ქუთაისის ხელნაწერი № 564)¹.

ყველაზე უფრო სრულია კრებული ალავერდის ხელნაწერში (A — 603) მე-10 საუკუნის ბოლოსი. ის შეიცავს მთლად 893 ირმოსს (ე. ი. ძლისიძის რედ.). ამ დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ მხოლოდ მე-10 საუკუნეში საქართველოში ხმარებაში ყოფილა თავისი შერტული აღნაგობითა და თავისი მელოდით ერთმანეთისაგან განსხვავებული 893 სხვადასხვა ირმოსი. ამას ზედ ერთვის ისიც, რომ ამ ხიშნების უდიდესი ნაწილი ქართული წარმოშობისაა, ორიგინალურია. ინგოროყვა მიაწერს მათ გრიგორ ხანათელს.

სრული კანონების გვერდით (9 — 8 ოდიანი) და ამდენივე ირმოსის გვერდით ვეაქვს ჩვენ აგრეთვე ხიშნების სხვა სახე, რომელიც მიქელ მოდრეკილის კრებულში ატარებს სახელს: სპადუსნი, ანუ მორთულნი. განსხვავება ამ ორ სახეს შორის ის არის, რომ საზომი ყველა ოდასთან კი არ იცვლება, ე. ი. ცხრაჯერ კი არ იცვლება კანონში, არამედ მხოლოდ ზუთჯერ. აქედან, პირველი 8 ოდის 2 — 2 ოდის ერთი და იგივე საზომი აქვს და, მაშასადამე, ლექსწყობის მიხედვით იყენებს 4 ძლისპირს ანუ ირმოსს; უკანასკნელ ოდას აქვს სუკუთარი საზომი. რაც შეეხება მელოდიას, როგორც ჩანს, მას ცვლილება არ განუცდია: აქაც იცვლება მელოდია ცხრაჯერ. პოეზიის ამ დარ-

გის შემქმნელი უნდა იყოს იოანე მინჩია, რადგან სპადუსნი ხიშნები პირველად მის პოეზიაში გვხვდება¹.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ ინგოროყვა იმ აზრის არის, რომ „სპადუსნი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *σπαδ*. მაგრამ *σπαδ*-ით აღინიშნება ერთ-ერთი სიმებიანი საკრავი. ამის მიხედვით ამ სავალობლის სახელი იმ აზრით უნდა გაგვევო — ამზობის ინგოროყვა — რომ თვით პიშნი იგალობებოდა სიმებიანი საკრავის აუროლებით². მაგრამ ინგოროყვას აზრი ძლიერ ეჭვებს ბადებს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ აღმოსავლეთის საქრისტიანო ეკლესიები არ იცნობენ მღვდელმსახურების დროს სამუსიკო საკრავების ხმარებას. ვარდა ამისა, არც ის არის ნათელი, რატომ სწორედ ეს კანონი ამნაირად უნდა ვგალობათ. იქნებ სიმართლესთან უფრო ახლოს იყოს, თუ ვიტყვი, რომ გამოთქმა სპადუსნი მომდინარეობს ბერძნულ სიტყვისაგან *σπαδ* ან *σπαδ* (ან *σπαδ*), რაც კარგად შეფუერება ამ სიტყვით გამოხატულ პიშნის დანიშნულებას. იცოდნენ თუ არა ბიზანტიელებმა ასეთი სავალობები, ამჟამად ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცი. ქართული გამოთქმა „მორთული“, რომელსაც პ. ინგოროყვა ათავსებს სიტყვასთან „მოკაზმული“ — ამის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგ: „სპადუსნი“ და „მორთული“ ორივე ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავენ, მაშასადამე, მნიშვნელობითაც ერთმანეთს უნდა ემთხვეოდნენ. იმიტომ მე ვამჯობინებდი მორთული დამკვაგშირებინა სიტყვასთან შორთება — „გაერთიონება“ „მორთება“³. ამ გაგებას, ჩემი შეხედულებით, მხარს უჭერენ ტექსტთან დართული განმარტებითი სიტყვები: „სპადუსნი... ერთთერთის შეყოფილი“, ე. ი. ჩვენი შემთხვევისათვის ასე უნდა გავიგებო: ორი ოდა საზომის მიხედვით გაერთიანებულია ერთ ოდად.

არის კიდევ სხვა სახე „კანონისა“, რომელიც მიქელ მოდრეკილის კრებულში გადმოცემულია სახელით „მერჩულილი“. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ კანონის ცალკეული სტროფები ერთგვარ თავედ რითმის (Stabreim) ანუ ალიტერაციას ამჟღავნებენ: მსგავსი საწყისი ასოები მეროდება რამდენიმე ერთმნიშვნელობის მომდევნო სიტყვაში. ამავე დროს

¹ იოანე მინჩიის შესახებ შტრ. აგრეთვე Tar-chnischwil. Geschichte 115 შტდ.

² ინგოროყვა, 668 — 675.

³ თუ რა მნიშვნელობისაა სიტყვები „გამართება“, „მორთება“... ამის შესახებ შტრ. ყ ა უ ხ ი ი შ ე ი ლ ი, გვ. 048 შტდ. და გვ. 446. „მორთული“ „მოკაზმულის“ მნიშვნელობით ახალ ქართულში იხმარება.

¹ საქართველოს გარეთ დაყოფილ ხელნაწერებში, როგორც მაგალითად, სინას მთის იადვარი № 1, 14, 34, 65, ათონის ორივე ხელნაწერი № 85, 86, ინგოროყვასთვის მიუწვდომელი იყო (გვ. 617 — 680).

ალიტერაცია სხვადასხვანაირად არის გაწყობილი: მეორდება ან ერთიადიგივე საწყისი ასოები, მარცვლები, სიტყვები, ან მეორდება რამდენიმე ერთნაირი სიტყვა. ასე, ერთ „კანონში“ ალიტერაცია შემდეგნაირად არის გამართული:

ოდა ალიტერაცია ირმოსი სტროფის საწყისი

I.	შ	შეწვევა	შენისა შობილი შენ
II.	უ	უცნაურისა	ურჩებისა უხილავმან უფსკრულმან
III.	ნ	ნიჭი	ნადირებით ნეფსით ნათელსა <sup>1</sup> და სხვ.

კანონისა და მისი ძლის-პირებისაგან უნდა განვასხვავოთ ე. წ. სტიქარონები იდიომელები. ეს არის პიმნები, რომლებიც სხვა ნიმუშების მიხედვით კი არ არის გამართული, არამედ მათ ზოგადად თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი მეტრიკა და მელოდია<sup>2</sup>. სტიქარონი შეიძლება იყოს, თავისი სტრუქტურით, იმავე სახეობისა როგორც ცალკე ტრაზარი (გალობა), ან და შეიძლება იყოს გეირიანებული სტროფებად (უფრო ხშირად სტრაფი და ანტისტრაფი)<sup>3</sup>.

IV

არის მესამე სახე რიტმიული პოეზიისა, რომელიც თავისუფალია ძლის-პირისაგან, მტკიცედ შეკრული სტროფული აგებულებისა, მას არა აქვს აგრეთვე კანონზომიერი მეტრი და არც მარცვლელობა ახასიათებს. ეს არის, სახელდობრ, ის სახე პოეზიისა, რომელიც დამახასიათებელია ებრაული შერლობისათვის და რომელიც ვხვდებთ აგრეთვე ძველქართულ საშწერლობო ძეგლებში. მისი დამახასიათებელია პარალელიზმი ანუ ტექსტის შინაარსის პარალელური აგება. ამ სახის პოეზიაში მთავარი ის არის, რომ ტექსტის ნაწილები (ყოლინები ანუ ტაბუები) ერთგვარი სიმეტრიით და ურთიერთისაში პარალელურად არიან განლაგებული; ტექსტის ეს ტაბუები შეიძლება იყოს სხვადასხვა სიგრძისა და რაოდენობისა. ზანდახან პოლორითაც გაჩნდება, რომელიც ცალკე ნაწილებს ერთმანეთისაგან ჰყოფს და, ამრიგად, შეკრულ სტროფებად აქცევს მათ.

სტროფულ აღნაგობას და საკმაოდ კარგად განვითარებულ რითმის ამტკიცებებს, მაგალითად პოეტური თხზულება „წამება მიქელ სამაჟმი-

დელისა<sup>1</sup>, რომლის ქართული ტექსტი 9—10 საუკუნეშია დამუშავებული. მთელი „წამება“ ჩამოყალიბებულია არათანაბარი მეტრის გართობული ტაბუებით. მოგვყავს ნიმუშები:

ე. საუბარი დედოფალ სეიდასა და მიქელს

	შორის	
	სეიდა	
ანუ არა	(4)	
ვარ შეა	(3)	
საქებულ,	(3)	
საშუებულ,	(3)	
და საწადელ?	(4)	
	მიქაელ	
არა ხარ შენ საქებულ,	(7)	
არამედ საქებულ!	(7)	
არა საშუებულ,	(5)	
არამედ საენებულ!	(6)	
არა საწადელ,	(5)	
არამედ საძაველ!	(6) <sup>2</sup>	

ძველი ალექსის პოეტურ წიგნებში ვგვხვდებით პარალელიზმი გამოსახულებას პოეტობის აგრეთვე ამ ტექსტების ქართულ თარგმანში, განსაკუთრებით დავითისა და ბიბლიური კანტიკის თარგმანში<sup>3</sup>.

ამ სახის პოეზიის თავისი წარმომადგენლები ჰყავს ორი ქართველი მწერლის სახით; ლეონტი მროველისა და ბასილი საბაწმიდელისა. მროველის ნაწარმოებში არის რამდენიმე ტექსტი, რომელებიც ინგოროყვას აზრით ამ თავისუფალი მეტრით არის შეთხზული:

- ა) ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დროტკთა<sup>4</sup>;
- ბ) სიზმარი ფარნავაზისა, ქართველთა მეფისა;
- გ) ნადირობა იმავე მეფისა<sup>5</sup>;
- დ) გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმანისა<sup>6</sup>;
- ე) ბრძოლა გმირთა<sup>7</sup>.

რაც შეეხება ბასილ საბაწმიდელს, ჩვენ მას პირველად აქ ვეცნობით. იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილ ზღაპარში (სინას ზღა-

<sup>1</sup> გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ, კიშინი 1(თბილისი 1918) 165—173; P. Peters, La passion de S. Michel le Sarbaite — An. Bull. 48 (1930) 65—98. [პ. ინგოროყვა ამ თვალსაზრისით აღმოჩენა ვაყვით, რომ კეკელიძის მიერ გამოქვეყნებული „წამება მიქელ სამაწმიდელისა“ შეთხზულია ქართული ხალხური პოეზიიდან აღებული საღესქო საზომით. — იხ. Tarnischwili, Geschichte, 459].

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, კიშინი 1, 167; ინგოროყვა 706.

<sup>3</sup> ინგოროყვა 711—726.

<sup>4</sup> ყაუხჩიშვილი 28.

<sup>5</sup> ყაუხჩიშვილი 21 შდ.

<sup>6</sup> ყაუხჩიშვილი 53.

<sup>7</sup> ყაუხჩიშვილი 6 შდ.; ინგოროყვა 726—

<sup>1</sup> სახელის მიხედვით („მეტრული“) ასკნან, რომ ამ საზომის შემომადები გიორგი მეტიუელ იყო.

<sup>2</sup> ინგოროყვა 637 შდ.; 680 შდ.

<sup>3</sup> ინგოროყვა, 681—702

№ 65, ფ. 156) მოიპოვება „მამისა საბაჟისა დასა-  
დებელნი. უფალო ღალაღაყასა. ძველნი ქარ-  
თელნი“.

ტექსტი შეიცავს 6 სტროფს, ყოველი სტრო-  
ფი ბოლოვდება რეფრენით. სტროფების საწყისი  
ასოვები ქმნიან აკროსტიხს „ბასილი“<sup>1</sup>. ამის  
მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ  
ჰიმნის ავტორია საზღაპრიანი ქართველი ბერი,  
სახელით ბასილი. ამ ზგოსნის არც პიროვნებაზე  
და არც მისი ცხოვრების თარიღებზეა რაიმე  
ცნობილი. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ,  
რადგან იოანე-ზოსიმე ბასილის ამ საგალობელს  
„ძველ ქართულ“ ჰიმნებს ათვლის, ბასილს არ  
შეგვიძლია ვეძლია VIII საუკუნეზე უფრო  
გვიან<sup>2</sup>. ამ საგალობელს პირველი გამოცემე-  
ლია ნ. მარა<sup>3</sup>, რომელმაც ვერც მისი რიტმიუ-  
ლი ხასიათი შენიშნა და ვერც აკროსტიხი<sup>4</sup>. შემ-  
დეგ ამნაირვე რიტმის მქონეა სინას შთის იმა-  
ვე ხელნაწერში (№ 65, ფ. 75 — 76) დაცული  
სასულიერო ჰიმნები, რომელთაც იოანე-ზოსიმე  
უწოდებს „იამბიკონნი ქართულსა ანანასა ზე-  
და, ძველნი“<sup>5</sup>. მიუხედავად ასეთი სახელწოდე-  
ბისა, ამ ჰიმნებს არაფერი აქვთ საერთო ცნო-  
ბილ 12-მარცვლოვან იამბიკონთან. ეს სახელწო-  
დება იმით არის გამოწვეული, რომ ამ საგა-  
ლობლის ყოველი სტროფი შედგება 5 სტრიქო-  
ნისაგან, როგორც ეს 12-მარცვლოვან იამბიკონ-  
შია. ეს ჰიმნებიც თარიღდება IX საუკუნის უწი-  
ნარესი ხანით.

პოეზიის იმავე სახეს ეკუთვნის ორი „საველ-  
რებელი“<sup>6</sup> და ერთი „ქებაჲ კლარჯეთისა უღამ-  
ნითაჲ“<sup>7</sup>, რომლებიც გიორგი მერჩულემ გრი-  
გოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ შეიტანა. პ. ინ-  
გოროყვა თვლის, რომ ისინი თვით გრიგოლ  
ხანძთელის ნაწარმოებებია. მაგრამ არაერთარი  
შვეთარი საბუთი არ არსებობს მათ ავტორად  
გრიგოლა აღვთარით, ვინაიდან საფიქრებელია,  
რომ ისინი თვით გიორგი მერჩულემ შეთხზა და,  
თანამად ისტორიკოსთა ცნობილი ლიტერატურ-

რულ-მხატვრული ბერხისა, თავის გმირს წარ-  
მოათქმევინა ისინი.

ჩვენ უკვე სხვა ადგილას გვქონდა სიუჟეტი<sup>8</sup>  
ჰიმნზე „ქებაჲ ქართლისა ენისაჲ“, რომელიც  
ამავე თავისუფალი მეტრით არის გამოართული.  
პ. ინგოროყვას მოჰყავს ჩამდენიმე მნიშვნელო-  
ვანი საბუთი, რომლებითაც მტკიცდება, რომ ეს  
ჰიმნი იოანე-ზოსიმეს კი არ ეკუთვნის, არამედ  
მისი ავტორი ერთ-ერთი მისი წინამორბედი უნ-  
და იყოს<sup>9</sup>. პ. ინგოროყვა სრულიად მართებუ-  
ლად ასწორებს ზღაპრებში არსებულ შეც-  
დომებს: სწერია „მისისა“, უნდა იყოს „მე-  
სისისა“, სწერია „წერელი“ უნდა იყოს „წილი“  
(ასო „წ“); ეს შეცდომები ვადაწყურისა, იოანე-  
ზოსიმესა, და იმის ამტკიცებს, რომ იოანე-  
ზოსიმე ამ შემთხვევაში სწერდა სხვის ჰიმნს და  
და არა თავისას [წინააღმდეგ შემთხვევაში ის  
ასეთ შეცდომებს არ დაუშვებდა].

## V

აქ ჩვენ ადგილი უნდა დავეთმოთ ჩამდენიმე  
ჰიმნების კრებულს (იადგარი) და ჰიმნოგრაფებს.  
რომლებიც ჩვენ მიერ ვადაშევიხებულ „ლიტერ-  
ატურის ისტორიაში“ კეკელ დიძის წიგნისა  
მოთხსენებულ დაეგრა, ანდა არასრულად წარ-  
მოვადგინეთ:

1. შოი მღვიმელი, ერთ-ერთი 13 ასურელ მამა-  
თავანი, მერ საუკუნისა<sup>10</sup>; მას ორი ჰიმნი მიე-  
წერება; ისინი მოიპოვება ხელნაწერებში A—  
130, 160, 425<sup>11</sup>.

2. ბასილ საზღაპრიანი, იმავე უკვე გვქონდა  
ზემოთ ლაპარაკი.

3. მოკლე იადგარი პ. ჰიმნების კრებულება,  
რომლებიც შეიცავენ 5—9 საუკუნეთა ტექს-  
ტებს. ეს კრებულება შემდგება:

ა) კილიტრატის ხელნაწერი მეცბრე საუკუ-  
ნისა (ხელნაწერი H—2123);

ბ) სინას შთის ხელნაწერი № 34, იოანე ზო-  
სიმესი;

გ) სინას შთის ხელნაწერი № 26, 954 წლისა.  
ამავე ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე სინას შთის  
ხელნაწერები № 18 და 40 მათვე საუკუნისა და  
ხელნაწერი A—596 მეთერთმეტე საუკუნისა.

სრული საწელიწოლი იადგარები ი ნ გ ო რ ო ყ  
ვ ა ს მიერ აღრიცხულია შემდეგი: სინას შთის

<sup>1</sup> Tarchnischwill, Geschichte, 112, შენ. 2.

<sup>2</sup> ინგოროყვა 746 — 753; ტექსტი ჩამდენიმე ხელნაწერით არის მოღწეული.

<sup>3</sup> Tarchnischwill, Geschichte 410 — 412.

<sup>4</sup> გამოცემული აქვს პ. ინგოროყვას (ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბილისი 1913, 412 შდ.).

<sup>5</sup> მოკლე იადგარი შეიცავს მხოლოდ ჰიმნებს შიავარ საეკლესიო დღესასწაულოთაშვის.

<sup>1</sup> ეს საგალობელი შექმნილი უნდა იყოს სი-  
რიელი ზადრაშეს ვაგნით.

<sup>2</sup> ამ საგალობლის სიძველეზე მიუთითებს აგ-  
რეთვე მისი თავისუფალი რიტმიული თავისებუ-  
რება, რომლის მიხედვით იგი წინ უსწრებს  
ქრონოლოგიურად „კანონისა“ და სტიქარონების  
მეტრულსა და უადრესად მყარია ავტორების  
მქონე ჰიმნებს.

<sup>3</sup> სინას ხელნაწერი № 65, ფ. 156; Марр,  
Описание, 149.

<sup>4</sup> ინგოროყვა 732 შდ.; 0101 შდ.; (ტექსტი).

<sup>5</sup> Марр, Описание, 146 — 149; ინგო-  
როყვა, 733 შდ.; 0101.

<sup>6</sup> Peeters, Hist. — 226, შენ. 7; 248,  
შენ. 25; ინგოროყვა 734—738, 0102—0104.

<sup>7</sup> Peeters, Histoires 243, შენ. 22;  
ინგოროყვა 739 — 742.

ხელნაწერები № 1, 5, 14, 20, 26, 34, 37, 59, 64, 65; ათონის ხელნაწერები № 85 და 86. წიგნის კრებული მე-10—11 საუკუნისა; იელია (მე-10 საუკუნისა); გოლგოთის კრებული 1049 წლის (ხელნაწერი H—2337); ერუშეთის ხელნაწერი (ამჟამად სენიფთია) მე-11 საუკუნის დასაწყისისა; ხელნაწერი S — № 552 (მე-10 — 11 საუკუნისა); ხელნაწერი A—№ 603 (მე-10 საუკუნისა); ობიზის ხელნაწერი (ხელნაწერი A — № 93) 1093 წლისა<sup>1</sup>.

4. გრიგოლ ხანძთელი (758—860). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გვიხსენებენ შემდეგ სიტყვებს: „არს ხანძთას ქელითა მისითა დაწერილი, სულისა მიერ წიდიისა, საწელიწოდო იღვარა, რომლისა სიტყუანი ფრად კეთილ არიან“<sup>2</sup>. ინგოროყვა იმ აზრისაა, რომ ეს იღვარა არ დაკარგულა, არამედ შენახულია მიქელ მოდრეკილის კრებულში. კიდევ მეტი. ეს იღვარა უნდა ყოფილიყო საფუძველი ყველა იმდროინდელი იღვარების ტექსტებისა. ამ აზრის დასამტკიცებლად უპირატესად ის გარემოებაა დასახელდებული, რომ მიქელ მოდრეკელი არ ზოგადლა ძალღონეს, რომ ყველა იმ დროინდელ საქართველოში არსებული საეკლესიო საგალობლები შეეკრიბა და თავის კრებულში შეიტანა, და რომ ის მოღვაწეობდა [თვით გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ] შატბერდში, სადაც მას შეეძლო გრიგოლ ხანძთელის ჰიმნების ნახვა<sup>3</sup>. ინგოროყვას მიერ მოტანილი არგუმენტები უფრადღებოდ დასატყვებელი სრულიად არ არის. აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ მიქელ მოდრეკელი ჩვეულებრივ იხსენიებს ავტორთა სახელებს, გრიგოლ ხანძთელზე კი არას ამბობს. რით უნდა აეხსნათ ჩვენ ეს დუმილი? შესაძლებელია, გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ მას არ ჰქონდა სხვა რაიმე უფრო სანდო ცნობები<sup>4</sup>.

5. ეპიტაქე ხანძთელი (8—9 საუკუნისა). მის შესახებ ცნობებს გვაქვდის ერთი ობიექტი მოღვაწე — ათონის ობიზარი. 1093 წლის ობიზის ხელნაწერის (A — 93)<sup>5</sup> ანდერძში, სახელდობრ,

<sup>1</sup> შტრ. აგრეთვე ის, რაც ჩვენ ზემოთ ვთქვით ორმოლოგიების შესახებ; ინგოროყვა 755 — 758; 776; 038 — 041 (ერუშეთის ხელნაწერის აღწერა), 062 — 073 (ობიზის ხელნაწერის აღწერა).

<sup>2</sup> Peeters. *Histoires* 260; ინგოროყვა 547.

<sup>3</sup> ინგოროყვა 764 — 771; 779 — 819; ინგოროყვას მიხედვით (გვ. 772) გრიგოლს მიქელ მოდრეკილის კრებულში დაცულ საგალობელთაგან 196 კანონი და 123 სტიქარონი თვითონ უნდა შეეთხზას, ანდა ბერძნულიდან გადმოეთარგმნოს.

<sup>4</sup> ინგოროყვა 0117 შტ.

<sup>5</sup> ხელნაწერი შეიცავს გიორგი ათონელის მიერ გადმოთარგმნილ ბარაკლტონს.

სწერია: „წმიდა სამების გალობებს, რომლებიც გიორგი მოწმიდელმა თარგმნა ბერძნულიდან, ქართული საგალობლები სჯობიან, რადგან ისინი იოანე დამასკელის მიერ კი არ არის შეთხზული, არამედ ვინმე ეპიტაქე მოძღვრის მიერ, და სულ თუქსმეტია, ყველა ხმაზე ორ-ორი“<sup>6</sup>. ამ ჰიმნებიდან მოღწეულია მხოლოდ 8. გალობის ერთი ფრაგმენტი და 4 გალობა 1., 2., 3., და 4 ხმისა<sup>7</sup>.

6. მაკარი ლეთთელი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფე<sup>8</sup>. 864. წელს საბა-წმიდაში გადწერა მან განთქმული ძველი „მარავლთაჲ“<sup>9</sup>. მისგან ჩვენ დრომდე მოღწეულია მისი ჰიმნი „შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი და ობიზანი“<sup>10</sup>.

7. ბასილი ხანძთელი, გრიგოლის მოწაფე მას ეკუთვნის სტიქარონები: ბასილ დიდზე, გრიგოლ ნაზიანზელზე, იოანე ოქრობირზე, „საგალობელი აბო ტვილელისა“, „საგალობელი ჯეარისა“, „საგალობელი მამათა“, „მარამისა“, „სვიმონ სალასისა“ და ლექსი სათაერთო „იოანე ნათლისმცემლისა და პეროდე“. სამსტაროფინი ქება აბო ტვილელისა, რომელსაც ის „ახალ მოწამეს“ ეძახის, შეგულია ავროსტიხით „აბო“, იმ დროს როდესაც აგრეთვე სამსტაროფინი პირველი გალობა ლექსისა „იოანე ნათლისმცემელი და პეროდე“ იძლევა ავროსტიხს „შესმა“. ტექსტი დატულია მიქელ მოდრეკელის კრებულში, სინას ხელნაწერში № 59, ხელნაწ. H — 2337<sup>6</sup>.

8. რატი ორბელი (10—11 საუკ.), ძლიერი ფეოდალი ლიპარიტ ორბელიანის გვირიდან, რომელიც უკანასკნელ აღიკვეცა ბერად და მის მიერ დაფუძნებულ წმ. ბარაღმის მონასტერში.

<sup>1</sup> ხელნაწერი A — 93, ფ. 178; ინგოროყვა 072 შტ.

<sup>2</sup> ხელნაწერი A — 93, ფ. 171 — 178; ინგოროყვა 861; 662 — 064; 072 შტ. შესაძლებელია ეს ის ცნობილი ეპიტაქე იყოს, ხანძთის წინამძღვარი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში იხსენიება; შტრ. Peeters, *Hist* 211, 237, 272 — 275; 295; 299; 307 შტ.

<sup>3</sup> Peeters. *Hist* 287 შტ.

<sup>4</sup> სინას ხელნაწერი № 32 — 33; Mapp, *Oniscanie*, 22 — 24 (მაკარის ანდერძი); ინგოროყვა 861 შტ.

<sup>5</sup> დატულია მიქელ მოდრეკილის კრებულში და ხელნაწერში A—603; სინას ხელნაწ. 1; 65. იოანე-ზოსიმეს ერთ ანდერძში ლაპარაკია ვინმე მაკარიზე, რომელსაც მიეწერება „ლოცვი ოთხი“; (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერი ბერძნული VIII, 2, ტომელოპოვის სეულა პალიმპსესტების კოლექცია); ინგოროყვა 862.

<sup>6</sup> ინგოროყვა 693 — 697, 862, 045 შტ.

ნსტერში (საქართველოში) დამკვიდრდა<sup>1</sup>. მისგან მოდწეული, სხვათა შორის, ერთი სამსტროფიანი „საგალობელი ტიტე მოციქულისა“, „აქროსტიხით რატი<sup>2</sup> და ერთი პატარა თეოლოგიური თხზულება, რომლის შინაარსი ჩემთვის უცნობია<sup>3</sup>.

თუ რა შიშარტებშია ქართული სასულიერო პოეზია ბიზანტიურ პოეზიასთან, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

ქართულ გამოთქმას „ძლი სპირი“ სრულიად არაფერი აქვს საერთო ბერძნულ „ირმოსთან“. იმ დროს როდესაც „ირმოსი“ ნიშნავს „წყევალს, ძალს“<sup>4</sup>, ქართული სიტყვა აღნიშნავს „პირველ სიშს“. ბერძენი ხაზს უსვამს ტექსტურულ გავებას საგალობლებისას, ქართველი კი წინ სწევს მუსიკალურ მომენტს. „ძლისპირი“ შეესატყვისება ადგილობრივ რელიგიურ პარობებს და თავისი ბუნებით თავისუფალია ბერძნული გაყვენისაგან. ქართული ირმოსის თავისთავადი მკვიდრი ხასიათი კი იმას ამტკიცებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ისინი ბერძნებს შეხვდებოდნენ, თავიანთი საკუთარი ირმოსები ჰქონდათ, რომელთა მიხედვითაც ისინი სხვა სიმღერებს გალობდნენ. მართლაც, ქართულ ფოკლორში ჩვენ გვხვდება უცნობი სიმღერების დასაწყისი სიტყვები, რომლებსაც წარმართულ ხანაში უნდა ჰქონდეს ძირი: ასეთია, მაგალითად „აგერ მიღმარ ახოსა“ (აზრი ნათელი არაა), ან-და: „აბა წმიდა კოპალე“<sup>5</sup>.

რაც შეეხება ბიზანტიური ეპოქიდან მომდინარე უფრო გვიანი კანონების, ოდების და მათი სტროფების სტრუქტურას, ისევე, როგორც რვა ზმას, ქართული ლიტურგია აგებულია ბიზანტიურის კვალობაზე, და ქართული „იამბიკო“ ბერძნული „თორმეტპარცელოვანის“ განმეორებას წარმოადგენს. თვით ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნები ხშირად უხსტად მისდევენ უძველეს ფუძეტექსტს თავისი რიტმიით და სტროფთა ცალკეული ნაკვეთების აგებულებით. ამასთანავე მთავარი სიმძიმე ცალკეულ ნაკვეთთა მარ-

ტეალორაოდენობაში კი არაა, არამედ, უფრო მეტად ამა თუ იმ ჰიმნის მარცვლოა სერათო რაოდენობაში, იმ ჰიმნის, რომელიც ითარგმნება. ამის ნათელყოფა შეიძლება ქვემო მოყვანილ მაგალითზე.

ჩვენ მოყვანილი იმ პირველი ოდის ირმოსის, რომელიც ივალობება შობის ცისკარზე, ოდა მიწვერება კოპმა მგალობელს:

- Χριστος γεννηται, θεγενετα. (9 მარცვალი)
- Χριστος εστι ταπεινως ανθρωπειται. (11)
- Χριστος εστι γυς, σδαμυ ε. (9)
- Ασατε εψ αυριθ | πααα η γγ. (7+4)
- Και εν ευφροσυνη | ατυμειτατε, λαοι. (6+7)
- \*Ουι θεγενεταε.<sup>1</sup> (6)

ამ საგალობლის ქართული თარგმანი, რომელსაც ი ნ გ ო რ ო უ ე ა<sup>2</sup> გრიგოლ ხანძთელს მიაწერს, შემდეგია:

- ქრისტეს შობასა ვადიდებდეთ, (9)
- ქრისტეს ზევისსა მოვეგებებოდეთ, (11)
- ქრისტესა ჩვენ ჭეუყანისანი, (9)
- აღამაღლებდეთ ღმერთსა / დიდებულსა, (7+4)
- და აჲ სიხარულით / უვალობდეთ, ერსო, (6+6)
- რამეთუ დიდებულ არა (7)

ქართული თარგმანი, „ჩვენ“ — სტილით შესრულებული, არც მონურია და არც სიტყვა-სიტყვითი; მიუხედავად ამისა, ირმოსის განაწილება თანაბარ ნაკვეთებად (კოლონებად) მარცვლორადენობის მიხედვითაც მკაცრად არის გატარებული, ვარადა უკანასკნელი ორი ტაქტისა, სადაც 6 და 7 მარცვლები ერთმანეთს ენაცვლებიან...

დასასრულ, გასარკვევია უძველესი ჰიმნოგრაფიული პოეზიის აღმოცენების დროის საკითხი საქართველოში. ეს დრო უნდა ემთხვეოდეს ქართულ ენაზე მღვდელმსახურების შემოღების დროს<sup>3</sup>, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მეზუთე საუკუნე. ეს ის ხანაა, როდესაც ბიზანტიური ეკლესიის ჰიმნოგრაფია თავის პირველ ყუბვილებს შლის<sup>4</sup>. მართლაც, მრავალი საბუთი არსებობს, რომლებიც ქართული პოეზიის ასაკზედამოწმებთ არკვევენ. იმისდა მიუხედავად, რაც ჩვენთვის სხვა გზით არის ცნობილი<sup>5</sup>, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ქართული ჰიმნოგრაფიის შემდეგი მომენტები:

იადგარის ზელნაწერიში (სინან შიისა № 34, ფ. 34 და ფ. 123), რომელიც იოანე-ზოსიმესაგან მომდინარეობს, ვარკვევით არის გარჩეული „ქელი“ და „ახალი“ ჰიმნები. რადგან „ახალი“ ჰიმნები 9 — 10 საუკუნეებს ეკუთვნის, „ქე-

<sup>1</sup> სინან ზელნაწერი № 56; 96, ფ. 166; შდრ. М а р р, Описание 91 და 274.

<sup>2</sup> ზელნაწერი Н — 2327, ფ. 250, ვადმოხეტილი აქვს ინგოროყვას (გვ. 098).

<sup>3</sup> ვადმოცხებულია მ. კ ა ხ ა ძ ი ს მიერ „ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება“ — ენიშკის შიამხე XIV (1944), 83—90; ინგოროყვა 880 — 884.

<sup>4</sup> შდრ. ამასთან სირიული „ნუვადი“ და სომხური „შარაკან“, რომლებიც ეტიმოლოგიურად ბერძნულ „ირმოსს“ უკავშირდებიან.

<sup>5</sup> ინგოროყვა 585, შენ. 1; ი ვ. ჯ ა ე ბ ა ლ ე ო ლ ი (ქართული ერის ისტორია 1 [თბილისი, 1928] 90 შდ.) ფიქრობს, რომ „კოპალე“ ან „კოპალა“ იგივეა, რაც მცირეაზიელი ღვთაება „კიბელე“.

- <sup>1</sup> იხ. თუნენი 2 (Rom 1897) 662.
- <sup>2</sup> ინგოროყვა 827.
- <sup>3</sup> Tarchnischewili, Geschichte 439.
- 450.
- <sup>4</sup> Pitra Hymnographia 42 შდ.
- <sup>5</sup> Geschi.hte 430.

ლი“ პიმნების წარმოშობა უნდა ვივარაუდოთ მეცხრე საუკუნემდე<sup>1</sup>.

„იერუსალიმის განწინება“ (მცირე), რომელიც დაეწერა სინას ხელნაწერში № 37 და კვლავ იოანე-ზოსიმესაგან მომდინარეობს<sup>2</sup>, შეიცავს პიმნებს, რომელთა წარმოშობა უნდა მიეკუთვნოს ხანას მეშვიდე საუკუნემდე. 284 ფურცელზე მოყვანილია ერთი „იბაკოს“<sup>3</sup> დასაწყისის სიტყვები, რომლებსაც იოანე-ზოსიმე ურთავს შენიშვნას: „ეს იბაკო მე ვერსად ვერ ვიპოვე“. ამ სიტყვებიდან ექვსმოტიტანლად გამომდინარეობს, რომ ამ პიმნის სრული ტექსტი, რომელიც წინათ ზებირად იცოდნენ, ზოსიმეს დროს უკვე მივიწყებას ყოფილა მიცემული, ე. ი. მისი არსებობა არც თუ ისე ახლო წარსულშია საგულგებელი. მეორე „იბაკო“ დღებუთშაბათისა, რომელიც „ძველ“ პიმნებს მიეკუთვნება (ფ. 282), ასე იწყება „რადგამს იგი თაყუანის სცემდა, ჰრულოდა პეტრეს“. სხვა პუბლიკაციების გამო ჩვენ შემთხვევა გვჭონდა აზრი გამოგვეთქვა, რომ „ლოციის“ ნაცვლად ზმნა „თაყუანისცემა“ მხოლოდ ისეთ ტექსტებში გვხვდება, რომლებიც არ შეიძლება შეთხზული იყოს მე-6 საუკუნეზე უფრო გვიან<sup>4</sup>. მაშასადამე, ეს პიმნი უნდა დათარიღდეს მე-7 საუკუნის წინა დროით. ამგვარივე ვითარების წინაშე გვაყენებს ჩვენ აგრეთვე მსგავსი „იბაკო“ იმავე დღის შუალა-

მის ლოციისა, რომელსაც იოანე ზოსიმე განსაკვიფრებელია რატომ — „ახალ“ პიმნებს მიეკუთვნებს“<sup>5</sup> (ფ. 280). იქ ჩვენს ცნობებზედ: „მამან ეხოვ ტამოსიად განდებულ იქნებამ“ ნაცვლად „კრეტსაბელისა“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება, ლეკა 23, 45, აღიშნის ხელნაწერით, ყველა სხვა ნუსხა ოთხთავისა, და თვით აღიშნის მათე 27,51 და მარკ. 15,38 კითხვობს „კრეტსაბელი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პოეზია უძველეს ხანებშია წარმოშობილი.

რომ შევჯავშოთ ზემოთქმული, უნდა დავასვენათ შემდეგი: უაღრესად მდიდარი და მაღალკანონიერებული ქართული სასულიერო პოეზია, რომელიც ერთგვარი მიმართებით თვით საერო პოეზიის საფუძველი და ამოსავალი წერტილი გახდა, არის, თუ პირველი წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისეთივე ძველი, როგორც პროზა: მას ძირა აქვს მე-5 საუკუნის ლიტურგიულ მსახურებაში. საზომის მიხედვით ის ნაწილობრივ შრობიერია, ადგილობრივად ნაწილობრივ კი სირიულბიზანტიური ელფერი<sup>6</sup>. მოტანილი ტექსტებიდან, შეგვგე, ნათელია, რომ ქართველები თავიანთ მთარგმნელობით მონაწილეობაში წინამდებარე უძველეს ტექსტს იყენებდნენ და იმჟამათვე პროზას სთარგმნიდნენ პროზად და ლექსებს ლექსებადღე ჩამოსახმენდნენ ზოლმე.

<sup>1</sup> შესაძლებელია „ახალ“ პიმნებად უნდა კიგულისხმობთ ის პიმნები, რომლებიც შემდეგ იქმნა შეტანილი ოფიციალურ კრებულში.

<sup>2</sup> ბიზანტიური პოეზიის სიღაბერობა შეიძლება ახსნილი იქნას მხოლოდ აღმოსავლურ სიღაბერ პოეზიასთან დამოკიდებით; ხომ თვით პირველი შემქმნელი სასულიერო საგალობლების ბერძნულ ენაზე იყვნენ სიტყვები ან ელინური ელემენტები.

<sup>1</sup> ინვაროკუვა 874 შდ.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერშიც (ფ. 285) „ძველი“ პიმნები მოყვანილია „ახალ“ პიმნებისაგან გამოცალკევებით. ეს „განწინება“, ამგვარი შინაარსის სხვა ტექსტებთან ერთად, ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდება ლევენის სერიაში CSCO.

<sup>3</sup> თუ რა დროისა ეს „იბაკო“, შდრ. Pitra. Hymnographia 39.

<sup>4</sup> Tarchnischwil Orientalia — Mus. 68 (1955) 377 შდ.



## რუსთაველის ესთეტიკა\*

შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანს“ წარუშემდგარა ე. წ. „დასაწყისი“, რომელიც არის ტრაქტი პოეტის შეხედულებებისა ხელოვნების ფილოსოფიისა და ესთეტიკის მეცნიერების პრინციპების შესახებ. აქ ზვეწც მათზე ვილაპარაკებთ.

